

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა

მაგული ღამბაშიძე

მოდალური სემანტიკის გამოხატვა ძველ ქართულ ენაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის დოქტორი,
ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე;
ფილოლოგიის დოქტორი მარინა ბერიძე

თბილისი

2024

აბსტრაქტი

თანამედროვე სამეცნიერო სივრცე დაინტერესებულია მოდალობის, როგორც დამოუკიდებელი კატეგორიის, კვლევით. ზოგადლინგვისტური სურათის გათვალისწინებით ქართული ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა იყოს მოდალური სემანტიკისა და მის გამომხატველ ენობრივ საშუალებათა სემანტიკურ და მორფოსინტაქსურ ანალიზზე დაფუძნებული კვლევა. ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში არსებობს შრომები, რომელთა ავტორები იკვლევენ სხვადასხვა მოდალურ სემანტიკას ევროპულ ენათა მასალის საფუძველზე, დაბეჭდილია რამდენიმე სტატია, რომლებშიც მოცემულია ცალკეულ მოდალურ ფორმათა და სემანტიკათა ანალიზი. მოდალობის კატეგორიის კვლევის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯია 2020 წელს გამოქვეყნებული ორი მონოგრაფია („მოდლობის კატეგორია ქართულ ენაში“, ნ. შარაშენიძე, 2020; „მოდლობის კატეგორიის საკითხები ქართულში“, ნ. შარაშენიძე, მ. ღამბაშიძე, მ. ადვაძე, თ. მახარობლიძე, 2020). დასახელებულ მონოგრაფიებში განხილულია მოდალობის კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები ქართულ ენაში (ძირითადად, საშუალი და ახალი ქართული ენის მონაცემებზე დაყრდნობით), თანამედროვე ქართული ენის დიალექტებსა და ჟესტურ ენაში. წარმოდგენილია მოდალობასთან დაკავშირებული საკითხების მიწოდება ქართულის როგორც მეორე ენისა და უცხო ენის სწავლების პროცესში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოდალური სემანტიკა ქართულ ენაში შესწავლილად მივიჩნიოთ. აღნიშნული შრომები, ცხადია, ვერ მოიცავდა მოდალური სემანტიკის სრულ სპექტრს, მათში აღწერილია მოდალობის გამომხატვის ზოგადი მოდელი ქართული ენის მონაცემების გათვალისწინებით. ცალკეული საკითხები კი კვლავ საჭიროებს კვლევას. განსაკუთრებით ეს ეხება მოდალური სემანტიკის გამომხატვას ძველ ქართულ ენაში. ძველი ქართული ენის პერიოდში მოდალობა საშუალსა და ახალ ქართულთან შედარებით ჩამოყალიბებულ კატეგორიად არ განიხილება, რადგან მოდალური სემანტიკის გამომხატველი ენობრივი საშუალებების გრამატიკალიზაცია ძირითადად საშუალ ქართულს უკავშირდება, მაგრამ ძველ ქართულ ენას მოდალობის სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის გამოსახატავად არაერთი საშუალება მოეპოვებოდა,

შესაბამისად, ჩვენს ინტერესს წარმოადგენს მოდალური სემანტიკის კვლევა ენის განვითარების სწორედ ამ ეტაპზე.

ნაშრომი ეხება ძველ ქართულში მოდალობის გამოხატვას და მისი გამომხატველი საშუალებების ანალიზს დიაქრონიული თვალსაზრისით. ამ კუთხით ძველი ქართული ენის ლექსიკურ-გრამატიკული ფონდის გაანალიზება და მოდალობის გამოხატვის საშუალებების აღწერა, ფაქტობრივად, პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს, რადგან ძველ სამწერლობო ქართულში მოდალური სემანტიკის გამოხატვის სისტემური შესწავლის მცდელობა ჯერ არ ყოფილა ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში. მართალია, მოდალური სემანტიკის გამომხატველი ცალკეული ენობრივი საშუალებები ნაკვლევია ძველ ქართულ ენაში, მაგრამ არა უშუალოდ მოდალობასთან მიმართებით.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი მოდალობის კატეგორიის სამი ძირითადი სახე, ესენია: დინამიკური, დეონტური და ეპისტემური (თავის მხრივ, ამ სახეებშიც გამოიყოფა სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი). მოდალობის თითოეული სახე სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გამოიხატება, რომელთა გამოვლენა და შესწავლა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ვითვალისწინებთ რა მოდალობის კატეგორიის შესწავლის აქტუალურობას თანამედროვე ლინგვისტიკაში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოდალური სემანტიკის კვლევა და ამ სემანტიკის გამომხატველ ენობრივ საშუალებათა სისტემური ანალიზი ძველი ქართული ენის ემპირიული მასალის საფუძველზე. რამდენადაც ქართული ენის საწყის ეტაპზევე მოდალობის თითოეული სახე და მისი სემანტიკა არაერთი ენობრივი საშუალებით გამოიხატებოდა, წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოვლენილია მოდალური სემანტიკის გამომხატველი ფორმები და წარმოდგენილია მათი ამომწურავი სისტემური სემანტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზი.

კვლევა გულისხმობს Titus-ის მონაცემთა ტექსტურ ბაზაზე, ქართული ენის ეროვნული კორპუსის, ძველი აღთქმის ქართული ვერსიების კრიტიკულად დადგენილი ტექსტის, ქართული ოთხთავის (ლუკასა და იოანეს სახარებები)

კრიტიკულად დაგენილი ტექსტის, ბერძნული ბიბლიის ტექსტის სანდო ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების მონაცემებზე დაყრდნობით ემპირიული მასალის გამოვლენა-ანალიზს. ნაშრომში წარმოადგენილია უცხოენოვან ლინგვისტურ ლიტერატურაში მოცემულ საკითხზე არსებული მოსაზრებები და მათი ანალიზი, ამ მოსაზრებების მიმართება ქართული ენის მონაცემებთან. გამოვლენილი ემპირიული მასალა, კონკრეტული ენობრივი საშუალებები შედარებულია ძველბერძნული ბიბლიის მონაცემებთან, წარმოდგენილია მოდალურ ფორმათა სემანტიკური, მორფოსინტაქსური კლასიფიკაცია და ანალიზი. ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები, რთული ზმნების დაშლის შედეგად მიღებული სხვადასხვა ტიპის აღწერითი წარმოება, მოდალური სემანტიკების გამომხატველი მარტივი ზმნები სხვადასხვა პირის ფორმით და ოდენ მე-3 პირის, სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამომხატველი ნაწილაკები, უარყოფითი ნაწილაკები, როგორც მოდალობის გამომხატველი დამოუკიდებელი საშუალებები, მეორე მხრივ კი, უარყოფით ნაწილაკთა დისტრიბუცია ცალკეულ მოდალურ ფორმებთან, დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოყენებული I და II ბრძანებითის მწკრივები, ე.წ. „კატეგორიული მყოფადის“ ფორმები და პარონომაზია.

სემანტიკური თვალსაზრისით კვლევას აქტუალურს ხდის გრამატიკალიზაციის პროცესის შეფასება ძველ ქართულ ენაში. მოდალობის, როგორც დამოუკიდებელი კატეგორიის გამოსაყოფად ქართულ ენაში საჭიროა, თვალი მივადევნოთ კონკრეტულ ენობრივ საშუალებათა მოდალურ ელემენტებად ქცევის პროცესს. აღნიშნული კვლევა საფუძველი გახდება საშუალოსა და ახალ ქართულში, ასევე ქართველურ ენებში ამ მიმართულებით სემანტიკური კვლევებისთვის. ამდენად, ამ ტიპის საფუძვლიანი ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სემანტიკური კვლევების არეალის გაფართოებას ქართულ ენასა და სხვა ქართველურ ენებში.

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული ენა, მოდალური სემანტიკა, დინამიკური მოდალობა, დეონტური მოდალობა, ეპისტემური მოდალობა.

Abstract

The modern scientific space is interested in the study of modality as an independent category. Taking into account the general linguistic situation, it is an important task for Georgian linguists to investigate modal semantics and carry out semantic and morphosyntactic analysis of the means of expression of modality. In the Georgian linguistic space, there are works, the authors of which research diverse modal semantics on the material of European languages. There are also several papers containing the semantic analysis of separate modal forms. Two monographs published in 2020 are a step forward in modality category research ("The category of modality in the Georgian language", N. Sharashenidze, 2020; "Modality category issues in Georgian", N. Sharashenidze, M. Ghambashidze, M. Advadze, T. Makharoblidze, 2020). These monographs focus on the category of modality in the literary Georgian (mainly, based on the data of the Middle and New Georgian language), as well as the dialects of the Georgian language and sign language. These works also provide recommendations on the teaching of modality in the process of acquisition of Georgian as a second and foreign language. Naturally, the above-mentioned monographs could not embrace the full spectrum of modal semantics. They describe a general model of expression of modality based on the data of the Georgian language. It is still necessary to dwell upon certain important issues, especially the expression of modal semantics in Old Georgian. In the given period of the history of the Georgian language, unlike Middle and New Georgian, the formation of the category of modality was incomplete; the grammaticalization of language means expressing modality took place mostly in Middle Georgian. However, in Old Georgian, there were numerous means of expression of diverse semantic nuances of modality, Therefore, our interest is the study of modal semantics at this very stage of language development.

The work deals with the expression of modality in Old Georgian and the analysis of its means of expression from a diachronic point of view. In this regard, the analysis of the lexical-grammatical fund of the Old Georgian language and the description of the means of expression of modality is, in fact, the first serious attempt, because there has not yet been an attempt to systematically study the expression of modal semantics in old written Georgian in Georgian

linguistics. It is true that separate linguistic means expressing modal semantics are studied in the old Georgian language, but not directly in relation to modality.

Within the framework of the thesis, three main types of the modality identified in the scientific literature are studied, these are: Dynamic, Deontic and Epistemic modality (Different semantic nuances are distinguished in these types as well). Each type of modality is expressed in different languages by different linguistic means, detecting and studying of these means is one of the important tasks of modern linguistics. Taking into account the topicality of the study of modality in contemporary linguistics, We consider important the research of modal semantics and the systematic analysis of linguistic means expressing this semantics based on the empirical material of the old Georgian language. As each type of modality and its semantics were expressed in a number of linguistic means at the initial stage of the Georgian language, the expressions of modal semantics are identified in the given thesis and their comprehensive systematic semantic and morphosyntactic analysis is presented. es. The material will be obtained from Titus database, the National Corpus of the Georgian Language, the critical texts of the Georgian versions of the Old Testament, the critical texts of the Georgian Gospels (the Gospels of Luke and John), as well as reliable printed and electronic editions of the Greek Biblical texts. The following issues are presented in the paper: analysis of theories found in foreign linguistic literature regarding the issue under consideration; The relationship between these theories and the data of the Georgian language; Identified empirical materials, the concrete means are compared to the data of Old Greek Bible, Then the semantic and morphosyntactic classification and analysis of these modal forms is presented. The thesis analyzes complex verbs expressing different modal semantics, as well as different types of descriptive production as a result of decomposition of complex verbs, simple verbs expressing modal semantics in different person forms, simple modal forms used only with the 3rd person forms of the verb, different types of particles to express different semantic nuances of modality, negative particles, as independent expressions of modality, on the second hand, the distribution of negative particles with individual modal forms, I and II Imperative screeves used to express Deontic modal semantics, the so-called “categorical future” and paronomasia. The given work is important not only from the point of view of studying the material of the

Old Georgian language, but also, in general, from the point of view of expanding the research of modal semantics in Georgian linguistics.

From the semantic point of view, the evaluation of the process of grammaticalization in the old Georgian language makes the research relevant. In order to distinguish modality as an independent category in the Georgian language, it is necessary to follow the process of turning concrete linguistic means into modal elements. The mentioned research will become the basis for semantic studies in this direction in Middle and New Georgian, as well as in Kartvelian languages. Thus, a thorough analysis of this type will significantly contribute to the expansion of the area of semantic research in the Georgian language and other Kartvelian languages.

***Keywords:** Old Georgian Language, Modal Semantics, Dynamic Modality, Deontic Modality, Epistemic Modality.*

სარჩევი

აბსტრაქტი	i
Abstract	iv
შესავალი.....	1
I თავი.....	5
მოდალობის კატეგორიის ზოგადი მიმოხილვა	5
II თავი	9
2.1. დინამიკური მოდალობა ლინგვისტიკაში.....	9
2.2. დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები.....	11
2.2.1. ძალ-უც.....	13
2.2.2. ჰელ-ეწიფების.....	14
2.3. დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი სხვადასხვა ტიპის აღწერითი წარმოება.....	18
2.4. დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი მარტივი „შეუძლია“ ზმნა	25
2.5. უარყოფითი ნაწილაკების დისტრიბუცია დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ფორმებთან	29
2.5.1. დინამიკური სემანტიკის გამომხატველი „ვერ“ უარყოფითი ნაწილაკი ძველ ქართულში.	34
III თავი	36
3.1. დეონტური მოდალობა ლინგვისტიკაში	36
3.2. დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვა I და II ბრძანებითის მწკრივის ფორმებით.....	37
3.3. დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვა ნაწილაკების საშუალებით	39
3.3.1. უარყოფითნაწილაკიანი კონსტრუქციები დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად	39
3.3.1.1. დეონტური სემანტიკის „ნუ“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში	40
3.3.1.2. დეონტური სემანტიკის გამომხატველი „ნუცა“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში.....	44

3.3.1.3. დეონტური სემანტიკის გამომხატველი „ნულარა“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში.....	46
3.3.1.4. ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკების პოზიცია დეონტური სემანტიკის მქონე კონსტრუქციებში	49
2.3.1.5. ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკიან კონსტრუქციათა დეონტური სემანტიკური ნიუანსები ძველ ქართულში.....	54
3.3.1.6. დასკვნა	58
3.3.2. დეონტური სემანტიკის „არ(ა)“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში	59
3.3.3. დეონტური სემანტიკის „მცა“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში	68
3.4. დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატვა „კატეგორიული მყოფადის“ ფორმებით.....	72
3.5. დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები.....	74
3.5.1. დეონტური „ძალ-უც“ და „ჯელ-ეწიფების“	74
3.5.3. თანა-აც	78
3.5.4. ზედა-აც.....	80
3.5.5. დასკვნა	81
3.6. დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი სხვადასხვა ტიპის აღწერითი წარმოება.....	81
3.7. დეონტური სემანტიკის გამომხატველი მარტივი ზმნები ძველ ქართულში.....	85
3.7.1. დეონტური სემანტიკის რთული ზმნების ჩანაცვლება მარტივი ზმნებით ...	85
3.7.2. შუენის.....	87
3.7.3. შეჰგავს	89
3.7.4. უკმს	90
3.7.5. მართებს	91
3.7.6. შეუძლია	92
3.7.7. უტევებს	93
3.7.8. აუფლებს.....	95

3.7.9. მარტივ ზმნათა ოდენ მე-3 პირის ფორმებით გამოხატული დეონტური მოდალური სემანტიკა	96
3.7.9.1. ეგების.....	96
3.7.9.2. „ჯამს/ხამს	98
3.7.9.3. ღირს	99
3.7.10. დასკვნა	100
4.1. ეპისტემური მოდალობა ლინგვისტიკაში	101
4.2. ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „ჯერ-არს“ რთული ზმნა ძველ ქართულში	102
4.3. ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი მარტივი ზმნები ძველ ქართულ ენაში	103
4.3.1. ეგულების.....	104
4.3.2. ეგების.....	106
4.4. ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი ნაწილაკები ძველ ქართულში.....	107
4.4.1. ნუ.....	107
4.4.2. ნუთუ.....	109
4.4.3. ნუკუე	110
4.4.4. ნუმცა.....	111
4.4.5. -ძი	113
4.4.6. -ლა	115
4.4.7. რეცა	116
4.4.8. თუ.....	118
4.4.9. ხოლო / ხოლო თუ / თუ ხოლო.....	119
4.4.10. ჰეთუმცა / ჰელამეთუ.....	121
4.4.11. სამე	121
4.4.12. -ვე.....	123
4.4.13. -მებრ.....	124
4.4.14. დასკვნა	125

V თავი.....	126
5.1. სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამოხატვა ერთი და იმავე ენობრივი საშუალებით.....	126
5.2. დინამიკური და დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „ველ- ეწიფების“ და „ძალ-უც“ რთული ზმნები	126
5.3. დეონტური და ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „ჯერ-არს ყოფად“ და „ყოფად არს“ ტიპის წარმოება	134
5.4. პარონომაზია.....	139
5.5. „ეგების“ მარტივი ზმნა დინამიკური, დეონტური და ეპისტემური მოდალური შინაარსით.....	141
მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებათა წარმომავლობის საკითხისათვის	143
VII თავი.....	150
მოდალური სემანტიკის გამომხატველი საშუალებები როგორც სალექსიკონო ერთეულები	150
VIII თავი.....	153
ძირითადი დასკვნები	153
წყაროები:.....	160
გამოყენებული ლიტერატურა:.....	164

ცხრილთა საძიებელი

მოდალური სემანტიკის სქემა (სქემა N1) - გვ. 8

„ვერ“* ნაწილაკის გამოყენება დინამიკურ მოდალურ საშუალებებთან (ცხრილი N 1) - გვ. 32

„არ“* ნაწილაკის გამოყენება დინამიკურ მოდალურ საშუალებებთან (ცხრილი N 2) - გვ. 33

„ნუ“* ნაწილაკის გამოყენება დინამიკურ მოდალურ საშუალებებთან (ცხრილი N 3) - გვ. 33

„ნუ“ ნაწილაკის გამოყენება დეონტური სემანტიკით (ცხრილი N 4) - გვ. 41

„ნუცა“ ნაწილაკის გამოყენება დეონტური სემანტიკით (ცხრილი N 5) - გვ. 46

„ნულარა“ ნაწილაკის გამოყენება დეონტური სემანტიკით (ცხრილი N 6) - გვ. 48

არ / არა / არცა / არცადა / არლა / არავე ნაწილაკთა და I-II კავშირებითის მწკრივთა კომბინაცია დეონტური სემანტიკით (ცხრილი N 7) - გვ. 64

„არ“ და მისგან ნაწარმოები უარყოფითი ნაწილაკების დისტრიბუცია დეონტური სემანტიკის გამომხატველ აღწერით ფორმებთან (ცხრილი N 8) - გვ. 65

„არ“ და მისგან ნაწარმოები უარყოფითი ნაწილაკების დისტრიბუცია დეონტური სემანტიკის გამომხატველ მარტივ ზმნებთან (ცხრილი N 9) - გვ. 66

მოდალური სემანტიკის გამომხატველი საშუალებები ძველ ქართულ ენაში (ცხრილი N 10) - გვ. 151

შესავალი

თანამედროვე ლინგვისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სემანტიკურ კვლევებს. სხვადასხვა ასპექტით წარმართული სემანტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზი ენის ფუნქციონირების სრულიად ახალ შესაძლებლობებს გამოკვეთს. ერთ-ერთ ასეთ ძირითად მიმართულებას სემანტიკაში მოდალობის კატეგორიის კვლევა წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოდალობის კატეგორიის სამ ძირითად სახეს გამოყოფენ, ესენია: დინამიკური, დეონტური და ეპისტემური (თავის მხრივ, ამ სახეებშიც გამოიყოფა სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი). მოდალობის თითოეული სახე სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გამოიხატება, რომელთა გამოვლენა და შესწავლა თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ვითვალისწინებთ რა მოდალობის კატეგორიის შესწავლის აქტუალობას თანამედროვე ლინგვისტიკაში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოდალური სემანტიკის კვლევა და ამ სემანტიკის გამომხატველ ენობრივ საშუალებათა სისტემური ანალიზი ძველი ქართული ენის ემპირიული მასალის საფუძველზე. ქართული ენის განვითარების ამ პერიოდში მოდალობა საშუალსა და ახალ ქართულთან შედარებით ჩამოყალიბებულ კატეგორიად არ განიხილება, რადგან მოდალური სემანტიკის გამომხატველი ენობრივი საშუალებების გრამატიკალიზაცია ძირითადად საშუალ ქართულს უკავშირდება, მაგრამ ძველ ქართულ ენას მოდალობის სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის გამოსახატავად არაერთი საშუალება მოეპოვებოდა.

ძველ ქართულ ორიგინალურ მწერლობას წინ უსწრებდა ნათარგმნი ლიტერატურა. ძველი ქართული მწიგნობრული ენის ფორმირება მოხდა ბიბლიურ წიგნთა თარგმნის პროცესში. ბიბლიური წიგნების უდიდესი ნაწილი, თუ მთლიანად არა, თარგმნილია ბერძნულიდან. თარგმანის გავლენით, ძველ ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში (მისი გავლენით, შედარებით იშვიათად ორიგინალურ ლიტერატურაშიც) თავს იჩენდა ბიბლიის ბერძნულისთვის დამახასიათებელი ქართულისთვის უჩვეული სინტაქსური კონსტრუქციები, გრამატიკული თუ ლექსიკური კალკები. მათი რაოდენობა განსაკუთრებით მატულობს ე.წ.

„ელინოფილურ“ პერიოდში (XI-XIII სს.), ბერძნულიდან შესრულებულ ზუსტ, სიტყვასიტყვით თარგმანებში. ამის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია ძველი ქართული ნათარგმნი ლიტერატურის, პირველ ყოვლისა, ბიბლიის ქართული ვერსიების შედარება ბერძნულ წყაროსთან, რათა დადგინდეს, მოდალური სემანტიკის გამოხატვის ენობრივი საშუალებებიდან რომელია ავთენტური და რომელი – თარგმანის გზით დამკვიდრებული.

სემანტიკური თვალსაზრისით კვლევას აქტუალურს ხდის გრამატიკალიზაციის პროცესის შეფასება ძველ ქართულ ენაში. მოდალობის, როგორც დამოუკიდებელი კატეგორიის გამოსაყოფად ქართულ ენაში საჭიროა, თვალი მივადევნოთ კონკრეტულ ენობრივ საშუალებათა მოდალურ ელემენტებად ქცევის პროცესს. აღნიშნული კვლევა საფუძველი გახდება საშუალსა და ახალ ქართულში, ასევე ქართველურ ენებში ამ მიმართულებით სემანტიკური კვლევებისთვის. ამდენად, ამ ტიპის საფუძვლიანი ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სემანტიკური კვლევების არეალის გაფართოებას ქართულ ენასა და სხვა ქართველურ ენებში.

ძველმა ქართულმა თარგმანებმა არაერთხელ განიცადა რევიზია-რედაქტირება ბერძნულ წყაროსთან დაახლოების მიზნით. ამ კუთხით ცალკე დაკვირვებას მოითხოვს ძველი თარგმანების (პრეათონური (X საუკუნემდე) და ათონური პერიოდის (XI ს.)) შედარება „ელინოფილური“ სტილით შესრულებულ სიტყვასიტყვით, ადეკვატურ თარგმანებთან (XI-XII სს.), რათა გაირკვეს, მოდალური სემანტიკის გამოხატველი საშუალებებიდან რა რით იცვლებოდა და რატომ. „ელინოფილურ“ პერიოდში სახარება-ოთხთავის ბერძნულის მიხედვით გადამუშავება მხოლოდ ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებებში გვხვდება. XI საუკუნის შუა წლებში ოთხთავის გიორგი ათონელისეული რედაქციის ჩამოყალიბების შემდეგ სახარების ახალი რედაქცია არ შექმნილა.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ ამა თუ იმ მოდალურ ენობრივ საშუალებათა გენეზისი ძველი ბერძნული ენის მონაცემებთან მიმართებითაც.

შემდეგ ეტაპზე საჭიროა ამავე საკითხის შესწავლა ორიგინალურ ქართულ ლიტერატურაში, ჰაგიოგრაფიაში, იმის გასარკვევად, არის თუ არა სხვაობა

მოდალური სემანტიკის გამოხატვის ენობრივ საშუალებებში ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებს შორის.

ემპირიულ მასალად გამოყენებული იქნება ძველი ქართული ენის ნათარგმნი (პირველ ყოვლისა, ბიბლიურ წიგნთა ქართული ვერსიები) და ორიგინალური ლიტერატურის მეცნიერულად სანდო გამოცემები, როგორც ბეჭდური, ისე – ელექტრონული (Titus (<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de>), ქართული ენის ეროვნული კორპუსი – GNC (<http://gnc.gov.ge/gnc/page?page-id=gnc-main-page>), ძველი აღთქმის ქართული ვერსიების კრიტიკულად დადგენილი ტექსტი (<http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>), ქართული ოთხთავის (ლუკასა და იოანეს სახარებები) კრიტიკულად დადგენილი ტექსტი (<http://ogg.tsu.ge/>) და სხვ. ბერძნულისთვისაც, ასევე, გამოვიყენებთ ბიბლიის ტექსტის აკადემიურ გამოცემებს (მაგ., სეპტუაგინტის გოტინგენის გამოცემის კრიტიკულ ტექსტს, ბიბლიის ელექტრონულ გამოცემას „Bible Works“ და სხვა ელექტრონულ რესურსებს).

კვლევისას გამოყენებული იქნება აღწერითი და შედარებითი კვლევის მეთოდები. ემპირიული მასალის სემანტიკური ანალიზისას, ასევე, მნიშვნელოვანია შემდეგი მეთოდების გამოყენება: სემანტიკისა და კლასიფიკაციის მეთოდი; სუბსტიტუციის, ანუ ჩანაცვლების მეთოდი, რაც, ასევე, გულისხმობს ლექსიკური და გრამატიკული სუბსტიტუციის მეთოდების მონაცვლეობას; სინტაქსური ტრანსფორმაციის ანუ პერიფრაზირების მეთოდი.

თითოეული ამ მეთოდის გამოყენება მართებულია ენობრივ ერთეულთა სემანტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზისას. მოდალური სემანტიკის კვლევისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, ამა თუ იმ მოდალურმა ზმნურმა ფორმამ განიცადა, თუ არა გრამატიკალიზაციის პროცესი. ამისათვის კი საჭიროა ამ ფორმათა სემანტიკა და მორფოლოგიური მახასიათებლების მიხედვით აღწერა, მათი სემანტიკის განსაზღვრა და სწორი კლასიფიკაცია. ასევე, მოდალურ ფორმათა სწორი, არასუბიექტური სემანტიკური ანალიზისათვის ეფექტურია სუბსტიტუციისა და პერიფრაზირების მეთოდთა გამოყენება. ძველი ქართული ენის მასალის კვლევისას აუცილებელია, დავეყრდნოთ შედარებითი კვლევის მეთოდს, რადგან, ცნობილია, თარგმანის გზით ძველი ბერძნული ენის გავლენა ქართული ენის განვითარების

პირველ ეტაპზე. ძველ ქართულ ენაში დადასტურებულ მოდალურ ფორმათა ბერძნულთან შესაბამისობის დასადგენად ჩავატარებთ შედარებით კვლევას ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ქართული და ბერძნული ვერსიების მიხედვით. ამგვარად შევძლებთ სრულყოფილი სურათის მიღებას ძველ ქართულ ენაში არსებული მოდალური სემანტიკის გამომხატველი საშუალებების წარმომავლობის, ორიგინალურობის შესახებ. ასევე, ამ საკითხის ორიგინალურ ქართულ ლიტერატურაში, ჰაგიოგრაფიაში, შესწავლით გაირკვევა, არის თუ – არა სხვაობა მოდალური სემანტიკის გამოხატვის ენობრივ საშუალებებში ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებს შორის. ჩატარებული კვლევის შედეგები ერთგვარი პერსპექტივა იქნება მოდალური სემანტიკისა და მისი, როგორც კატეგორიის, ჩამოყალიბებისა და კლასიფიკაციის საქმეში ქართული ენის განვითარების მომდევნო ეტაპებისათვის.

1 თავი

მოდალობის კატეგორიის ზოგადი მიმოხილვა

მოდალობის კატეგორია ერთ-ერთი ყველაზე ამოუწურავი კატეგორიაა ლინგვისტიკაში, რაც უპირველესად აიხსნება მისი განმარტებით, მოდალობა არის მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამის, ფაქტისა თუ მოქმედების მიმართ (Wymann, 1996; Lyons, 1977), ერთი მხრივ, მოცემული გამონათქვამი, ფაქტი თუ მოქმედება ობიექტურ რეალობაში შეიძლება მოცემული იყოს როგორც შესაძლებელი, დასაშვები, სასურველი ან ჭეშმარიტი, მეორე მხრივ, სხვადასხვა მოლაპარაკე ინდივიდის მხრიდან ესა თუ ის მოცემულობა შესაძლებელია აღქმული იყოს სუბიექტურად. შესაბამისად, *„მოდალობის სემანტიკური ველი იმდენად ფართოა, რომ ჯერ კიდევ არაერთი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი, ყოველი მორიგი კვლევისას ჩნდება ახალი დაკვირვებები და ჰიპოთეზები“* (Salkie, Busuttill, Van der Auwera, 2009, 7). მოდალობის კვლევასთან დაკავშირებულ სირთულეებს აღწერს პერკინსის ფრაზაც: *„ჩატარო კვლევა მოდალობის შესახებ, იგივეა, რომ ეცადო ხალხით გადაჭედილ ოთახში არავის დააბიჯო ფეხზე“* (Perkins, 1983, 4).

სხვადასხვა ენის მონაცემებზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ მოდალობის რამდენიმე ტიპს. სხვადასხვა ავტორთან მოდალობის სემანტიკურ ნაირგვარობათა გათვალისწინებით ვხვდებით მოდალობის სისტემის განსხვავებულ კლასიფიკაციებსაც. ჯესპერსენი განასხვავებს ენობრივი მოდალობის ორ ძირითად სახეს – სურვილის შემცველ მოდალობას (დეონტური – deontic) და მოდალობას, რომელიც გამორიცხავს სურვილის ელემენტებს (ეპისტემური – epistemic) (Jespersen, 1969), ლოგიკური მოდალობის ოთხ ტიპს აღწერს ვრაიტი: ალეთური (alethic), ეპისტემური (epistemic), დეონტური (deontic), ეგზისტენციალური (existential) (Wright, 1951), ამ სისტემას მოგვიანებით ავრცობს რაშერი, რომელიც ამატებს დროულ (temporal), სურვილის (boulomaic), შეფასებით (evaluative), მიზეზობრივსა (causal) და ალბათობის (likelihood) მოდალობებს (Rescher, 1968). სხვადასხვა მოდალურ სემანტიკასა და მათ ხარისხებს სიძლიერის მიხედვით მოდალობის სამ ძირითად ტიპში აერთიანებს ქოათი: 1. დეონტური (Deontic) – ვალდებულება-მოვალეობა (ძლიერი) (obligation (strong)), ვალდებულება-მოვალეობა (სუსტი) (obligation (weak)),

ნებართვა (permission), სურვილის მოდალობა (volition), ვარაუდის მოდალობა (prediction); 2. დინამიკური (Dynamic) – უნარი (ability) და შესაძლებლობა (possibility); 3. ეპისტემური (Epistemic) – შესაძლებლობა (possibility), დასკვნა (ძლიერი) (inference (strong)), დასკვნა (სუსტი) (inference (weak)), ჰიპოთეზა/ვარაუდი (hypothesis), კვაზი კავშირებითი (quasi-subjunctive) (Coates, 1983). მოდალობის ორ ძირეულ სახეს განარჩევს ბაიბი, ესენია: დეონტური (deontic) და ეპისტემური (epistemic), თუმცა ის უთითებს შესაძლებლობისა (dynamic) და სურვილის (volitive) მოდალობებზეც სხვადასხვა ენაში (Bybee, 1985). ჰაინეს თანახმად, გვაქვს მოდალობის ორი ბაზისური სახე: ერთი მხრივ, დეონტური (deontic), ძირეული (root), ობიექტური (objective), პრაგმატული (pragmatic), იგივე აგენტზე ორიენტირებული (agent-oriented), მეორე მხრივ, ეპისტემური (epistemic), სუბიექტური (subjective), იგივე ჰიპოთეტური (hypothetical) (Heine, 1992). პალმერთან გამოიყოფა მოდალობის სამი ძირითადი სახე: ეპისტემური (epistemic), დეონტური (deontic), დინამიკური (dynamic), რომლებსაც, თავის მხრივ, აქვთ სემანტიკური ქვეტიპები: ეპისტემური შესაძლებლობა (Epistemic possibility (may)), ეპისტემური აუცილებლობა (Epistemic necessity (must)), ეპისტემური მომავალი (Epistemic Will/Shall), დეონტური შესაძლებლობა (Deontic possibility (may, can)), დეონტური აუცილებლობა (Deontic necessity (must)), დეონტური მომავალი (Deontic Will/Shall), დინამიკური შესაძლებლობა (Dynamic possibility (can)), დინამიკური აუცილებლობა (Dynamic necessity (must, have to, have got to)), დინამიკური მომავალი (Dynamic Will/Shall) – დინამიკური შესაძლებლობის შემთხვევაში პალმერი ასხვავებს, ასევე, „ნეიტრალურ“ შესაძლებლობასა (Neutral) და „სუბიექტზე ორიენტირებულ“ შესაძლებლობას (Subject oriented) (Palmer, 1997, 1999, 2001). განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს ვაიმანი, ის ასახელებს მოდალობის პირველად (primary) და მეორეულ (secondary) სახეებს, პირველადში მოიაზრებს დეონტურ (deontic), ეპისტემურსა (epistemic) და ევიდენციულ (evidential) მოდალობებს, მეორეულში – დინამიკურს (dynamic), სურვილისა (volitive) და ინტროსპექტულ (introspective) მოდალობებს (Wymann, 1996).

ყველა ენას აქვს განსხვავებული პოტენციური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად, მოდალური სემანტიკის გამომხატველად სხვადასხვა ენაში

გამოიყენება გრამატიკული – ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური საშუალებები, ინტონაცია, ზოგიერთ შემთხვევაში მოდალობას განსაზღვრავენ მთლიანი დისკურსის მიხედვით (Perkins, 1983; Wymann, 1996; Traugott, 2011; Han, 2005).


ქართული ენის მოდალურ საშუალებათა სისტემის კვლევისას ჩვენთვის ამოსავალია დებულება, რომ ენობრივი მოდალობა ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. ამ კატეგორიის გამოყოფის კრიტერიუმია სხვადასხვა ენობრივ დონეთა ელემენტების სემანტიკურ ფუნქციათა ერთობა. ყოველი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია გამოიხატება ენის მორფოლოგიურ, სინტაქსურ-ლექსიკურ, ინტონაციურ და სხვადასხვა კონტექსტურ საშუალებათა კომბინაციებით (ოქროპირიძე, 1974, 396).

რ. ზექალაშვილი ახალი ქართული ენის მონაცემების მიხედვით ასკვნის, რომ: *„მოდალობა, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორია, ქართულში ქმნის ერთიან სისტემას, წარმოდგენილია ენის ყველა დონეზე და მოიცავს შემდეგ სემანტიკურ ნიუანსებს: მოქმედების შესაძლებლობას, სასურველობას, აუცილებლობას, ნებართვას, აკრძალვას: მოუბარი პირის დარწმუნებულობის (დაეჭვების) ხარისხს გამონათქვამის ჭეშმარიტებაში (ვარაუდს, ჰიპოთეზას, მოსაზრებას, დაშვებას, დარწმუნებას, უეჭველობას, დაურწმუნებლობას, დაეჭვებას, ყოყმანს...) და მიმართებას ობიექტურ სინამდვილესთან: როგორ აფასებს მოუბარი (ავტორი) ენობრივად გამოხატულ ფაქტს - რეალობად თუ არარეალობად“* (ზექალაშვილი, 2008, 176).

მოდალობა, როგორც მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი, ენობრივი სისტემის ყველა დონეზე ვლინდება. ის შეიძლება გამოიხატოს ინტონაციით, სიტყვათა რიგით წინადადებაში, რთული ჰიპოტაქსური კონსტრუქციით, მოდალური ზმნების ან სპეციალური ნაწილაკების დართვით, ზმნის კილოს ფორმით. სწორი გზა მოდალობის შესასწავლად არის ის, რომ დავიწყოთ იმ ენობრივი მახასიათებლების გამოკვეთა, რომელიც აშკარად შეიცავს მოდალობის სემანტიკას (შარაშენიძე, 2020, 241).

ჩვენი კვლევაც სწორედ ამგვარ მიდგომას იზიარებს და ძველი ქართული ენის ეტაპზე მოდალური სემანტიკის ანალიზისათვის ემყარება ემპირიულ მონაცემებს,

რომელთა პოვნისა და დისტრიბუციის საფუძველზეც, წარმოვადგენთ მოდალური სემანტიკის შემდეგ სქემას (სქემა N1):



(სქემა N1)

II თავი

2.1. დინამიკური მოდალობა ლინგვისტიკაში

„ტერმინი „დინამიკური“ მოდალობის ერთ-ერთი სახის აღსანიშნავად პირველად გამოიყენა ვ. რაიტმა (Wymann, 1996, 20). სიტყვა „დინამიკური“ წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან **“dynamis”**, რაც „ძალაუფლებას“, „ძალას“ ნიშნავს“ (ჭანტურია, 2002, 270). საენათმეცნიერო ლიტერატურაში დინამიკური მოდალობის (ისევე როგორც მოდალობის სხვა სახეების) არაერთი განმარტება არსებობს. ასე მაგალითად, პ. პერკინსი დინამიკურ მოდალობას განმარტავს, როგორც „კავშირს, რომელიც ბუნების კანონების შესაბამისად არსებობს გარემო პირობებსა და განსახორციელებელ მოვლენებს შორის“ (Perkins, 1983, 11). სხვაგან ვკითხულობთ: „დინამიკური მოდალობა გულისხმობს როგორც მენტალური, ისე ფიზიკური შესაძლებლობის, უნარის გამოხატვას“ (Bybee, Perkins, Pagliuca, 1994, 192). ა. თ. ვაიმანი დინამიკურ (შესაძლებლობის) მოდალობაში გამოყოფს ორ ქვეჯგუფს: 1) შესაძლებლობა, უნარი, რომელიც გულისხმობს გარემო პირობების ან კონტექსტუალურ ზეგავლენას ((An airplane **can** take off (into the air) – თვითმფრინავს შეუძლია აფრინდეს ჰაერში); 2) შინაგანი ცოდნა ან შეძენილი უნარი (Mr. White can speak Chinese – მისტერ ვაიტს შეუძლია ჩინურ ენაზე საუბარი) (Wymann, 1996, 20-21). საინტერესოა, რომ ვაიმანის მიერ გამოყოფილ პირველ ტიპს ფ. რ. პალმერი უწოდებს „ნეიტრალურს“ (Neutral), მეორე ტიპს კი – „სუბიექტზე ორიენტირებულს“ (Subject-oriented) (Palmer, 1990, 83). კონტექსტუალურ, გარემო პირობებით გამოწვეულ შესაძლებლობასა (Opportunity) და შინაგან შესაძლებლობას (ability) ერთმანეთისგან მიჯნავს პ. პორტნერიც: You can see the ocean from here (opportunity); John can swim (ability) (Portner, 2009, 135). როგორც ფ. დე ჰაანი შენიშნავს, ზოგიერთი ავტორის თანახმად, დინამიკური მოდალობა, უნარის, შესაძლებლობის გარდა, გამოხატავს აუცილებლობას, საჭიროებას, მიდრეკილებას, განწყობილებას, მზადყოფნას (“Dynamic necessity” – Palmer 1990, 113; “disposition” – Wymann 1996, 20...) (De Haan, 2004, 6)“ (ლამბაშიძე, 2017, 22-223). თუმცა მნიშვნელოვანია, დასაწყისშივე აღვნიშნოთ, რომ ტერმინები – „აუცილებლობა“ და „საჭიროება“ საზიაროა მოდალობის სამივე ძირითადი სახისათვის და სიტუაციურად სემანტიკის გათვალისწინებით სხვადასხვა

ავტორთან შეიძლება შეგვხვდეს როგორც „დინამიკური აუცილებლობა/საჭიროება“, ისე „დეონტური აუცილებლობა/ საჭიროება“ და „ეპისტემური აუცილებლობა/საჭიროება“. ამასთანავე, ვფიქრობთ, დინამიკურ მოდალობასთან მიმართებით არ არის საჭირო ერთი ნაშრომის ფარგლებში გამოიყენებოდეს ტერმინები – „ნეიტრალური დინამიკური მოდალობა“ და „დინამიკური აუცილებლობა“, რადგან „ნეიტრალური დინამიკური მოდალობა“ სემანტიკურად გარკვეულწილად ფარავს აუცილებლობის შინაარსსაც, ის, რისი შესრულებაც შესაძლებელი ან შეუძლებელია ობიექტური გარემო პირობების გათვალისწინებით, როგორც წესი, გულისხმობს აუცილებლობის/საჭიროების ფაქტორსაც და თუ ეს აუცილებლობა/საჭიროება მეტად კატეგორიულია, მაშინ საქმე გვაქვს დეონტურ მოდალურ სემანტიკასთან და არა – დინამიკურ მოდალობასთან. რაც შეეხება განწყობას, მიდრეკილებასა და მზადყოფნას, ეს სემანტიკური ნიუანსებიც, ჩვენი აზრით, პირდაპირაა დაკავშირებული გარემო პირობებით გამოწვეულ შესაძლებლობასა და შინაგან ან შეძენილ უნარებთან. ცალსახაა, რომ ადამიანის განწყობაზე სწორედ ობიექტური რეალობა მოქმედებს, ხოლო მიდრეკილებებსა და მზადყოფნას შინაგანი ან შეძენილი უნარები განაპირობებენ.

დინამიკური მოდალობის ორი ძირითადი სემანტიკური ნიუანსის, „ნეიტრალური შესაძლებლობისა“ და „სუბიექტზე ორიენტირებული შესაძლებლობის“, ანალიზისათვის წარმოვადგენთ მსჯელობას კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით. მოცემულ კონტექსტებში გამოხატულია დინამიკური მოდალობის ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაძლებლობა განპირობებულია გარემო ფაქტორებით, ობიექტური რეალობით და არ არის დამოკიდებული სუბიექტის ცოდნასა და ამა თუ იმ უნარზე. ასე მაგალითად, „ნეიტრალური“ შესაძლებლობის დასადასტურებლად **ძალ-უც ქმნაი** ფრაზას სემანტიკურად ვერ უნდა ჩაენაცვლოს „უნარი აქვს“ ფრაზა. მაგალითად, წინადადებაში *„აწ მიქორწინებია და ვერ ძალ-მიც მოსლვად“* (ფსევდომაკ., 314, 4), **ვერ ძალ-მიც მოსლვად** ნიშნავს „არ შემიძლია მოსვლა გარკვეული მიზეზის გამო“. აღნიშნული მნიშვნელობა ამ კონტექსტში არ არის იდენტური „სიარულის უნარი არ მაქვს“ მნიშვნელობისა, რაც ადასტურებს იმას, რომ **ძალ-უც** ზმნა მოყვანილ წინადადებაში „ნეიტრალურ“ შესაძლებლობას გამოხატავს.

სუბსტიტუციის მეთოდის გამოყენებით შეგვიძლია ასევე გავარკვიოთ ძალ-უც ზმნის მეორე მოდალური მნიშვნელობაც: „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობა. ამ სემანტიკის გამოსავლენად ძალ-უც ქმნაა ფრაზას უნდა ჩაენაცვლოს უნარი (ძალა, ცოდნა) აქვს ფრაზა, ასე მაგალითად, „უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალგიც განკურნებად ჩემდა“ (ლ. 5, 12, C DE FG HIK), ამ წინადადებაში იგულისხმება, რომ ქრისტეს აქვს შინაგანი უნარი, ძალა, რომლითაც შეუძლია სხვების განკურნება.

ამდენად, დინამიკური, შესაძლებლობის მოდალობა წარმოდგენილია ორი ძირითადი სემანტიკური ნიუანსით, ესენია, „ნეიტრალური“, გარემო პირობებით განპირობებული შესაძლებლობა და „სუბიექტზე ორიენტირებული“, შინაგანი ან შეძენილი უნარი/ცოდნა.

2.2. დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები

„დინამიკური, შესაძლებლობის სემანტიკა თავდაპირველად ძველ ქართულში აღწერილი იყო გამომხატული. შინაგანი ან შეძენილი უნარი, ცოდნა და სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობა, როგორც წესი, გამოიხატებოდა კელ-ეწიფების და ძალ-უძს>ძალ-უც რთული სინონიმური მნიშვნელობის მქონე ზმნებითა და მათგან მიღებული სახელზმნური აღწერითი კონსტრუქციებით. ერთი მხრივ, გვექონდა: კელ-ეწიფების, კელმწიფებაჲ აქუს, კელმწიფე არს, მეორე მხრივ, ძალ-უძს>ძალ-უც, შემძლებელ არს, შესაძლო არს (ჩემდა, შენდა, მისდა...), შეძლებაჲ აქუს, ძალი აქუს, ძალი შესწევს, ძალი მოეცა ტიპის ფორმები“ (დამბაშიძე, 2019, 113). სანამ უშუალოდ განვიხილავდეთ თითოეულ ფორმას, წარმოვადგენთ ზოგად მსჯელობას რთულ ზმნებთან დაკავშირებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ღაღად-ყო“ ტიპის ზმნებს უწოდებენ: რთულ ზმნებს (შანიძე, 1976, 125; იმნაიშვილი... 1996, 521; თევზაძე, 1959, 267), კომპოზიტ ზმნებს (ზაბუნაშვილი, 1951, 21-22; ოსიძე, 1960, 267) და აღწერით ზმნებს (Mapp, 1925; ენუქაშვილი, 1975, 37-41; ვაშაკიძე, 1992, 71). მარტივ ზმნებთან შეპირისპირებით

მოცემულ ნაშრომში ჩვენ ვიყენებთ ტერმინებს „რთული ზმნები“, ასევე, ამ ტიპის ფორმათა შედგენილობისა და თარგმანის ტექნიკის გათვალისწინებით მისაღებია „კომპოზიტი ზმნების“ გამოყენებაც (ცნობილია, რომ რთული ზმნა ერთზე მეტი ფუძისგან შედგება, რომელთაგან პირველი სახელია ფართო გაგებით (არსებითი, ზედსართავი, მასდარი, მიმღობა¹), მეორე კი – ზმნა).

მიუხედავად რთული შედგენილობისა, შინაარსობრივ რთულ ზმნებს ერთცნებიანობა ახასიათებთ (სემანტიკურად რთულ ზმნაში სახელური ნაწილია დატვირთული), ფორმობრივ კი მათთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ა) სახელური ნაწილი ყოველთვის პირველ ადგილზეა (*ზრახვა-ყო, პატივ-სცეს...*); ბ) ზმნური ნაწილის უღლებისას სახელური ნაწილი უცვლელი რჩება ანუ არ გვაქვს ბრუნვაში მართვა (ღაღად-ჰყოფს - ღაღად-ყო);² გ) სახელადი ნაწილი წარმოდგენილია უმეტესად წრფელობითი,³ ასევე მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებით; დ) ირიბი ბრუნვების ფორმით წარმოდგენილი სახელური ნაწილი ყოველთვის უსავრცობოა; ე) ზმნური ნაწილი უზმნისწინოდ არის წარმოდგენილი (*ნუგეშინის-სცა, ჯმა-ყო, გულისხმა-ყო...*); ვ) დაუშვებელია სახელური და ზმნური ნაწილების გათიშვა, გარდა ტმესისა (მაგ.: *კელ-მე-ეწიფების, ჯერ-თუ-არს...*) (ი. იმნაიშვილი... 1996, 523-524).

რთული ზმნისთვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული ფორმალური ნიშნების ან ნიშნის დარღვევის შემთხვევაში ვიღებთ ჩვეულებრივ მარტივ ზმნას, ხოლო რთული ზმნის სახელადი ნაწილი წინადადების დამოუკიდებელი წევრის როლში გვევლინება.

¹ ძველ ქართულში ერთადერთი შემთხვევაა სახელად ნაწილად რიცხვითი სახელის გამოყენებისა: *ერთ-ყოფამ* (თევზაძე, 1959, 406); „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს *ასად აგეს* (ვეფხ., 137 (138), 2).

² ჭ. თევზაძის აზრით, „სახელადი ნაწილის ისტორიულად არსებული ფუნქციის დაკარგვას მოჰყვა ფორმაცვალების უნარის დაკარგვა“ (თევზაძე, 1959, 398). თუმცა ზოგიერთი რთული ზმნის სახელად ნაწილს ფორმაცვალების უნარი შენარჩუნებული აქვს: პატივს-უყოფს და პატივ-უყო, სახელს-დებს და სახელ-სდვა, სიტყუას-ჰყოფს და სიტყუა-ყო, წამს-უყოფდა და წამ-უყვნა. ასეთ ზმნათა რიცხვი შედარებით მცირეა (თევზაძე, 1959, 398).

³ მიუხედავად ძველ ქართულში წრფელობითი და სახელობითი ბრუნვების მონაცვლეობისა, სახელადი ნაწილი არასდროსაა წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვის ფორმით. როგორც ჩანს, რთული ზმნები იმ ფორმაციისაა, როდესაც სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

2.2.1. ძალ-უც

ძალ-უც რთული ზმნის პირველი კომპონენტი სახელია (ძალ-ი – „ძალა, შეძლება, ძლიერება“ (აბულაძე 1973, 523)), მეორე კომპონენტი კი ზმნაა, რომელიც სუპლექტურად აწარმოებს მწკრივებს (პირველ სერიაში – ცემა, მეორეში – დება).⁴ აღნიშნული რთული ზმნის ზმნური კომპონენტის მნიშვნელობაა „ქონა, ქონება“, შესაბამისად, **ძალ-უც** გაიაზრება, როგორც „ძალა აქვს, ძალა შესწევს, შეუძლია“, რაც ცალსახად დინამიკურ, შესაძლებლობის მოდალურ სემანტიკაზე მიუთითებს.

ძალ-უც რთული ზმნით ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გამოიხატებოდა შესაძლებლობის ორივე სემანტიკა: „ნეიტრალური“ და „სუბიექტზე ორიენტირებული“ როგორც დადებით, ისე უარყოფით კონტექსტებში:

„ხოლო მივიცვალენით რაჲ ქუეყანით, არღარა თვთ ჩუენ ამათ ძალ-გვც ესე ქმნად აღსაარებისა მიერ, რამეთუ დაიჭმვის კარი“ (თარგმ. ლ. სახ., 71, 28).

„და შენცა, მორწმუნეო, ნუ სრულიად უნაყოფო იქმნები, არამედ უკუეთუ ვერ ძალგიც ქალწულებად, იქორწინე სიწმიდით“ (თარგმ. მ. სახ., 334, 29).

„ერთსა კიდობანსა შენსა, სავსესა სამოსლითა შენითა, ძალ-უც მრავლისა ერისა, სიცივითა შეჭირვებულისა შემოსად“ (ჰომ. ბას. კეს., 102, 26).

„ვერვის ძალ-უც ორთა უზფალთა მონებად“ (ეტ. II, 317, 15).

„ვერღარა ძალ-უც ქმარსა მისსა პირველსა, რომელმან განავლინა იგი, კუალად-ქცევით მიყვანებად თავისა თვისსა ცოლად შემდგომად შეგინებისა მისისა“ (მეორე რჯ., 24, 4, G).

„რომელმან არა უვარ-ყოს ყოველი დიდებად სოფლისად, ვერ ძალ-უც ჩემდა მოწაფე ყოფად“ (ფსევდომკ., 110, 4).

„ვერვის ძალ-უძს მღუდელმოქმედებად თავი თვისი შეწირულად ღმრთისადმი, უკეთუმცა არა უფალმან წინასწარ იცნამცა“ (მვ. ქართ. აგ. ტექსტ., 41, 24)“ (ღამბაშიძე, 2017, 224).

შემდეგ კონტექსტებში **ძალ-უც** რთული ზმნა „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის გამომხატველია:

⁴ დება - «ქუან/ქონება», ყოფნა, განდება, «დავრდომა», დადება, ცემა, გდება (აბულაძე, 1973, 138, 514). ჩვენს შემთხვევაში ეს ზმნა პირველი მნიშვნელობითაა ნახმარი.

„უფროდსლა ვილოცვიდეთ, რადთა არა შეგუემთხვოს ჩუენ, რაოდენი ძალ-გვც მოთმინებად“ (თარგმ. მ. სახ., 316, 5).

„ამან ეგრე თქუა: ძალ-მიც დარლუევად ტადარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად“ (თარგმ. მ. სახ., 398, 19).

„ხოლო ესე არლა იცოდეს, თუ მიინარესაცა ძალ-უც ამისა ქმნად“ (თარგმ. მ. სახ., 145, 30).

„ხოლო უკუეთუ ოდენ გვნდეს, ძალ-გვც ძლევად მისა და რად არა განვრისხნებით“ (განმ. ი. სახ., 42,1).

„ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისაცა თმისა განსპეტაკებად გინდა დაშავებად“ (მ. 5, 36, DE FG HIK S).

„დაღაცათუ ვერ ძალ-გვც ბადვად მოციქულთაჲ, არამედ მოწამეთა ვჰბადვიდეთ“ (თარგმ. მ. სახ., 175, 30).

„და კუალად რად-იგი გონებამან გულისჴმა-ყოს, ენასა გამოთქუმად ვერ ძალ-უც“ (თარგმ. მ. სახ., 67, 6).

„რამეთუ ყოვლადვე ვერ ძალ-უც ამას სახესა მიმსგავსებად ყუავილთა, რადთამცა ქსოილსა მას ჴელითა კაცთაჲთა აქუნდა სურნელება ვარდისაჲ ანუ იისა“ (თარგმ. მ. სახ., 55, 8).

ყველა მოყვანილ მგალითში ძალ-უც ზმნა გამოხატავს შინაგან შესაძლებლობასა და უნარს“ (ლამბაშიძე, 2017, 225).

2.2.2. ჴელ-ეწიფების.

ერთი მხრივ, სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობის („ნეიტრალური“ დინამიკური მოდალობა) და, მეორე მხრივ, შინაგანი ან შექმნილი უნარის, ცოდნის („სუბიექტზე ორიენტირებული“ დინამიკური მოდალობა) გამოსახატავად ქართული ენის განვითარების საწყისი ეტაპიდან გამოიყენებოდა ჴელ-ეწიფების რთული მოდალური ფორმა.

ძველ ქართულში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხატვის თვალსაზრისით **კელ-ეწიფების** ზმნის სემანტიკური შესატყვისია **ძალ-უც** რთული ზმნა:⁵

„და ვიხილე ყოვლითურთ ქმნული ღმრთისად, და ვერ კელ-ეწიფების კაცსა პოვნად ქმნული იგი, რომელნი ქმნულ არიან მზესა ამას ქუეშე“ (ეკლ. 8, 17, O).

შდრ.: *„და ვიხილე ყოველთა ქმნილთა ღმრთისათა, რამეთუ ვერ ძალ-უც კაცსა პოვნად ქმნილი, შექმნული მზესა ქუჭშე“* (იქვე, G B).

„დასახელებული რთული ზმნების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქცია. კელ-ეწიფების და ძალ-უც რთული ზმნების დადასტურების შემთხვევაში სახარების რედაქციები უმეტესად სხვაობას არ ავლენენ:

„ვითარ-მე უკუე კელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად“ (ი. 5, 44, DE FG HIK).

„ვერ კელ-ეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა“ (ლ. 14, 26, C DE FG HIK).

„ძალ-გიც განწმედად ჩემდა“ (მარკ. 1, 40, C DE FG HIK).

„ძალ-გიცა სასუმელი შესუმად?“ (მარკ. 10, 38, X DE FG HIK).⁶

„ძალ-გიც განკურნებად ჩემდა“ (ლ. 5, 12, C DE FG HIK)...

მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება **კელ-ეწიფების** და **ძალ-უც** რთული ზმნების მონაცვლეობა:

„ვიდრე იგი მე მივალ, შენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად აწ, ხოლო მერმე მომდევდე მე“ (ი. 13, 36, FG).

შდრ.: *„ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ ძალ-გიც მოსლვად აწ, ხოლო მერმე მომდევდე მე“* (იქვე, DE FG HIK)⁷ (ლამბაშიძე, 2019, 114).

მართალია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მაგრამ სახარების რედაქციათა ჩვენებაც **კელ-ეწიფების** და **ძალ-უც** ფორმათა სინონიმურ შინაარსზე მეტყველებს.

⁵ დაწვრილებით იხ. მ. ლამბაშიძე, დინამიკური მოდალობის გამომხატველი „ძალ-უც“ ზმნა ძველ ქართულ სამწერლობო ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, 2017, 222-235.

⁶ გიძლავს (C).

⁷ > (X C).

ჯელ-ეწიფების ფორმა, გარდა შინაარსისა, საინტერესოა აგებულების თვალსაზრისითაც. **წიფება** ზმნა რთულ ზმნაში მონაწილეობს როგორც ობიექტური („ამის კაცისა პატიჟი მე არარად **ჯელ-მეწიფების**“ (აგ. ძეგ. I, 32, 7)), ისე – სუბიექტური წყობის ფორმებით („არამედ ვეცხლისა მისთჳს, რომელ სთჳუ გაბაელის თანა, ვითარ **ჯელ-ვიწიფო** მოღებად?“ (S, 5, 2)) (იმნაიშვილი... 1996, 543).

სუბიექტური წყობის ფორმები როგორც ძველ, ისე საშუალო ქართულში იშვიათად გვხვდება. შინაარსობრივად **ჯელ-ვიწიფე** ტიპის ფორმები გამოხატავენ მხოლოდ დინამიკური მოდალობის „ნეიტრალურ“, გარემო პირობებზე დამოკიდებულ სახეობას:

„ხოლო ჰეროდია ჰემტერა მას და უნდა მოკლვად მისი და ვერ **ჯელს-იწიფებდა**, რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა, რამეთუ გულითად უწყოდა კაცი იგი მართლად“ (მარკ. 6, 19-20, C).

„ხოლო იესუ ჰრქუა: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან ყოს ძალი სახელითა ჩემითა და **ჯელ-იწიფოს** ძჳრის-სიტყუად“ (მარკ. 9, 39, C DE FG).

ობიექტური წყობის **ჯელ-წიფება** ზმნა ძველსა და საშუალო ქართულში აქტიურად გამოიყენებოდა „ნეიტრალური“ და „სუბიექტზე ორიენტირებული“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად:

გამოხატულია „ნეიტრალური“ დინამიკური მოდალური სემანტიკა:

„და მერმე სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ **ჯელ-მეწიფების** მოსლვად“ (ლ. 14, 20, C DE FG HIK).

„უკუეთუ ვინმე არა იბუეს მეორედ, ვერ **ჯელ-ეწიფების** ხილვად სასუფელი ღმრთისა“ (აგ. ძეგ. I, 178, 23).

„და იხილოთ დიდებად ღმრთისა, ვითარცა სარკითა რად იხილის კაცმან მზე, დაღაცათუ თუალთა შედგმად ვერ **ჯელ-ეწიფებინ**“ (თარგმ. მ. სახ., 252, 29).

„რომელნიცა მღდელობისა მოწესეობისა ზიარ არიან, ვამცნებთ მათ, ეგრეთვე მორწმუნეთა ერისკაცთა, რადთა არავის **ჯელ-ეწიფებოდის** მიღებად ჰურიათაგან მათისა მის უფუარისა“ (მც. სჯ., 30, 2).

„ამას ზედა სხუადცა მიგითხრა უწყებად მის საქმისაჲ: რჩული იყო ებრაელთა შორის, რადთა არავის ჯელ-ეწიფებოდის სხვსა ტომისაგან სხუად ტომად განთხოებად, ანუ ქორწინებად“ (თარგ. მ. სახ., 39, 28).

„და ევპოლოს მთავარდიაკონმან და ხარიტონ მიუგეს: ჩუენ სხვსა უმეტესისა არარაჲსა ჯელ-გუეწიფების მოკსენებად, რად-იგი პირველადვე მოგაკსენეთ, ვითარმედ, რომელიცა ღმერთმან გამოგიცხადოს, იგიცა იყავნ ეპისკოპოს ჩუენდა“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 707, 23).

„და რადთა არავის ჯელ-ეწიფებოდის სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მკეცისა მის, ანუ რიცხვ სახელისა მისისაჲ“ (იოვ. გამ., 13, 17).

„და რადცა მუნ შეწირულ იყოს, ანუ აგარაკები, ანუ კუმაში, იყოს მარადის დამარხულ მონასტრისა მის და არავის ჯელ-ეწიფებოდის კუალად საერისკაცოდ შეცვალებად მონასტრისა, ანუ მუნ შეწირულისა რაჲსამე“ (მც. სჯ., 54, 17).

გამოხატულია „სუბიექტზე ორიენტირებული“ დინამიკური მოდალური სემანტიკა:

„**ნუ ჯელ-ეწიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძღუანვად?**“ (ლ. 6, 39, C DE FG HIK).

„**ვითარ ჯელ-ეწიფების შობად კაცსა ბერსა?**“ (ი. 3, 4, DE FG HIK).

„და მერმე ჰრქუეს ქრისტესა: **სოლომონმან ორმეოცსა წელსა აღაშენა ტაძარი ესე და შენ სთქუ: დავარღვო და სამსა დღესა აღვაშენო ეგე-ო! მაშინ ქრისტემან ჰრქუა: მე ჯელ-მეწიფების დარღუევად და მესამესა დღესა აღშენებად**“ (აგ. ძეგ. I, 41, 5).

წარმოდგენილი ემპირიული მასალა ცხადყოფს, რომ ძველ ქართულ ენაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხატვაში რთულ ზმნებს წამყვანი როლი ეჭირათ.

2.3. დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი სხვადასხვა ტიპის აღწერითი წარმოება

ისტორიულად რთული ზმნები პირდაპირ მარტივ წარმოებაზე არ გადასულან, ჯერ მათი ფორმალური ნიშნების რღვევა დაიწყო და დაიშალა სახელურ და ზმნურ კომპონენტებად, რთული ზმნის მნიშვნელობის გადმოცემას რიგ შემთხვევებში ამავე ზმნებისგან ნაწარმოები სახელზმნური ფორმები, კერძოდ, მიმღეობები, ითავსებენ განსხვავებულ მეშველ ზმნებთან ერთად და შედგენილი შემასმენლის სახით გვევლინებიან. აღწერითი კონსტრუქციის ერთი შემადგენელი ნაწილი (პირველი ან მეორე, წყობა განსაზღვრული არ არის) სახელია ფართო გაგებით. როგორც ი. ქავთარაძე აღნიშნავს, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი მეტყველების ნაწილია სახელი – ყველა ერთნაირადაა გამოყენებული, რთული სახელებიც კი (ორ+გული, წინაწარ+მეტყუელი...) ჩვეულებრივი მარტივი ფუძეების დარად არის გამოყენებული (ქავთარაძე, 1964, 165).

რედაქციულ სხვაობებზე დაკვირვება კარგად გვიჩვენებს რთული ზმნის რღვევის პროცესს ქართულ სამწერლობო ენაში, ასე მაგალითად, ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქციაში დასტურდება რთულ ზმნათა და სხვადასხვა ტიპის წარმოებათა თანაარსებობა:

„ვის *კელ-ეწიფების* მიტევებად ცოდვათა?“ (მარკ. 2, 7 DE FG HIK).

„ვინ *შემძლებელ არს* მიტევებად ცოდვათა?“ (იქვე, C).

“πὶ οὗτος οὐ τὰς λαλεῖ; βλασφημεῖ· τίς *δύναται* ἀφιέναι ἁμαρτίας εἰ μὴ εἶς ὁ θεός“ (Mk. 2, 7 BGT).⁸

„უკუეთუ გინდეს, *ძალ-გიც* კეთილის-ყოფად მათა“ (მარკ. 14, 7 DE FG HIK).

„რაჟამს გენებოს, *კელმწიფე ხართ* მათა კეთილისყოფად“ (იქვე, C).

“πάντοτε γὰρ τοὺς πτωχοὺς ἔχετε μεθ’ ἑαυτῶν καὶ ὅταν θέλητε *δύνασθε* αὐτοῖς εἰ ποῖσαι, ἐμὲ δὲ οὐ πάντοτε ἔχετε” (Mk. 14, 7 BGT).

⁸ შესაძლებლობის გამომხატველი სხვადასხვა ფორმის შესატყვისი ბერძნულ წყაროებში არის *δύναμαι* მარტივი ზმნა, ამ შემთხვევაში ქართულ ენაში არსებული ფორმების გამოყენება ბერძნული წყაროთი არაა განპირობებული. ქართული მოდალური საშუალებების გენეზისის საკითხს ნაშრომში სპეციალური თავი ეთმობა (იხ. თავი VI).

„ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად?“ (მ. 9, 28 DE FG HIK).

„ვითარმედ შემბლუბელ ვარ ყოფად ესე?“ (იქვე, C).

Ἐλθόντι δὲ εἰς πλὴν οἰκίαν προσήλθον αὐτῷ οἱ τυφλοί, καὶ λέγει αὐτοῖς ὁ Ἰησοῦς· πιστεῦτε ὅτι **δύναμαι** τοῦτο ποιῆσαι; λέγουσιν αὐτῷ· ναὶ κύριε” (Matt. 9, 28 BGT).

მოცემულ მაგალითებში ბერძნულს არცერთ ქართულ რედაქციაზე არ აქვს გავლენა, ბერძნულში მარტივი ზმნაა, რომლის გადმოცემაც ქართულმა იმ ეტაპზე ვერ შეძლო მარტივად, შესაბამისად, რედაქციათა ნაწილში რთული ზმნაა გამოყენებული, ადიშურ ოთხთავში კი მიმღეობიანი აღწერითი წარმოება.

მეორე მხრივ, დასტურდება კონტექსტები, რომლებშიც ქართულ რედაქციებში გამოყენებულ აღწერით კონსტრუქციას ბერძნული დედანი განაპირობებს:

„ხოლო იესუ ჰრქუა: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან **ყოს ძალი** სახელითა ჩემითა და **ჯელ-იწიფოს ძვრის-სიტყუად**“ (მარკ. 9, 39, C FG). შდრ.: **ქმნას ძალი** (იქვე, DE).

ὁ δὲ Ἰησοῦς εἶπεν· μὴ κωλύετε αὐτόν. οὐδεὶς γάρ ἐστιν ὃς **ποιήσει δύναμιν ἐπὶ πῶ νόματί μου καὶ **δυσήσεται**** ταχὺ κακολογήσάι με” (Mk. 9, 39 BGT).

მისცა⁹ მათ ძალი და ჯელმწიფება (ლ. 9, 1 X C DE FG HIK).

“Συγκαλεσάμενος δὲ τοὺς δώδεκα **ἔδωκεν αὐτοῖς **δύναμιν** καὶ **ἐξουσίαν**** ἐπὶ πάντα τὰ δαιμόνια καὶ νόσους θεραπεύειν” (Lk. 9, 1 BGT).

„**ჯელ-მეწიფების განტევება** შენი“ (ი. 19, 10, C).

„**ჯელმწიფება** მაქუს განტევებად შენდა“ (იქვე, DE FG HIK).

“λέγει τῶν αὐτῶ ὁ Πιλᾶτος· ἐμοὶ οὐ λαλεῖς; οὐκ οἶδας ὅτι **ἐξουσίαν** ἔχω ἀπολῆσαι σε καὶ **ἐξουσίαν** ἔχω σταυρῶσαι σε” (Jn. 19, 10 BGT).

დამოწმებულ კონტექსტებში აღწერით კონსტრუქციებში ზმნა-შემასმენლისა და სახელის რიგი იდენტურია ბერძნულსა და ქართულში, სადაც ბერძნულში ზმნა-შემასმენელი წინმსწრებია, ქართულიც იმავე რიგს იმეორებს, თუ რომელიმე რედაქცია

⁹ მიჯცა X; მიჰსცა D.

რთული ზმნის გამოყენებას არ ანიჭებს უპირატესობას და, პირიქით, სადაც ბერძნულში გვაქვს სახელი + ზმნა-შემასმენელი რიგი, ქართულშიც ზმნა-შემასმენელი პოსტპოზიციურად მოსდევს სახელს.

ნ. მუზაშვილის მოსაზრებით, „თვით ძველ ქართულში არსებული რთული ზმნის წარმოებას წინ უძღვის წინადადების გარკვეული კონსტრუქცია, რომელშიც განსაზღვრული არაა სახელისა და ზმნის ადგილი, მაგრამ ნასახელარი ზმნის აღწერითი წარმოება სახეზეა“ (მუზაშვილი, 1993, 320). ავტორის აზრით, „აღწერითი წარმოების შემდგომი ეტაპი ნასახელარ ზმნებში არის წყობის შეცვლა. სიტყვათა რიგის სახელური ნაწილი პირველ ადგილას დგება“¹⁰ (მუზაშვილი, 1993, 34). მოცემულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით რამდენიმე მიზეზის გამო:

1. ძველი ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურის მიხედვით, ორივე ტიპის წარმოება პარალელურად დასტურდება:

„ჯუარს-აცუეს და განიყვეს სამოსელი მისი და წილ-იგდეს მას ზედა“ (მრკ.15,24,C).

შდრ.: *„და ჯუარს-აცუეს და განიგდებდეს მას ზედა წილსა“* (იქვე, DE FG HIK).

„და გამოვიდა, იხილა ერი მრავალი და წყალობა-ყო მათ ზედა“ (მრკ. 6, 34 C).

შდრ.: *„არამედ ევედრე შენ წმიდათა მოწამეთა, რადთა ყონ ჩემთვს წყალობაჲ“* (აგ. ძეგ. I, 190, 9).

ზოგიერთ შემთხვევაში რთული ზმნის რომელიმე ფორმალური ნიშნის რღვევის შედეგად ვიღებთ განუსაზღვრელი წყობის აღწერით კონსტრუქციას, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ უწინარესია რთული ზმნა (კონსტრუქციით: სახელი+მეშველი ზმნა) და არა აღნიშნული აღწერითი წარმოება. ე. ოსიძე ეხება რა **ღაღად-ყო** ტიპის რთულ ზმნებს ძველ ქართულში, აღნიშნავს, რომ „ღაღად-ყო“ ტიპის ზმნები ცხადყოფენ, რომ პირდაპირი ობიექტის ადგილი ზმნასთან განსაზღვრული იყო. იგი უშუალოდ წინ უძღოდა ზმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ტიპის ზმნათა კომპოზიტად ქცევის პროცესის ახსნა გაჭირდებოდა: **პირდაპირი ობიექტი ზმნას შერწყა იმის გამო, რომ იგი ყოველთვის წინ უძღოდა გარდამავალ ზმნას...** „ღაღად-

¹⁰ ავტორი გულისხმობს *იქმნენ ბრძენ, იქმნა ჭაბუკ, იქმენ მხიარულ, ყვნა იგინი ნათელ...* ტიპის კონსტრუქციების შეცვლას ფორმებით: *ბერწყო, ჯმა ყვიან, პატიოსან ჰყო...* (მუზაშვილი, 1993, 33-34).

ყო“ ტიპის ზმნათა კომპოზიტად ქცევის ფაქტი ძველ ქართულში მათ არქაულობაზე მიუთითებს“ (ოსიძე, 1960, 270).

2. საშუალო ქართულის ძეგლებშიც კი აღწერით კონსტრუქციაში დასტურდება ზმნური ნაწილის პრეპოზიცია, ამიტომ ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ აღწერით წარმოებაში უგამონაკლისოდ თავდაპირველი იყო **ზმნა + სახელი** რიგი და შემდეგ გაბატონდა **სახელი + ზმნა** რიგი:

„ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად“ (ვეფხ., 42(41), 3).

„რამან შემქმნა მოყვითანედ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო?“ (ვეფხ., 602 (599), 1).

3. დასტურდება მაგალითები, როდესაც აღწერითი კონსტრუქციის სახელად ნაწილად გამოყენებულია რთული ზმნისაგან ნაწარმოები მასდარი ან მიმღეობა, რაც აგრეთვე მეტყველებს რთული ზმნის პირვანდელობაზე:

„და გამოსლვასა ბერთა ამბორის-ყოფად მისცა, და ეგრეთ წარემართა ხანცთად კერძო“ (აგ. ძეგ. I, 310, 17-18).

„შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა და მე თავს-მღებ გექმნე ქრისტეს მიმართ“ (აგ. ძეგ. I, 296, 40-41).

4. ცნობილია, რომ რთული ზმნის შემთხვევაში არ გვაქვს სახელადი ნაწილის სახელობით ან მოთხრობით ბრუნვებში მართვა ან სავრცობით წარმოდგენა, რადგან სახელის ბრუნების სისტემაში ეს ბრუნვებიც და სახელის განსაზღვრულობაც -ა სავრცობით მეორეული, შედარებით გვიანდელი ფაქტია. რთული ზმნის ერთგვარად გაქვევებული ფორმები სწორედ არქაული ვითარების ამსახველნი არიან (ანალოგიური ვითარება გვაქვს რთულ სახელებში, კომპოზიტებში, რომლებშიც ირიბი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი ასევე არქაულ ვითარებას ასახავს და უსავრცობოდაა წარმოდგენილი: **ურმისთუალი, კელითწერილი...** შდრ.: **ურმისა თუალი** უკვე მსაზღვრელ-საზღვრულია). ამიტომ ცხადია, **ჟმა-ყო** ტიპის წარმოება უნდა უსწრებდეს **ჟმაჲ ყო** ან **ყო ჟმაჲ** ტიპის წარმოებას, ასევე **თავს-იდვა** ტიპის ფორმები პირველადი უნდა იყოს **თავსა იდვა** ან **იდვა თავსა** ტიპის კონსტრუქციებისთვის:

„რამეთუ მართალსა იტყვ და ასწავებ და არავის თუალოთ-აღებ“ (ლ. 20, 21 C E FG HIK).¹¹

¹¹ თუალ-აღებ F HIK.

შდრ.: „რამეთუ მართალსა იტყუ და ასწავებ და არავის **თუალთა-ალებ**“ (იქვე, D).

„ვინადთგან უკუე მრავალთა **ჯელ-ყვეს** აღწერად“ (ლ. 1, 1 C HIK).

შდრ.: „რამეთუ მრავალთა **ჯელი შეყვეს** აღწერად“ (იქვე, DE FG).

„მაშინ **ზარ-ჰჳდა** ჯელმწიფესა მას, რამეთუ იყო იგი მდაბალ და ღმრთის მოშიშ“
(აგ. ძეგ. I, 289, 15).

შდრ.: „და რომელთა ესმა, განკურვებად დაეცა, [**ზარი**] განჳდა, და აღიდებდა
ღმერთსა“ (აგ. ძეგ. I, 333, 5).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ რთული ზმნის განვითარების წინა საფეხურს წარმოადგენდა სახელისა და ზმნის განუსაზღვრელი რიგის კონსტრუქცია. კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს პროცესი პირიქით უნდა წარმართულიყო, ხშირ შემთხვევაში რთულ ზმნათა ფორმალური ნიშნის ან ნიშნების რღვევის შედეგად ვიღებთ სწორედ **ყო წყალობად** ტიპის აღწერით წარმოებას.

დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ძველ ქართულშივე დასტურდება **ძალ** სახელური ძირისაგან წარმომდგარი სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობიანი აღწერითი კონსტრუქციები:

„არარადთა **შემძლებელ არს** კაცი ესრეთ მიმსგავსებად ღმრთისა, ვითარ ოდეს-
იგი შემნდობელ იყოს შეცოდებულთა მიმართ და ძვრუკსენებელ მტერთა
მიმართ“ (თარგმ. მ. სახ., 26, 34).

„**არცა-ლა** ყოვლად შემდგომად ამისა **შემძლებელ არს** მტერი აწ ცხორებისა
ჩუენისა ხილვად, ბუნებასა კაცთასა შეპყრობად სას[ი]კუდინედ და მწარედ
მონებად მიმძლავრებით“ (შატბ. კრ., 386, 24).

„რომელნი-იგი არასადა **შემძლებელ არიან** აჯოცად ცოდვათა“ (ჰავ. AB, 10, 11).

„რამეთუ რაჟამს განძნებულ იქმნის სენი იგი ცოდვისად უზეშთაეს წამლითა
კურნებისადთა, მაშინ **არღარად შესაძლებელ არს** თვინიერ ასოდსა მის დამპლისა
მოკუეთისა, რადთა არა განეზაოს სენი იგი წრდიალი გუამსა ყოველსა და
დაიკსნეს სრულიად“ (მამ. სწ., 152, 4).

კვლევამ გვიჩვენა, რომ **ჯელ-ეწიფების** და **ძალ-უც** რთულ ზმნებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით თავისუფალი ვარირებაა, რადგან გვაქვს შემთხვევები,

როდესაც **კელ-ეწიფების** რთულ ზმნას რედაქციულად ანაცვლებს **ძალ** ფუძისაგან ნაწარმოები შედგენილი შემასმენელი, **შემძლებელ არს**. მეორე მხრივ, **ძალ-უც** ზმნას რთული ზმნის რღვევის პროცესში ენაცვლება **კელ-ეწიფების** რთული ზმნისგან ნაწარმოები სასუბიექტო მიმღებობითა (**კელმწიფე**) და **არს** მეშველი ზმნით მიღებული შედგენილი შემასმენელი. ამ ზმნათა იდენტურ ფუნქციაზე მიუთითებს ისიც, რომ ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც „ნეიტრალური“ (გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა), ისე „სუბიექტზე ორიენტირებული“ (შინაგანი ან შექმნილი უნარი ან ცოდნა) (Palmer, 1990; Wymann, 1996) მოდალური სემანტიკის გამოხატვისას. მაგალითად, წინადადებაში: „ვის **კელ-ეწიფების** მიტევებად ცოდვათა?“ (მარკ. 2, 7 DE FG HIK), საუბარია შინაგან უნარზე, რომელიც ოთხთავის ჯრუჟპარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ რედაქციებში გადმოცემულია **კელ-ეწიფების** რთული ზმნით, ხოლო ადიშის ოთხთავში **ძალ** ფუძისაგან ნაწარმოები აღწერილი წარმოებით: „ვინ **შემძლებელ არს** მიტევებად ცოდვათა?“ (იქვე, C). მეორე მხრივ, ოთხთავის ჯრუჟპარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ რედაქციებში გვაქვს **ძალ-გიც** რთული ზმნით გამოხატული შემდეგი კონტექსტი: „**უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც კეთილის-ყოფად მათა**“ (მარკ. 14, 7 DE FG HIK), რომელშიც იგულისხმება გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა, ადიშის ოთხთავში კი ამ სემანტიკას გამოხატავს **კელმწიფე ხართ** აღწერილი კონსტრუქცია: „**რაჟამს გენებოს, კელმწიფე ხართ მათა კეთილისყოფად**“ (იქვე, C).

დინამიკური სემანტიკის გამოსახატავად ძველ ქართულში XI საუკუნიდან იშვიათად დასტურდება **შესაძლო არს / არს შესაძლო** ტიპის აღწერილი წარმოება, რომელიც ზოგჯერ დეონტური, ზოგჯერ კი ეპისტემური სემანტიკის გამოხატვასაც ითავსებს, რაზეც შესაბამის მსჯელობას ქვემოთ წარმოვადგენთ. შემდეგ კონტექსტებში აღნიშნული აღწერილი კონსტრუქცია დინამიკური სემანტიკის გამომხატველია:

„და ბუნებასა და ქცევასა თანა შეკრული, ანუ საუკუნესა-შორისი შეკრული წესსა თანა არსთასა. ხოლო მყოფი, ვითარცა მყოფი, არა იქმნეს გუარითა, რამეთუ ქცევითი ქმნად **შესაძლო არს**, რადთა ზედ მიექმნას მყოფსა ამას, არამედ ბუნებითსა და ჟამის-ქუეშესა და არა საუკუნოსა შორის დამსჭუალულსა“ (პრ. დიად., 26, 13).

„არამედ საუკუნესა შორის პირველობად და შემდგომობად ძალთა და მოქმედებათა ზედა განიცდების. მოვედ და, რაოდენ იყოს შესაძლო, იგავთა ზედა განცხადნენ“ (პრ. დიად., 112, 27).

„რაოდენ იყო შესაძლო, იმეცადინა ცნობად მყოფთა სასურვოდ იგი და სატრფოდ, და ბეჭდულნი და დაფარულნი პლატონის მიდმოსიტყვსანი განაცხადნა და მათ შორისი სიბრძნე საუკუნითგან არსთა და თანწარმდგომილი სარწმუნოებად აღასაჯუმილა“ (პრ. დიად., 5, 6).

საშუალ ქართულში აღნიშნულ კონსტრუქციაში მონაწილეობს ჩემდა, შენდა, მისდა... ტიპის ფორმები, რომლებშიც -და -თვის თანდებულის ეკვივალენტია. თვითონ ჩემდა, შენდა, მისდა... ფორმები კი უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებენ, რადგან ამ ტიპის ფრაზებში (შესაძლო არს ჩემდა) შედგენილი შემასმენლის („შესაძლო არს“) ზმნური ნაწილი ერთვალენტია და ვისაც შეუძლია გარკვეული ქმედების შესრულება, ის პირმომართი აქტანტი კი არაა, არამედ უბრალო დამატების სახითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, ამგვარ კონტექსტებში იგულისხმებოდა „ჩემთვის შესაძლებელია“, „შენთვის შესაძლებელია“, „მისთვის შესაძლებელია“ რაიმე მოქმედების შესრულება, სუბსტიტუციის (ჩანაცვლების) მეთოდის გამოყენებით კი იგივე კონტექსტები შეიძლება ასე წავიკითხოთ: „შემიძლია“, „შეგიძლია“, „შეუძლია“ რაიმე მოქმედების შესრულება:

„მცუელნი ქალაქისანი ციხედ ნისანისა ივლტოდეს და რაოდენ შესაძლო იყო მათდა, განამაგრეს ნისანი“ (აგ. ძეგ., VI, 259, 2).

„არამცირედნი იყუნეს უღმრთონ იგი სპარსნი, მკვდრნი ტფილისს შინა, რომელთაცა თანამოქალაქეთა თვსთა ზედა აღიმკედრნეს და კართა ქალაქისათა განმხმელთა და მტერთა შემომყუნებთა შორის მტერთა თანა ტყუნვად, სრუად იწყეს უწყალოდ მოქალაქეთა, რომლისათვს მკედარნი მცუელნი ქალაქისანი ციხედ ნისანისა ივლტოდეს და რაოდენ შესაძლო იყო მათდა, განამაგრეს ნისანი“ (აგ. ძეგ., VI, 259, 2).

„დავფალ მას შინა ტალანტი იგი და არგანმრავლებამან მისმან ვერ შემიკრიბა მე საუნჯესა მევისიერებისასა ძუელი და ახალი, ვინა ვერ შესაძლო ჩემდა გამოლებად საუნჯისაგან დროსა შინა ძუელი და ახალი“ (აგ. ძეგ., VI, 282, 23).

საბოლოოდ, შესაძლებლობის სემანტიკის გამოსახატავად სხვადასხვა ტიპის აღწერითი კონსტრუქცია აქტიურად გამოიყენებოდა ძველ ქართულ ტექსტებში, რისი მაგალითებიც დასტურდება ენის განვითარების შემდეგ ეტაპებზეც.

2.4. დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი მარტივი „შეუძლია“ ზმნა

ზოგადად, ძველ ქართულში აღწერითი და ორგანული წარმოების ფორმები ერთნაირად დასტურდება როგორც თარგმნით, ისე – ორიგინალურ ტექსტებში (ქავთარაძე, 1964, 165), თუმცა უკვე ძველ ქართულში შეინიშნება რთული ფორმების მარტივით ჩანაცვლების ტენდენცია. აღწერითი წარმოება X-XI საუკუნეებიდან იწყებს ორგანულ წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე, 1964, 162), რასაც ცხადყოფს ქართული ოთხთავის რედაქციათა ჩვენებები:

„ხოლო მათ ჰრქუეს: „ძალ-გვც“ (მ. 20, 22 X DE FG HIK), გჷძლავს (C).

„ძალ-გიცა სასუმელი შესუმად?“ (მარკ. 10, 38 DE FG HIK), გიძლავს (C¹²).

„დაღათუ ვერ ძალ-უც აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი“ (ლ. 11, 8 C), არა ეძლოს (DE FG HIK).

„ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუნდა, არამედ აწ არღა ძალ-გიც ტვრთვად“ (ი. 16, 12 X DE FG HIK) ვერ შეუძლოთ (C).

X-XI საუკუნიდან გვხვდება ძალ ფუძისაგან ნაწარმოები -იან დაბოლოებიანი მარტივი ფორმებიც:

„ვითარცა-იგი ნაშენები, რომლისაჲ საფუძველი მისი კლდესა ზედა დადებულ არნ და ქვითა თლილითა და არაკითა განგებით აღშენებულ არნ, დაღაცათუ ეკუთნიან ღუარნი ძლიერნი, გინა ქარნი სასტიკნი, ვერ შეუძლიან დამჯობად მის ნაშენებისა“ (მამ. სწ., 160, 5).

¹² ადიშის ოთხთავში (IX ს.) უკვე დასტურდება ძალ-უც ზმნის შესატყვისი მარტივი უძლავს ტიპის ფორმები.

„და არცა ნათესავთა და მეგობართა მისთა **შეუძლიან** ჯსნად მისი სკუდილისაგან, არამედ იქმნის იგი მატლთა შესაჭმელ“ (კლარჯ. მრ., 276, 21).

„ვინც ჭეშმარიტად მოიპოვა მოწყალება ღვთისაგან, მას შეუნიშვნელად **შეუძლიან** კეთილ-მყოფობა უძღურთა“ (იო. სინ., 413, 25).

„თქვენსა წინა მრუდის თქმა არვის **შეუძლიან**“ (ქაიხ., 73, 24).

„მე მონა ვარ შენი, **შეგიძლიან** ყოვლისა პატიჟისა მოპყრობა“ (ვისრ., 244, 29).

X საუკუნიდან სტატიკური ზმნები აწმყოში -იან დაბოლოების პარალელურად - ია დაბოლოებითაც დასტურდება:¹³

„სათნობათა მათთა არა მოაკლდებოდა, რომელთად ვერღარა ვის მოჯსენებად მათი **შეუძლია**“ (პარხლ. მრ., 106, 35).

„ყოველთა მორწმუნეთა **შეუძლია** აღსრულებად მცნებათა ღმრთისათა, უკუეთუ ოდენ ენებოს“ (ფსევდომაკ., 192, 23).

„წამსაცა უშენო სიცოცხლე არ **შემიძლია**“ (ვისრ. 271, 2).

„მე დავბერებულვარ, აღარცა ომი **შემიძლია** და აღარც ხელმწიფობისა გაგება“ (რუსუდ., 25, 29).

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, მოდალური სემანტიკის ძალ-უც ზმნამ ორგანულ წარმოებაზე გადასვლისას საკუთარი სახელური ფუძისაგან მარტივი ფორმები განივითარა (**უძლავს>შეუძლიან>შეუძლია**). სხვაგვარი ვითარება გვაქვს **კელ-ეწიფების** და **ჯერ-არს** ზმნების შემთხვევაში, მათ საკუთარი სახელური ფუძისაგან ნაწარმოები მარტივი ზმნური შესატყვისები არ მოეპოვებათ. მართალია, საშუალი ქართულის ძეგლებში დასტურდება **კელმწიფობს** ნასახელარი ზმნა (**კელ-ეწიფების>კელმწიფე>კელმწიფობს**), მაგრამ ეს ფორმა შესაძლებლობის სემანტიკისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შინაარსს გულისხმობს, **კელმწიფობს** ნიშნავს: მეფობს, განაგებს, მართავს (კელმწიფება – უფლება, ფლობა, შეძლება, მთავრობა, ხელისუფლობა (აბულაძე, 1973, 568)). ცხადია, ამ ზმნაში მოიაზრება შეძლებისა და უფლების ქონა, მაგრამ **კელმწიფობს** ზმნის უშუალო სინონიმური

¹³ სტატიკური ზმნების აწმყოში -ია დაბოლოება პირველად სინურ მრავალთავში იჩენს თავს (სარჯველაძე, 1984, 415).

შესატყვისი არ არის შეუძლია ფორმა, რომელიც ძველ ქართულშივე განვითარდა ძალ-
უც ზმნის ორგანულ შესატყვისად:

„*ანუ ვითარ ვის ჯელ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად*“ (მ. 12, 29 DE FG HIK).

შდრ.: „*ანუ ვითარმე ვინ უძლის შესლვად სახლსა ძლიერისასა*“ (იქვე, C).

„*ვისმე ჯელ-ეწიფების ცხოვრებად?*“ (მ. 19, 25 X DE FG HIK).¹⁴

შდრ.: „*ვინმე უკუე შეუძლოს ცხოვრებად?*“ (იქვე, C).

„*ვერ ჯელ-ეწიფებოდა*¹⁵ *მათ ვერცა პურისა ჭამად*“ (მრკ. 3, 20 FG HIK).

შდრ.: „*ვერ სცალნ პურის-ჭამადცა*“ (იქვე, C).

ამჟარაა, რომ ძველ ქართულშივე რთული ზმნები თანდათან ადგილს უთმობენ ზმნის ორგანულ ფორმებს, რასაც მოდალურ ფორმათა ჩვენებაც ადასტურებს, ძველსა და საშუალო ქართულის სხვა ტექსტებშიც მრავლად ვხვდებით ჩვენ მიერ შესწავლილ რთულ ზმნათა ორგანულ შესატყვისებს:

„*ვერ შემძლია წინა-აღდგომად ბრძოლისა ამის*“ (სწ. წმ. მამ., 15, 68).

„*ვხედავ, რამეთუ ბუნებაჲ შენი ლბილ არს და ვერ შეგიძლია ძმისა გარე-შექცევაჲ*“ (სწ. წმ. მამ., 3, 18).

„*ეკლესიას მიმავალისა კაცისაგან ეძიებს ღმერთი, რადთა ფრთხილად და ლმობიერად დგეს. თუ ესე ვერ შეგიძლია, რადთა-მცა ეკლესიასა-ცა იღვძებდი და სენაკსა-ცა ძილითა გაძღებოდე და აქა ნუ დაიძინებ, თუ არა, მძიმედ გაგკანონებ*“ (სწ. წმ. მამ., 82, 25).

„*თუ ესე ვერ შეგიძლია, რადთა-მცა ეკლესიასა-ცა იღვძებდი და სენაკსა-ცა ძილითა გაძღებოდე*“ (აგ. ძეგ. II, 82, 25).

„*ხოლო რომელსა ესე ვერ შეეძლოს, პარასკევსა მიილოს საზრდელო პური და წყალი*“ (მც. სჯ., 36, 12).

„*ხოლო რომელთა ვერცა ესე შეეძლოს, მესამედი კანონისაჲ მის დაიმარხონ*“ (მც. სჯ., 112, 25).

¹⁴ ჯელ-ხეწიფების X.

¹⁵ ვერ ჯელ-ეწიფა DE.

„მონაგებნი სოფლისანი ტკივილ თუალთა არიან და მისგან დაბრყულდიან და ვერ შეუძლიან ხილვად სიმდიდრე იგი ზეცისად წარუვალი“ (მამ. სწ., 193, 34).

„ვერ შეუძლიან დამჯობად მის ნაშენებისა“ (მამ. სწ., 160, 5).

„ვერღარა შემიძლია წინა-აღდგომად ბრძოლისა მის“ (სწ. წმ. მამ., 4, 67).

„და რაჟამს მოიწიის ღუარი ძლიერი და ქარი სასტიკი, ვერღარა შეუძლიან თავს-დეზად მტერისა იგი ბრძოლად“ (მამ. ცხ., 127, 18).

„რავდენითა კელოვნებითა და მანქანებითა ტყუვილისადათა შეეძლო რწმუნებად კრებულისა?“ (უდ. მრ., 218, 1).

„ესრეთ შეიწყნარენ ვითარცა ჭეშმარიტი თხრობილი და ნუ ჰგონებნ ვითარმცა შემეძლოს აღრაცხვად სასწაულთა მისთად“ (კიმ., 338, 31).

„შეუძლია“ ზმნა წარმოდგენილია დამოუკიდებლად, თუმცა კონტექსტით იგულისხმება რაიმე მოქმედების შესაძლებლობა:

„ვერ შემიძლია, უფალო, უკუეთუ არა მომცე კელი წმიდად შენი“ (სწ. წმ. მამ., 18, 44).

დინამიკური მოდალური სემანტიკით გამოყენებული ეგების ფორმის ორიოდე შემთხვევას ვადასტურებთ ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში:

„რომელი იტყვს, ვითარმედ: „ვერ ეგების აღმოცენებად თავისად, უკუეთუ პირუელ სიკუდილისა მიერ არა განილიოს მარცვალი“ (წმ. გრ. ნოს., 303, 5).

„მძუნარე და სასტიკ არს მკეცი იგი, რამეთუ მონადირეთაგან ვერ ეგების კელთ-დეზად იგი“ (ი. ოქრ. ცხოვ., 38, 24).

დამოწმებული მაგალითები ერთ-ერთი დამადასტურებელია მოდალურ სემანტიკებს შორის გრადაციისა, სემანტიკური ჯაჭვის საწყის რგოლად კი ამ შემთხვევაშიც დინამიკური მოდალობა იგულისხმება, რომლის საფუძველზეც ეგების ფორმას უვითარდება როგორც დეონტური, ისე ეპისტემური შინაარსები.

ამრიგად, მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ზმნის მარტივი ფორმების გამოყენების ფაქტი ძველ ქართულშივე დასტურდება. რთული ზმნები კი მოდალური სემანტიკის გამომხატველ უფრო ადრინდელ ლექსიკურ საშუალებებად უნდა მივიჩნიოთ, რომელთა ძალა საშუალო ქართულიდან თანდათან შესუსტდა, ახალ

ქართულში კი მხოლოდ გარკვეული სტილისტური დატვირთვით, არქაიზაციის მიზნით გამოიყენებიან.

2.5. უარყოფითი ნაწილაკების დისტრიბუცია დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ფორმებთან

უარყოფით ნაწილაკთა დახასიათებას მოდალურ სემანტიკასთან მიმართებით სპეციალურ მსჯელობას უთმობს ნ. შარაშენიძე მონოგრაფიაში „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“.

„ქართული ენის უარყოფის სისტემა სამწევრია და იგი მოიცავს კატეგორიულ/ნეიტრალურ უარყოფას (არ ნაწილაკი), შესაძლებლობის უარყოფას (ვერ ნაწილაკი), აკრძალვისა და თხოვნის უარყოფას (ნუ ნაწილაკი)“ (შარაშენიძე, 2020, 203).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ენაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ფორმებთან უარყოფის ნაწილაკთა გამოყენების შეზღუდვა არ გვაქვს, შეიძლება შეგვხვდეს **ნუ**, **არ**, **ვერ** ნაწილაკებით გაფორმებული შესაძლებლობის გამომხატველი ზმნები:

„ნუ კელ-ეწიფების ბრმასა ბრმისა წინაძღუნვად“ (ლ. 6, 39 C DE FG HIK).

„კელ-ნუ-იწიფოსა ღმერთმან განმზადებად ტაბლაჲ უდაბნოსა?“ და კუალად იტყოდეს: „პურის-ცემადცა ნუ უძლოსა ღმერთმან, ანუ განმზადებად ტაბლაჲ ერსა თვსსა?“ (თარგმ. მ. სახ., 3, 30).

„და არცა-ღა კელ-ვინ-იწიფა მიერთგან კითხვად მისა არღა რაჲ“ (P, 9, 15).

„და ღათუ ვიყო მართალ, არავე ძალ-მიც ზე-ახილვად, რამეთუ სავსე ვარ გინებითა“ (P, 64, 6).

„უკუეთუ უღმრთო ვიქმნე, ვაჲ, მე: და ღათუ ვიყო მართალ, არავე ძალ-მიც ზე-ახილვად, რამეთუ სავსე ვარ გინებითა“ (საკ. ძვ. აღ., 10, 15).

„აწ არა-მცა ძალ-იდვა ჯსნაჲ ჩემი ამის ჭირისაგ[ან], რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთს შინა, და არა უწყი ესე, თუ ყ[ოვ]ლისა ქუეყანისათჳს იქმნა დაქცევად“

და ნათელი ბნელად გარდაიქცა, ანუ ჩემთვის ოდენ არს ჭირი ესე“ (მატბ. კრ., 342, 16).

„არა-მცა ძალ ედვა-ა ჯსნა ჩემი ამის ჭირისაგან? რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა და არა უწყი, თუ ყოვლისა ქუეყანისათჳს იქმნა დაქცევა ესე, ანუ თუ ჩემთვის ოდენ იქმნა“ (ქართ. ცხ. I, 109, 19).

„რამეთუ ანუ თვთ უსაშუვლოდ ეზიარების, ვითარ მახლობელსა თჳსსა, ანუ საშუვლობით, საშუალთა მიერ, ესე იგი არს თჳსთა უზენ ესთა მიერ ზესთ ზენადსად. და კუალად ესეც შეიმეცნე, ვითარმედ ყოველი მიზეზოანი თჳსისა მიზეზისა მიმართ ვითარ ნაწილი არს, და არ შეუძლებს, რადთამცა ყოველსა მიზეზსა გასწუთა მიზეზოანი“ (პრ. დიად., 108,11).

„არცა ნათესავთა და მეგობართა მისთა შეუძლიან ჯსნად მისი სიკუდილისაგან“ (კლარჯ. მრ., 19, 276).

„და იოსებ ჰრქუა: „ტყუვილად მარიამ ვერ ძალ გიც, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, თუ ობოლ არა იყოს და მამად არა ესუას“ (ტბ., პარხლ. მრ., 259, 9).

„ვითარ ვითარ ყოველნი დაბადებულნი ვერ შემძლებელ არიან დატევნად, ვითარ მოვიდეს და დაადგრეს მუცელსა მას ქალწულისასა?!“ (ტბ., პარხლ. მრ., 261, 27).

„მცირედი ვაჩუენე მე სახიერებად მოყუასსა მას, რამეთუ უმეტესი ვერ შემეძლო“ (თარგმ. მ. სახ., 24, 23).

„ალ-ვინმე-დგეს კრებულისა მისგან, რომელსა ერქუა ლიბელტიმელთად და კილიკიადთ და ასიადთ და კვრინელთად და ალექსანდრელთად, და გამოეძიებდეს სტეფანეს თანა, და ვერ შეუძლეს წინადადგომად სიბრძნითა მით და სულითა, რომელსა იტყოდა“ (საქ. მოც. (A), 6, 10).

„მონაგებნი სოფლისანი ტკივილ თუალთა არიან და მისგან დაბრყვლიან და ვერ შეუძლიან ხილვად სიმდიდრე იგი ზეცისა წარუვალი“ (მამ. სწ., 193, 34).

„და რაჟამს მოიწიის ღუარი ძლიერი და ქარი სასტიკი, ვერღარა შეუძლიან თავს-დეზად მტერისა იგი ბრძოლად“ (მამ. ცხ., 127, 18).

თუ ძველი ქართულისთვის ნორმალური იყო ვერ მიძლავს ტიპის კონსტრუქციების გამოყენება, ახალი ქართულისთვის ნორმაა – არ შემიძლია ≠ ვერ

შევძლებ. „ვერ შემიძლია წარმოება ქართულში აღარ განვითარდა. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ დინამიკური მოდალობის გამომხატველი და ობიექტური პირის ნიშნებით გაფორმებული „შემიძლია“ ზმნა ადვილად ითავსებს ნეიტრალური უარყოფის გამომხატველ არ ნაწილაკს. მაგრამ ვ- სუბიექტური პირის ნიშნითა და აქტიური სუბიექტის გამომხატველმა „შევძლებ“ ფორმამ დაირთო ვერ შესაძლებლობის უარყოფის ნაწილაკი და დინამიკური მოდალობა ეპისტემურ (ცოდნაზე, რწმენაზე დაფუძნებული პოზიცია) მოდალობად იქნა გააზრებული“ (შარაშენიძე, 2020, 210). ეს პროცესი კარგადაა ასახული სახარების შემდეგ მუხლში:

„დაღათუ ვერ ძალ-უც აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი“ (ლ. 11, 8 C).

„დაღათუ ვერ ეძლოს აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი“ (ლ. 11, 8 DE).

„დაღათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი“ (ლ. 11, 8 FG HIK).

როგორც ვხედავთ, სახარების ეფთვიმესეულ (XI ს. I ნახ.) და გიორგი მთაწმიდლისეულ (XII-XIII სს.) რედაქციებში „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის უარსაყოფად უკვე არა ნაწილაკი გამოიყენება, რომელმაც შესაძლებლობის გამომხატველ ფორმებთან თანდათან სრულად ჩაანაცვლა შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ვერ ნაწილაკი. ამგვარად, საშუალი ქართულიდან დღემდე ობიექტური წყობის შეძლება ზმნით გამოხატული დინამიკური შესაძლებლობის უარყოფა ეკისრება არ უკუთქმით ნაწილაკს¹⁶ (ღამბაშიძე, 2018, 122-124).

სიცხადისათვის წარმოვადგენთ დინამიკურ მოდალურ საშუალებებთან უარყოფით ნაწილაკთა დისტრიბუციის სიხშირულ მონაცემებს ცხრილების სახით:

¹⁶ დეტალური ანალიზი იხ. მ. ღამბაშიძე, დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „შეძლება“ ზმნა და მასთან დაკავშირებული უკუთქმითი ნაწილაკები ქართულ სამწერლო ენაში, სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, V, 2018.

„ვერ“^{**17} ნაწილაკის გამოყენება დინამიკურ მოდალურ საშუალებებთან

ცხრილი N 1

GNC	ძალ- უც	პელ- ეწიფების (ობ. წყ.)	პელ- იწიფებს* ¹⁸ (სუბ. წყ.)	შემძლებელ არს / შესაძლებელ არს	პელმწიფე არს	პელმწიფება/ ძალი აქუს/ მიეცემის	შესაძლო არს	უძლავს / შეუძლიან შეუძლია (ობ. წყ.)	შეძლებს (სუბ. წყ.)
ვერ	548	355	3	892				43	953
ვერვე	1	1							3
ვერვე მცა									2
ვერმე	2								
ვერმე მცა									1
ვერმც ა	4			2					4
ვერცა	4	1		22				9	
ვერცა ლა	1	2							

¹⁷ * ნიშანი გამოყენებულია ნაწილაკების სხვადასხვა ფორმით დადასტურების აღსანიშნავად.

¹⁸ მოცემული სუბიექტური წყობის რთული ზმნა აწმყოს მწკრივის ფორმით არ დასტურდება ძველი ქართული ენის ტექსტებში, სისტემურობისათვის მას აღვადგენთ * ნიშნის გამოყენებით.

„არ“ ნაწილაკის გამოყენება დინამიკურ მოდალურ საშუალებებთან

ცხრილი N 2

GNC	ძალ- უც	პელ- ეწიფების (ობ. წყ.)	პელ- იწიფებს* (სუბ. წყ.)	შემძლებელ არს / შესაძლებელ არს	კელმწიფე არს	კელმწიფებად/ ძალი აქუს/ მიეცემის	შესაძლო არს	უძლავს/ შეუძლიან/ შეუძლია (ობ. წყ.)	შეძლებს (სუბ. წყ.)
არ	21	1		1			2	3	1
არა	47	73		2					4
არამცა				2				4	
არცა	2	4				3			
არლა	6								
არცალა	1		2						
არავე	1	1							

„ნუ“ ნაწილაკის გამოყენება დინამიკურ მოდალურ საშუალებებთან

ცხრილი N 3

GNC	ძალ- უც	პელ- ეწიფების (ობ. წყ.)	პელ- იწიფებს* (სუბ. წყ.)	შემძლებელ არს / შესაძლებელ არს	კელმწიფე არს	კელმწიფებად/ ძალი აქუს/ მიეცემის	შესაძლო არს	უძლავს/ შეუძლიან/ შეუძლია (ობ. წყ.)	შეძლებს (სუბ. წყ.)
ნუ	4	5							2

წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით (ცხრილი N1, N2, N3), დინამიკური მოდალური სემანტიკის უარყოფითი კონოტაციის გადმოცემისას ძველ ქართულში ყველაზე პროდუქტიული იყო ვერ შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი

ნაწილაკი, რაც მისი მოდალური სემანტიკითვე (შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვა) უნდა ყოფილიყო განპირობებული. ძველ ქართულშივე დინამიკურ ფორმებთან დასტურდება არ(ა) ნაწილაკის გამოყენებაც, თუმცა არა – მაღალი სიხშირით. იშვიათად ნუ ნაწილაკის გამოყენებას კი თარგმანის გავლენა და შინაარსის ექსპრესიულობის შენარჩუნება უნდა განაპირობებდეს. ამასთანავე, ის გარემოება, რომ ძველ ქართულ ენაში დინამიკური მოდალობის გამომხატველ ფორმებთან დასტურდება უარყოფის ნაწილაკთა სამწევრა სისტემის ყველა ფორმა – ვერ, არ, ნუ და მათი ვარიანტები, ერთ-ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ მოდალობა ძველ ქართულში ბოლომდე ჩამოყალიბებული კატეგორია არ არის, შესაბამისად, ვერ ვახდენთ უარყოფით ნაწილაკთა სისტემატიზაციას შესაძლებლობის გამომხატველ მოდალურ ფორმებთან მიმართებით, მაშინ, როცა ახალ ქართულში მკაცრადაა განსაზღვრული უარყოფით ნაწილაკთა დისტრიბუცია ცალკეულ მოდალურ ელემენტთან.

2.5.1. დინამიკური სემანტიკის გამომხატველი „ვერ“ უარყოფითი ნაწილაკი ძველ ქართულში.

როგორც აღინიშნა, ძველ ქართულ ენაში ვერ უარყოფითი ნაწილაკის სხვა დინამიკური შინაარსის გამომხატველ ფორმებთან გამოყენება სემანტიკურად ბლოკირებული არ იყო, პირიქით, სხვა უარყოფით ნაწილაკთაგან მეტი პროდუქტიულობითაც კი გამოირჩეოდა სხვადასხვა დინამიკურ საშუალებასთან გამოყენების თვალსაზრისით.

საგულისხმოა, რომ არადინამიკურ ფორმებთან შეწყობილი ვერ ნაწილაკი თავადაა დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი. „ვერ ნაწილაკი დინამიკური მოდალობის გამომხატველია და იგი აღნიშნავს ფიზიკური, მენტალური ან სხვა გარემოებებით გამოწვეული შესაძლებლობის უარყოფას“ (შარაშენიძე, 2020, 209). ძველ ქართულ ტექსტებში მრავალი მაგალითი დასტურდება, როცა ვერ

უარყოფითი ნაწილაკი დაერთვის ზმნურ ფორმას და გამოხატავს დინამიკური შესაძლებლობის უარყოფას, საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, რადგან ვერ ნაწილაკის დინამიკური შინაარსი ნათელია, ექვს არ იწვევს და დამატებით მსჯელობასაც აღარ საჭიროებს:

„ვერ დავითმენ მოხუცებულისა ბრდღუნვასა და დრტუნვასა“ (ტბ., პარხლ. მრავ., 259, 29).

„მართლიად გეტყვ თქუნ: ვერ დაასრულოთ ქლაქები ისრაწლისად მოსლვადმდე ძისა კაცისადსა“ (მ. 10, 23 C DE FG HIK).

„მაგას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“ (მ. 16, 18 C DE FG HIK).

„და იყო შენ ბრმა და ვერ ხედვიდე მზესა ვიდრე ჟამადმდე“ (საქ. მოც. (A), აქტ.13,11).

დასასრულ, ვერ უარყოფითი ნაწილაკი ძველ ქართულში საკმაოდ პროდუქტიული იყო, ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემების მიხედვით თითქმის თანაბრად დასტურდება ვერ ნაწილაკის გამოყენების შემთხვევები როგორც დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ფორმებთან, ისე – დამოუკიდებლადაც, ნეიტრალური სემანტიკის მქონე ზმნებთან, რომლებთან კონსტრუქციაშიც თავად ვერ-ს აქვს დინამიკური შინაარსის გამოხატვის ფუნქცია.

III თავი

3.1. დეონტური მოდალობა ლინგვისტიკაში

„დეონტური სემანტიკა ერთ-ერთი სახეა მოდალობის კატეგორიისა, რომელიც გამოხატავს მორალურად პასუხისმგებელი აგენტების მიერ შესასრულებელი ქმედებების აუცილებლობას შესაძლებლობის ფარგლებში (Lyons, 1977, 823). ფ. რ. პალმერი დეონტურ მოდალობას განიხილავს როგორც „დისკურსზე ორიენტირებულს“, რადგან ავტორის აზრით, დეონტური სემანტიკა გულისხმობს მოლაპარაკესაც და ადრესატსაც ერთდროულად (Palmer, 1990, 36). ამასთანავე, დეონტური მოდალობის სემანტიკის წინადადებებში ვალდებულების ან ნებართვის უშუალოდ გამცემი შეიძლება სულაც არ იყოს მოსაუბრე. ვალდებულება ან ნებართვა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვა პირს, ინსტიტუციას, კანონს, მორალურ კოდექსს და სხვ. (Han, 2005).

დეონტური მოდალობის აღმნიშვნელად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება შემდეგი ტერმინები - ძირეული მოდალობა (root modality), აგენტზე ორიენტირებული (Agent-oriented), მოლაპარაკეზე ორიენტირებული (Speaker-oriented), დაქვემდებარებული (Subordinating), ეს უკანასკნელი გამოიყენება დამოკიდებულ წინადადებაში. ტერმინი აგენტზე ორიენტირებული (Agent-oriented) მიემართება ყველა იმ მოდალობას, რომლებშიც გარემო პირობები ეფუძნება აგენტს, ასეთებია: ვალდებულება, სურვილი, უნარი, ნებართვა, შესაძლებლობა. მოლაპარაკეზე ორიენტირებული (Speaker-oriented) მოდალობა კი გულისხმობს მეტყველების აქტებს, რომელთა მიზანია რაიმეს შესრულება (ბრძანება (imperative), დირექტივები (directive), სურვილი (optative) ნებართვა (permissive), აკრძალვა (prohibition)), აგრეთვე, ეპისტემურ მოდალობას, რომელიც მიემართება მთელ გამონათქვამს (მსჯელობას) და გამოხატავს მოლაპარაკის პოზიციას ჭეშმარიტებასთან მიმართებით (Bybee, 1985; Bybee & Fleischman, 1995; Bybee, Perkins, Pugliuca, 1994). განხილული ცნებები შესაძლოა სხვა ტერმინებითაც იყოს წარმოდგენილი, მაგალითად, აგენტზე ორიენტირებული მოდალობის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი მონაწილეზე ორიენტირებული (participant-oriented) მოდალობა, რაც იმის გამოხატულებაა, რომ გარკვეულ კონტექსტებში სუბიექტი არაა აქტიური აგენტი

მოქმედებისა და აქვს მხოლოდ მოქმედების განმცდელის, ანუ პაციენტის თემატური როლი (De Haan, 2004).

დეონტური მოდალობა სემანტიკურად მრავალფეროვანია, გულისხმობს სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს, როგორებიცაა: ბრძანება/აკრძალვა, ნებართვა/ნების დაურთველობა, უფლების ქონა/უფლების უქონლობა, ვალდებულება, იძულება, მუქარა, მოთხოვნა, თხოვნა, გაფრთხილება, განკარგულება, მითითება, მოწოდება, შეგონება... (Lyons, 1977; Coates, 1983; Palmer, 1990, Portner, 2009...)“ (დამბაშიძე, 2022, 24).

3.2. დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვა I და II ბრძანებითი მწკრივის ფორმებით

„კილო არის გრამატიკული კატეგორია, მოდალობა კი – სემანტიკური. მოდალობის გამომხატველი ერთ-ერთი საშუალებაა კილო (Lyons, 1977; Bybee... 1994; Palmer, 2001...). ბრძანებით კილოს აქვს დეონტური მოდალური სემანტიკის გაგება (Han, 2005). მოდალობის სისტემა და კილოს კატეგორია არაერთ ენაში თანაარსებობს და კვეთს ერთმანეთს, თუმცა განსხვავებას ქმნის ის, თუ მათგან რომელი უფრო ძლიერადაა გამოხატული ენაში. „რაც უფრო ძლიერია კილო, მით სუსტია მოდალობის სისტემა ენაში და, პირიქით, რაც უფრო ძლიერია მოდალობის კატეგორია, მით უფრო სუსტია კილოს გამოხატვა ენობრივ სისტემაში“ (Palmer, 2001, 4). პალმერი განიხილავს ინგლისური ენის მაგალითს, სადაც მოდალობა გამოკვეთილი კატეგორიაა, სისტემურ დონეზე ჩამოყალიბებული გამომხატველი საშუალებებით, ამ ფონზე ინგლისურ ენაში კილოს კატეგორია საკმაოდ სუსტადაა გამოხატული.

ძველი ქართული ენის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ კილოს კატეგორია უპირობოდ მკვეთრადაა გამოხატული, ვიდრე მოდალობა, რომელიც მხოლოდ სემანტიკური ანალიზის დონეზე ვლინდება. დეონტური სემანტიკის შემთხვევაში ბრძანებითი კილოს მაწარმოებლები, წართქმითი ბრძანებითისთვის I და II ბრძანებითის მწკრივები და უკუთქმითი ბრძანებითისთვის ნუ და არ ნაწილაკიანი

კონსტრუქციები ზუსტად გამოხატავენ დეონტურ სემანტიკას და რომ არა საკუთრივ დეონტური მნიშვნელობის ზმნური ფორმები, ერთი მხრივ, რთული ზმნები (კელ-ეწიფების, ძალ-უმს/უც, ჯერ-არს, ზედა-აც) და, მეორე მხრივ, მარტივი ზმნის ფორმები (კამს/ხამს, შეუენის, შეჰგავს, მართებს, ეგების, ღირს, უფლიედ, შეუძლია, შეიძლების/შეიძლება, უნდა, ევალეზა),¹⁹ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ბრძანებითი კილო და დეონტური სემანტიკა ძველ ქართულ ენაში ბევრ შემთხვევაში თანხვედრა ერთმანეთს.

ბრძანებითი კილოს გამოხატვა და, შესაბამისად, **I და II ბრძანებითის** მწკრივის ფორმები განხილულია გ. ნინუას სადისერტაციო ნაშრომში „ბრძანებითი კილო ქართულ ენაში“ (ნინუა, 1968), თუმცა კვლევა ძირითადად აღწერითი ხასიათისაა და დასახელებულ მწკრივთა სემანტიკური ნიუანსები გამოკვეთილი არაა. მართალია, კვლევაში ყურადღება არ მახვილდება ცალსახად დეონტურ მნიშვნელობაზე, მაგრამ თუ დეონტური მოდალობის სემანტიკურ ნიუანსებს გავითვალისწინებთ (ბრძანება/აკრძალვა, ნებართვა/ნების დაურთველობა, უფლების ქონა/უფლების უქონლობა, ვალდებულება, იძულება, მუქარა, მოთხოვნა, თხოვნა, გაფრთხილება, განკარგულება, მითითება, მოწოდება, შეგონება), აშკარაა, რომ **I და II ბრძანებითის** მწკრივები ძველ ქართულ ენაში დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ გრამატიკულ საშუალებებს წარმოადგენდა („გარდამოსთხევდედ თუალნი თქუენნი ცრემლთა და წამნი თქუენნი გამოადინებედ წყალსა“ (იერ., 9, 18, O)); „ჰბადევდ ჯინჰველსა, მედგარო და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“ (აგ. ძეგ., I, 47, 27); „ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად და ნუ აოჯრებ სახლსა მას თქუენსა“ (აგ. ძეგ., I, 24, 13)).

„საშუალ და ახალ ქართულში ასპექტი იქცა სიტყვაწარმოების კატეგორიად. ეს ცვლილება პირველ რიგში ბრძანებითს შეეხო: სანამ ასპექტი უღლების კატეგორია იყო, ბრძანებითის ფორმები უპირისპირდებოდა ერთმანეთს ორი მწკრივით – I ბრძანებითით და II ბრძანებითით, I ბრძანებითი უსრული ასპექტისაა და II ბრძანებითი – სრულის. ნაწილობრივ საშუალ და მთლიანად ახალ ქართულში, სადაც

¹⁹ იხ. „დეონტური მოდალური სემანტიკის მქონე ზმნური ფორმების გამოხატვა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში“ (მარჯორი უორდროპის, ლინ კოფინისა და დოდონა კიზირიას თარგმანების მიხედვით), მ. ღამბაშიძე, სტატია გადაცემულია დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალის, „მილენიუმი“, პირველ ნომერში გამოსაქვეყნებლად.

ასპექტი სიტყვაწარმოების კატეგორიაა, პირველი ბრძანებითის საჭიროება გაქრა“ (ნინუა, 1968, 195). შესაბამისად, საშუალო ქართულიდან დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველად ბრძანებითის მწკრივების გამოყენებაც იზღუდება, ამ ეტაპიდან ბრძანებითი კილო მარკირებული აღარ არის საკუთარი მწკრივის ფორმებით, სხვადასხვა დეონტური მოდალური შინაარსის გამოხატვას კი ითავსებს უარყოფითნაწილაკიანი კონსტრუქციები, სპეციალური ლექსიკური შინაარსის მქონე ზმნები და ინტონაცია“ (დამბაშიძე, 2022, 25-26).

3.3. დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვა ნაწილაკების საშუალებით

ქართულ ენაში არსებობს ნაწილაკთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ წინადადებაში გამოხატოს სხვადასხვა სუბიექტურ-მოდალური ელფერი. აგებულების მიხედვით ეს ნაწილაკები შეიძლება იყოს მარტივიც და შედგენილიც (შერაზადაშვილი, 2005, 286).

3.3.1. უარყოფითნაწილაკიანი კონსტრუქციები დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად

უარყოფასა (ნეგაციასა) და მოდალობას შორის კავშირი ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში იყო შენიშნული და ეს საკითხი დღესაც აქტუალურია ენათმეცნიერებაში.

უარყოფა სხვადასხვა ენაში გამოიხატება არაერთი საშუალებით, როგორებიცაა: პრეფიქსები, სუფიქსები, უარყოფითი ნაწილაკები, უარყოფითი ნაცვალსახელები. უარყოფითი სემანტიკა წინადადებაში შეიძლება ნაჩვენები იყოს ზოგიერთი სახელითა და ზმნით, ან იგულისხმებოდეს ირიბად, მთლიანი კონტექსტის საშუალებით (Benamara, 2012).

რამდენადაც დეონტური მოდალური სემანტიკის გაგება ბრძანებითი კილოს ფორმებში გვაქვს, ჩვენი კვლევის არეალს წარმოადგენს უკუთქმითი ბრძანებითი და მისი გამოხატვის საშუალებები, კერძოდ, უარყოფითი ნაწილაკები და მათი დისტრიბუცია სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან. *„უკუთქმითი ბრძანებითი ძველ ქართულში აღწერთად იწარმოება: უარყოფითი ნაწილაკი და ზმნის პირიანი ფორმა გადმოსცემს უკუთქმითი ბრძანებითის მთლიან შინაარსს“* (ნინუა, 1968, 109).

„დეონტური სემანტიკისა და იმპერატიული ველის გათვალისწინებით ჩვენთვის საინტერესოა ნუ და არა უარყოფითი ნაწილაკები და მათგან მიღებული სხვა რთული ფორმები. ნუ და არა (II კავშირებითის ფორმასთან ხმარებისას) მოქმედების აკრძალვაზე მიუთითებენ (შანიძე, 1976, 147)“ (დამბაშიძე, 2022, 26).

3.3.1.1. დეონტური სემანტიკის „ნუ“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში

სპეციალურ ლიტერატურაში, რომელშიც ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციებია განხილული (ოქროპირიძე, 1962; ნინუა, 1968; დანელია 1998), არაფერია ნახსენები დეონტურ მოდალურ სემანტიკასა და მის ნიუანსებზე, მხოლოდ ნ. ოქროპირიძე იყენებს თავის ნაშრომში ტერმინს „იმპერატიული მოდალობა“, რაც ცალსახად მიუთითებს ბრძანებითი კილოსა და დეონტური მოდალობის კვეთაზე ქართულ ენაში.

ნუ ნაწილაკი გამოიყენება აკრძალვისა და თხოვნის სემანტიკის გადმოსაცემად. გვხვდება ბრძანების სემანტიკის გამომხატველ ფორმებთან, ახლანდელი და მომავალი დროის ფორმებთან და არასოდეს დასტურდება ზმნის წარსული დროის ფორმასთან (ოქროპირიძე, 1962; ჭუმბურიძე, 1968; ნინუა, 1968; შანიძე, 1976; ჯორბენაძე, 1984...).

ნუ ნაწილაკის დისტრიბუციის შესახებ მსჯელობს კ. დანელია – მეცნიერის თქმით, ნუ ძველ ქართულში უკუთქმითი ბრძანებითის გამოსახატავად გვხვდება აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის მწკრივებთან, იშვიათად დასტურდება სხვა მწკრივის ფორმებთანაც (დანელია, 1998). კ. დანელია არ აკონკრეტებს სხვა რომელ მწკრივებთან შეიძლება რეალიზდებოდეს ნუ ნაწილაკი, მაგრამ მის მიერ დამოწმებულ

მაგალითებზე დაყრდნობით, **ნუ** შეიძლება შეგვხვდეს **I ბრძანებითან, წყვეტილსა და I შედეგობითან** კომბინაციაში: „*იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყემენდელსა (ი. 6, 27), ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუნ (მ. 24, 4), თქუნ კეთილ იტყვო, გარნა ნუ დაგიჯერების, თუმცა მე მისა ცოლადა ვიყავ (აგ. ძეგ. I, 15, 20)*“ (დანელია, 1998, 109). სახარების მოცემულ მაგალითებს თუ შევადარებთ სექტუაგინტას ბერძნულ რედაქციას, ვნახავთ, რომ შესაბამის მუხლებში ბერძნულშიც იგივე მწკრივები დასტურდება, რომლებიც ქართულ რედაქციებშია: *იქმოდეთ ნუ – ἐργάζεσθε μὴ* (I ბრძანებითი), *ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუნ – μὴ τις ὑμᾶς πλανήσῃ* (წყვეტილი), ცხადია, ამ შემთხვევაში ქართულშიც ბერძნულის გავლენა იჩენს თავს. რაც შეეხება **ნუ** ნაწილაკის გამოყენებას **I შედეგობითან**, ეს შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, რამდენადაც თვითონ შედეგობითის მწკრივები ძველი ქართულის მოგვიანო ეტაპზე ჩამოყალიბდა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სახარებისა და ძველი აღთქმის რედაქციებში ვერ დავადასტურეთ **ნუ** ნაწილაკისა და **I შედეგობითის** ერთად გამოყენების შემთხვევა.

როგორც აღინიშნა, ძველი ქართულისთვის ბუნებრივი იყო უკუთქმითი ბრძანებითის გამოხატვა **ნუ** ნაწილაკისა და **აწმყო** ან **აწმყოს ხოლმეობითის** მწკრივთა კომბინაციით.

„ნუ“ ნაწილაკის გამოყენება დეონტური სემანტიკით

ცხრილი N 4

GNC	აწმყო	აწმყოს ხოლმეობითი
ნუ	5368	1969

წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს:

ნუ + აწმყო:

„და რაჟამს მიგცნენ თქვენ, **ნუ** ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქვენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით“ (მ. 10, 19, S) – **რჩევა**.

“ὅταν δὲ παραδῶσιν ὑμᾶς, **μὴ** μεριμνήσητε πῶς ἢ τί λαλήσητε· δοθήσεται γὰρ ὑμῖν ἐν ἐκείνῃ τῇ ὥρᾳ τί λαλήσητε” (Matt. 10, 19 BGT).

„და წარგ ზავნნა ძმანი თჳსნი და წარვიდეს და ჰრქუა მათ: **ნუ** გულს ღწუხებთ გზასა ზედა“ (დაბ. 45, 24, S OJ B) – **რჩევა**.

“Ἐξάπεστειλεν δὲ τοὺς ἀδελφοὺς ἀπὸ τοῦ καὶ ἐπορεύθησαν καὶ εἶπεν αὐτοῖς **μὴ** ὀργιζέσθε ἐν τῇ ὁδῷ” (Gen. 45, 24 BGT).

„და ვითარცა იხილა მან იესო, ღალატ-ყო და შეუვრდა ფერჯთა მისთა და ჳმითა დიდითა იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესო, ძეო ღმრთისა მაღლისაო? გვედრები, **ნუ** მტანჯავ მე“ (ლ. 8, 28, S AK) – **თხოვნა**.

“Ἰδὼν δὲ τὸν Ἰησοῦν ἀνακράξας προσέπεσεν αὐτῷ καὶ φωνῇ μεγάλῃ εἶπεν· τί ἐμοὶ καὶ σοί, Ἰησοῦν υἱὲ τοῦ θεοῦ τοῦ ὑψίστου; δέομαί σου, **μὴ** με βασανίσῃς” (Lk. 8, 28 BGT)...

მოცემული კონსტრუქციების შემთხვევაში აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ბერძნულისგან დამოუკიდებელ მოვლენასთან და ქართული კონსტრუქცია არ განუპირობებია ბერძნულ წყაროს, რადგან ბერძნულში **μὴ** უარყოფით ნაწილაკთან ერთად ყველა შესაძარებელ კონტექსტში გვაქვს **აორისტის** ფორმა, ქართულში კი **ნუ** უარყოფითი ნაწილაკითა და **აწმყოს** მწკრივით მიღებული კონსტრუქცია.

ნუ + აწმყოს ხოლმეობითი:

ძველ ქართულ ტექსტებში არცთუ იშვიათად დეონტური სემანტიკის გამოსახატავად გამოყენებულია **ნუ** უარყოფითი ნაწილაკისა და **აწმყოს ხოლმეობითის** კომბინაცია:

„ხოლო ამას ზედა **ნუ** გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთუნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა“ (ლ. 10, 20, S) – რჩევა.

“Πλήν ἐν τούτῳ μὴ χαίρετε ὅτι τὰ πνεύματα ὑμῶν ὑποτάσσεται· χαίρετε δὲ ὅτι τὰ ὀνόματα ὑμῶν ἐγράφη ἐν τοῖς οὐρανοῖς” (Lk. 10, 20 BGT).

„და შემდგომად სიტყუათა ამათ იქმნა სიტყუად უფლისა აბრაამის მიმართ, ჩუენებასა შინა ღამისასა, მეტყუელი: **ნუ** გეშინინ, აბრაამ, მე შეგეწიო შენ, სასყიდელი შენი იყოს ფრიად“ (დაბ. 15, 1, S O J B) – გამხნეება.

“μετὰ δὲ τὰ ῥήματα ταῦτα ἐγενήθη ῥήμα κυρίου πρὸς Αβραμ ἐν ὀράματι λέγων μὴ φοβῶν Αβραμ ἐγὼ ὑπερασπίζω σου ὁ μισθός σου πολλός ἐσται σφόδρα” (Gen. 15, 1 BGT)...

რიგ შემთხვევებში ქართულის **ნუ** ნაწილაკითა და აწმყოს ხოლმეობითის მწკრივით გადმოცემულ დეონტურ სემანტიკას ბერძნულ წყაროში ბრძანებითი კილოს აწმყოს ფორმები შეესაბამება, ამდენად, შეიძლება ითქვას, ქართული კონსტრუქცია მხოლოდ სემანტიკურად თარგმნის ბერძნულ წყაროში არსებულ შინაარსს.

საგულისხმოა, რომ **ნუ** უარყოფითი ნაწილაკი საკუთრივ დეონტური სემანტიკის მქონე ზმნურ ფორმებთან ორიოდე კონტექსტში დასტურდება. **ნუ** ნაწილაკი აწმყოს მწკრივის ფორმის მხოლოდ ერთ ზმნურ ფორმასთან ქმნის კოლოკაციას, ესაა ტევება ზმნა:

„**ნუ** უტევებ მცირესა ძმასა შენსა გამოსლვად სენაკით გარე, რამეთუ არა ჯერ-არს ხილვად ლავრასა შინა სახლ და მსგავსი დედაკაცისად, ბრძოლისათვის დედაკაცისა“ (მამ. ცხ., 153, 8).

„**ნუ** უტევებ ბოროტსა განმზრახსა ეშმაკსა ცთუნებად კაცთა“ (უძვ. სვინ., 64, 8).

„შემიწყალე მე ობოლი და მძაფრ შეპყრობილი სული და **ნუ** უტელებ მჯეცსა ამას ძლევად ჩემდა“ (საკ. წიგნ., 35, 24).

ერთადერთი მაგალითი დასტურდება აწმყოს ხოლმეობითში მდგარი ფლობა ზმნისა და **ნუ** ნაწილაკის კომბინაციისა:

„*ჰრეჟა მათ კაცსა და საცხოვარსა, პირუტყუსა და ზროხასა ნუ უფლიედ გემოდს ხილვად ნურარად, ნუცა საძოვრისად, ნუცა წყალსა სუმა*“ (საკ. ძვ. აღ., 3, 7).

საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს ერთგვარ სემანტიკურ ბლოკირებასთან, როგორც ჩანს, დეონტური სემანტიკის გამომხატველი ზმნები ვერ იგუებენ კონტექსტში სხვა დეონტური საშუალების, კერძოდ, უარყოფის **ნუ** ნაწილაკის, პოვნირებას.

3.3.1.2. დეონტური სემანტიკის გამომხატველი „ნუცა“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში

ძველ ქართულში მე-8 საუკუნიდან სხვადასხვა დეონტური შინაარსის გამოსახატავად -**ცა** ნაწილაკდართული **ნუცა** ფორმაც გამოიყენება.

-**ცა** გაძლიერებითი ნაწილაკია, მისი ერთ-ერთი ფუნქციაა, ყურადღება გაამახვილოს იმ სიტყვაზე, რომელსაც დაერთვის (შანიძე, 1980, 611). მართლაც, -**ცა** ნაწილაკის დართვა აძლიერებს **ნუ** ნაწილაკის დეონტურ მნიშვნელობას. მიღებული **ნუცა** ნაწილაკი საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოიყენება დეონტური სემანტიკის გამომხატველ სხვადასხვა კონტექსტში. ისიც **ნუ** ნაწილაკის მსგავსად კონსტრუქციას ქმნის **აწმყოსა** და **აწმყოს ხოლმეობითის** მწკრივის ფორმებთან. საინტერესოა ის გარემოება, რომ **ნუცა** ნაწილაკით გადმოცემულ მოქმედებას წინადადებაში აუცილებლად უძღვის სხვა უარყოფითი ნაწილაკით გაფორმებული ზმნა:

„*არა იპარვიდეთ და არცალა სტყუოდით, ნუცა ცილსა შესწამებნ კაცი მოყუასსა თვისსა*“ (ლევ. 19, 11, S B) – აკრძალვა.

“*ὅς κλέψετε ὅς ψεύσασθε ὅς συκοφαντήσῃ ἕκαστος τὸν πλησίον*” (Lev. 19, 11 BGT).

ბერძნულ წყაროში სამივე შემთხვევაში ზმნას **ὅς** უარყოფითი ნაწილაკი აქვს დართული, როგორც ჩანს, ქართველი მთარგმნელ-რედაქტორი მესამე ზმნასთან მეტი ექსპრესიულობისათვის მიმართავს **ნუცა** ნაწილაკის გამოყენებას, მით უმეტეს, რომ მნიშვნელობის გასაძლიერებლად მის წინმსწრებ **არ** ნაწილაკსაც აფორმებს -**ცა**, -**ლა** ნაწილაკებით.

„**ნუ** შეიმოსნ დედაკაცი სამოსელსა მამაკაცისასა, **ნუცა** მამაკაცი შეიმოსნ სამოსელსა დედაკაცისასა, რამეთუ საძაგელ არს უფლისა ღმრთისა შენისა ყოველივე, რომელი იქმს ეგევითარსა“ (რჯლ. 22, 5, S AK B) – აკრძალვა.

“**οὐκ ἔσται** σκεῆ ἀνδρὸς ἐπὶ γυναικί **οὐδὲ** **μὴ** ἐνδύσῃται ἀνὴρ στολὴν γυναικείαν ὅτι βδέλυγμα κυρίῳ τῷ θεῷ σὸς ἐστὶν πᾶς ποῖν ταῦτα” (Deut. 22, 5 BGT).

ამ მაგალითშიც ბერძნულში ორჯერაა უარყოფილი ზმნით გამოხატული მოქმედება, რაც თავისთავად ასახულია ქართულ თარგმანში, მაგრამ აქ ბერძნულის გავლენა მეტია, იქ, სადაც ქართულში **ნუცა** ნაწილაკია გამოყენებული, ბერძნულში **μὴ** უარყოფით ნაწილაკს **οὐδὲ**, -ც ნაწილაკის შესატყვისი, ერთვის, შესაბამისად, ქართული რედაქციებიც ცდილობენ **ნუ** უარყოფითი ნაწილაკის გაძლიერებულად წარმოდგენას.

„და იყო, რაჟამს გამოიყუანეს იგინი გარე და ჰრქუეს: ცხოვნებით იცხოვნე სული შენი, **ნუ** უკმოიხედავ უკუღმართ. **ნუცა** დასდგები ყოველსა შინა გარემო სოფლებთა, არამედ მთად კერძო ივლტოდე, ნუუკუე თანა შეეპყრა“ (დაბ. 19, 17, S OJ G B) – მითითება, რჩევა.

“καὶ ἐγένετο ἡ νύκτα ἐξήγαγον αὐτοὺς ἕξω καὶ εἶπαν πρὸς τὸν θεόν τὴν σεαυτοῦ ψυχὴν **μὴ** περιβλέψῃς εἰς τὰ ὀπίσω **μηδὲ** **σπίς** ἐν πάσῃ τῇ περιχώρῳ εἰς τὸ ὄρος πρὸς τὸ μῆποτε συμπαραλημφθῆς” (Gen. 19, 17 BGT).

მოცემულ კონტექსტში ბერძნული უარყოფითი ნაწილაკი თავად შეიცავს შინაარსის გამაძლიერებელი -ც ნაწილაკის ეკვივალენტს, **μηδὲ**-ს, რასაც ზუსტად შეესატყვისება ქართული **ნუცა** ნაწილაკი. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ **ნუცა** **μηδὲ**-ს ანალოგიითაა შექმნილი ქართულში, რადგან ამგვარი მაგალითები სპორადულად იძებნება იმ მაგალითების გვერდით, როდესაც ქართულში **ნუცა** ნაწილაკი დასტურდება, შესაბამის ბერძნულ წყაროში კი ოდენ **μὴ** ნაწილაკია გამოყენებული.

დეონტური მოდალური სემანტიკით **ნუცა** ნაწილაკის ძველი ქართული ენის ტექსტებში დადასტურების 683 მაგალითი იძებნება ქართული ენის ეროვნულ კორპუსში:

„ნუცა“ ნაწილაკის გამოყენება დეონტური სემანტიკით

ცხრილი N 5

GNC	აწმყო	აწმყოს ხოლმეობითი
ნუცა	553	130

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვერც **ნუცა** ნაწილაკს ვადასტურებთ დეონტური სემანტიკის მქონე ზმნებთან, გვაქვს მხოლოდ ერთი მაგალითი:

„ყოლადვე ნუ დაიახლებ მას, **ნუცა უტევებ შემოსლვად შენ შორის რასაცა გუარსა ვნებასა**“ (მამ. სწ. და თხრ., 387, 3).

3.3.1.3. დეონტური სემანტიკის გამომხატველი „ნულარა“ ნაწილაკიანი

კონსტრუქციები ძველ ქართულში

მე-9 საუკუნიდან ძველი ქართული ენის ტექსტებში დეონტური სემანტიკის გამომხატველად დასტურდება **ნულარა** ნაწილაკიანი კონსტრუქციებიც. **ნულარა** რთული აგებულების ნაწილაკია, **ნუ** უარყოფითი ნაწილაკია, რომელსაც მნიშვნელობის გასაძლიერებლად ერთვის -**ლა** და -**რა** ნაწილაკები (ჯორბენაძე... 1988, 361, 415).

ნულარა + აწმყო:

„აჰა, ეგერა, განკურნებულ ხარ, **ნულარა სცოდავ**, რადთა არა უძვრესი გეყოს“ (ი.5,14 C).

“*Ἰδε ὑγιὲς γέγονας, μήκτι ἀμάρτανε, ἵνα μὴ χεῖρόν σοί τι γένηται*” (Jn. 5, 14 BGT).

„*მე გიბრძანებ შენ: განკედ მაგისგან და ნულარა შეხუალ მაგისა!*“ (მრკ. 9, 25 C DE FG HIK).

“*ἐγὼ ἐπιτάσσω σοι, ἔξελεθε ἐξ αὐτοῦ καὶ μηκέτι ἐσέλθῃς εἰς αὐτόν*” (Mk. 9, 25 BGT).

„*ნულარა შესძინებთ ცემად ბზესა ალიზისა საქმარად, ვითარცა გუშინ და ძულუან, იგინი წარვიდედ და შეკრიბედ თავისა თვისისა ბზე*“ (გამ. 5, 7 OJ S B AK).

“*οὐκέτι προστεθήσεται δίδοναι ἄχυρον πῦ λαῶ εἰς τὴν πλινθουργίαν καθάπερ ἐχθές καὶ τρίτην ἡμέραν αὐτοὶ πορευέσθωσαν καὶ συναγαγέτωσαν ἑαυτοῖς ἄχυρα*” (Exod. 5, 7 BGT).

„*ნულარა ურწმუნო ხარ, რადთა არა ბრალსა შეჰვარდე!*“ (ტბ., პარხლ. მრ. 258, 3).

„*და ნულარა მეტყუ, ვითარმედ ვერ ეგების ამათი ურთიერთას განყოფა*“ (ეფ. დღ., 80, 12).

„*და აწ ნულარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტესსა*“ (აგ. ძეგ. I, 251, 27).

„*ნულარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა ხანცთას*“ (აგ. ძეგ. I, 306, 41).

ნულარა + აწმყოს ხოლმეობითი:

„... რომელნი აღდგომილ იყვნეს მის ზედა და მოძულენი მისნი *ნულარა აღემართნედ*“ (მეორე სჯ. 33, 11, S B AK).

“*ἐχθρῶν ἐπανεστηκότων αὐτῷ καὶ οἱ μισοῦντες αὐτὸν μὴ ἀναστήτωσαν*” (Deut. 33, 11 BGT).

„*ყოველი იგი ნატყუენავი და მონაგები მათი, რომელ გამოგეკრიბოს, დაწვთ ცეცხლითა წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა, და იყავნ იგი ოკერ უკუნისამდე ჟამთა და ნულარა აღეშენებინ!*“ (მეორე სჯ. 13, 17 S B AK).

“*καὶ πάντα τὰ σκῦλα αὐτῆς συνάξεις εἰς τὰς διόδους αὐτῆς καὶ ἐμπρήσεις τὴν πόλιν ἐν πυρὶ καὶ πάντα τὰ σκῦλα αὐτῆς πανδημει ἐναντίον κυρίου τοῦ θεοῦ σου καὶ ἔσται ἀοίκητος εἰς τὸν αἰῶνα οὐκ ἀνοικοδομηθήσεται*” ἔτι (Deut. 13, 17 BGT).

„მპარავი იგი **ნულარა** იპარავნ, არამედ უფროდსლა შურებოდენ და იქმოდენ კელითა თვსითა“ (საკ. ახ. აღთქ. 4, 28).

„სახელი ჩუნ ყოველთაჲ წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ და **ნულარა** აღვლცნ, რამეთუ მრავალთაჲ აღიკოცოს შეცოდებულთაჲ“ (სინ. მრ. 169, 36).

ამრიგად, ქართულ ნაწილაკთა კომბინაციით მიღებული რთული უარყოფითი **ნულარა** ნაწილაკი ადეკვატურად ახერხებს სათანადო შინაარსის გადმოცემას როგორც თარგმანის, ისე – ორიგინალური ძეგლების შემთხვევაშიც.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) მონაცემების მიხედვით, ძველ ქართულ ტექსტებში **ნულარა**-ს გამოყენების სულ 202 შემთხვევა დასტურდება აკრძალვის, გაფრთხილებისა და მოწოდების კონტექსტებში:

„**ნულარა**“ ნაწილაკის გამოყენება დეონტური სემანტიკით

ცხრილი N 6

GNC	აწმყო	აწმყოს ხოლმეობითი
ნულარა	173	29

ბოლოს, არც **ნულარა** ნაწილაკი არღვევს ზოგად ტენდენციას, ისიც მხოლოდ ერთხელ დასტურდება დეონტური სემანტიკის გამომხატველ ტევება ზმნასთან:

„სული ცოდვისაჲ არს ხუცესსა ამას თანა და **ნულარა** უტეობ მას მოსლვად შენ თანა“ (მამ. სწ. და თხრ., 356, 34).

3.3.1.4. ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკების პოზიცია დეონტური სემანტიკის მქონე კონსტრუქციებში

ქართული ენისთვის უარყოფით ნაწილაკთა პრეპოზიციურად გამოყენებაა დამახასიათებელი. ეს ზოგადი წესი არ ირღვევა ძველ ქართულ თარგმანებშიც, მცირე გამონაკლისების გარდა, როდესაც თარგმანის ტექნიკა მაინც იჩენს ხოლმე თავს.

ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკი უსწრებს სათანადო მწკრივის ფორმებს და გაუთიშავი წყობით ქმნის დეონტური სემანტიკის კონსტრუქციას:

„ხოლო უფალმან თქუა: **ნუ მოეხლები აქა!** წარიკადენ ჯამლნი ფერჯთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა შენ, ქუეყანა წმიდა არს“ (გამ. 3, 5, S O J B AK) – აკრძალვა.

“καὶ εἶπεν **μὴ ἐγγίστη**ς ἄθε λῆσαι τὸ ὑπόδημα ἐκ τῶν ποδῶν σου ὁ γὰρ τόπος ἐν ᾧ σὺ εἶσθηκας γῆ ἁγία ἐστίν” (Exod. 3, 5 BGT).

„სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს, ხოლო იესო ჰრქვა მათ: **ნუ სტიროთ**, რამეთუ ყრმა ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს“ (ლ. 8, 50, S) – გამხნეება.

“ὁ δὲ Ἰησοῦς ἀκούσας ἀπεκρίθη αὐτῷ· **μὴ φοβῶν**, μόνον πίστευσον, καὶ σωθήσεται” (Lk. 8, 50 BGT).

„და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტვევებთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა, და **ნუ შემოყვანებ** ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰსნენ ჩვენ ბოროტისაგან“ (ლ.11, 4, S) – თხოვნა.

“καὶ ἄφεσ ἰμῖν τὰς ἁμαρτίας ἡμῶν, καὶ γὰρ αὐτοὶ ἀφίομεν παντὶ ὀφείλοντι ἡμῖν· καὶ **μὴ εἰσενεγκῆτε** ἡμᾶς εἰς πειρασμόν” (Lk. 11, 4 BGT).

„**ნუ ისმენთ** სიტყუათა მის წინაწარმეტყუელისათა, ნუცა მის ჩუენების მხილველისათა, რამეთუ გამოცდით გამოცდის თქუენ უფალი ღმერთი თქუენი, გიყუარდეს თუ თქუენ უფალი ღმერთი თქუენი ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა“ (რჯლ. 13, 4 AK) – მითითება.

“**σὺκ ἀκούσεσθε** τῶν λόγων τοῦ προφήτου ἐκείνου ἢ τοῦ ἐνυπνιαζομένου τὸ ἐνύπνιον ἐκεῖνο ὅτι πειράζει κύριος ὁ θεὸς ὑμᾶς εἰδέναι εἰ ἀγαπᾶτε κύριον τὸν θεὸν ὑμῶν ἐξ ὅλης τῆς καρδίας ὑμῶν καὶ ἐξ ὅλης τῆς ψυχῆς ὑμῶν” (Deut. 13, 4 BGT).

„**ნუ** მისცემთ სიწმიდეს ძალღმერთს, **ნუცა დაუდებთ** მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღმერთს“ (მ. 7, 6, C) – მითითება.

“**Μὴ δῶτε** τὸ ἅγιον τοῖς κυσὶν **μηδὲ βάλητε** τοὺς μαργαρίτας ὑμῶν ἔμπροσθεν τῶν χοίρων, μήποτε καταπατήσουσιν αὐτοὺς ἐν τοῖς ποσὶν αὐτῶν καὶ στραφέντες ῥήξωσιν ὑμᾶς” (Matt. 7, 6 BGT).

„ხოლო შენ რაჟამს ქველს-იქმოდი, **ნუ აგრძნობნ** მარცხენს შენი, რასა იქმოდის მარჯუენს შენი“ (მ. 6, 3, C DE FG HIK S) – მითითება.

“σοῦ δὲ ποιῶντος ἐλεημοσύνην **μη γνώτω** ἡ ἀριστερά σου τί ποιεῖ ἡ δεξιὰ σου” (Matt. 6, 3 BGT).

„**ნუ იყოფივდ** შენდა სხუა ღმერთ ზემსა გარეშე“ (რჯლ. 5, 7, AK) – გაფრთხილება.
“**σὺκ ἔσονται** σοι θεοὶ ἕτεροι πρὸ προσώπου μου” (Deut. 5, 7 BGT).

„და იყოს მარადის უძლიერეს კლდისა. **ნუ გეშინინ** მათგან, **ნუცა შესძრწუნდები** პირისა მათისაგან, რამეთუ სახლი განმამწარებელთად არს“ (ეზეკ. 3, 9, OJ G) – გამხნეება.

“καὶ ἔσται διὰ παντὸς κραταιότερον πέτρας **μη φοβηθῆς** ἀπ’ αὐτῶν **μηδὲ πτοηθῆς** ἀπὸ προσώπου αὐτῶν διότι οἶκος παραπικραίνων ἐστίν” (Ezek. 3, 9 BGT).

„და აწ **ნულარა ურზ იქმნები**, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტესსა“ (აგ. ძეგ. I, 251, 27) – აკრძალვა.

დასტურდება **ნუ** ნაწილაკისა და მასთან კონსტრუქციაში შემავალი ზმნური ფორმის გათიშვის შემთხვევებიც, რასაც კ. დანელია ტმესურ გათიშვას უწოდებს და

რაც, ძირითადად, განპირობებულია ბერძნული წყაროს გავლენით (დანელია, 1998). უარყოფითი ნაწილაკი ზმნისაგან შეიძლება გათიშული იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით, მაგალითად, არსებითი სახელით, თანდებულიანი სახელით, ზმნისართით...

„**ნუ** ცხოვარი და ზროხა დაუკლუნენა მათ და კმა-ეყოს მათ, ანუ ყოველნი თევზნი ზღვსანი შეკრბენ და ეყოს მათ“ (რიცხ. 11, 22, S G) – აკრძალვა.

“**μη** πρόβατα καὶ βόες σφαγῆσονται αὐτοῖς καὶ ἀρκέσει αὐτοῖς ἢ πᾶν τὸ ὄψος τῆς θαλάσσης συναχθήσεται αὐτοῖς καὶ ἀρκέσει αὐτοῖς” (Num. 11, 22 BGT).

„და ამცნო მათ, მეტყუელმან: თქვენ დაიდარნეთ უკუანა კერძო ქალაქისა, **ნუ** შორს იქმნებით ქალაქისაგან და იყვენით ყოველნი მზა“ (ის. ნავ 8, 4, G) – მითითება.

“καὶ ἐνετείλατο αὐτοῖς λέγων ὑμεῖς ἐνεδρεύσατε ὀπίσω τῆς πόλεως **μη** μακρὰν γίνεσθε ἀπὸ τῆς πόλεως καὶ ἔσεσθε πάντες ἔτοιμοι” (Jos. 8, 4 BGT).

„და შენ, კაპერნაუმ, **ნუ** ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯობეთადმდე შთაჰქდე“ (ლ.10, 15, S) – აკრძალვა.

“καὶ σὺ, Καφαρναούμ, **μη** ἕως οὐρανοῦ ὑψωθήσῃ; ἕως τοῦ ἔδου καταβήσῃ” (Lk. 10, 15 BGT).

„განემორე მიერ ადგილით და **ნულარა** ვის ავნებ“ (სვ. მეს. ცხ., 21, 18) – აკრძალვა.

„კმა არს ესე აზნაურთა მათთვის ბუნებითა და **ნულარა** მეტად დამბიმდების მათ ზედა უღელი იგი“ (საკ. (ექვთ.), 208, 18) – მოწოდება.

„**ნულარა** კუალად საწყალობელ ჰყოფ თავს თვსსა შეცოდებისა მიერ“ (საკ. (ეფრ.), 263, 7) – მოწოდება.

„რომელსა ერთგზის განუძარცუავს, **ნულარა** კუალად შეიმოსს გონებითა ზრუნვასა და საურავსა მისსა“ (მამ. სწ. 195, 8) – მოწოდება.

„**ნულარა** მერმს^ა ამიერითგან დამამტკივნებ მე“ (კიმ. I, 150, 7) – თხოვნა.

„**ნულარა** კუალად ისიძვ, ჟ, უბადრუკო, და არა მოგეახლოს შენ ეშმაკი“ (მამ. ცხ., 300, 12) – მოწოდება.

ორიოდე შემთხვევაში **ნუ** / **ნუცა** ნაწილაკისა და ზმნური ფორმის გათიშვა ქართული ენის საჭიროებითაა განპირობებული, რადგან შესაბამის კონტექსტში ბერძნულში ზმნის მარტივი ფორმა დასტურდება, ქართული ენა ვერ ძებნის მის ზუსტ მარტივ შესატყვისს და იმავე შინაარსს აღწერთად წარმოადგენს შედგენილი შემასმენლის სახით. უარყოფით ნაწილაკსა და ზმნა-შემასმენელს შორის თავსდება შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი, ასე მაგალითად:

„ჰკითხვდეს მას მკედრად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და ჩუენ რამე ვყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუვის აჭირვებთ, **ნუცა ცილსა შესწამებთ** და კმა გეყავნ როჭიკი თქუენი“ (ლ. 3, 14, S) – აკრძალვა.

“ἐπιηρώτων δὲ αὐτὸν καὶ στρατεύμενοι λέγοντες· τί ποιήσωμεν καὶ ἡμεῖς; καὶ εἶπεν αὐτοῖς· μηδένα διασεΐσητε μηδὲ **συκοφανήσητε** καὶ ἀρκείσθε τοῖς ὀψωνίοις ὑμῶν” (Lk. 3, 14 BGT).

„**ნუ** გული გითქუამნ ცოლსა მოყუსისა შენისასა! **ნუცა** გული გითქუამნ სახლსა მოყუსისა შენისასა, **ნუცა** ქუეყანასა მისსა, **ნუცა** მონასა მისსა, **ნუცა** მკვეალსა მისსა. **ნუცა** ჯარსა მისსა, **ნუცა** კარაულსა მისსა, **ნუცა** საცხოვარსა მისსა, **ნუცა** ყოველივე, რაჲცა იყოს მოყუსისა შენისა!“ (რჯლ. 5, 21, AK) – მითითება.

“**ὄκ ἐπιθυμίσεις** πὴν γυναῖκα τοῦ πλησίον σου **ὄκ ἐπιθυμίσεις** πὴν οἰκίαν τοῦ πλησίον σου **ὄτε** τὸν ἀγρὸν αὐτοῦ **ὄτε** τὸν παῖδα αὐτοῦ **ὄτε** πὴν παιδίσκην αὐτοῦ **ὄτε** τοῦ βοῶς αὐτοῦ **ὄτε** τοῦ ἰποζυγίου αὐτοῦ **ὄτε** παντὸς κτήνους αὐτοῦ **ὄτε** ὅσα πῶ πλησίον σου **ἐστίν**” (Deut. 5, 21 BGT).

კვლევის ფარგლებში დავადასტურეთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **ნუ** უარყოფითი ნაწილაკი დამოუკიდებლად ზმნა-შემასმენლის გარეშე გამოხატავს დეონტურ მოდალურ შინაარსს:

„მიუგო შესაკრებელის მთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესო, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდენ და **ნუ** დღესა შაბათსა“ (ლ.13, 14, S) – აკრძალვა.

“Αποκριθεὶς δὲ ὁ ἀρχισυνάγωγος, ἀγανακτῶν ὅτι πῶ σαββάτῳ ἐθεράπευσεν ὁ Ἰησοῦς, ἔλεγεν πῶ ὄχλῳ ὅτι ἐξ ἡμέραι εἰσὶν ἐν αἷς δεῖ ἐργάζεσθαι· ἐν αὐταῖς οὖν ἐρχόμενοι θεραπεύεσθε καὶ **μὴ** τῆ ἡμέρᾳ τοῦ σαββάτου” (Lk. 13, 14 BGT).

„ხოლო იტყოდეს: **ნუ** დღესასწაულსა ამას, რადთა არა შვოთი ღუმნეს ერსა შორის“ (მ. 26, 5, S) – აკრძალვა.

“Ἐλεγον δὲ· **μὴ** ἐν τῇ ἐορτῇ, ἵνα μὴ θύρῃς γένηται ἐν πῶ λαῷ” (Matt. 26, 5 BGT).

„და მათ ელოდით თქვენ, ვიდრემდე განორძნდენ და დაგიყენნე თქვენ, რადთა არა ისხნეთ ქმარ? **ნუ** ეგრე, ასულნო ჩემნო, რამეთუ განძწარდა ჩემთვის უფროდს თქვენსა, რამეთუ ჳელი უფლისაჲ გამოვიდა ჩემ ზედა“ (რუთ. 1, 13, OJ) – მითითება.

“**μὴ** αὐτοὺς προσδέξεσθε ἕως οὗ ἀδρυσθῶσιν ἢ αὐτοῖς κατασχεθῆσθε τοῦ **μὴ** γενέσθαι ἀνδρὶ **μὴ** δὴ θυγατέρες μου ὅτι ἐπικράνθη μοι ὑπὲρ ὑμᾶς ὅτι ἐξῆλθεν ἐν ἐμοὶ χεὶρ κυρίου” (Ruth 1, 13 BGT).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართულ კონტექსტებში **ნუ** ნაწილაკის დამოუკიდებლად გამოყენება ბერძნული წყაროს გავლენითაა განპირობებული.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ **ნუ** ნაწილაკი ფუნქციურად საკმაოდ მოქნილი ენობრივი ელემენტია, საჭიროების შემთხვევაში ის ახერხებს ფუნქციონირებას ქართული ენის ბუნების შესაბამისად, მეორე მხრივ კი, ერგება სათარგმნ კონსტრუქციებს, ისე, რომ ამით არ იზრდილება სათანადო დეონტური სემანტიკის გამოხატვა.

2.3.1.5. **ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკიან კონსტრუქციათა დეონტური სემანტიკური ნიუანსები ძველ ქართულში**

როგორც დასაწყისშივე ითქვა, დეონტური მოდალობა მრავალ სემანტიკურ ნიუანსს გულისხმობს, ეს მრავალფეროვნება კარგად აისახება **ნუ / ნუცა / ნულარა** ნაწილაკებით ნაწარმოებ კონსტრუქციებში. ძველი და ახალი აღთქმის საკითხავებში ვადასტურებთ **ნუ, ნუცა, ნულარა** ნაწილაკებიან კონსტრუქციებს აკრძალვის, თხოვნის, გამხნეების, მოწოდების, გაფრთხილებისა და მითითების დეონტური მნიშვნელობებით.

ყველაზე ხშირად გვხვდება **ნუ, ნუცა, ნულარა** ნაწილაკები აკრძალვის დეონტური შინაარსის გამოსახატავად:

*„ესე ათორმეტნი წარავლინნა იესო, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა **ნუ მიხუალთ** და ქალაქსა სამარიტელთასა **ნუ შეხვალთ**.“* (მ. 10, 5, S) – აკრძალვა.

*„და ჰრქუა ერსა: იყვენით მზა, სამთა დღეთა **ნუ შეხუალთ** დედაკაცისა“* (გამ. 19, 15, S OJ B AK) – აკრძალვა.

*„და ეტყოდა კრებულსა და ჰრქუა: გამოეშოვრენით კარავთა მაგათგან კაცთა ფიცხელთასა და **ნუ შეხებებით** ყოველსავე, რომელ-რად არს მათი, ნუუკუე წარსწყმდეთ ცოდვათა მათთა თანა“* (რიცხ. 16, 26, S G AK) – აკრძალვა.

*„და სიწმიდეთაგან **ნუ გამოვალნ**, რათა არა შეაგინოს სიწმიდე იგი ღმრთისა მისისაჲ, რამეთუ წმიდაჲ, იგი ზეთი ცხებულებისაჲ ღმრთისამიერი არს მის ზედა. მე ვარ უფალი ღმერთი“* (ლევ. 21, 10, S B) – აკრძალვა.

*„გარნა კრეთსაბმელას **ნუ მოვალნ**, **ნუცა** საკურთხეველსა **შევალნ**, რამეთუ ბიწი არს მის თანა, და ვერ მივიდეს იგი შეგინებად მისა სიწმიდესა ღმრთისა მისისასა, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელი განვსწყმედ მათ“* (ლევ. 21, 23, S) – აკრძალვა.

*„და დედაკაცსა მეძავსა და შეგინებულსა **ნუ შეირთვედ** და დედაკაცსა განტევებულსა ქმრისაგან თვისსა **ნუ მოიყვანებედ**, რამეთუ წმიდა არიედ უფლისა ღმრთისა მათისა“* (ლევ. 21, 5, G S B) – აკრძალვა.

*„და თქუა, ვითარმედ: **ნუ ურჩულოებთ**, **ნუცა** იქმთ თავისა თქუენისა კერპთა გამოქანდაკებულთა მსგავსად ხატისა მამლოსა გინა დედლისა“* (რჯლ. 4, 16 AK B) – აკრძალვა.

„ნუცა ვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა გეყავნ როჭიკი თქუენი“ (ლ. 3, 4, C) – აკრძალვა.

„და განრისხნა ფარაო და თქუა: წინა განმეშორენით, წარვედით ჩემგან და ნულარა შესძინებთ ხილვად პირსა ჩემსა, რამეთუ რომელსა დღესა მეჩუენო მე შენ, მუნთქუესვე მოჰკუდე!“ (გამ. 10, 28, S OJ B AK) – აკრძალვა.

„და იხილა ლელჳ გზასა ზედა და მოვიდა მისა და არა რა პოვა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნულარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! -- და განწმა ლელჳ იგი მეყსეულად“ (მ. 21, 19, S) – აკრძალვა.

ყველა დასახელებულ მაგალითში მოსაუბრე პირი თანამოსაუბრეს **ნუ**, **ნუცა**, **ნულარა** ნაწილაკების საშუალებით მკაცრად უკრძალავს ამა თუ იმ ქმედების ჩადენას. კონტექსტში **ნუ** ნაწილაკის პარალელურად **ნუცა** ნაწილაკის გამოყენების შემთხვევაში კი მოსაუბრე აძლიერებს აკრძალვას, უკვე აკრძალულ ქმედებას ამატებს სხვა აქტს, რომლის ჩადენა ასევე მიუღებლად მიაჩნია და არ უნდა განხორციელდეს სხვა პირის მიერ.

მეორე მხრივ, ხშირია **თხოვნის** გამომხატველი **ნუ** ნაწილაკიანი მაგალითები ძველი და ახალი აღთქმის საკითხავებში:

„მან მიუგოს შინათგამო და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე, რამეთუ კარი დაჭშულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალმიც აღდგომად და მიცემად შენდა“ (ლ. 11, 7, S) – **თხოვნა**.

„მოიკსენე აბრაამისი და ისაკისი და იაკობისი – მსახურთა შენთაჲ, რომელთა ეფუცე თავისა მიმართ შენისა. ნუ მოიხილავ სიფიცხესა ზედა ამის ერისასა და უმსახურებელობათა ზედა და ცოდვათა ზედა მათთა“ (რჯლ. 9, 27, G AK) – **თხოვნა**.

„ქუეყანაო, ნუ დამფარავ სისხლთა ზედა ჯორცთა ჩემთასა, ნუცა იყოფინ ადგილი დაღადებისა ჩემისაჲ“ (იობ. 16, 19, OJ) – **თხოვნა**.

„ჰრქუა აჰრონ მოსეს: გევედრები, უფალო, ნუ მომაგებ ჩუენ ცოდვისა მისთჳს“ (რიცხ. 12, 11, S G AK) – **თხოვნა**.

„და ჰრქუა აჰრონ მოსეს: **ნუ განჰრისხნები**, უფალო, რამეთუ შენ იცი სულვად ერისად ამის“ (გამ. 32, 22, OJ B AK) – თხოვნა.

„და თქუა აბრაამ ლოთს: **ნუ არს** ბრძოლაჲ შორის ჩემსა და შენსა და შორის მწყემსთა ჩუენთა, რამეთუ კაცნი ძმანი ვართ ჩუენ“ (დაბ. 13, 8, S OJ) – თხოვნა.

„ხოლო მან ჰრქუა მათ: **ნუ მბრკოლებთ** მე, რამეთუ უფლისა მიერ წარმემართა გზად ჩემი, წარმგზავნეთ მე და წარვიდე უფლისა ჩემისა“ (დაბ. 24, 56, S OJ) – თხოვნა.

„ისწრაფეთ და აღვედით მამისა ჩემისა და არქუეთ მას: ამის იტყვს იოსებ, ძე შენი, მყო მე ღმერთმან უფალ ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა შთამოვედ ჩემდა და **ნუ ჰყოვნი**“ (დაბ. 45, 9, S OJ B) – თხოვნა.

კვლევის ფარგლებში მრავლად დადასტურდა **გამხნეების** დეონტური სემანტიკაც:

„და ვითარ იხილა იესუ სარწმუნოებაჲ იგი მათი, ჰრქუა დაჰსნილსა მას: **ნუ გეშინინ**, შვილო, მიგეტევენ შეცოდებანი შენნი!“ (მ. 9, 2, C DE FG HIK S) – **გამხნეება**.

„ანგელოზი უფლისად ჩუენებით გამოუჩნდა მას და ჰრქუა: იოსებ, ძეო დავითისო, **ნუ გეშინინ** მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი-იგი მაგისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს“ (მ. 1, 20, C DE FG HIK S) – **გამხნეება**.

„და ჰრქუა მას უფალმან: მშვიდობაჲ შენდა, **ნუ გეშინინ**, არა მოჰკუდე“ (მსაჯ. 6, 23, G) – **გამხნეება**.

„სიტყუად იწყო ჩემდა უფალმან და მრქუა მე: **ნუ გეშინინ**, **ნუცა შესძრწუნდები** მისგან, რამეთუ კელთა შენთა მიმიცემიეს ყოვლითურთ ერთ მისით და ყოვლითურთ ქუეყანით მისით და უყო მას, რადცა-იგი უყავ სეონ, მეფესა მას ამორეველთასა, რომელ-იგი დამკვდრებულ იყოს ესობონს“ (რჯლ. 3, 2, S AK) – **გამხნეება**.

ჩვენი დაკვირვებით, გამხნეების აქტი ბიბლიურ საკითხავებში შიშის დაძლევისათვის დაკავშირებული, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ შემთხვევებში **ნუ** ნაწილაკი მხოლოდ შიშის **გამომხატველ** ზმნურ ფორმებთან ქმნის დეონტური შინაარსის კონსტრუქციებს.

მეტ-ნაკლები სიხშირით ვადასტურებთ **მოწოდებისა** და **მითითების** დეონტური სემანტიკის მაგალითებსაც:

„და **ჰრეჟა** იესო მოწაფეთა თვისთა: ამისთვის **გეტყვ** თქუენ: **ნუ ჰზრუნავთ** სულისა თქუენისა, რად შჰამოთ და **ნუცა** ჯორცთა თქუენთა, რად შეიმოსოთ“ (ლ. 12, 22, S) – **მოწოდება**.

„იგულე თავი შენი და დაიცევ სული შენი ფრიად, **ნუ დაივიწყებ** ყოველთა ამათ სიტყუათა, რომელ-ესე იხილეს თუალთა შენთა და **ნუცა განიშორებ** გულისაგან შენისა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, არამედ წურთილ ჰყვნე შვილნი შენნი და შვილნი შვილთა შენთანი“ (რჯლ. 4, 9, S AK B) – **მოწოდება**.

„**ნუ** მხილველი ზუარაკსა ძმის შენისასა ანუ ცხოვარსა მისსა შეცთომილსა გზასა ზედა უგულელებლსკყოფთ მათ, მოქცევით მოუქცინე იგინი ძმასა შენსა და უკუნსცნე იგინი ძმასა შენსა“ (რჯლ. 21, 1, G) – **მოწოდება**.

„და მოიღეთ თქუენ უსუბი კონაჲ ერთი საკურებელი და დააწეთ სისხლსა მას კრავისასა და აღნიშნეთ თქუენ ზედა წყირთლთა მათ ბჰეთასა და ზღურბლსა მას, ხოლო თქუენ **ნუ გამოხუალთ** კართა მათ სახლისა თქუენისათა მიგანთიადმდე რომელსა ჟამსა“ (გამ. 12, 20, S) – **გაფრთხილება**.

„**ნუ დაიდებთ** საფასეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა, სადა მლილმან და მჰამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“ (მ. 6, 19, C DE FG HIK S) – **გაფრთხილება**.

„ეჩუენა მას უფალი და **ჰრეჟა**: **ნუ შთახუალ** ეგვპტედ არამედ დაემკვდრე ქუეყანასა მას, რომლისა მე გრჟუა შენ“ (დაბ. 26, 2, S OJ B) – **მითითება**.

„ხოლო თქუენ **ნუ სდგათ** აქა, არამედ სდევდით უკუანა მტერთა ჩუენთა და დაიჭირეთ უკუანა კერძოდ მათი და **ნუ უტევებთ** მათ შესლვად ქალაქთა მათთა, რამეთუ მიგცნა იგინი უფალმან ღმერთმან თქუენმან ჯელთა თქუენთა“ (იესო. 10, 19, G) – **მითითება**.

3.3.1.6. დასკვნა

ნუ უარყოფითი ნაწილაკი ძველი ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება, მისი გამოყენების შემთხვევებს ადრეულ ძეგლებშივე ვადასტურებთ საკმაოდ ხშირი დისტრიბუციით. **-ცა**, **-ლა**, **-რა** ნაწილაკთა დართვით **ნუ**-ს ექსპრესიული ფუნქცია ძლიერდება და მეტი გამომხატველობით გადმოიცემა დეონტური მოდალობის სხვადასხვა ხარისხი.

ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკი სხვადასხვა დეონტური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება **აწმყოსა** და **აწმყოს ხოლმეობითის** მწკრივებთან ერთად.

როგორც წესი, **ნუ / ნუცა / ნულარა** ნაწილაკი ზმნასთან პრეპოზიციურად, გაუთიშავადაა წარმოდგენილი, თუკი გვაქვს ამ ნორმიდან გადახვევის მაგალითები, ეს ფაქტი ყოველთვის განპირობებულია თარგმანის ტექნიკით ძველი და ახალი აღთქმის რედაქციებში.

ძველ ქართულში მოდალობა არ არის გრამატიკული კატეგორია, არ არსებობს ჩამოყალიბებული სისტემა მოდალობის კატეგორიისა, უბრალოდ ენაში პოტენციურად არსებული სემანტიკა გამოიხატება შინაარსობრივ დონეზე ხან ლექსიკურად რთული და მარტივი ზმნებით, ხანაც გრამატიკული საშუალებებით, როგორცაა, ჩვენს შემთხვევაში უკუთქმითი ბრძანებით **ნუ / ნუცა / ნულარა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები.

ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით გამოხატული დეონტური სემანტიკა ძველ ქართულში ნიუანსობრივად საკმაოდ მრავალფეროვანია, გამოხატავს აკრძალვას, თხოვნას, გამხნევებას, გაფრთხილებასა და მითითებას. საბოლოოდ, ამგვარი სემანტიკური მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს, **ნუ / ნუცა / ნულარა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულ ენაში დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მივიჩნიოთ.

დასასრულ, **ნუ** ნაწილაკი და მისგან ნაწარმოები **ნუცა**, **ნულარა** ნაწილაკები ფუნქციურად საკმაოდ მოქნილი ენობრივი ელემენტია, საჭიროების შემთხვევაში ისინი ახერხებენ ფუნქციონირებას ქართული ენის ბუნების შესაბამისად, მეორე მხრივ კი, ერგებიან სათარგმნ კონსტრუქციებს, ისე, რომ ამით არ იჩრდილება სათანადო დეონტური სემანტიკის გამოხატვა.

ის გარემოება, რომ **ნუ / ნუცა / ნულარა** ნაწილაკი მხოლოდ ერთეულ შემთვევებში დასტურდება დეონტური სემანტიკის გამომხატველ მოდალურ ზმნებთან ერთად, მეტყველებს **ნუ / ნუცა / ნულარა** ნაწილაკის ძლიერ დეონტურ შინაარსზე ძველ ქართულ ენაში. საფიქრებელია, რომ **ნუ / ნუცა / ნულარა** ნაწილაკის გამომხატველობითი ძალა იწვევს მის ბლოკირებას სხვა დეონტურ ზმნებთან გამოყენების მხრივ.

3.3.2. დეონტური სემანტიკის „არ(ა)“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში

„არ ნაწილაკი გამოხატავს ნეიტრალურ ან კატეგორიულ უარყოფას. ეს ნაწილაკი გამოიყენება ზმნის სამივე კილოს ფორმასთან: თხრობითი - არ აკეთებს, კავშირებითი - არ გააკეთო, ბრძანებითი - არ გააკეთო! გარკვეულ ზმნურ ფორმებთან არ ნაწილაკი ნეიტრალიზაციას განიცდის და აღნიშნავს მოქმედების უარყოფის ნეიტრალურ შედეგს: არ გამიკეთებია“ (Sharashenidze... 2019, 116). „I და II სერიის ფორმებთან არ გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას. ისევე, როგორც არ, არა გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას მაშინ, როცა I და II სერიის ზმნებთან გამოიყენება“ (ჯორბენაძე...1988, 43)“ (ღამბაშიძე, 2022, 27).

ძველ ქართულში არ(ა) უარყოფითი ნაწილაკი აკრძალვის, ნების დაურთველობის, უფლების უქონლობის, მოწოდების, შეგონების, სოციალური/სარწმუნოებრივი/მორალური ვალდებულებისა და საჭიროების დეონტურ სემანტიკას, როგორც წესი, გამოხატავს II კავშირებითისა და I კავშირებითის მწკრივებთან კომბინაციაში:

„გასმიეს სამე, რამეთუ თქუმულ არს პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლავ; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს საშჯელისა“ (მ. 5, 21 C DE FG HIK S).

“Ἦκούσατε ὅτι ἐρρέθη τοῖς ἀρχαίοις· οὐ φονεύσεις· ὁ δὲ ἄν φονεύσῃ, ἔνοχος ἔσται τῇ κρίσει” (Matt. 5, 21 BGT).

„ჰრქუა მას იესუ: მერმე წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (მ. 4, 7, C DE FG HIK S).

“Ἐφη αὐτῷ ὁ Ἰησοῦς· πάλιν γέγραπται· οὐκ ἐκπειράσεις κύριον τὸν θεόν σου” (Matt. 4, 7 BGT).

„გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: არა იძრუმო“ (მ. 5, 27, C DE FG HIK S).

“Ἦκούσατε ὅτι ἐρρέθη· οὐ μοιχεύσεις” (Matt. 5, 27 BGT).

„მერმე გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს პირველთა: არა ცილი ჰფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი“ (მ. 5, 33, C DE FG HIK S).

“Πάλιν ἠκούσατε ὅτι ἐρρέθη τοῖς ἀρχαίοις· οὐκ ἐπιορκήσεις, ἀποδώσεις δὲ πῶ κυρίῳ τοὺς ὅρκους σου” (Matt. 5, 33 BGT).

„და მაფუცა მე უფალმან ჩემმან და მრქუა მე: არა მოჰგუარო ძესა ჩემსა ასულთაგან ქანანელთაჲსა, რომელთა შოვრის დამკვდრებულ ვარ ქუეყანასა მათსა“ (დაბ. 24, 37, OJ).

“καὶ ὠρκισέν με ὁ κύριός μου λέγων οὐ λήμψῃ γυναῖκα πῶ σὶδῶ μου ἀπὸ τῶν θυγατέρων τῶν Χαναanaίων ἐν οἷς ἐγὼ παροικῶ ἐν τῇ γῆ αὐτῶν” (Gen. 24, 37 BGT).

„არამედ გზასა, რომელსა მოვიდა, მის მიერვე მიიქცეს და ქალაქსა ამას შინა არ შემოვიდეს. ამათ იტყვს უფალი“ (ის. 37, 34, S B).

“ἀλλὰ τῇ ὁδῷ ἣ ἦλθεν ἐν αὐτῇ ἀποστραφήσεται²⁰ τάδε λέγει κύριος” (Isa. 37, 34 BGT).

„ნუ სადა თქუნენ ფიცებლნი, რამეთუ ყოველი, რომელიცა თქუას ერმან ამან, ფიცებელ არს, ხოლო შიში მათი არ შეიშინოთ, არცა არ შეშფოთნეთ“ (ის. 8, 12, S B).

“μήποτε εἶπητε σκληρόν πᾶν γάρ ὁ ἐὰν εἶπῃ ὁ λαὸς οὗτος σκληρόν ἐστὶν τὸν δὲ φόβον αὐτοῦ οὐ μὴ φοβηθῆτε οὐδὲ μὴ ταραχθῆτε” (Isa. 8, 12 BGT).

²⁰ უკან დაბრუნდეს BGT.

ბერძნულში ორმაგად გამოხატული უარყოფა ასახულია ქართულ რედაქციებშიც, რომლებშიც მოქმედების უარყოფა გადმოცემულია არცა არ უარყოფითი ნაწილაკებით, არცა, თავის მხრივ, გაძლიერებულია -ცა ნაწილაკით.

„ესრეთ არქუთ ეზეკიასა, მეფესა იუდეასასა: ნუ გაცთუნებნ შენ ღმერთი შენი, რომლისა შენ მოსავ ხარ, მისდამი მეტყუელი: არ მიეცეს იერუსალემი ჯელთა მეფისა ასურასტანელთასასა“ (ის. 37, 10, S B).

“ὄντως ἐρεῖτε Ἐζεκία βασιλεῖ τῆς Ἰουδαίας μὴ σε ἀπατάτω ὁ θεός σου ἐφ’ ᾧ πεποιθὲς εἶ ἐπ’ αὐτῷ λέγων ὅτι μὴ παραδοθῆναι Ἱερουσαλημ εἰς χεῖρας βασιλέως Ἀσσυρίων” (Isa. 37, 10 BGT).

არ ნაწილაკი ძველ ქართულში დაირთავს -ცა ნაწილაკს, რის გამოც მისი ექსპრესიულობა ძლიერდება და ხაზი ესმევა მოქმედების აკრძალვის აუცილებლობას:

„ამისთვის ესრეთ იტყვს უფალი მეფესა ზედა ასურასტანელთასა: არ შემოვიდეს ქალაქსა ამას, არცა სტყორცოს მას ზედა ისარი, არცა ზედადადვას მის ზედა ფარი, არცა ამრგულივოს მის ზედა პატნეზი“ (ის. 37, 33 S B).

“διὰ τοῦτο ὄντως λέγει κύριος ἐπὶ βασιλέα Ἀσσυρίων ὅτι μὴ εἰσέλθῃ εἰς τὴν πόλιν ταύτην ὅτι δὲ μὴ βάλῃ ἐπ’ αὐτὴν βέλος ὅτι δὲ μὴ ἐπιβάλῃ ἐπ’ αὐτὴν θურεὸν ὅτι δὲ μὴ κυκλώσῃ ἐπ’ αὐτὴν χάρακα” (Isa. 37, 33 BGT).

ამ შემთხვევაშიც -ცა ნაწილაკითაა გაძლიერებული გადმოსაცემი უარყოფითი მნიშვნელობა.

„და ვენაჯი შენი არა უკუნისთულო არცა კუფხალნი ვენაჯისა შენისანი შეჰკრიბნე: გლახაკსა და მწირსა დაუტევნე იგინი. მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი“ (ლევ. 19, 10, G).²¹

“καὶ τὸν ἀμπελῶνά σου οὐκ ἐπανατρυγήσεις ὅτι δὲ τοὺς ῥῶγας τοῦ ἀμπελῶνός σου συλλέξεις πῶ πτωχῶ καὶ πῶ προσηλύτῳ καταλείψεις αὐτὰ ἐγὼ εἰμι κύριος ὁ θεὸς ὑμῶν” (Lev. 19, 10 BGT).

²¹ არცალა S.

„მხოლოსა ღმერთსა მწირსა არა ბოროტი უყოთ, არცა აჭირვებდეთ მათ, რამეთუ თქუენცა მწირ იყვენით ქუეყანასა მას ეგვიპტისასა“ (გამ. 22, 49 B).²²

„და არცა შური იძიოს ჯელმან შენმან და არცა ძური იქსენლ ძეთათჳს ერისად შენისათა“ (ლევ. 19, 54 B).²³

„რადთა არა იპოლს ნეშტი მათი და არცა წარიღონ ქრისტიანეთა“ (წამ. წმ. ორმ., 139, 40).

„თანა-გაც, რადთა სიკუდილიცა იგი მომავალი არა შეჰრაცხო სიკუდილად და არცა ბოროტად გიჩნდეს“ (ზალავ. 25, 16).

დეონტური სემანტიკის კონტექსტებში არ უარყოფითი ნაწილაკის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ძველ ქართულში გვხვდება -**და** ნაწილაკდართული ფორმებიც:

„განძლიერდი და მკნე იყავ დამარხვად და ყოფად, ვითარცა-იგი გამცნო შენ მოსე, მონამან ჩემმან, და არლა გარდააქციო მათგანი არცა მარჯუენით, არცა მარცხენით, რადთა გულისხმა-ჰყოფდე ყოველთა შინა“ (საკ. ძვ. აღ., 1, 7).

„და ეგე ვითარი არლა შესძინოს ყოფად და ყოველთა შორის ძეთა ისრაჴლისათა“ (გამ. 11, 11 B).²⁴

„იტყვს უფალი საბაოთ მოვსპო სახელები კერპთაჲ ქუზყანისაგან და არლა მერმე იყოს ქსენებაჲ მათი, და ცრუ წინადაწარმეტყუზლნი“ (ზაქ. 13, 5 B).²⁵

ზოგიერთ შემთხვევაში არლა ნაწილაკს ჩაერთვის -**ცა** ნაწილაკიც და გვაქვს არცალა უარყოფითი ნაწილაკითა და კავშირებითის მწკრივის ფორმით გამოხატული დეონტური მოდალური შინაარსი:

„მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი არა ავნო მოყვასსა შენსა და არცალა მოსტაცო“ (ლევ. 19, 41 B).²⁶

„არა სთესოთ, არცალა ლეწოთ ნებსით აღმოსრული მისი“ (ლევ. 25, 22 B).²⁷

²² > BGT.

²³ > BGT.

²⁴ > BGT.

²⁵ > BGT.

²⁶ > OJ G S AK BGT.

²⁷ > OJ G S AK BGT.

„და ჰრესა ღმერთმან ბალამს: არა მიხვდე მათ თანა, არცაღა სწყეოლ ერი იგი“
(რიცხ. 22, 9 B).²⁸

„არა გეწყალოდინ შენ იგინი წინაშე თვალთა შენთა, არცაღა მსახუროლ ათთა
სამსახურებელთა მათთა“ (მეორე რჯ. 7, 3 B).²⁹

ძველ ქართულ ტექსტებში ვადასტურებთ არა ნაწილაკზე -ვე ნაწილაკის დართვის შემთხვევებსაც. თ. ყაუხჩიშვილის თანახმად, -ვე ნაწილაკს ბერძნული ეკვივალენტი არ ეძებნება, სომხურში კი აქვს შესატყვისი ფორმა. აღნიშნული ნაწილაკი ძველ ქართულში გამოიყენება არა მხოლოდ ზმნებთან, არამედ – ყველა ტიპის მეტყველების ნაწილთან და ქართულში მას არაერთი მნიშვნელობა უდასტურდება (ყაუხჩიშვილი, 1946, 270-271). ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი – „მართლაც“, „სინამდვილეში“, „ჭეშმარიტად“. დასახელებული სემანტიკით -ვე ნაწილაკის არა უარყოფით ნაწილაკზე დართვა ამყარებს, მეტ სიძლიერეს სძენს გადმოსაცემ შინაარსს:

„და უკუეთუ შენ გამოსახო ესე თავისა შენისათჳს, არა-ვე შესცთუ
ჭეშმარიტებისაგან, რამეთუ სულსა აქუს მიდრეკაჲ და მიდევნებაჲ და
ნათესაობაჲ ჯორცთა მიმართ, რომელთა შინა მყოფ იყო“ (მატბ. კრ., 114, 23).

„ვმსახურებდე მათ ვითარცა მონაჲ, არავე დავეყენო“ (სვ. მეს. ცხ., 89, 11).

„უკუეთუ არა ინებონ, არამედ ვითარცა აქუს, ჰქონდის, რამეთუ არავე შევშინდეთ
სამებისათჳს სამებისა შეწევნითა ლუწოლად“ (საკ. (ექვთ.), 148, 4).

შესწავლილმა ემპირიულმა მასალამ აჩვენა, რომ არ(ა) და მისგან ნაწარმოები სხვა უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება ხშირია დეონტური შინაარსის გამომხატველ კონტექსტებში ძველი ქართული ენის ტექსტებში. არ / არა / არცა / არცაღა / არღა / არავე ნაწილაკებთან ცალსახაა II კავშირებითის მწკრივის ფორმების გამოყენება, შედარებით იშვიათად უარყოფით დეონტურ სემანტიკას არ / არა / არცა / არცაღა / არღა / არავე ნაწილაკები გამოხატავენ I კავშირებითის მწკრივთან შექმნილი კონსტრუქციით. ცხრილი N 7 კარგად ასახავს დეონტური მოდალობის გამომხატველ კონტექსტებში არ

²⁸ > OJ G S AK BGT.

²⁹ > OJ G S AK BGT.

/ არა / არცა / არცალა / არლა / არავე ნაწილაკთა დისტრიბუციას I და II კავშირებითის მწკრივის ფორმებთან გამოყენებისას.

არ / არა / არცა / არცალა / არლა / არავე ნაწილაკთა და I-II კავშირებითის მწკრივთა კომბინაცია დეონტური სემანტიკით

ცხრილი N 7

GNC	I კავშირებითი	II კავშირებითი
არ	34	229
არა	604	4622
არცა	150	628
არცალა	5	44
არლა	9	97
არავე	8	77

ნუ / ნუცა / ნულარა ნაწილაკებისაგან განსხვავებით არ / არა / არცა / არცალა / არლა / არავე ნაწილაკების გამოყენება სემანტიკურად შეზღუდული არ არის საკუთრივ დეონტური მოდალური შინაარსის მქონე ზმნებთან:

„არ“ და მისგან ნაწარმოები უარყოფითი ნაწილაკების დისტრიბუცია დეონტური სემანტიკის გამომხატველ აღწერით ფორმებთან

ცხრილი N 8

GNC	ჯერ- არს	თანა- აც	ზედა- აც	წეს არს	წელმწიფება აქუს	შემძლებელ არს / შესაძლებელ არს	სათანადო არს	საჭირო არს
არ						1		3
არა	510	7	1	6	47	1		11
არცა	6				1		2	
არცაღა	7					1		

წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს:

„არა ჯერ-არს ღმრთისა ცხოველისა დატევებად და ქვათა, გინა სხუათა რათმე მსახურებად“ (აგ. ძეგ. I, 38, 8).

„თქუნ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ-არს შემოსლვად თქუენი სახლსა ღმრთისასა“ (აგ. ძეგ. I, 184, 10).

„ჩუნ ქრისტეანენი ვართ და არა ჯერ-არს, ვითარმცა ვჭამეთ და ვსუთ ნაგები კერპთად“ (აგ. ძეგ. I, 185, 8).

„არა ჯერ-არს ყოვნებად, რადთა არა უყამოდ გეწიოს ღამე“ (აგ. ძეგ. I, 330, 16).

„რამეთუ არა ჯერ-იყო ცხედარსა ქუეშე დაფარვა[ღ] სანთლისა[ღ] და კელთ-იდვა რად განგებად სამცხისა[ღ] დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარ წეს იყო“ (აგ. ძეგ. I, 340, 14).

„და სმენად საღმრთოდ სიტყუად ეკლესიასა შინა, და არცა-ღა ჯერ-არს ჩუნ თანა მიღებად გესლი იგი ქუეყანისად ამის, ბილწად სავსწ, თხლწ შეზავებული, გულის-თქუმად და ზრახვად უკეთურებისად“ (მატბ. კრ., 14, 27).

„არცა არს იგი ძალისაგან სიზმართაჲსა და არცა-ღა ჯერ არს ჩუენდა თქუმად, ვითარმედ ყოველი, რომელი იხილეს წმინდათა მათ მღვდარებასა შინა ვითარმედ ჩვეულებისამებრ ბუნებისა იყო არა ღმერთისამებრი ჩვენება“ (მატბ. კრ., 13, 1).

„ცუდადმეტყუელებად შეერაცხების მეტყუელებად, არავე ჯერ არს დაფარვად ნიჭთა და მადლთა ღმერთისათა“ (მამ. სწ. და თხრ., 538, 11).

„ნუ ჰზრუნავ, შვილო, რამეთუ შენ ეგე არა **ზედა-გაც**, რამეთუ რომელმან შეაგდოს თავი თვისი უღელსა შინა მოწფობისასა და დაემორჩილოს სხვსა ნებასა, ღმერთი არა ეძიებს მისგან ესევეითარსა, რამეთუ მოწფობად არს ფრიად უზრუნველობად“ (აპოფ. (სისტ.), 162, 6).

„და არა ვიდრემე **ზედააც** მეძავსა მას სიძვსათვს პატოჲი და კაცისმკვლელსა კაცის კლვისათვს, რამეთუ ვერ ეძლო დამჭირვედ თავი თვისი საქმისა მისგან, უკუეთუ უნებლიე იყო მის ზედა ცოდვად იგი“ (თარგმ. მ. სახ., 102, 32).

„არა ჩუენ უმეტესი კრძალულება **თანა-გუაცა** მორწმუნენო?“ (თარგმ. მ. სახ., 382, 29).

„რამეთუ არა **წეს-არს** ქრისტეანეთა ჭამად და სუმად ჰურიათა თანა“ (არ. წამ. A, 199, 3).

„არ“ და მისგან ნაწარმოები უარყოფითი ნაწილაკების დისტრიბუცია დეონტური სემანტიკის გამომხატველ მარტივ ზმნებთან

ცხრილი N 9

GNC	შუენის	შეჰგავს	უწმს	მართებს	შეუძლია	უტევეს	ეგების	აუფლებს	ჯამს / ხამს	ღირს
არ			1	5		2	18	1		
არა			215		18	303	21	11	6	
არცა	1	4	12		2	3	8			19
არცაღა		25								

„არა შეჰგავს მიცემად დიდების ჭეშმარიტისა სამებისად გარნა კაცთა მიერ უმთავრესთა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა“ (ეფ. ას. ცხ., 26, 30).

„ხოლო ესე თუ არა, და ახალიცა განხეთქის, და ძუელსა არა შეჰგავს სადგმელი იგი ახლისაგანი და არავინ შთაასხის ღვწომ ახალი თხიერთა ძუელთა“ (თარგმ. ლ. სახ., 73, 29).

„ხოლო ესემცა უწყით: „უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს, იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისა“ (ლ. 12, 39, C DE FG HIK S B).

„და გამოვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, დაღაღებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: „შენ ხარ ქრისტე, ძჳ ღმრთისა ცხოელისა. და შეჰრისხნა მათ და არა უტევებდა სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ ესე არს ქრისტჳ“ (ლ. 4, 41, C DE FG HIK S).

„ხოლო ვად თქუენდა, მწიგნობართა და თარგმანთა ორგულთა, რამეთუ დაჰქსავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ და არცა შემავალთა უტევებთ შესლვად“ (მ. 23, 13, C DE FG HIK).

„ ... შეინანოს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უჴმს სინანული“ (ლ. 15, 7 C DE FG HIK B).

„რამეთუ დაღაცათუ სიტყუად იგი ძვრისზრახვისა ჭეშმარიტ იყოს, შენ არავე გიჴმს ძვრისზრახვად, რადთა არა თანამდებ ბრალისა იქმნე“ (თარგმ. მ. სახ., 305, 17).

„რამეთუ არ ეგების, თუმცა უსაშოვლოდ უკუ ეტრფო პირველთა მიზეზთა და დასაწყთა. რამეთუ რაოდენცა იყვნენ საშუალნი მიზეზნი, ყოველთა უკუტრფობისა მიერ უნდა უკუტრფობად კუალად პირველისა მიზეზისადმი და წყაროდსა“ (პრ. დიად., 38, 27).

„ეგრჳთ-ვე არცა-ღა ჩემი ეგების რადთა -მცა მას შინა ნაწილი გინათუ განუსუენებად იყო“ (ეფ. ას. ცხ., 2, 23).

„და სხუანი ყოველნი გარემოდს ჯუმილვედ მას და ბრძანებასა მისსა ელიედ. და არა უფლიედ ნებასა მისლავად და საქმედ, და ვერცა იკადრიან და გარდაჰქდიან ბრძანებასა მეფისასა“ (ეზრ. I, 435, 11 OJ).

„და ვიხილე ორნი ყორანი, რომელნი ურცხუნოდ ზედა ჰფრინვიდეს და ფრთითა პირსა სცემდეს და არა აუფლებდეს შესღვად ეკლესიად. მაშინ ვცან მე, ვითარმედ ყორანნი იგი ეშმაკნი არიან“ (ლიმ., 211, 25).

„და არა ღირს მსახურებად წინაშე დიდისა დიდებისა შენისა ამას“ (კიმ. I, 11, 29).

„და ჰრქუა: არა ჯერარს და არცა შუენის ვითარმცა დაუტევე თაყუანისცემად ღვთისად...“ (კიმ. I, 299, 18).

„განაღა არღარა ჯამს შემატებად, არცაღა უღირს თარგმანებად საქმესა ესრეთ განცხადებულსა“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 400, 14).

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ არ(ა) და მისგან ნაწარმოები სხვა ფორმების ფუნქცია ოდენ დეონტური სემანტიკის, აკრძალვის, უფლების უქონლობის, ნების დაურთველობის, მოწოდების, შეგონების, სოციალური / სარწმუნოებრივი / მორალური ვალდებულებისა და საჭიროების გამოხატვა არაა და მას ქართულ ენაში თხრობითი კილოს მქონე კონტექსტებში ფაქტების მარტივად, ნეიტრალურად უარყოფაც აკისრია, არ(ა) უარყოფითი ნაწილაკი დეონტური სემანტიკის გამომხატველ ერთ-ერთ აქტიურ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ უარყოფითი დეონტური კონოტაციის კონტექსტებში ყველაზე პროდუქტიულია არა უკუთქმითი ნაწილაკი, რომელიც ყველაზე ხშირად ქმნის დეონტური შინაარსის კონსტრუქციებს როგორც II და I კავშირებითის მწკრივებთან, ისე – საკუთრივ დეონტური მნიშვნელობის მქონე ზმნებთან, ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით არა ნაწილაკი ყველაზე ხშირად კოლოკაციას ქმნის ჯერ-არს, უტევებს, უკმს დეონტურ მოდალურ ფორმებთან.

3.3.3. დეონტური სემანტიკის „მცა“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში

-მცა ნაწილაკის შედგენილობისა და მისი ფუნქციების საკითხი არაერთ სამეცნიერო ნაშრომშია წარმოდგენილი. შენიშნულია -მცა ნაწილაკის გამოყენება ბრძანებითი კილოს ფორმებშიც – ბრძანებითი კილოს გამოხატვის ფუნქციით -მცა

ნაწილაკი ერთვოდა ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმას (ბრძანებითის მწკრივი გამორიცხული იყო) და გამოხატავდა ბრძანებას II ან III პირებისადმი ან I პირისადმი მრავლობითი რიცხვის შემთხვევაში (კოტინოვი, 1978, 106; კოტინოვი, 1986, 54; სარჯველაძე, 1997, 161; ნინუა, 1968, 120-121; ნინუა, 1971, 112-113). -მცა ნაწილაკის აღნიშნული ფუნქცია ჩვენი კვლევის ინტერესის საგანსაც წარმოადგენს, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბრძანებითი კილო და მისი მაწარმოებელი ფორმები დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებებად გვევლინება ძველ ქართულში.

უპირველესად შევხებით -მცა ნაწილაკის წარმომავლობისა და აგებულების საკითხს. ა. შანიძის თანახმად, „-მცა ნაწილაკი რთული სუფიქსია და წარმოდგება მ და ცა ნაწილებისაგან, მისი პირველი ნაწილი მ ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა, მეორე კი, ცა, არის ცნობილი კავშირი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება და კავშირს... რთული -მცა კავშირი მნიშვნელობას უძლიერებს იმ სიტყვას, რომელსაც ის დაერთვის ხოლმე“ (შანიძე, 1918, 79). თ. უთურგაიძე -მცა-ში შემავალ მ-ს უკავშირებს -მე ნაწილაკს, რომელიც თუშურ კილოში ნატვრითობის გამომხატველია. სწორედ ამას უკავშირებს თ. უთურგაიძე -მცა ნაწილაკის გამოყენებას კავშირებითი კილოს შემცველ კონტექსტებში (უთურგაიძე, 1966). ა. პაპიძის დასკვნით, „-მცა ნაწილაკის შემადგენლობაში აღდგენილი *მე ელემენტი განუსაზღვრელობითი ფუნქციის მქონე ნაწილაკი უნდა იყოს, რადგანაც ის, რაც თხრობითი კილოს ნაკვეთით განსაზღვრული, რეალური, ფაქტად აღქმული იყო, -მცა-ს დართვისთანავე ირეალურად, განუსაზღვრელად იქცეოდა. ეს ირეალურობა კი სწორედ მე-ს უნდა მიეცა წინადადებისთვის... -ცა-ს დართვა -მე-ზე იმიტომ გახდა საჭირო, რომ აუცილებელი იყო მიმართების აღნიშვნა ერთი მოქმედებისა მეორესთან, განსაზღვრა იმისა, თუ რასთან მიმართებით შეიქმნა -მე ნაწილაკით გამოხატული ირეალურობა. ამიტომაც სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად მხოლოდ -მე ნაწილაკის საშუალებით გამოიხატებოდა ირეალურობა წინადადებაში. -ცა-ს დართვა კი მოგვიანო ხანის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ირეალურობაში მომავალი დროისა და კავშირებითის მოდალობათა გარჩევა დაიწყო“ (პაპიძე, 1981, 40).

პ. გაჩეჩილაძე შესაბამის ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ -**მცა** ნაწილაკის შესატყვისად უცხოენოვან წყაროებში სხვადასხვა საშუალება დასტურდება, ესენია: კავშირებითის ფორმები (ძველ ბერძნულსა და სომხურში); უწყვეტელი (სომხურში), პლუსკვამპერფექტი და აორისტი (ძველ ბერძნულში); მასდარული კონსტრუქცია (ძველ ბერძნულსა და სომხურში); მიმღეობა ან მიმღეობა მეშველი ზმნით (სომხურში), აწმყოს კავშირებითი და აორისტის თხრობითი კილო (ძველ ბერძნულში) (გაჩეჩილაძე, 1960, 245-246). წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით ცალსახაა, რომ -**მცა** ნაწილაკის გამოყენება ძველი ქართული ენის ტექსტებში უცხო ენიდან თარგმანით არ არის განპირობებული, შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში აღარ მივმართავთ შედარებით მეთოდს და ვინტერესდებით -**მცა** ნაწილაკიანი ფორმების ოდენ დეონტური სემანტიკით. ცხადია, დეონტური მოდალობის სხვადასხვა ხარისხის გამოხატვა და იმ მოქმედებების შესრულება, რასაც დეონტური სემანტიკის კონტექსტებში მოსაუბრე პირი ითხოვს სუბიექტისგან დაკავშირებულია მომავალ დროსთან, რომელსაც, თავის მხრივ, თან ახლავს ირეალურობის შინაარსი, ამიტომაც, ვფიქრობთ, სადავო არაა, რომ -**მცა** ნაწილაკის ერთ-ერთ ფუნქციას, გარდა კავშირებითისა, ბრძანებითი კილოს გამოხატვაც წარმოადგენს. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ დეონტური სემანტიკის სხვადასხვა ტიპის გამომხატველ კონტექსტებს ძველი ქართული ენის ტექსტებიდან:

„ოდეს ძილისაგან აღსდგე, პირველად ყოვლისა ადიდებდესმცა პირი შენი ღმერთსა და ნუ მეყსეულად იწყებ კანონსა შენსა“ (მამ. სწ., 82, 28) – **სარწმუნოებრივი ვალდებულება.**

„საუკუნოდ ნუ გნებავს განშორებაჲ ჩუენი და გაკსოვთ-მცა მარადის წმიდათა შინა ლოცვათა შენთა, გამორჩეულო ღმრთისაო“ (აგ. ძეგ. I, 280, 24) – **თხოვნა, მოწოდება.**

ორიოდე შემთხვევაში დეონტური სემანტიკის გამოხატვისას დასტურდება -**მცა** ნაწილაკის გამოყენება არა აწმყოს, არამედ უწყვეტლისა და პირველი კავშირებითის მწკრივის ფორმებთან:

„გესმა, რამეთუ გარქუ თქუნ: წარვალ და მოვიდე თქუნდა. უკუეთუმცა გიყუარდი მე, გიხაროდამცა, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამად ჩემი უფროდს ჩემსა არს“ (ი. 14, 28 DE FG HIK) – მოწოდება, შეგონება.

„უკუეთუმცა თქუნ გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთვის დაწერა“ (ი. 5, 46, C DE FG HIK) – მოწოდება, შეგონება.

„ოდეს ძილისაგან აღსდგე, პირველად ყოვლისა ადიდებდესმცა პირი შენი ღმერთსა და ნუ მეყსეულად იწყებ კანონსა შენსა“ (მამ. სწ. და თხრ., 82, 28) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

დამოწმებული მაგალითები -მცა ნაწილაკის სემანტიკის გაბუნდოვანების ამსახველია, რადგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული და რასაც მხარს უჭერს ნორმირებული კლასიკური ძველი ქართულის ემპირიული მასალა, -მცა ნაწილაკი ვერ იგუებდა კავშირებითის მწკრივებს და მათთან ერთად არასდროს დასტურდებოდა კონსტრუქციაში (მელიქიშვილი, 1980; პაპიძე, 1981).

შემდეგ მაგალითებში ასახულია -მცა ნაწილაკის უნარი, დაერთოს არა მხოლოდ ზმნურ ფორმებს, არამედ სხვა მეტყველების ნაწილებსაც, კერძოდ, უკუთქმით ნაწილაკს, კავშირსა და ნაცვალსახელს და ამგვარად შესძინოს კონტექსტს დეონტური მოდალური სემანტიკის გაგება:

„ამან გამოჯადა იგი სამოთხით, უკუეთუმცა მცნებად იგი მარხვისა დაემარხა არამცა უფლებულ იყო ჩუნდა ხრწნილება და სიკუდილი“ (აგ. ძეგ. I, 32, 9) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„უკუეთუმცა უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არა-მცა ღირს ვიქმენ შემდგომად ქრისტესსა!“ (აგ. ძეგ. I, 70, 17) – უფლების უქონლობა.

„გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისა“ (ლ. 10, 11, C DE FG HIK) - მოწოდება, მიმართვა, გაფრთხილება.

„ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს, იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისა“ (ლ. 12, 39, C DE FG HIK) - მოწოდება, მიმართვა, გაფრთხილება.

სხვადასხვა მიზეზით -მცა ნაწილაკის გამოყენების შეზღუდვის გამო ძველ ქართულშივე მცირდება მისი გამოყენება დეონტური სემანტიკის კონტექსტებშიც. „ახლადჩამოყალიბებული მყოფადისა და ზოგი სხვა გარემოების გამო -მცა-ს სინტაქსური ფუნქცია მოიშალა სალიტერატურო ენაში და საბოლოოდ მოისპო. ეს პროცესი დაიწყო XI საუკუნიდან და XVIII საუკუნის დამლევისათვის ძირითადად დასრულდა. XI საუკუნის შემდგომი პერიოდის ძეგლების ენაში -მცა ნაწილაკი არცთუ იშვიათადაა გამოყენებული, მაგრამ იგი ხშირად გვხვდება ისეთ ფორმებთან, რომლებთანაც მისი ხმარება ძვ. ქართული ენის ნორმების მიხედვით შეუძლებელი იყო“ (გაჩეჩილაძე, 1960, 252-253).

-მცა ნაწილაკის გამოყენება დეონტურ კონტექსტებში იშვიათია საშუალო ქართულის ტექსტებში, ამ მნიშვნელობით -მცა აღარ გამოიყენება უკვე „ვეფხისტყაოსნის“ ენაში.

3.4. დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვა „კატეგორიული მყოფადის“ ფორმებით

ცნობილია, რომ არაერთ ენაში მოდალობის კატეგორია დაკავშირებულია დროის კატეგორიასთან (Bybee 1988, Palmer 1990, 2001, Haan 2004). ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული ენაა, კერძოდ, ვგულისხმობთ მოდალობისა და მომავალი დროის ურთიერთმიმართებას, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის საწყის ეტაპზევე ისახება და განვითარებას პოულობს ენის არსებობის შემდგომ საფეხურებზე.

ძველ ქართულ ენაში მყოფადის გამოსახატავად მარტივ ზმნურ ფორმებთან ერთად (I კავშირებითი, II კავშირებითი) გამოიყენებოდა აღწერითი წარმოებაც – საუღლებელი ზმნის მასდარი ვითარებით ბრუნვაში „ყოფა“ ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმებთან ერთად გამოხატავდა მომავლის სპეციფიკურ სახეობას, ე.წ. კატეგორიულ მყოფადს.³⁰

³⁰ ორპირიან ფორმებში მეშველი ზმნის ფუნქციით გამოიყენებოდა მიც („მაქვს“-„მყავს“), გიც, უც (თუ სუბიექტი მხოლოდით რიცხვშია) ან მისხენ, გისხენ, უსხენ (თუ სუბიექტი მრავლობითშია).

„კატეგორიული მყოფადის“ ფორმები „მომავალში სავალდებულო, აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას გადმოსცემდა, რაც დეონტური მოდალობის ერთ-ერთი სემანტიკური ნიუანსია: „*ძმაო თეოდორე, პირველად გითხრობ შენ აქა თუ იყო, ბოსტანი მორწყვად გიც და ძმათა შეჭამადი ქმნად გიც, და ჟამნი ყოველნი ძმათა თანა ლოცვად გისხენ დაუცადებელად და ყოველი ნებად შენი დასდვა წინაშე მალლისა. ღამე არა დაწოლად ხარ და ცისკრისა ლოცვად მღვდარებით აღსრულებად გიც, ქალაქად წარსლვად ხარ ძმათა მსახურებისათვის*“ (ქრესტ. I, 306,40-44) (ციხელაშვილი, 2017, 397).³¹

ასევე:

„აკურთხე იგი და განაძლიერე, რამეთუ ღუაწლი დათმენად უც ქრისტესთვის წამებისად“ (არ. წამ. A, 9, 2).

„არამედ სმენად გიც, მდიდრისა იგი მივიღებეს კეთილი შენი“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 327, 32)...

„X საუკუნიდან ინფინიტივის მოშლასთან ერთად მყოფადის პერიფრასტულ მოდელშიც ხდება ცვლილება, მასდარს ენაცვლება მიმღეობა, რის გამოც, მოსლვად არს ტიპის ფორმები თანდათან გადის გამოყენებიდან“ (ღამბაშიძე, 2023 ბ). „საგულისხმოა, რომ მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ მოდელში ინფინიტივის მიმღეობით ჩანაცვლების შემდეგ ამ ფორმათა მოდალური შინაარსი (კატეგორიულობა, სავალდებულო და აუცილებელი მოქმედების გამოხატვა), უცვლელი დარჩა“ (ქავთარაძე, 1971, 136): „სცეთ შვილო ჩემო, რამეთუ დაფარვად მოიგონე, რამეთუ რადცა ვიდრე სიკუდილადმდე საქმედ გიც, იცის აწვე, დაღათუ ასი წელი გედვას, არამედ მითხარ, შვილო ჩემო, რად უკუე არს ბრალი შენი“ (ქრესტ. I, 306, 17).

„საბოლოოდ, საკვლევ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მყოფადის მასდარიანი წარმოება ინფინიტივის ფუნქციების შეზღუდვის შემდეგ (X საუკუნიდან) თანდათან გადის ხმარებიდან, გადმონაშთის სახით შესლვად ხარ ტიპის ფორმები გვხვდება XV-XVI საუკუნეების სამართლის ძეგლებში. რაც შეეხება

³¹ იხ. ღამბაშიძე, მ., „ჯერ-არს ყოფად“ და „ყოფად არს“ ტიპის აღწერითი წარმოების ურთიერთმიმართებისათვის. სტატია გადაცემულია დასაბუქდად „ქართველური მეცნიერების“ 2022 წლის ნომრისთვის.

მიმღობიან პერიფრასტულ წარმოებას, ის უფრო დიდხანს განაგრძობს ენაში ფუნქციონირებას. ამგვარი ფორმები XVIII საუკუნის ჩათვლით სისტემებზე იხმარება ქართულ წერილობით ძეგლებში“ (დამბაშიძე, 2023 ბ).

3.5. დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები

3.5.1. დეონტური „ძალ-უც“ და „ველ-ეწიფების“

დინამიკური მოდალობა ერთგვარ სემანტიკურ საყრდენს წარმოადგენს დეონტური მოდალობისათვის, თუ დინამიკური მოდალობისათვის ამოსავალია ფიზიკური ძალა, უნარი, ცოდნა, ბუნებაში არსებული შესაძლებლობები, დეონტური მოდალური სემანტიკის შემთხვევაში ბრძანებას, აკრძალვას, გაფრთხილებას, მითითებას, უფლების ქონა-უქონლობას, ნებართვას, ნების დაურთველობას, თხოვნას, მოწოდებას, შეგონებას, სოციალურ, სარწმუნოებრივ, მორალურ ვალდებულებასა და საჭიროებას განაპირობებს სწორედ ის ადამიანური შესაძლებლობები, რომლებიც ბუნებაშია მოცემული დასაბამიდან, რადგან ყოველივე, რასაც მოსაუბრე ითხოვს, ადამიანის მიერ უნდა შესრულდეს, უბრალოდ, ის, რაც სამყაროში არსებობს ადამიანურ საწყისად, კონკრეტული სუბიექტისთვის შესაძლებელია ან აღემატება მის შესაძლებლობებს, რაც განაპირობებს დეონტური სემანტიკით მოთხოვნილის შესრულების შედეგს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი ფორმები დეონტური მნიშვნელობითაც დასტურდებოდეს, ასეთებია ძალ-უც და ველ-ეწიფების რთული ზმნები ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში, რომლებიც დეონტური შინაარსითაც ერთმანეთის სემანტიკურ შესატყვისებს წარმოადგენენ:

„და ჩუენ ვერ ველ-გუეწიფების მიცემად მათა ცოლი ასულთაგან ჩუენტა, რამეთუ ვფუცეთ ძეთა ისრაწლისათა და ვთქუთ: წყეულ იყავნ, რომელმან მისცეს ცოლი ბენიამენს!“ (მსაჯ. 21, 18, OJ S).

შდრ.: „რამეთუ ჩუენ ვერ ძალ-გვც მიცემაჲ მათი ცოლთაჲ ასულთაგან ჩუენტა, რამეთუ ვფუცეთ ძეთა ისრაელისათა, მეტყუელთა: წყულ იყავნ, რომელმან მისცეს ცოლი ბენიამინსა“ (იქვე, G).

„ანუ ვითარ **ჯელ-გეწიფების** რქუმაჲ: „ძმაო, მიტევე, და აღმოგილო წუელი თუალისაგან შენისა, და შენ დირესა თუალისა შენისასა არა ჰხედავ?“ (ლ. 6, 42 DE FG HIK).

„და რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, ვერ **ჯელ-ეწიფების** მოწაფე-ყოფად ჩემდა“ (ლ. 14, 27 C DE FG HIK)...

ცხადია, ძალ-უც და **ჯელ-ეწიფების** ფორმებისთვის ამოსავალი დინამიკური სემანტიკაა, მათი გამოყენება დეონტურ კონტექსტებში შედარებით იშვიათია, მაგრამ დადასტურებული კონტექსტები ცალსახად აჩვენებს მოდალობის ამ ორ ტიპს შორის კავშირს.

3.5.2. ჯერ-არს.

ძველსა და საშუალ ქართულში არსებული მოდალური სემანტიკის მქონე რთულ ფორმათაგან გამორჩეულია **ჯერ-არს** რთული ზმნა, რომელიც ყველაზე მეტადაა მიდრეკილი მოდალური ელემენტობისაკენ. **ჯელ-ეწიფების** და **ძალ-უც** რთულ ზმნათაგან განსხვავებით, **ჯერ-არს** დევერბალიზებულია, ძველ ქართულშივე უპირო ფორმადაა ქცეული, მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება მხოლოდ **ჯერ-ყოფა** ზმნის („ჯერ-ყოფა“ – დაკმაყოფილება (სარჯველაძე, 1995, 278)³²) მესამე პირის ფორმა, რომელიც ძველ სამწერლობო ქართულში ლექსიკური შინაარსით აღარაა დატვირთული – „ჯერ-ყოფა“ – «ღირ-», «სათანადო ყოფა», ღირს ყოფა, შესაფერისობა, «გება» (აბულაძე, 1973, 574)). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ **ჯერ-არს** ზმნის გრამატიკალიზაცია მოდალურ ნაწილაკად დაიწყო ძველ ქართულში,

³² „ჯერ-ყოფა“ (დაკმაყოფილება) ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება, თანაც არა რთულ ზმნათათვის დამახასიათებელი დაწერილობით: ჯერ ვარ, ჯერ ხარ. აღნიშნული ფორმები კი მოდალობის კატეგორიასთან კავშირს არ ავლენენ.

თუმცა ამ პროცესს **ჯერ-არს** ფორმის შემთხვევაში ხელი შეუშალა ძველ ქართულში პარალელურად მიმდინარე რთულ ზმნათა რღვევისა და ორგანულ წარმოებაზე გადასვლის პროცესმა (X-XI სს.) (ქავთარაძე, 1964, 162). დროთა განმავლობაში **ჯერ-არს** ზმნაც ისევე გავიდა გამოყენებიდან, როგორც ყველა სხვა დანარჩენი რთული ზმნა,³³ მისი მოდალური სემანტიკის გამოხატვა კი სხვა ორგანული წარმოების ფორმებმა ითავეს.

ძველ ქართულში **ჯერ-არს** რთული ზმნის ამოსავალი, თავდაპირველი ფუნქცია დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვაა, სწორედ ამ სემანტიკის, მოლაპარაკე პირის კატეგორიულობისა და მოქმედების შესრულების აუცილებლობის საფუძველზე, აღნიშნული რთული ზმნა ძველ ქართულშივე იძენს ეპისტემურ მოდალურ შინაარსსაც, რაზეც სპეციალურ თავში გვექნება მსჯელობა წარმოდგენილი (იხ. თავი 4.2.). **ჯერ-არს** რთული ზმნის შემთხვევაში დეონტური სემანტიკა მკვეთრადაა გამოხატული მთელი ძველი ქართული ენის პერიოდის მანძილზე:

„ეტყოდა იოანე ჰეროდეს, ვითარმედ: „არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმისცოლი შენი“ (მრკ. 6, 18, C DE FG HIK) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„ხოლო აწ, საყუარელნო, ჯერ-არს ჩუენდაცა ამიერითაგან უმეტსსად-ლა შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მოწამეთა“ (აგ. ძეგ. I, 76, 7) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„არა ჯერ-არს ღმრთისა ცხოველისა დატევებად და ქვათა, გინა სხუათა რათმე მსახურებად“ (აგ. ძეგ. I, 38, 8) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„ჩუენ ქრისტეანენი ვართ და არა ჯერ-არს, ვითარმცა ვჭამეთ და ვსუთ ნაგები კერპთად“ (აგ. ძეგ. I, 185, 8) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„ამისთვისცა ჯერ-არს რადთა ეკლესიად აღვაშენოთ, სადაცა გვბრძანოს ჩუენ უფალმან“ (აგ. ძეგ. I, 220, 14) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„ჯერ-არს მადლისა მიცემად ღმრთისა, რომელმან ყო ჩუენ შორის საკვრველი ესე“ (აგ. ძეგ. I, 223, 17) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

³³ არ ვგულისხმობთ სტილისტური თვალსაზრისით, არქაიზაციის მიზნით, „ჯერ-არს“ ფორმის გამოყენებას საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდის ტექსტებში.

„უფროდსად ჯერ-არს კითხვად წესისა და შჯულისა მასწავლელისადა“
(აგ. ძეგ. I, 290, 12) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„და უფროდს შენსა ჯერ -არს სმენად სიტყუათა მისთად, რომელმანცა ბრძანა,
ვითარმედ: „ვერვის კელ-ეწიფების მონებად ორთა უფალთად“ (აგ. ძეგ. I, 274, 17) –
სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„[ჯ]ერ-არს, რადთა ყოველთა ტრაპეზობათა წიგნი იკითხვოდის ყოველ[თა]
დღეთა“ (ქართ. სამართ. ძეგლ., III, 138, 23) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„ხოლო ჯერ-არს, რადთა ყოველთავე მღდელთა და დიაკონთა მესამესა დღესა
ჟამი უწირონ უსასყიდლოდ ძმასა მიცვალებულსა“ (ქართ. სამართ. ძეგლ., III,
149, 27) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„თქუნენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ-არს შემოსლვად თქუენი სახლსა
დმრთისასა“ (აგ. ძეგ. I, 184, 10) – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).

„ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რადთა განვიძარცვო შიში ჯორცთა ამათ ჩემთად“
(აგ. ძეგ. I, 68, 7) – მორალური ვალდებულება.

„ხოლო ჯერ-არს, რადთა მოვიკსენოთ ერთი მოწაფეთაგანი წმიდისა იოვანესთად“
(აგ. ძეგ. I, 221, 35) – მორალური ვალდებულება.

„ჰრქუა კურაპალატმან წმიდასა მას: „ჯერ-არს კელმწიფეთა მორჩილებადა,
რადსათვს არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“ (აგ. ძეგ. I, 274, 9-10)
– სოციალური ვალდებულება.

„ჯერ-იყო პირველად მღდელთ მოძღუართაგან ბრძანებადა“ (აგ. ძეგ. I, 288, 23) –
ვალდებულება, საჭიროება.

„თქუნენგან ჯერ-არს განსაგებელი თქუენი განგებად, აწ თქუთ!“ (აგ. ძეგ. I, 289, 11)
– ვალდებულება, საჭიროება.

„და ვითარცა ჯერ-იყო, დაიურვნა ყოველნი კეთილად“ (აგ. ძეგ. I, 278, 27) –
საჭიროება.

„ჯერ-არს უწყებად ესე ნეტარისა გრიგოლს რამეთუ იგი არს წინამძღუარი
საქმისადა ამის“ (აგ. ძეგ. I, 300, 4) – საჭიროება.

მოყვანილი კონტექსტებიდან ჩანს, რომ ჯერ-არს ზმნა საკმაოდ პროდუქტიული
იყო ძველ სალიტერატურო ქართულში და გამოხატავდა დეონტური მოდალობის,

კერძოდ, სარწმუნოებრივი, მორალური, სოციალური ვალდებულებისა და საჭიროების სემანტიკურ ნიუანსებს.

3.5.3. თანა-აც

შემდეგი რთული ფორმა, რომელიც დასტურდება ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად, არის **თანა-დება** („თანა-დება - მართება, ვალის ქონება“ (აბულაძე, 1973, 175)). ამ რთული ზმნის პირველი კომპონენტი **თანა** ზმნისართია (ი. იმნაიშვილი... 1996, 558), იგივე – ადგილობითი ზმნისწინი (ტერმინი ეკუთვნის ირ. ვეშაპიძეს), გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა ჩვეულებრივ ზმნებს წინ უძღვის ელემენტები, რომლებიც, როგორც წესი, ქართულში ზმნისწინებად არ გამოიყენება (დანელია, 1998, 46), რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც თანაობის გამოხატვა წარმოადგენს (დანელია, 1998, 48), ზმნური კომპონენტი კი ფუძემონაცვლე ზმნაა (დება/ცემა), რომელიც „ქონების“ მნიშვნელობით გამოიყენება სხვადასხვა სიტყვასთან (ძალ, ჰელ, თავ...) (აბულაძე, 1973, 138). ამ ორი კომპონენტის კომბინაცია კი გვაძლევს ვალდებულების სემანტიკას:

„ამიერითგან არღარაჲ თანა-მაც სიტყვსაებრ წმინდისა პავლე მოციქულისა, რამეთუ სრბაჲ აღმისრულებიეს, და აწ მოცალეზაჲ ჯერ-არს ჩემდა“ (ბალავ., 66, 20) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„ხოლო თანა გვაც ჩუენ ძლიერთა უძღურებათა მათ უსუსურთასა ტვრთვად“ (რომ. 928, 25 B) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„ხოლო ჩუენ თანა გვაც მაღლობაჲ ღმრთისაჲ მარადის თქუენთჳს ძმანო“ (თეს. 965, 6 B) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„ამისთვისცა თანა გვაც მარადის განკითხვაჲ და ბრალობა თავთა ჩვენთა“ (კლემ., 291, 22) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„და თქუენცა თანა გაც ურთიერთას დაბანად ფერჯთა რამეთუ სახე მიგეც თქუენ“ (ი. 13, 37 B) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„და ეგრეთ-ვე მათ თანა აც მოთმინებაჲ და არა სულ მოკლეობით დრტუნვაჲ“ (პეტრ. ტიპ., 106, 20) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„და არა ხოლო ესე ოდენ თანა აც წინამძღუარსა, რადთა ჯორციელთათჳს ხოლო ზრუნვიდეს“ (პეტრ. ტიპ., 106, 26) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„და თანა აც ყოველთა მღდელთა და ძმათა ბრწყინვალედ დღესასწაულობად ყოვლითა განგებითა“ (პეტრ. ტიპ., 109, 20) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„ვითარმედ მონანი ვართ უხმანი, რომელი თანა გვედვა ყოფად ვყავთ“ (კლემ., 90, 15) – სოციალური ვალდებულება.

„მე გბოლვილსა ვჰამ უღირსი, რომელსა თანამედვა ჰამად მტუერისა და ნაცრისად“ (მამ. სწ. და თხრ., 200, 35) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„ვინათგან უძღურ იქმნენით სასმენელითა და რამეთუ თანა გედვა რადთამცა იყვენით მოძღუარ ჟამისა ამისგან“ (ებრ. 976, 19 B) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„რომელსა ვინადთგან თანაედვა მსახურებად ბუნებითისა მის რჩულისა“ (ზას. დიდ. ცხ., 23, 18) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„რამეთუ განიცინნა, რომელსა თანაედვა ტირილად, რამეთუ სიყუარულსა ჰამს“ (მამ. სწ. და თხრ., 177, 4) – მორალური ვალდებულება.

„არამედ მათ ეტყჳს, რომელთა არაა თანაედვის სხჳსა განკითხვად ანუ მხილებად“ (თარგმ. მ. სახ., 71, 31) – მორალური ვალდებულება.

როგორც მოყვანილი კონტექსტებიდან ჩანს, ძველ ქართულ ენაში თანა-აც რთული ზმნაც სხვადასხვა პირის, რიცხვისა და მწკრივის ფორმით ნათლად გამოხატავდა სხვადასხვა ტიპის, სარწმუნოებრივი, მორალური თუ სოციალური ვალდებულების სემანტიკებს. ამ მოდალური ფორმის შინაარსის განმსაზღვრელად კი მისი ორივე კომპონენტი გვესახება. როგორც ცნობილია, თანა თანდებულის ფუნქცია თანაობის, რაიმეს თანხლების გამოხატვაა (ჯორბენაძე... 1988, 188), სხვადასხვა ტიპის ვალდებულების შეგრძნება კი სწორედ პიროვნების არსებობის თანმხლებ ფაქტს უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება ზმნურ დება ნაწილს, ძველი ქართულიდან მოყოლებული ეს ფორმა არაერთი რთული ზმნისა (თანა-დება, ზედა-დება, თავს-დება) და ფრაზეოლოგიური გამონათქვამის შექმნაში მონაწილეობს (სასჯელის დადება, ბრალის დადება, ხარკის დადება, ვალის დადება > ვალდებულება), რომელთა

ზოგადი შინაარსი რამის კისრებისა და ვალდებულების გამოხატვაა. შესაბამისად, ძველი ქართული ენის ტექსტებში თანა-აც რთული ზმნითაც სხვადასხვა ტიპის ვალდებულების დაკისრებულობა გადმოიცემოდა.

3.5.4. ზედა-აც

კიდევ ერთი რთული ზმნა, რომლის სახელურ კომპონენტად ადგილობითი ზმნისწინია გამოყენებული, არის **ზედა-დება** (**ზედა-დება** – კისრება (აბულაძე, 1973, 163). **თანა-დება**-ს მსგავსად **ზედა-დება** რთული ზმნის სემანტიკაც ძალიან საინტერესოა. „ქონების“ მნიშვნელობის მქონე ზმნურ ფორმასთან (აბულაძე, 1973, 138) საზედაო მიმართულების გამომხატველი თანდებულის გამოყენება ვალდებულების სემანტიკის გადმოსაცემად განპირობებული უნდა იყოს ადამიანის უპირველესი ვალდებულებით, შეასრულოს ზეცაში, უფლის მიერ, მისთვის განსაზღვრული მოვალეობები, რომლებიც ეტაპობრივად ზოგადდება და სოციალურ ხასიათს იძენს:

„აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედამაც მისვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტევე, ჯმნულმცა ვარ შენგან“ (მამ. სწ. და თხრ., 14, 18) – **საჭიროება**.

„ოდეს-ესე თქუენ თანა ქრისტე შემიწყნარებოეს, ზედა-მაც ყოვლითა მოსწრაფებითა განსუენებად“ (ანბ. ან. პატ., 100, 8) – **სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება**.

„რამეთუ უკუეთუ დასწყებად კეთილისა და ბოროტისადა არა ჩუენგან არს, არამედ ვარსკულავთაგან, უნებლებით ვიდრემე ზედაგუაც საქმე იგი, რომელი განწესებულ არს ჩუენდა ვარსკულავთა მიერ; უკუე ტყუა სადმე შჯულმან, რომელმან თქუა განჩინებით“ (თარგმ. მ. სახ., 102, 28) – **სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება**.

„ჰქმენ დიდებისათჳს და ღმერთმან გადიდა შენ, რადღა უკუე ზედააც შენი?! გნებავსა ცხოვნებად, ქმენ მოწყალებად ცხოვნებისათჳს სულისა და ღმერთმან აცხოვნოს სული შენი, რამეთუ წერილ არს“ (მამ. სწ. და თხ., 5, 11) – **სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება**.

„ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, და ცოცხლებით მოხუდ აქა და შეუვრდი მათ. და მათ ზედა-აც მოწყალება“ (აგ. ძეგ. I, 8, 31) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„არავის ვავნო ქალაქისა მაგისგანსა და ვადულო ვის გმოზად მსახურებასა შჯულისა თვისისასა, არამედ ჩემდად ხოლო იყვენით და განმიღეთ კარი ქალაქისად, რამეთუ ითხოვდა ხილვასა ქალაქისასა და ხარკსა, რომელი ზედა-ედვა ჩუეულებისამებრ (!)“ (არ. წამ. B, 13, 2) – სოციალური ვალდებულება.

„და შენმცა შეგეწყალა იგი და მო-მცა-უწოდე თვისსა მას შენსა, რომელსა ზედა-ედვა ასი დრაჰკანი და არქუმცა მას ვედრებით, ვითარმედ: მიუტევე ამას მოვალესა შენსა, რომელი თანა-აც შენი, და მიითუალე, რომელი-იგი ჩემი ზედა-გაც ეგეზომი“ (მამ. სწ., 33, 24) – სოციალური ვალდებულება.

3.5.5. დასკვნა

ემპირიული მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ტიპის დეონტური სემანტიკა ძველი ქართული ენის ტექსტებში რამდენიმე რთული ზმნით იყო გამოხატული, ესენია, ერთი მხრივ, ძალ-უც და კელ-წიფების, რომლებმაც დინამიკური სემანტიკიდან განივითარეს დეონტური შინაარსი, მეორე მხრივ კი, საკუთრივ დეონტური მნიშვნელობის ფორმები, ჯერ-არს, თანა-აც, ზედა-აც, რომლებიც ინტერესს იწვევს როგორც აგებულების, ისე სემანტიკის თვალსაზრისით.

3.6. დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატველი სხვადასხვა ტიპის აღწერითი წარმოება

რაც შეეხება დეონტური სემანტიკის გამოხატვას, ძველ სამწერლობო ქართულშივე ოდენ დეონტური სემანტიკით კელ-წიფება ზმნის პარალელურად გამოიყენებოდა მისგან ნაწარმოები სახელზმნური აღწერითი ფორმები – კელმწიფება აქუს, კელმწიფე არს... ამ ფორმათა დეონტურ სემანტიკას განაპირობებს მათი

სახელური კომპონენტები (კელმწიფე – მთავარი, ხელისუფალი, მბრძანებელი, შემძლებელი; კელმწიფება – უფლება, ფლობა, შეძლება, მთავრობა, უფროსობა, ხელისუფლება (აბულაძე, 1973, 568)), რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან ბრძანების, აკრძალვის, ნებართვის, უფლების ქონა/უქონლობის სემანტიკასთან, ასე მაგალითად:

„და ეტყოდეს: რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მიგცა შენ კელმწიფებად ესე?“ (მარკ. 11, 28 C DE FG HIK).

„ჰრქუა მას პილატე... ანუ არა უწყია, რამეთუ კელმწიფებად მაქუს ჯუარ-ცუმად შენდა და კელმწიფებად მაქუს განტევებად შენდა“ (ი. 19, 10 DE FG HIK). შდრ.:

„კელ-მეწიფების განტევებად შენი“ (იქვე, C).

„ხოლო რადთა უწყოდით, რამეთუ კელმწიფებად აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა“ (მ. 9, 6 DE FG HIK). „რამეთუ კელმწიფც არს ძც კაცისად ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა მათთა“ (იქვე, C).

მეორე მხრივ, გვაქვს იმ ტიპის აღწერითი კონსტრუქციები, რომელთა სახელური ნაწილი თავდაპირველად დინამიკურ მოდალობასთან იყო დაკავშირებული და სწორედ ამ ნიადაგზე განივითარა დეონტური მნიშვნელობაც, კერძოდ, ვგულისხმობთ ძალ სახელური ძირისაგან ნაწარმოები მიმღეობებითა და ყოფნა ზმნით გამოხატულ აღწერით კონსტრუქციებს:

„ჰრქუა მათ პილატე: „და ვითარ შემძლებელ ვარ მე, კარანი, განკითხვად მეუფისა?“ (ნიკ. სახ., 2, 13).

„რომელი შე-ცა-ვიპყართ, რომლისა შემძლებელ ხარ შენ განკითხვად ყოვლისა ამის ცნობად, რომლისათვის ჩუენ შეგასმენთ მაგას“. ეწამებოდეს მას სხუანიცა ჰურიანი და იტყოდეს, ვითარმედ ეგრე არს“ (საქ. მოც. (A), 24, 8).

„უნდა პავლეს ეფესოსა თანაწარსლვად, რადთა არა დაყოვნოს მრავალჟამ ასიას შინა, რამეთუ ისწრაფდა, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო მისა, დღც იგი მეერგასისც ყოფად იერუსალცმს“ (საქ. მოც. (A), 20 16).

აღნიშნული წარმოება მომავალი დროის საობიექტო მიმღეობით (შესაძლებელ) თანამედროვე ქართულშიც გამოიყენება დეონტური შინაარსის კონტექსტებში როგორც მეშველის ზმნის სრული ფორმით, ისე მიმღეობურ ნაწილზე მისი ენკლიტიკურად დართვით:

„ყველას ჰქონდა სამძიმარზე მოსვლის უფლება, მაგრამ, რატომღაც, ერთი წუთითაც არ უფიქრია, შესაძლებელი თუ იყო ისინიც მოსულიყვნენ აქ“ (ჭილ., 335).

„მაგრამ მაინც ამ აზრისაა ნიკო, თუკი, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია და დასაშვებია და მისაღებია და ბუნებრივია, მასაც ჰქონდეს თავისი აზრი“ (ჭილ., 4, 91).

ძველი ქართულის გვიანდელ ტექსტებში თავს იჩენს დეონტური სემანტიკის გამომხატველი სხვა აღწერითი კონსტრუქციებიც, ასეთებია: **სათანადო არს** და **საჭირო არს**.

სათანადო არს ტიპის აღწერით კონსტრუქციაში ყოფა მეშველ ზმნასთან ერთად გამოიყენება დანიშნულების გამომხატველი მეორეული ზედსართავი, **სათანადო** (საჭირო, ჯეროვანი (აბულაძე, 1973, 357); **სათანადობა – საჭიროება** (სარჯველაძე, 1995, 174)), რომლის ფუძეც **თანა** თანდებულია. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენდა დეონტური სემანტიკის მქონე რთული **თანა-დება** ზმნის პირველ კომპონენტს და აძლიერებდა ვალდებულების, საჭიროების შინაარსს. **სათანადო არს** ფრაზაც ნათლად მიუთითებდა საჭიროების, აუცილებლობის შინაარსზე:

„რამეთუ არა დაუცავთ მას წესსა მიზეზისასა, რამეთუ სათანადო არს, რადთა წარმოვლიდეს რადმე მიზეზისგან მიზეზოანთადმი“ (კავშ., 12, 21).

„რამეთუ იტყვს შემდგომობით, ვითარმედ ერისაგანთა-თვსსა დაკლებულობასა მრავლად უფროდს მოყვასთა შორის სათანადო არს განსჯად“ (კართ. საეკ. კრ., 39, 14).

„რომლისათვის არცა სათანადო არს ყოველსა ნაწილსა იგავთასა წულილად გამოძიებად“ (თარგმ. ლ. სახ., 268, 28).

„რამეთუ, უკუეთუ თითოეული ჩუენი უცნაურსა რად თვსსა წარჰვლიდეს გზასა, მოქენე არს წინამძღურისა, რადთა არა ღირლუანთა და უგზოთა ანუ მრავალმჯეცუვანთა შთავარდეს გზათა, რაოდენ უფროდს ჩუენდა **სათანადო არს** წინამავალი ვინმე კეთილი საჭირველისა მისთვის გზისა, რომლისათვის იოხს მამად ღმრთისად, მლოცველი სული შენი სახიერი მიძლოდის მე ქუეყანასა წრფელსა“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 363, 11).

„არამედ რადთა გაქუნდეს ცნობად, თუ ვითართა მადლთა ღმრთისაგან ღირს იქმნეს მოწამენი ზენადთგანვე, მოთხოვრებად **სათანადო არს**“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 818, 29).

საჭიროების, მოთხოვნილების დეონტურ სემანტიკაზე მისათითებლად IX საუკუნიდან ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება **საჭირო არს** აღწერითი წარმოება, რომელშიც **ყოფა** მეშველ ზმნასთან ერთად გამოყენებულია **ჭირვება** ზმნური ძირიდან (ჭირვება – „გარჯა“, „ზრუნვა“ (აბულაძე, 1973, 557)) ნაწარმოები მყოფადის საობიექტო მიმღეობა, **საჭირო** (აუცილებელი; ძნელი; საჭიროება – აუცილებლობა, მოთხოვნილება (აბულაძე, 1973, 382); საჭიროობა – საჭიროება, აუცილებლობა (სარჯველაძე, 1995, 186)):

„არავინ არს ქალწულისა შემასმენელ. ამისათვის არა აქუს მუცლად-ღებულსა ყრმასა მრეწავი, და ესე ვიდრემე ჩემდა სიტყუადცა და დუმლიად **საჭირო არს**“ (ტბ., პარხლ. მრ., 258, 30).

„აწ უკუე, ვინადთგან ესრეთ **საჭირო არს** თუალთად ჯელთა მიმართ ზიარებად, ნუუკუე და მივეახლნეთ განცდად შეტყუებასა თუალთას და ქებისა მათისა გულისკმის-ყოფით განხილვად“ (თარგმ. ქებ. ქებ., 13, 4).

„**საჭირო არს**, რადთა ესევითარნი-ესე გამოძიებანი არა თანაწარვიცონნეთ გამოუკულეველად, არამედ ორკერძოვე გამოწულილვით ჯელ-ყოფად სიტყვთ წარმოჩენად და ყოვლისავე გამოცხადებად, რავოდენნი უჯერონი ექუნი დაფარულ არიან ორთავე ამათ პირთა შინა“ (დაბ. კაც., 28, 15).

„ხოლო საჭირო არს, რაჟთა, ვითარცა მარილი რაჟმე, სიტყუათა შენთა პირი შემოვილოთ, უკუეთუ ოდენ სიტყვსგებათა მათ შენთაგან სიტყვსა რაისმე მოქსენებად შეუძლოთ“ (თხზ., 287, 11).

„ხოლო საჭირო არს თქუმად თვთ მისდა თეოდორიტესთვსცა რაჟ უწყოდით“ (კოლ., 213, 8).

საგულისხმოა, **საჭირო არს** ტიპის კონსტრუქციამ ენაში იმდენად დაიმკვიდრა ადგილი, რომ დეონტური სემანტიკის გამოსახატავად ის დღესაც გამოიყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **საჭირო არის** ან, უფრო ხშირად, **საჭიროა** ფორმით (*„დოცენტის განცდებზე ლაპარაკი საჭირო არ არის“* (ამირეჯ., 81); *„მაშასადამე, საჭიროა მეთოდების შეცვლა, ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი რომელიმე უწყების ხელში კონსოლიდაცია“* (ამირეჯ., 161)).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ დეონტური მოდალური სემანტიკა ძველ ქართულ ენაში, გარდა რთული ზმნებისა, სხვა ტიპის აღწერითი კონსტრუქციებითაც მრავლად გამოიხატებოდა, მათი ნაწილი დროთა განმავლობაში გავიდა ხმარებიდან, ნაწილი კი დღესაც აქტიურად გამოიყენება ენაში (შესაძლებელი არის / შესაძლებელია, საჭირო არის/ საჭიროა).

3.7. დეონტური სემანტიკის გამომხატველი მარტივი ზმნები ძველ ქართულში

3.7.1. დეონტური სემანტიკის რთული ზმნების ჩანაცვლება მარტივი ზმნებით

ზოგადად, ძველ ქართულში აღწერითი და მარტივი წარმოების ფორმები ერთნაირად დასტურდება როგორც თარგმნელ, ისე – ორიგინალურ ტექსტებში. თუმცა უკვე ძველ ქართულში შეინიშნება ანალიზური ფორმების სინთეზურით ჩანაცვლების ტენდენცია. ანალიზური წარმოება X-XI საუკუნეებიდან იწყებს სინთეზურ წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე, 1964, 162-165), რასაც ცხადყოფს ქართული ოთხთავის რედაქციათა ჩვენებები.

მოდალური სემანტიკის აღწერითმა **ძალ-უც** ზმნამ მარტივ წარმოებაზე გადასვლისას საკუთარი სახელური ფუძისაგან მარტივი ფორმები განივითარა

(უძლავს>შეუძლიან>შეუძლია). სხვაგვარი ვითარება გვაქვს **კელ-ეწიფების** და **ჯერ-არს** ზმნების შემთხვევაში, მათ საკუთარი სახელური ფუძისაგან ნაწარმოები მარტივი შესატყვისები არ მოეპოვებათ. მართალია, საშუალო ქართულის ძეგლებში დასტურდება **კელმწიფობს** ნასახელარი ზმნა (**კელ-ეწიფების** > **კელმწიფე** > **კელმწიფობს**), მაგრამ ეს ფორმა შესაძლებლობის სემანტიკისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შინაარსს გულისხმობს, **კელმწიფობს** ნიშნავს: მეფობს, განაგებს, მართავს (კელმწიფება – უფლება, ფლობა, შეძლება, მთავრობა, ხელისუფლობა (აბულაძე, 1973,568)). ცხადია, ამ ზმნაში მოიაზრება შეძლებისა და უფლების ქონა, მაგრამ **კელმწიფობს** ზმნის უშუალო სინონიმური შესატყვისი არ არის **შეუძლია** ფორმა, რომელიც ძველ ქართულშივე განვითარდა **ძალ-უც** ზმნის მარტივ შესატყვისად:

„დაღათუ ვერ ძალ-უც აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი“
(ლ. 11, 8 C) *არა ეძლოს* (DE FG HIK) – **მორალური ვალდებულება.**

კელ-ეწიფების ფორმისათვის კი, **ძალ** სახელური ძირის მქონე მარტივი ზმნის გარდა, დასტურდება სხვა ფორმებიც:

„კელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად?“ (მ. 9, 15 DE FG HIK) – **სარწმუნოებრივი ვალდებულება.**

შდრ.: *„ნუთუ ეგების შვილთა საქორწინისათა გლოვად?“* (იქვე, C).

რაც შეეხება **ჯერ-არს** რთულ ზმნას, მის ნაცვლად ქართული ოთხთავის რედაქციებში რამდენიმე მარტივი ვარიანტი იძებნება:

„რამეთუ ესრე ჯერ-არს ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლჳ“ (მ. 3, 15 D FG) – **მორალური ვალდებულება.**

შდრ.: *„რამეთუ ესრე შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველისა სიმართლისა“* (იქვე, C HIK).

„რამეთუ ესრე ჯერ-არს ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლჳ“ (მ. 3, 15 D FG) – **მორალური ვალდებულება.**

შდრ.: *„რამეთუ ესრე შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველისა სიმართლისა“* (იქვე, C HIK).

„ხოლო მან ვითარცა გულისხმა ყო ღონისძიებად ეშმაკისად მიუვლინა და ჰრქუა: არა ჯერარს და არცა შუენის ვითარმცა დაუტევე თაყუანისცემად ღვთისად სენაკსა შინა შენსა და მოხუედ თაყუანისცემად ჩემდა“ (კიმ. I, 299, 18) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„წმიდაო მეუფეო. შუენის ესრეთ, რადთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რადთა დაემორჩილოს მწოდებელსა თვსსა და ძმასა ანდრეას, და რადთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“ (აგ. ძეგ. II, 154, 16) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„არა ჯერარს მისი ბანად საბანელსა ჩუენსა და არცა შეჰგავს შემოსლვად მისი სადა ჩუენ შევალთ არამედ მიცემად როჭიკი საქმარად მისა“ (კიმ. I, 320, 16) – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).

„არა ჯერ-იყოა შენდაცა რადთამცა შეიწყალე მოყუასი იგი შენი“ (მ. 18, 33 DE FG HIK) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

შდრ.: „არამე ღირდა შენდაცა შეწყალებად მოყუსისა მის შენისა?“ (იქვე, C).

დეონტური სემანტიკის გამომხატველ დასახელებულ და სხვა მარტივ ზმნურ ფორმებზე სპეციალურ მსჯელობას წარმოვადგენთ შემდეგ თავებში.

3.7.2. შუენის

დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ მარტივ ზმნათაგან ერთ-ერთია შუენის, რომლის პირიანი ფორმები ძველ ქართულში V საუკუნიდან დასტურდება („შუენება – ხდომა, შეფერება, დამშვენება“ (აბულაძე, 1973, 508)):

„ღმრთეებისა ჩემისანი, გარნა აწ ესრე შოჯენის არსროჯლებად...“ (ხანმ. პალიმ., 7, 9) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„რამეთუ ესრე შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოვლისა სიმართლისა...“ (მ. 3, 15 C HIK) – მორალური ვალდებულება.

„შუენის მონაზონსა, რადთა არა კადნიერ იყოს, დაღაცათუ მარტოდ იყოს სენაკსა შინა თვსსა“ (სწ. წმ. მამ., 12, 111) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„ახლისა აღთქუმისა შჯულსა დავსდებ, რომელ შუენის ჩემდა შეწირვად. შეწირე ღმრთისა მსხურპლი ქებისად, მიუსრულე მაღალსა აღნათქუემი შენი და შენ მხადე დღესა ჭირისა შენისასა, მე გიჯსნა და შენ მადილო“ (შატბ. კოდ., 408, 17) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„იტყოდა მამად ანდრეა: შუენის მონაზონსა სამი ესე: უცხოებად, სიგლახაკე და დუმილი მოთმინებით“ (მამ. სწ., 84, 28) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„მას მამამან მაკარი: და ესოდენ ბოროტ არსა კადნიერებად? მიუგო მამამან აგათონ: არარად არს ყოველთა შორის ვნებათა უძვრეს კადნიერებისა, რამეთუ მშობელი არს იგი ყოველთა ბოროტთად, ხოლო შუენის მუშაკსა კეთილისასა, რადთა არა კადნიერობდეს, დაღათუ მარტოდ იყოს სენაკსა შინა“ (მამ. სწ., 374, 16) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„მსგავს არს იგი ხესა, რომელსა აქუნ ფურცელი, ხოლო ნაყოფი არა. და რამეთუ ოდეს აღსავსე იყოს ხე* ნაყოფითა, მაშინ ფურცელიცა უშუენიერეს არს. ესრეთვე შუენის სულსა, რადთა სიტყუათა თანა საქმენიცა აქუნდეს კეთილისანი“ (მამ. სწ., 423, 19) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„შუენისა თვთ თქუნ შორისდა განიკითხეთ ესე: შუენისა დედაკაცსა დაუბურველად წინაშე ღმრთისა ლოცვად?“ (პავ. ეპ. (CD), 1 კორ., 11, 13) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.

„ესე საქმენი შუენიან მონანულთა, რადთა განმარტოვდეს და უზრუნველ იქმნეს ყოვლისაგანვე საქმისა მსოფლიოდსა“ (მამ. სწ., 195, 25) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულების გამოსახატავად შუენის მოდალური ფორმა საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა ძველი ქართული ენის ტექსტებში.

3.7.3. შეჰგავს

V საუკუნიდან დეონტური მოდალური სემანტიკის გადმოსაცემად ძველ ქართულში გამოიყენებოდა შეჰგავს მარტივი ზმნაც („შეგვანება – შეშვენება, შეფერება“ (აბულაძე, 1973, 472):

„ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: „უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისა დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ“ (მ. 19, 10 DE FG HIK) ³⁴ – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).³⁵

„ვითარ უკუე სამართალ იყოს შენი საყდართა ზედა სამშჯავროთა აღსლვად, რომელი-ეგე არა შეგგავს, რამეთუ არა სამართალ არს ეგჰპტით თრაკედმდე ბჰობად, თანამდებისაგან მრავალთა მიზეზთაჲსა მტერისა და მბრძოლისა“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 285, 30) – უფლების უქონლობა.

„აწ უკუე იხილე, ძმაო, რამეთუ არა შეჰგავს ურჩებაჲ სიტყუასა მღდელისასა, რომელ არს კურთხევაჲ“ (ლომ., 102, 6) – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).

„ჰრქუეს: „არა შეჰგავს მაგათა ზიარებაჲ, რამეთუ ურჩ არიან და არა აღიარებენ ქრისტესა ჭეშმარიტსა ღმერთსა ღმერთად“ (კიმ. II, 170, 9) – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).

„რადთამცა ჭაბუკი იყო ლავრასა შინა და არცალა შეჰგავს ჭაბუკსა ლავრასა შინა, აწ ღმრთისა მიერ შემგავს მე რადთა წავიდე და ვიყოფვოდი მონასტერსა შინა დუმილით და მოვითმენდე სულისა ჩემისათჳს“ (კიმ. I, 204, 21) – სარწმუნოებრივი ვალდებულება“ (ლომიძე, 2021, 12-13).

როგორც ემპირიული მასალა აჩვენებს, შეჰგავს მარტივი ზმნაც ფუნქციურად საკმაოდ დატვირთული იყო დეონტური სემანტიკის სხვადასხვა ნიუანსის გამოხატვის თვალსაზრისით.

³⁴ მაგალითები დამოწმებულია ა. ლომიძის საბაკალავრო ნაშრომიდან, ხელმძღვანელი – მაგული ლამბაშძე, 2021.

³⁵ დეონტურ მოდალურ სემანტიკათა განსაზღვრა ჩვენია.

3.7.4. უკმს

IX-XI საუკუნეების ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება დეონტური სემანტიკის გამომხატველი ჯამ (ჯამ „საჭირო“ (აბულაძე, 1973, 565)) ძირისაგან ნაწარმოები ორპირიანი მარტივი ზმნური ფორმები (შდრ. ერთპირიანი ჯამს, რომელზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ):

„ხოლო იოვანე აყენებდა და ეტყოდა: „*მე მიკმს შენ მიერ ნათლისღება და შენ ჩემდა მოხუალა?*“ (ტბ., პარხლ. მრ., 304, 28) – **სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება.**

„ყავ სიყუარული, მამაო, და მასწავე მე, თუ ვითარ *მიკმს* ლოცვაჲ“ (აპოფ. (სისტ.), 40, 3) – **სარწმუნოებრივი ვალდებულება.**

„დიდი სასყიდლის მოგება რამეთუ მოთმინება *გიკმს* თქუნ, რადთა ნება ღმრთისაჲ ჰყოთ“ (ებრ. 10, 8 B) – **სარწმუნოებრივი ვალდებულება.**

„*უკმს* მონაზონსა, რადთა ვიდრე სიკუდილადმდე ჰბრძოდის ეშმაკსა“ – **სარწმუნოებრივი ვალდებულება.**

„*არა უკმს* ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა“ (სინ. მრ., 23, 38) – **საჭიროება.**

„ამისთვის ფრიადი სიბრძნე *უკმს* წინამძღუარსა“ (პეტრ. ტიპ., 87, 12) – **საჭიროება.**

საგულისხმოა, რომ **უკმს** მარტივი ზმნა გარკვეული პერიოდის მანძილზე აღარ დასტურდება წერილობით ძეგლებში, XI-XV საუკუნის ძველ და საშუალო ქართულის ტექსტებში აღნიშნული ზმნური ფორმა აღარ დასტურდება. „*საშული ქართულის გვიან ეტაპზე ვალდებულების სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებში ვადასტურებთ უკმს/უხამს ზმნასა. საინტერესოა, რომ აღნიშნული ზმნა XVI საუკუნემდე არ გვხვდება, როცა იმავე ძირის ერთპირიანი ფორმა ჯამს/ხამს IX-XIX საუკუნეებში აქტიურად გამოიყენება დეონტური სემანტიკით... როგორც ჩანს, იმავე ძირის ერთპირიანი ფორმა სემანტიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რადგან ხამს მოდალური ფორმა გარკვეული არქაული ელფერით დღესაც გამოიყენება მწერლობასა და მეტყველებაში, უკმს/უხამს ზმნა კი მხოლოდ ორი საუკუნის (XVI-XVIII სს.) მანძილზე ფუნქციონირებდა საშუალო ქართულში და ყოველგვარი*

სემანტიკური, ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური ცვლილების გარეშე გავიდა ხმარებიდან“ (ლომიძე, 2021, 21).

3.7.5. მართებს

X საუკუნიდან ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება **მართებს** მარტივი ზმნა („მართება/მართვა - მიმართვა, წარმართვა; შეშნობა“ (აბულაძე, 1973, 216)), რომელიც თავდაპირველად სასულიერო ხასიათის ტექსტებში „წარმართვის“, „განგების“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა:

„ვინ არს, რომელი განაგებს და ჰმართებს ამას ყოველსა წამისყოფითა თვისითა?“
(ამაოებ., 9, 37).

„ესევეითართითა უკუე სახითა ჰმართებდა ნეტარი იგი მოქალაქობასა ეკლესიისასა“
(მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 592, 10).

მოგვიანებით კი ძველ ქართულშივე ქართული სამართლის ტექსტებში მრავლად დასტურდება დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი **მართებს** ზმნური ფორმა, რომელსაც აღნიშნული სემანტიკა მისი თავდაპირველი „სწორად წარმართვის“, „განგების“ სემანტიკიდან უნდა განეციტარებინა:

„ეპისკოპოსთ არა მართებს საქვეყნოს საქმეში გარეუა“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 40, 6) – უფლების უქონლობა.

„მასუკან მართებს მოსამართლეს მათის სიტყუის გასინჯვა და სამართლის ქნა“
(ქართ. სამართ. ძეგლ. I, 258, 1) – სოციალური ვალდებულება.

„ქმარსაც ეს მართებს, რომე ცოლი მისის დასტურით შეირთოს“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 280, 4) – სოციალური ვალდებულება.

„ქმარი რომ ცოლსა მისსა გაეყაროს, რას გზით მართებს გაყოფა რისაც“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 28, 11) – სოციალური ვალდებულება.

„მართებს მას კაცსა ამხანაგის გულის მოგება და მოწონება მისგან საქმისა“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 253, 28) – სოციალური ვალდებულება.

„კითხონ რიგსა, თუ ყმაწვილობიდან რა ხნისას მართებს ანდერძის თქმა და უთქმელობა“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 227, 30) – უფლების ქონა.

„რა თორმეტის წლისა უფრო შეიქნების, გამოვა ებისკოპოზის კელექედამე და მასუკან მართებს და შეუძლია ანდერძის თქმა და დიათიკი“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 228, 1) – სოციალური ვალდებულება, უფლების ქონა.

სოციალური ვალდებულების, უფლების ქონა/უქონლობის სემანტიკით მართებს ზმნა ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მარტივ ზმნათა შორის, რომელსაც თანამედროვე ქართულშიც კი არ დაუკარგავს აღნიშნული სემანტიკა („ხალხს მეტი სიბრძნე, ხოლო ხელისუფლებას მეტი სულგრძელობა მართებდა“ (ამირეჯ., 499); „მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ქალს მაინც მეტი მორიდება მართებს მამაკაცისა, გინდაც, მამამთილად ეკუთვნოდეს“ (ჭილ., 56).).

3.7.6. შეუძლია

შედარებით იშვიათად ძველი ქართულის ტექსტებში შეუძლია მარტივ ზმნას დეონტური მოდალური სემანტიკითაც ვადასტურებთ, თუმცა ამ ფორმისთვის ამოსავალი მაინც დინამიკური სემანტიკის გამოხატვაა. ფ. პალმერი დინამიკურსა და დეონტურ მოდალურ სემანტიკას მოქმედების შესრულების პოტენციურობას უკავშირებს (Palmer, 2001). დეონტური მოდალობა, გარკვეულწილად, დამოკიდებულია დინამიკურ მოდალურ სემანტიკაზე, შესაძლებლობის, უნარის ქონა/უქონლობაზე. შეუძლებელია, ვბრძანოთ ან ნებართვა გავცეთ ისეთ რამეზე, რომლის შესრულებაც არ არის განპირობებული შინაგანად ან გარემო ფაქტორების გათვალისწინებით (ღამბაშიძე, 2020ბ) (ლომიძე, 2021, 19):

„დაღათუ არა ეძლოს აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი...“ (ლ. 11, 8 DE FG HIK) – მორალური ვალდებულება.

„დედაკაცს არ შეეძლო ქმრის დაუკითხავად ვალის აღება“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 571, 1) – უფლების უქონლობა.

„არამცთუ, როდისაც გინდოდეს, გაუშვათ, თუ ბოზობა არა ქნას, არ შეგიძლიათ გაშვება, რადგან მოანათულინებთ და გვირგვინს იკურთხავთ მასთან“ (ქართ. სამართ. ძეგლ. I, 319, 23) – უფლების უქონლობა.

„არამედ კეთილშობილთ გვარისა და ღირსების გარდაცემა უმეფოდ არავის შეეძლო“ (ქართ. სამართ. ძეგლ. II, 575, 13) – უფლების უქონლობა.

მიუხედავად შეუძლია ზმნის ძველ ქართულში დეონტური სემანტიკით იშვიათი დადასტურებისა, ამ ზმნის დეონტური სემანტიკა თანამედროვე ქართულშიც კი არ დაჩრდილულა და ხშირად ვხვდებით უფლების ქონა/უქონლობის გამომხატველ კონტექსტებში („განა არ გინდა იმათთან დარჩენა, არ შეგიძლია, უფლება არა გაქვს“ (ჭილ., 11, 318); „გულში უხარია, რომ, გაფიქრებით მაინც, რაც უნდა, იმის გაფიქრება შეუძლია“ (მიშვ., 371)).

3.7.7. უტევებს

IX საუკუნიდან დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ძველ ქართულ ტექსტებში ჩნდება უტევებს ზმნური ფორმა („ტევება, ტეობა - ფლობა, განტევება, უფლება, გაშვება, ნების რთვა“ (აბულაძე, 1973, 411)):

„ხოლო ვად თქუენდა, მწიგნობართა და თარგმანთა ორგულთა, რამეთუ დაჰქსავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ და არცა შემავალთა უტევებთ შესლვად“ (მ. 23, 13, C DE FG HIK) – ნების დაურთველობა.

„ხოლო თქუენ ნუ სდგათ აქა, არამედ სდევდით უკუანა მტერთა ჩუენტა და დაიჭირეთ უკუანა კერძოდ მათი და ნუ უტევებთ მათ შესლვად ქალაქთა მათთა, რამეთუ მიგცნა იგინი უფალმან ღმერთმან თქუენმან ჯელთა თქუენტა“ (იესო. 10, 19, G) – ნების დაურთველობა.

„და ვითარცა მოვიდა სახლსა მას, არავინ უტევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე, იაკობ და იოვანე, და მამად და დედად მის ყრმისად“ (ლ. 8, 51, C DE FG HIK S B) – ნების დაურთველობა.

„ხოლო ესემცა უწყით: „უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს, იღუბებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისა“ (ლ. 12, 39, C DE FG HIK S B) – ნების დაურთველობა.

„ხოლო მამამან თქუენმან დამაკლო და ცვალა სასყიდელი ჩემი ათისა ტარიგისა და არა უტევა მას ღმერთმან ბოროტის-ყოფად ჩემდა“ (დაბ. 31, 7, OJ S); არა მისცა (იქვე, B) – ნების დაურთველობა.

„ხოლო მამამან მის დედაკაცისამან არა უტევა იგი შესლვად და ჰრქუა მას: მე ვჰგონებდ და ვთქუ, ვითარმედ სიძულილით მოიძულე იგი. და მივეც იგი მოყუასსა შენსა! აწ, ესერა, და მისი უმრწემესი უმჯობეს მისა არს, იგი იყავნ შენდა ცოლად მის წილ!“ (მსაჯ. 15, 2, S) – ნების დაურთველობა.

„იყო ოდეს აღმართენ ბჭენი იერუსალჴმისანი, პირველ შაბათისა ვბრძანებდ დაჴშვად ბჭეთა და არა უტევებდი გაღებად მათა, ვიდრე გარდაჴდებოდა შაბათი. და კუალად დავადგინე ჴაბუენი მცველად, რათა არავინ იკადროს შესლვად მძლავრობით დღესა შაბათსა ბჭეთა იერუსალჴმისათა“ (ნეემ. 23, 19, S) – ნების დაურთველობა.

„და გამოვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, ლაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: „შენ ხარ ქრისტე, ძჴ ღმრთისა ცხოელისა. და შეჴრისხნა მათ და არა უტევებდა სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ ესე არს ქრისტჴ“ (ლ. 4, 41, C DE FG HIK S) – ნების დაურთველობა.

„და გარდამოვიდეს უფალი მოწყუედად ეგჴპტელთა მათ და იხილოს სისხლი იგი ზღურბლთა მათ და წყირთლთა და თანა-წარჴედეს უფალი კარსა მას და არა უტეოს მომსრველი იგი შესლვად სახლსა მას თქუენსა მისრვად“ (გამ. 12, 23, OJ) – ნების დაურთველობა.

უტევებს³⁶ მოდალური შინაარსის მარტივი ზმნა სხვადასხვა პირისა და მწკრივის ფორმით XI საუკუნის ჩათვლით საკმაოდ აქტიურად გამოიყენება დეონტურ კონტექსტებში, ნების დაურთველობის მნიშვნელობით, თუმცა ეტაპობრივად ტევ

³⁶ ტევება ზმნისგან განვითარებული უტე ნაწილაკი ნაწილაკი მხოლოდ ერთხელ დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში შუმანიკის წამების ტექსტში: „ნურარად გგლიან, უტე – მოკუდეს“ (აგ. ძეგ. I, 21, 25).

ძირი სხვადასხვა შინაარსს ივითარებს და, როგორც წესი, საშუალო ქართულში გამოიყენება „მიტოვების“, „დატოვების“, „პატიების“ სემანტიკით.

3.7.8. აუფლებს

ძველი ქართულის ტექსტებში დასტურდება დეონტური სემანტიკის კიდევ ერთი მარტივი ზმნა **აუფლებს**, რომელიც ნასახელარ ზმნათა რიცხვს მიეკუთვნება და სახელურ ფუძედ **უფალი** აქვს გამოყენებული (ფლობა „ტევება“, „უფლება“, „ნების დართვა“ (აბულაძე, 1973, 444). ძველ ქართულში დასახელებული ზმნის დეონტური სემანტიკა საკამათო არაა, რომ დაკავშირებულია უფალთან და ადამიანთათვის მისგან მინიჭებულ უფლებებთან:

„და ნუ აუფლებ დამორჩილებად ეშმაკთა, და ნუ შეიწყნარებ შენდობასა მისსა“ (მამ. სწ., 81, 18).

„ესე კაცი არა ვიცით, ვინაჲ არს, და არა აუფლებს ქალწულთა ქმრისა სუმად“ (წმ. თეკ. წამ., 54, 5).

„მეფე იგი სამხრისაჲ, და ერთი მისთაგანი განძლიერდეს მის ზედა, და უფლებდეს უფლებასა მრავალსა“ (დან. 11, 5 OJ).

„და რადთა არა საცნაურ იქმნეს სირცხული მისი, არა ვის აუფლებდა მიახლებად მისა“ (სვ. მეს. ცხ., 58, 1).

„ხოლო ადგილსა მას არავის აუფლებს მისლვად ქრისტეანეთაგანსა“ (აგ. ძეგ. I,311).

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულის საწყის ეტაპზევე **აუფლებს** ზმნამ მნიშვნელობა განივითარა და უმრავლეს შემთხვევაში ვადასტურებთ ბატონობის, გამგებლობის, ფლობის შინაარსით.

3.7.9. მარტივ ზმნათა ოდენ მე-3 პირის ფორმებით გამოხატული დეონტური მოდალური სემანტიკა

„ძველ ქართულში დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველად გვხვდება ზოგიერთ მარტივ ზმნათა ოდენ მე-3 პირის ფორმები ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ამ ზმნათა შემთხვევაში დაწყებული უნდა იყოს დევერბალიზაციის, დეკატეგორიზაციის პროცესი, რასაც, როგორც წესი, მივყავართ ფორმათა გრამატიკალიზაციამდე“ (ლამბაშიძე, 2023 ა, 198).

3.7.9.1. ეგების

„ძველ ქართულში დეონტური მოდალური სემანტიკის მქონე ზმნათა მე-3 პირის ფორმათაგან გამორჩეულია **ეგების** მოდალური ფორმა. „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ეს ფორმა შესულია საწყისად და პირიან ზმნად და განმარტებულია ამგვარად: **გება** – შეიძლება, ჯერ-ყოფა (აბულაძე, 1973); **ნუთუ ეგების** – შეიძლება (იმნაიშვილი, 1986); **გება** – შეიძლება, არ ეგებოდა – არ შეიძლებოდა (ყაუხჩიშვილი, 1959); **არ ეგების** – არ შეიძლება, არ იქნება, არა ჯერ არს (ქეგლ.)“ (შარაშენიძე, 2020, 82). **ეგების** ზმნა ძველ ქართულში VII საუკუნიდან დასტურდება და XIX საუკუნემდე აქტიურად გამოიყენება წერილობით ძეგლებში ვალდებულების, ბრძანება-აკრძალვის, ნებართვისა თუ ნების დაურთველობის მოდალური სემანტიკით. საყურადღებოა, რომ **გება** ძირის მარტივი ზმნა ძველ ქართულშივე არ ავლენს მე-3 პირის გარდა, სხვა პირის ფორმებს. თავად მე-3 პირის ფორმა კი მიდრეკილია მოდალურ ელემენტად ქცევისაკენ. დროთა განმავლობაში მან დაკარგა ზმნური ნიშნები, დაიცალა პირის გაგებისაგან და შეიძინა ნაწილაკის ფუნქცია (შარაშენიძე, 2010), თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ **ეგების** ფორმა ჯერ კიდევ ზმნური მნიშვნელობით გამოიყენება“ (ლამბაშიძე, 2023 ა, 198-199).

„და ნულარა მეტყუ, ვითარმედ **ვერ ეგების** ამათი ურთიერთას განყოფად“ (ზას. კეს., 6, 13) – საჭიროება.

„თქუნ თვთ უწყით, ვითარ არა რა ეგების კაცისა ჰურიისა მიხებად წარმართთა გინათუ შეხებად უცხოთესლთა მათ“ (საქ. მოც. A, 10, 28) – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).

„და მეცა ოვეჰოველად შეოვდგე მათ ვიდრემდის კოვლა ბოროტთა მათ ღოვრმლითა დათესოვლთა ეკლესიისა შინა და მთესვართა მათთა შეიტკობენ არარაძთა სახითა ეგების ჩემი მათ თანა ზიარებად“ (კიმ. I, 21, 12) – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).

„რამეთუ თვნიერ გზისა მის მხოლოდშობილისა ვერ ეგების თვნიერ უფლისა მის კარისადასა ვერ შევიდენ...“ (უდ. მრ., 18, 4) – უფლების უქონლობა.

„მარხვად მღდელთა სრულ-ჰყოფს, რამეთუ ვერ ეგების მღდელობად თვნიერ მარხვისა...“ (ი. ოქრ. ცხოვ., 20, 24) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„რამეთუ მპარავთა მღდელობად ვერ ეგების ეგრეთვე ცილ-ფიცობად მღდელთა არა ჯელ-ეწიფების...“ (ი. ოქრ. ცხოვ., 20, 8) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„გარნა ვინაძთგან გუამი მისი განიჭრწნა ბილწებითა მით, ვერ ეგების მღდელობად მისი“ (ი. ოქრ. ცხოვ., 20, 64) – აკრძალვა (სარწმუნოებრივ ნიადაგზე).

„რომელნი მრუდთა მართალთა თანა შეასწორებენ, რამეთუ ეგებისა კეთროვანთა და განრღუეულთა თანა ესრეთ დამდაბლებად, ხოლო მრთელთა თანა ზუაობად და განლევად ჯორცთად მარხვითა, ხოლო სულისა ზრქელებად ზუაობითა და უწყებად ფარისეველისა მის სიმაღლისა მიერ დამდაბლებისა“ (ზას. დიდ. ცხ., 64,13) – საჭიროება.

„ხოლო ჯმად მათი არს შემაშინებელ, ვითარმედ: „არა ეგებისო შესლვად მუნ შინა“ (ზას. დიდ. ცხ., 16, 27) – ნების დაურთველობა.

მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეგების ზმნური ფორმის დეონტური სემანტიკა მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი ძველი ქართული ენის ტექსტებში, დასტურდება აკრძალვის, ნების დაურთველობის, უფლების უქონლობის, ვალდებულებისა და საჭიროების ეგების მარტივი ზმნით გამოხატული კონტექსტები.

3.7.9.2. „ჯამს/ხამს

მესამე პირის ფორმით IX-XIII საუკუნეების ტექსტებში საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა („ჯამ-საჭირო“ (აბულაძე, 1973, 565); „ჯამს – ჯერარს თუ მართებს“ (საბა, 1949, 472); „ხამს – ჯერარს, საჭიროა“ (ქეგლ.]). მისი განმარტებების თანახმად, **ხამს** ფორმა გამოხატავს **საჭიროების, შეგონებისა და ვალდებულების დეონტურ მნიშვნელობებს**“ (დამბაშიძე, 2023 ა, 201).

„არა სავაზიროდ, არცა სამშჯავროდ და რადთა მოკლედ ვთქუა, ყოლადვე არასადა **ჯამს** მიახლება“ (მამ. სწ. და თხ., 107, 440) – აკრძალვა.

„არარას **ჯამს** ქმნად მეტსა განწესებულისასა, რამეთუ მრავალთა ინებეს პირველ ზეპყრობად და უკუანადსკნელ, არცაღა თუ მცირედსა შეუძლეს აღსრულებად“ (მამ. სწ. და თხ., 685,18) – აკრძალვა.

„და წარწყმიდა ყოველივე სიბრძნე თვისი და რადღა-მე **ჯამს** მრავალი თქუმად?“ (უდ. მრ., 106, 18) – მორალური ვალდებულება, საჭიროება.

„ხოლო აწ **ჯამს** და უფროსღა გაგონება ნათქუამთა მათ დაუვიწყებად“ (ქართ. ცხ. II, 53, 18) – მორალური ვალდებულება, საჭიროება.

„არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა **ჯამს** დათმენა“ (ქართ. ცხ. I, 148, 9) – საჭიროება.

„თუმცა შენ ჩემ ოდენ იცოდე, რად **ჯამს**“ (მამ. სწ., 243, 6) – საჭიროება.

„და ამისთვის კრძალვად **ჯამს**, რადთამცა ყოვლადავე არა შეეპყრა პირველივე“ (უდ. მრ., 192, 15) – საჭიროება.

„მერმე კულადად ესრწტვა განზრახვად **ჯამს**, რადთა არა გუემინოდის ამათგან...“ (მამ. ცხ., 24, 35) – საჭიროება.

„რად **ჯამს**? ხოლო მან თქუა: ლოცვად **ჯამს** ერთითა გულითა“ (სწ. წმ. მამ., 130, 25) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება, საჭიროება.

„გარნა მოთმინებად **ჯამს** და ღმრთისა მიმართ ვედრებად...“ (სწ. წმ. მამ., 111, 7) – სარწმუნოებრივი, მორალური ვალდებულება, საჭიროება.

„არა თუ სამოსელი ბრწყინვალე **ჯამს** აქა მოსად, არამედ სულისად იგი გონიერებით ღმრთის მოშიშებად“ (სინ. მრ., 79, 15) – სარწმუნოებრივი, ვალდებულება, საჭიროება.

ჯამს/ხამს მოდალური ფორმა ერთ-ერთია, რომელიც დეონტურ მოდალობას აქტიურად გამოხატავდა ძველ ქართულში თავისი სემანტიკური ნიუანსებით, რამაც განაპირობა მისი ხშირი გამოყენება მთელი საშუალო ქართულის მანძილზეც ვალდებულების სხვადასხვა ხარისხის გამომხატველ კონტექსტებში.

3.7.9.3. ღირს

„ოდენ მე-3 პირის მქონე ზმნათაგან ღირს მოდალური ფორმა ერთადერთია, რომელიც დეონტური მოდალური სემანტიკით მხოლოდ ძველ ქართულში (VIII-XI სს.) გამოიყენებოდა, სხვა მნიშვნელობებით კი ის თანამედროვე ქართულშიც აგრძელებს ფუნქციონირებას, რასაც მისი სალექსიკონო განმარტებებიც ადასტურებს („შეგვანება“, „შესაძლებელ-ყოფა“, „ჯერ-ყოფა“, მოვალედ ყოფნა, საჭირო ყოფნა, ფასის ქონება (აბულაძე, 1973, 461); შდრ.: „1. ესა თუ ის ფასი, ფულადი ღირებულება აქვს, თავისი დანიშნულებით, ღირსებით სხვა რამეს შეეფარდება, ეტოლება; 2. მნიშვნელობა აქვს, აზრი, გამართლება აქვს“ (ქეგლ.):

„მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქად იგი დაკლვად“ (ლ. 22, 7, DE FG HIK) – უფლების ქონა.³⁷

„მამანი იგი ჩუენნი მთასა ამას ზედა თაყუანის-სცემდეს, და თქუენ იტყუთ, ვითარმედ: იერუსალჴმს ხოლო არს ადგილი, სადა ღირს თაყუანის-ცემა“ (ი. 4, 20, Syn. C), ჯერ-არს (იქვე, DE FG HIK) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„სული ღმერთ არს, და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა ღირს თაყუანის-ცემა“ (ი. 4, 24, Syn. C), ჯერ-არს (იქვე, DE) თანააც (იქვე, FG HIK) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„თქუენ იცით, ვითარ-იგი ღირს ბაძვად ჩუენდა; რამეთუ არარად უჯეროდ ვყავთ თქუენ შორის“ (პავ. ეპ. (CD), 3, 7) – მორალური ვალდებულება, საჭიროება.

³⁷ დეონტურ მოდალურ სემანტიკათა განსაზღვრა ჩვენია.

„რადათმცა სიწმიდჳცა იგი მოიღეს, რამეთუ ესრჳთ ღირს, რომელნი ქრისტჳს თანა ნათელს-იღებენ“ (უდ. მრ., 5, 28) – სარწმუნოებრივი ვალდებულება, საჭიროება.

„ესე აწ სხუათაცა მამათა აღმოიკითხონ, რადთა ისწაონ, ვითარ ღირს მონაზონთა ცხორებად ყოფად და ჰრწმენეს“ (უდ. მრ., 36, 8) – სარწმუნოებრივი ვალდებულება.

„ჯერ-არს უკუე და ღირს პირველ თქუმულთა მათ თანა შერთვად ამისიცა სასწაულისა აწ აღწერადისაჲ“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 47, 21)“ – მორალური ვალდებულება, საჭიროება (ლომიძე, 2021, 22-23).

ღირს ძირის მქონე მესამე პირის ფორმების გამოყენება დეონტური სემანტიკით არცთუ ხშირია ძველი ქართულის ტექსტებში. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში დადასტურებულ ფორმათაგან უმრავლესობა „დამსახურების“, „ღირსების“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რაც ჩვენი კვლევის ინტერესს არ წარმოადგენდა.

3.7.10. დასკვნა

„რამდენადაც მარტივი ზმნური ფორმების გააქტიურება ძველი ქართულიდანვე იწყება, მოდალური სემანტიკის გამომხატველ რთულ ზმნათა გამომხატველობითი ძალა საშუალო ქართულიდან თანდათან შესუსტდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება ერთადერთი რთული ზმნა და ისიც მხოლოდ ერთხელ: „ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა-გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა“ (ვეფხ., 1122, 1). საბოლოოდ, მარტივ ფორმათა აქტიურმა გამოყენებამ თანდათან განაპირობა რთულ ზმნათა დასუსტება და ამ ტიპის აღწერითი წარმოება მოდალური სემანტიკის გამომხატველ არქაულ ლექსიკურ საშუალებად წარმოადგინა. გარკვეულ შემთხვევებში ახალ ქართულში რთულ ზმნათა გამოყენების ფაქტი მხოლოდ სტილისტურად, ტექსტისათვის არქაული ელფერის მიცემის სურვილით უნდა აიხსნას“ (დამბაშიძე, 2022, 30).

IV თავი

4.1. ეპისტემური მოდალობა ლინგვისტიკაში

ტერმინი ეპისტემური მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან “episteme”, რაც ცოდნას ნიშნავს (Wymann, 1996, 15). ეპისტემური მოდალობის ფუნქციაა, წარმოადგინოს მსჯელობა შესაძლებლობის შესახებ, რომ რაღაც არის ან არ არის ფაქტი (Palmer, 1990, 50). ეპისტემური მოდალობა თავისი არსით სუბიექტურია, რადგან აქ ფაქტებისა და მოვლენების შეფასება ეკისრება მოსაუბრეს საკუთარი ცოდნისა და მსჯელობის საფუძველზე (Palmer, 1990, 51). „მისი პარაფრაზია „ერთადერთი დასკვნა, რაც შეიძლება გამოვიტანოთ, არის ის, რომ...“. ეპისტემური გამონათქვამი მიიღება სწორედ სუბიექტის ინტერპრეტაციით (Palmer 1990, 51). ზოგიერთი მკვლევარი მას უკავშირებს ტერმინს „ლოგიკური“ (Leech 1969, 204). თუმცა პალმერი ამ ტერმინს არ იყენებს. ვფიქრობთ, ქართული ენისათვის ამ ტერმინის გამოყენება უფრო მოსახერხებელია, რადგან ეპისტემური მოდალობის შინაარსი დაკავშირებულია ლოგიკური შესაძლებლობისა და ლოგიკური აუცილებლობის სემანტიკასთან“ (შარაშენიძე, 2020, 131). მოდალობის ეს ტიპი გულისხმობს შემდეგ მნიშვნელობებს: მოსალოდნელობა (possibility), სავარაუდოობა (probability), დასკვნაგამოტანილი დარწმუნებულობა (inferred certainty) (De Haan, 2004, 7).

პალმერი ასახელებს ეპისტემური მოდალობის ორ ხარისხს, ესენია: ეპისტემური აუცილებლობა (epistemic necessity) და ეპისტემური შესაძლებლობა (epistemic possibility) (Palmer, 1997, 98). ამ ტერმინებს იზიარებს ლაიონსიცი (Lyons, 1977, 787). ეპისტემური აუცილებლობისათვის მეცნიერები იყენებენ განსხვავებულ ტერმინებსაც – დარწმუნებულობა (certainty) (Halliday, 1970, 329), სანდოობა, დაჯერებულობა, რწმენა (confidence) (Coates 1983, 41).

ეპისტემური მოდალობის წყაროებია: ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა (inference), ცნობა (სხვისგან გაგონილი) (hearsay), ფაქტი (evidence), ცოდნა (knowledge). იმის მიხედვით, დასახელებულთაგან რომელი წარმოადგენს მოდალობის წყაროს და როგორია მათი უტყუარობის ხარისხი, მოსაუბრემ დისკურსში წარმოდგენილი ქმედება შეიძლება შეაფასოს როგორც საეჭვო, შესაძლებელი ან ეჭვგარეშე (Wymann, 1996, 16).

„ეპისტემური მოდალური ინდიკატორების რიცხვს განეკუთვნება ის ფორმები, რომლებიც შემდეგ თემატურ სფეროებს მიემართება და სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს:

რწმენა, მსჯავრი, განხილვა, განსჯა, ეჭვი, მოლოდინი, იდეა, წარმოდგენა, გრძნობა, შეგრძნება, ფიქრი, აზრი, შეხედულება, დადასტურება, მტკიცება, განაცხადი, არგუმენტი, მტკიცებულება, მოთხოვნა, კომენტარი, შენიშვნა, ვარაუდი, დეკლარირება, მინიშნება, ჰიპოთეზა, ჩანართი, ჩართვა, შეჯამება, დასკვნა, დაკვირვება, წინასწარ ვარაუდი, პროგნოზი, ოფიციალური განაცხადი, წინასწარ განჭვრეტა, შეთავაზებული წინადადება, შეთავაზება, შენიშვნა-კომენტარი, მოხსენება, ფაქტის უეჭველობა, უცილობლობა“ (შარაშენიძე, 2020, 119).

4.2. ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „ჯერ-არს“ რთული ზმნა ძველ ქართულში

წარმოდგენილი მსჯელობის თანახმად (იხ. თავი 3.5.2.), **ჯერ-არს** რთული ზმნა ძველ ქართულში დეონტურ მოდალურ სემანტიკას გამოხატავდა. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულშივე **ჯერ-არს** ზმნა იძენს ეპისტემურ მოდალურ შინაარსსაც. ლოგიკურად, დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველმა ფორმამ შეიძლება განივითაროს ეპისტემური მოდალური შინაარსი, რადგან ორივე სემანტიკა ემყარება დარწმუნებულობას – როგორც მბრძანებელი პირი დარწმუნებულია, რომ მის მიერ მოთხოვნილი ქმედება აუცილებლად შესასრულებელი და საჭიროა, ისე ეპისტემური აუცილებლობის შემთხვევაში მოლაპარაკე პირი დარწმუნებულია ამა თუ იმ ფაქტის ჭეშმარიტებაში.

სიცხადისათვის წარმოვადგენთ მაგალითებს, რომლებშიც **ჯერ-არს** ფორმა ეპისტემური მოდალური შინაარსის გამომხატველია:

„ხოლო პირველად **ჯერ-არს** მისა ფრიად ვნებად“ (ლ. 17, 25 C DE FG HIK).

„და გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ **ჯერ-არს** ესე ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული“ (მ. 24, 6 X DE FG HIK).³⁸

„და შემდგომად ნათლის-ღებისა მაღლითა სულისა წმიდისადათა თქუას რად იგი **ჯერ-არს** ყოფად მისა და რომელსა საზომსა მიწევნად არს“ (კიმ. 217, 33).

„შვილნო და ძმანო, აჰა ესერა ჟამი ჩემისა სოფლით წარსლოვისად მოწევნულ არს, და **ჯერ-არს** განსლოვად ჩემი ჯორცთა ამთგან, და გვედრები ყოველთა, რადთა ლოცვა-ჰყოთ ჩემთვის“ (მამ. ცხ., 208, 31).

„**ჯერ-არს** ძისა კაცისად მიცემად და ჯუარცუმად და მესამესა დღესა აღდგომად“ (კლარჯ. მრ., 222, 35).

„დაღაცათუმცა შორს იყო, არავე **ჯერ** არს უდებებად, რამეთუ კაცადკაცადისა აღსასრული კართა ზედა არს“ (თარგმ. მ. სახ., 173, 17).

„და ესრწოცა არავე **ჯერ-არს** შენდა სიცილი ყოლადვე, ვინადგან მოელი შენ დღესა მას სასჯელსა“ (მამ. სწ., 133, 22).

მოყვანილ კონტექსტებში **ჯერ-არს** რთული ზმნის საშუალებით გამოხატულია გარდაუვალი, მომავალში დანამდვილებით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა ჭეშმარიტებაში მთქმელს ეჭვი არ ეპარება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს ე.წ. „კატეგორიულ მყოფადთან“, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. თავი 3.4.).

4.3. ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი მარტივი ზმნები ძველ ქართულ ენაში

რთული ზმნების მარტივით ჩანაცვლების პროცესი, ცხადია, შეეხო ეპისტემური შინაარსის მქონე **ჯერ-არს** რთულ ფორმასაც. როგორც დეონტური სემანტიკის

³⁸ > C.

შემთხვევაში აღინიშნა, **ჯერ-არს** მოდალურ ფორმას საკუთარი ძირის მარტივი ზმნური შესატყვისი არ ჩამოჰყალიბებია.

„ჯერ-არს ძისა კაცისა ვნებად მათგან“ (მ. 17, 12 X C DE FG).

შდრ.: „ძესა კაცისასა ეგულების ვნებად მათგან“ (იქვე, HIK).

„საშინელსა მას სამსჯავროსა გეგულების წარდგომად და სიტყვს მიცემათ თითოეულად ყოველთათვის საქმეთა შენთა“ (თარგმ. მ. სახ., 117, 34).

„საუკუნოდ გეგულების ცეცხლი უშრეტი, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვის“ (ქართ. ცხ. II, 461, 10).

„ითხოვა პირველად წყალი სასუმელად დედისაგან მისისა, რამეთუ ეგულებოდა, რადთა შვილსა მისსა ასუას წყალი კურნებისა“ (აგ. ძეგ. II, 25, 13).

„უგუნურებად იგი და გულფიცხელობად! იცოდა რად-იგი ეგულებოდა ყოფად და კუალად იკითხვიდა: „ნუუკუე მე ვარო“ (თარგმ. მ. სახ., 367, 2).

„უცნაურნი მრავალთაგან გამოაცხადნა, რად-იგი ეგულებოდა ყოფად. ვინაფთგან თქუა, ვითარმედ: „სწამებთ სადმე თავთა თვსთათვის“ (თარგმ. მ. სახ., 288, 24).

„და მოიცალა რად, დაჯდა ბჭეთა ზედა მდიდრისა ვისთანამე, რომელსა ეგულებოდა მოსიკუდიდ“ (მამ. სწ. და თხრ., 21, 629).

წარმოდგენილ კონტექსტებში მოქმელი დარწმუნებულება, რომ კონტექსტში გადმოცემული მოქმედება ნამდვილად მოხდება მომავალში. დარწმუნებულობისა და შესაძლებლობის ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ძველ ქართულ ენაში ორი მარტივი ზმნური ფორმა დასტურდება, **ეგულების** და **ეგების**.

4.3.1. ეგულების

ძველი ქართული ენის ლექსიკონში **გულება**, **გულვება** განმარტებულია როგორც „ხილვა“, „კრძალვა“, „ჯერ-ჩინება“, „ძიება“, „გულს-დება“, „ნდომა“, „ხედვა“, „ზრახვა“, „აზრად ქონება“, „ძიება“, „ლოდება“ (აბულაძე, 1973, 99), მოცემული მნიშვნელობებიდან **ეგულების** ზმნის ეპისტემურ შინაარსზე მიუთითებს „აზრად ქონება“, „ლოდება“. მეორე მხრივ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

მიუთითებს ეგულების ზმნის ვარაუდის სემანტიკაზე („გულ'ვ'ება (გულ'ვ'ებისა) სახელი ეგულ'ვ'ება ზმნის მოქმედებისა, – ვინმეს (რაიმეს) მიჩნევა სადმე მყოფად, წასულად, – ვარაუდი, გუმანი იმისა, რომ ვინმე ან რამე იმყოფება, არის ამა თუ იმ ადგილას“ (ქეგლ.)), რომლითაც აღნიშნული ზმნა დასტურდება ძველი ქართული ენის ტექსტებში:

„უკუეთუ განზრახვისა მისისაებრ ეგულების ქორწილსა ამას სრულქმნად, და ცნობად მას სხუათაგან ვიდრემე, მთხოელისათჳს უარ-ყოფასა სასუმელისა, ხოლო მისგან მიმცემელობასა მისდა“ (იუდ. სიძ., 117, 13).

„ხოლო უკუეთუ კუალად ეგულების ამათი უგულეებელს-ყოფად, ითხოვდეს უფროდსა მიცემასა მათდა გარდაცვალებისასა, რამეთუ გარეშე მისისა არა რომელსა ღონიერ იქმნენ ცხორებასა, არამედ ტკბილად მიითუალონ მოკუდინებულთა წინაშე სამეფოთადას, ვითარ არა შენდობილთა მათ მიერ“ (იუდ. სიძ., 260, 11).

„აწ უკუე რომელსაცა ეგულეობდის მისლვად სწავლასა მას სიბრძნისასა, საღმრთოდთა მით შიშითა განწმიდენ ბილწებად იგი ცოდვისადა და ესრეთ მოუკედინ“ (სწავ., 126, 5).

„მაშინ მეყსეულად განეშორნეს მისგან, რომელთა ეგულეობდა ტანჯვად მისი, და ათასისთავსა მას შეეშინა, ვითარცა გულისხმა-ყო, რამეთუ ჰრომი არს და რამეთუ მისა იყო შევედრებულ“ (საქ. მოც. (A), 22, 27).

„რაჟამს უკუე ეგულეობდა ჰეროდეს გამოყვანებად და მიცემად იგი ჯელთა მათთა, მას ღამესა ეძინა პეტრეს შორის ერისაგანთა ორთა, შეკრულსა ჯაჭჳთა მრჩობლითა, მკუმბილნი იგი მის საპყრობილისანი წინაშე კართა მათ სცვიდეს საპყრობილესა მას“ (საქ. მოც. (A), 12, 6).

„რამეთუ რად-იგი ეგულეობდა მათ ქმნად, მას ხედვიდა იგი წინადასწარ“ (თარგმ. მ. სახ., 426, 11)...

დამოწმებულ კონტექსტებში ეგულების ზმნით გამოიხატება დარწმუნებულობისა და მომავალში შესასრულებელი მოქმედების მოლოდინი. აღნიშნული შინაარსით ეგულების მარტივი ზმნა საკმაოდ პროდუქტიულია ძველი ქართული ენის ტექსტებში, უფრო მეტიც, ეპისტემური ვარაუდის გამომხატველ

კონტექსტებში **ეგულება** ზმნა დღესაც გამოიყენება („*ზურიკოს ვენაცვალე, მაგისტანა ოჯახში შემომტანი ვინ გეგულება სოფელში?*“ (დუმბ., 46)).

4.3.2. ეგების.

ზმნის მოდალურ ელემენტად გამოყენებისას სემანტიკური ცვლილება ასეთია: შესაძლებელ არს, შეიძლება > შესაძლოა, იქნებ, ვინ იცის. სემანტიკურ და ფორმობრივ ცვლილებასთან ერთად (ეგების > ეგება > ეგებ) შეიცვალა სინტაქსური წყობა: „ეგების ყოფად“ ტიპის მასდარული კონსტრუქცია შეიცვალა შესიტყვებით, რომელშიც **ეგებ**-ს შეეწყო კავშირებითის ფორმები, აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, II თურმეობითი: ეგებ წერდეს, ეგებ წერს, ეგებ წერდა, ეგებ დაწერა, ეგებ დაეწერა. **ეგებ** მოდალური ელემენტის საშუალებით ქართულში გამოიკვეთა შესაძლებლობის კილოს გამოხატვის ტენდენცია (ჯორბენაძე, 1993).

წარმოვადგენთ **ეგების** მოდალური ფორმის დადასტურების მაგალითებს ძველ ქართულ ტექსტებში:

„ჰრქუა მას ნათანაელ: და ნაზარეთით ეგებისმე რაჲ კეთილი რაჲმე ყოფად? ჰრქუა მას ფილიპე: მოვედ და იხილე“ (ი. 1, 46, C).

„ეგების-მეა ძმანო ჩემნო ვითრმცა ლელუმან ზეთის ხილი გამოიღო, ხოლო ვენაჲმან ლელჳ“ (იაკ. 3, 12, B).

ეგების ფორმაზე დამატებით მსჯელობას წარმოვადგენთ სპეციალურ თავში (იხ. თავი 5.5; ასევე, თავი 3.7.9.1.), რადგან მასალის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მარტივი ზმნა სხვადასხვა ტიპის მოდალური სემანტიკის გამომხატველი იყო ძველ ქართულში.

4.4. ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი ნაწილაკები ძველ ქართულში

ძველ ქართულ ენაში ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი არაერთი ნაწილაკი დასტურდება. გვხვდება როგორც მარტივი, ისე კომპოზიტიური ნაწილაკები. საგულისხმოა ისიც, რომ ნაწილაკთა ნაწილი ოდენ ეპისტემური შინაარსის მქონეა, ნაწილი კი – დეონტური სემანტიკის გამომხატველად გვევლინება ძველი ქართული ენის ტექსტებში.

4.4.1. ნუ

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ნუ ნაწილაკის კიდევ ერთი ფუნქცია, რომელიც ბერძნულიდან თარგმანის გავლენითაა ახსნილი (დანელია, 1998) და რომელიც განასხვავებს მას დეონტური სემანტიკის გამომხატველი უარყოფითი ნუ ნაწილაკისაგან. კ. დანელიას თანახმად, „კითხვით წინადადებაში ნუ ნაწილაკი დასტურდება მხოლოდ ძველ ქართულში და ასევე მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებში. ის კალკური გადმოცემაა ბერძნული *μη* ნაწილაკისა“ (დანელია, 1998, 110). ჩვენი კვლევის ფარგლებშიც ძველი ქართული ენის თარგმნილი და ორიგინალური ძეგლების მასალის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ნუ ნაწილაკი დაეჭვების ეპისტემური სემანტიკის გამომხატველია მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებში:

„აწ უკუე რაჲ? ნუ თქუნგან რასმე ვითხოვ, ანუ ძალისა თქუნისა მოქენე რას-მე ვარ?“ (იოზ. 6, 22 OJ S³⁹).

“τί γάρ μή τι ἴμᾶς ἦτησα ἢ τίς παρ’ ἡμῶν ἰσχύος ἐπιδέομαι” (Job 6, 22 BGT).

„და ვჰრქუა უფალსა: ნუ უღმრთოებასა მასწავებ მე? და რაღსათჳს ესრცთ დამსაჯე მე?“ (იოზ. 10, 2 OJ S B⁴⁰).

“καὶ ἐρῶ πρὸς κύριον μή με ἀσεβεῖν δίδασκε καὶ διὰ τί με οὕτως ἔκρινας” (Job 10:2 BGT).

³⁹ >B G AK.

⁴⁰ > G AK.

„და **ნუ** კეთილობით უკეთეს ხარ შენ უფროდს ბალაკისა, ძისა სეპფორისსა, მეფისა მოაბისსა? **ნუ** მზრძოლი ეზრძოდა-ა ისრაელსა, ანუ წყობით ეწყვებოდა მას?“ (მსაჯ. 11, 25 G S B AK⁴¹).

“καὶ νῦν **μὴ** ἐν ἀγαθῷ ἀγαθώτερος σὺ ὑπὲρ Βαλακ υἱὸν Σεπφωρ βασιλέα Μωαβ **μὴ** μαχόμενος ἐμαχέσαστο μετὰ Ἰσραὴλ ἢ πολεμῶν ἐπολέμησεν αὐτόν” (Jda. 11:25 BGT).

„და წინა-დაიპყრნა გალაადმან განსავალნი იორდანისანი ევრემისნი. და ჰრქუეს მათ განრინებულთა ევრემისთა: "განვიდეთ!" და ჰრქუეს მათ კაცთა გალაადისათა: "**ნუ** ევრათელი ხარ-ა?" და თქუა: "არა"" (მსაჯ. 12, 5 G B⁴²).

“καὶ προκατελάβετο Γαλααδ τὰς διαβάσεις τοῦ Ἰορδάνου τοῦ Εφραιμ καὶ εἶπαν αὐτοῖς οἱ διασωζόμενοι Εφραιμ διαβῶμεν καὶ εἶπαν αὐτοῖς οἱ ἄνδρες Γαλααδ **μὴ** Εφραθίτης εἶ καὶ εἶπεν οὐ” (Jda. 12:5 BGT).

„და ჰრქუა მას მამამან მისმან და დედამან მისმან: **ნუ არა** არიან-ა ასულნი ძმათა ჩემთანი და ყოვლისაგან ერისა ჩემისა დედაკაცი, რამეთუ შენ მიხუალ მოყვანებად ცოლისა უცხოტომთაგან წინადაუცუეთელთა? და თქუა სამფსონმან მამისა მიმართ თვისისა: იგი მომგუარე მე, რამეთუ იგი საწადელ არს წინაშე თუალთა ჩემთა“ (მსაჯ. 14, 3 G S B⁴³).

“καὶ εἶπεν αὐτῷ ὁ πατήρ αὐτοῦ καὶ ἡ μήτηρ αὐτοῦ **μὴ οὐκ** εἰσιν θυγατέρες τῶν ἀδελφῶν σου καὶ ἐκ παντὸς τοῦ λαοῦ μου γυνή ὅτι σὺ πορεύῃ λαβεῖν γυναῖκα ἀπὸ τῶν ἀλλοφύλων τῶν ἀπεριτμητῶν καὶ εἶπεν Σαμψων πρὸς τὸν πατέρα αὐτοῦ ταύτην λαβέ μοι ὅτι αὕτη εὐθεῖα ἐν ὄφθαλμοῖς μου” (Jda. 14:3 BGT).

დამოწმებულ მაგალითებში **ნუ** ნაწილაკი კითხვით წინადადებებში კითხვით -ა ნაწილაკთან ერთდ გამოხატავს დაეჭვების ეპისტემურ სემანტიკას, რაც ბერძნულიდან თარგმნის გავლენით უნდა იყოს განპირობებული, რამდენადაც ბერძნულ ენაში რიგ შემთხვევებში **μὴ** კითხვით ნაწილაკადაც გაიაზრება (Thackeray, 1909), ქართულ ორიგინალურ ტექსტებში კი **ნუ** ნაწილაკი ამგვარი ფუნქციით არ დასტურდება.

⁴¹ > OJ AK.

⁴² > OJ AK; ნუუკუე - S.

⁴³ > OJ AK.

4.4.2. ნუთუ

ბერძნულიდან თარგმნილ წყაროებში კითხვით წინადადებებში დაეჭვების ეპისტემური შინაარსის გამოსახატავად **μη**-ს ეკვივალენტად ზოგჯერ ქართულში გამოყენებულია **ნუთუ** კითხვითი ნაწილაკი: „**ნუთუ** კითხვითი ნაწილაკი-მორფემოიდია; კითხვასთან ერთად გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას... შედგება უარყოფის **ნუ** და პირობითობის **თუ** მორფემოიდებისაგან“ (ჯორბენაძე... 1988, 323). როგორც კ. დანელია შენიშნავს, კითხვით წინადადებებში კითხვითი ელფერის გასაძლიერებლად მთარგმნელ-რედაქტორები ზოგჯერ **ნუ**-ს კითხვითი ნიუანსის შემცველ ნაწილაკს უმატებდნენ (დანელია, 1998):

„და ჰრქუა მათ იესუ: **ნუთუ** ეგების შვილთა საქორწინისათა გლოვაჲ ვიდრე სიძე მათ თანა არს? არამედ მოვიდენ დღენი, რაჟამს წარვიდეს მათგან სიძე, და მაშინ იმარხვიდენ“ (მ. 9, 15 C S AK).

“καὶ εἶπεν αὐτοῖς ὁ Ἰησοῦς· **μη** δύνανται οἱ υἱοὶ τοῦ συμφῶνος πενθεῖν ἐφ’ ὅσον μετ’ αὐτῶν ἔστιν ὁ συμφίος; ἐλεύσονται δὲ ἡμέραι ὅταν ἀπαρῆ ἅπ’ αὐτῶν ὁ συμφίος, καὶ τότε νηστεύσουσιν” (Matt. 9, 15 BGT).

„აჰა, ესერა, განცხადებულად იტყვს, და არას ეტყვს მაგას. **ნუთუ** ჭეშმარიტად უცნობიეს მთავართა მათ, ვითარმედ ესე არს ქრისტე იგი?“ (ი. 7, 26 C S AK).

“καὶ ἶδε παρρησίᾳ λαλεῖ καὶ οὐδὲν αὐτῶ λέγουσιν. **μήποτε** ἀληθῶς ἔγνωσαν οἱ ἄρχοντες ὅτι οὗτός ἐστιν ὁ χριστός” (Jn. 7, 26 BGT).

„და მრავალთა მის ერისაგანთა ჰრწმენა მისი და იტყოდეს: ქრისტე იგი რაჟამს მოვიდეს, **ნუთუ** უმეტესსა სასწაულსა რას ჰყოფდეს, რომელ ესე იქმს?“ (ი. 7, 31 C S AK).

“Ἐκ τοῦ ὄχλου δὲ πολλοὶ ἐπίστευσαν εἰς αὐτὸν καὶ ἔλεγον· ὁ χριστός ὅταν ἔλθῃ **μη** πλείονα σημεῖα ποιήσει ἢν οὗτος ἐποίησεν” (Jn. 7, 31 BGT).

„იტყოდეს ჰურიანი იგი: **ნუთუ** მოიკლავს თავსა თვისსა, რამეთუ იტყვს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქვენ ვერ მოხვდეთ?“ (ი. 8, 22 C S AK).

“Ἐλεγον οὖν οἱ Ἰουδαῖοι· **μήτι** ἀποκτενεῖ ἑαυτόν, ὅτι λέγει· ὅπου ἐγὼ ὑπάγω ὑμεῖς οὐ δύνασθε ἐλθεῖν” (Jn. 8, 22 BGT).

„ზოგნი იტყობდეს: ესევეთარნი სიტყუანი არა ეშმაკეულნი არიან. **ნუთუ** ეშმაკი შემძლებელ არს თულათა ბრძისათა ახილვად?“ (ი. 10, 21 C S AK).

“ἄλλοι ἔλεγον· ταῦτα τὰ ῥήματα οὐκ ἔστιν δαιμονιζομένου· **μη** δαιμόνιον δύναται τυφλῶν ὀφθαλμοὺς ἀνοῖξαι” (Jn. 10, 21 BGT).

ნუთუ დაექვევის ნაწილაკი ძველ ქართულ ორიგინალურ ტექსტებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება: „შვილო ჩემო, რაათჳს უკუე მოხუედ აქა? **ნუთუ** ვისიმე ზედა რაე გიც, გინა კაცი მოგეკლას? ანუ გაჭირვობს ვინმე რას?“ (აგ. ტექსტ. (ყუბ.), 306, 37). თუმცა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ დაექვევის კონტექსტებში **ნუთუ** გამოყენებული ყოფილიყო საშუალ ქართულშიც: „*კამს გაჭრა ჩემგან მინდორად ამა გულითა ხელითა, და **ნუთუ** არ მოვკვდე შეყრამდის სატანჯველითა ძნელითა*“ (შვ. მთ., 42, 4); „*რა მშობელთა მისთა ეგრე ხელ-გადრულ ნახეს, თქვეს, **ნუთუ** მოსვლა ვისიმე სწადდესო, მიიხედეს და მოიხედეს, მათცა დაინახეს, რომ შორ იდგა და მარტოდ უცხო ვინმე ყმა*“ (რუსუდ., 38, 1)... **ნუთუ** ნაწილაკი დღემდე აქტიურად გამოიყენება ქართულ ენაში: „**ნუთუ**, ღმერთო, ამისთანა მსხვერპლი შენთვის მართლა საჭირო იყოს?“ (წერ., 450, 21); „**ნუთუ** ვერასოდეს ვერ მოიგონებს ადამიანი ფიქრის წასაკითხ აპარატს?“ (ჭილ., 14, 471). ამრიგად, **ნუთუ** ერთ-ერთია მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებათაგან, რომლის გამოყენებაც არ შეზღუდულა და არც მისი მნიშვნელობა გაზუნდოვანებულია.

4.4.3. ნუუკუე

ნუთუ-ს იდენტური ფუნქციით ძველ ქართულში გამოიყენებოდა **ნუუკუე**, „*კითხვითი ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც გამოიყენებოდა ძველ ქართულში; იმავე დანიშნულებისაა, რაც: **ნუთუ**, **ეგების**, **შესადლოა**, **ნუსადა***“ (ჯორბენაძე... 1988, 324):

„შეეშინა ფრიად და იტყოდეს ურთიერთას: „**ნუკუე** განთქუან სიტყუად ესე ამათ და ჰრწმენეს ყოველთა იესუმსი“ (ნიკ. სახ., 61, 1).

„ხოლო იესუ ჰრქუა მათ: **ნუკუე** ჰელ-ეწიფეზის ძეთა სიძისათა ვიდრემდე სიძე მათ თანა არს, რადთა ამარხვებდეს მათ?“ (ლ. 5, 34 C DE FG HIK).

“ὁ δὲ Ἰησοῦς εἶπεν πρὸς αὐτοῦς· **μὴ** δύνασθε τοὺς υἱοὺς τοῦ νυμφῶνος ἐν ᾧ ὁ νυμφίος μετ’ αὐτῶν ἐστὶν ποιῆσαι νηστεῦσαι” (Lk. 5, 34 BGT).

„რომელნი მის თანა იყვნეს, და ჰრქუეს მას: **ნუკუე** ჩუენცა ბრმა ვართ?“ (ი. 9, 40 C DE FG HIK).

“ἦκουσαν ἐκ τῶν Φαρισαίων ταῦτα οἱ μετ’ αὐτοῦ ὄντες καὶ εἶπον αὐτῷ· **μὴ** καὶ ἡμεῖς τυφλοὶ ἐσμεν” (Jn. 9, 40 BGT).

„**ნუკუე** მიმოგანბნეულთა მათ წარმართთა მივიდეს და ასწავებდეს წარმართთა მათ?“ (ი. 7, 35 C DE FG HIK).

“**μὴ** εἰς τὴν διασπορὰν τῶν Ἑλλήνων μέλλει πορεύεσθαι καὶ διδάσκειν τοὺς Ἕλληνας” (Jn. 7, 35 BGT).

ამ და სხვა კონტექსტებში **ნუკუე** ნაწილაკს წინადადებაში დაექვების სემანტიკა შეაქვს **ნუ** და **ნუთუ** ნაწილაკთა მსგავსად.

4.4.4. ნუმცა

ადიშის ოთხთავის რამდენიმე მუხლში დაექვების, გაოცების ეპისტემური სემანტიკის გამოსახატავად კითხვით წინადადებებში გამოყენებულია **ნუმცა** ნაწილაკი. როგორც აღინიშნა (იხ. თავი 4.4.1.), თარგმანის გავლენით ძველ ქართულში **ნუ** ნაწილაკი კითხვით წინადადებებში დაექვების სემანტიკას გამოხატავდა, მეორე მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია -**მცა** ნაწილაკის ირეალური შინაარსი (გაჩეჩილაძე, 1960; ნინუა, 1971; კოტინოვი, 1978; პაპიძე, 1981), რამაც ხელი შეუწყო ბერძნული **μητι** კითხვითი ნაწილაკის ფარდად ქართულ ადიშურ რედაქციაში **ნუმცა** ნაწილაკის გამოყენებას:

„და დაუკვრდებოდა ყოველსა მას ერსა და იტყოდეს: „**ნუმცა** ესე არს ქრისტე, ძღვი იგი დავითისი?“ (მ. 12, 23 C), **შდრ.: ნუუკუე** (იქვე, DE FG HIK S).

“καὶ ἐξίσταντο πάντες οἱ ὄχλοι καὶ ἔλεγον· **μήτι** οὗτός ἐστιν ὁ υἱὸς Δαυὶδ” (Matt. 12, 23 BGT).

„და დაწუხნეს ფრიად და იწყეს სიტყუად თითოეულად: „**ნუმცა** მე ვარ, უფალო?“ (მ. 26, 22 C), **შდრ.: ნუუკუე** (იქვე, DE FG HIK S).

“καὶ λυπούμενοι σφόδρα ἤρξαντο λέγειν αὐτῷ εἷς ἕκαστος· **μήτι** ἐγὼ εἰμι, κύριε” (Matt. 26, 22 BGT).

„მიუგო იუდა, რომელ მიცემად ვიდოდა მას, და ჰრქუა: „**ნუმცა** მე ვარ, მოძღუარ?“ ჰრქუა მას: „შენ სთქუ“ (მ. 26, 25 C), **შდრ.: ნუუკუე** (იქვე, DE FG HIK S).

“ἀποκριθεὶς δὲ Ἰούδας ὁ παραδιδούς αὐτὸν εἶπεν· **μήτι** ἐγὼ εἰμι, ῥαββί; λέγει αὐτῷ· σὺ εἶπας” (Matt. 26, 25 BGT).

„ხოლო მათ იწყეს ზრუნვად და სიტყუად მისა თითოეულმან: „**ნუმცა** მე ვარ, უფალო?“ და სხუამან: „**ნუმცა** მე ვარ?“ (მრკ. 14, 19 C), **შდრ.: ნუუკუე** (იქვე, DE FG HIK).⁴⁴

“ἤρξαντο λυπεῖσθαι καὶ λέγειν αὐτῷ εἷς κατὰ εἷς· **μήτι** ἐγὼ” (Mk. 14, 19 BGT).

შესაბამის კონტექსტებში ყველა სხვა რედაქციაში **ნუუკუე** ნაწილაკს ვადასტურებთ, რომელიც ფუნქციურად იდენტურია დაექვების გამოხატველი **ნუ**, **ნუთუ**, **ნუმცა** ნაწილაკებისა. როგორც ჩანს, **ნუმცა** ნაწილაკის დაექვების კონტექსტებში გამოყენება ადიშის ოთხთავის რედაქციულ მახასიათებელს წარმოადგენს, რადგან არც ოთხთავის სხვა რედაქციებში, არც ქართულ ორიგინალურ ძეგლებში **ნუმცა** აღნიშნული ფუნქციით არ დასტურდება, სხვა შემთხვევებში მას დეონტური სემანტიკის გამოხატვა აკისრია.

⁴⁴ > S.

4.4.5. -ძი

-ძი ნაწილაკის გამოყენება ძველ ქართულში ჰაემეტი ტექსტებიდანვე შეინიშნება, ის დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს, მათ შორის, სხვა მოდალურ საშუალებებსაც და კონტექსტში შეაქვს დაეჭვების სემანტიკა. ა.შანიძის განმარტებით, -ძი ნიშნავს „თუ“, „აბა“, „ли, же“ (შანიძე, 1976, 149). ბერძნულში მის შესატყვისად *ει* დასტურდება (ცინდელიანი, 1981, 34). -ძი ნაწილაკის შესახებ ვ. თოფურია წერს: „*ძი* სხვა არაფერია, თუ არ დამოკიდებული წინადადების კავშირი *თუ*“ (თოფურია, 1944, 174). „-ძი ნაწილაკი-მორფემოიდის ფუნქციად ივარაუდება პირობითობის გამოხატვა“ (ჯორბენაძე... 1988, 457). ვიმოწმებთ შესაბამის კონტექსტებს, რომლებშიც -ძი ნაწილაკია გამოყენებული და ნათელია სათუო, საეჭვო მოდალური შინაარსი:

„იხილეთღა, არა-ძი აღესრულაა სიტყუად იგი მოციქულთა მათ მიმართ ჟამსა მას, რომელსა შეკრებულ იყვნეს ერთბამად ქორსა ზედა და გამოუჩნდეს მათ ნაწილნი, ვითარცა ცეცხლისაგან?“ (კლარჯ. მრ., 320, 23).

„და იქმნა რაჲ ცხრა ჟამ, იწყო ხედვად კარისა მიმართ, თუ არა-ძი მიუკმობენ პურად?“ (აპოფ. (სისტ.), 118, 7).

„აწ იხილე ვინაჲ-ძი შეგიკდა შიში და იჭჳ, ანუ სადათ გაქუს ნუგეშინის ცემაჲ და იმედი“ (ბალავ., 141, 2).

„ხოლო მან წარილო კალიაჲ იგი და იწყო ცეცხლითა გამოცდად მისა, თუ კწთილ-ძი არს ანუ არა“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 318, 34).

„ვითარცა იხილა იგი პატრეარქმან მისა მიმავალად, იცნა სახც მისი, ვითარმედ იგი არს ჭემმარიტად, რომელი ძილსა შინა იხილა, და ინება, ცნობად თუ დასტურად მოწევნულ-ძი არიანა მის ზედა წყლულებანი იგი, რომელნი ღამით იხილნა“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 350, 26).

„ჰრქუა მას ისრაწლ: წარვედ და იხილენ ძმანი შენნი, ვითარ-ძი ცოცხლებით არიან, და ცხოვარი იგი, და მითხარ მე“ (P, 67, 6).

„წარვიდე და მივიქცე ძმათა ჩემთა, რომელნი არიან ეგჳპტეს, და ვიხილნე, ვითარ-ძი ცოცხლებით არიან“ (P, 61, 23).

როგორც ვხედავთ, **-ძი** ნაწილაკი გამოიყენება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან, ის გამოიყენება ზმნა-შემასმენელთანაც, როგორც მარტივ, ისე – რთულ ზმნებთან, დასტურდება ტმესის შემთხვევებიც:

„ვინებე ოდესმე გამოცდად გულისსიტყვსა ჩემისად, უკუეთუ იწყებს-ძი მიმოდაბნევად, განუტეო თუ იგი სოფლად“ (მამ. სწ. და თხრ., 689, 6).

„აცადეთ, ვიხილოთ, მო-ძი-ვიდეს ელია გარდამოვსნად მაგისა“ (მრკ. 15, 36 C⁴⁵).

„ამისთვის შეცვულ-ყო მის თანა მოწამე, გინა თუ ჩუენსა გამოსცდიდა სურვილსა, უკუეთუ არა თავს-ვიდებთ-ძი ზღვეულნი და წმიდათა ნაწილთა მისთაგან დაკლებულნი“ (გრ. ნაზ., 141, 15).

ზოგიერთ შემთხვევაში **-ძი** ნაწილაკი ერთვის მოდალურ ზმნას და ამით უფრო აძლიერებს დაეჭვების სემანტიკის გამოხატვას:

„გამოცადე-ლა უკულ⁵ თავი შენი აწვე ამიერ აქამთ, თუ ძალ-გიც-ძი დათმენად სატანჯველთად“ (სწავ. წმ. მამ., 52, 11).

„გამოცადე-ლა აქამთვე თავი შენი თუ ძალ-გიც-ძია დათმენად ცეცხლსა მას საუკუნესად?“ (ეტ. II, 319, 18).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შესწავლილი კონტექსტების უმრავლესობაში დამოკიდებული წინადადებების ნაწილში, როგორც წესი, **თუ** კავშირი ასრულებს თავის ფუნქციას (ეჭვქვეშ აყენებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას), **-ძი** ნაწილაკის დართვით კი ზმნას დამატებითი სემანტიკური ნიუანსი ენიჭება, რაც გულისხმობს დაეჭვების სემანტიკის გაძლიერებულად გამოხატვას, ზოგჯერ კი **-ძი** ნაწილაკთან ერთად გამოყენებულია კითხვითი ნაწილაკიც: *„არს-ძი-ა უფალი ჩუენ შორის ანუ არა?“* (გამ. 17, 7 AK), შდრ.: *„უკუეთუ არს უფალი ჩუენ შორის ანუ არა?“* (იქვე, S); *„არს მება უფალი ჩუენ შორის ანუ არა?“* (იქვე, B).

ამრიგად, **-ძი** ნაწილაკი დაეჭვების ეპისტემური სემანტიკის გამომხატველი საკმაოდ აქტიური საშუალება იყო ძველ ქართულ ენაში. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით ის XVIII საუკუნემდე შემორჩა ქართულ ენას.

⁴⁵ უკუეთუ DE FG HIK.

4.4.6. -ლა

-ლა ნაწილაკი ერთ-ერთია ძველ ქართულში არსებულ დაეჭვების გამომხატველ ნაწილაკთაგან. -ლა ნაწილაკის სხვა ფუნქციებთან ერთად წინადადებაში საექვოობის შინაარსის შემოტანაზე ჯერ კიდევ სულხან-საბა და პ. იოსელიანი მიუთითებდნენ (ბაბუნაშვილი, 1953). შემდგომი პერიოდის მეცნიერები -ლა ნაწილაკის ერთ-ერთ ფუნქციად საექვოობის სემანტიკას აღარ განიხილავენ (ყაუხჩიშვილი, 1946; ბაბუნაშვილი, 1953; შანიძე, 1976). ცხადია, ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ -ლა ნაწილაკის ამოსავალი ფუნქცია დროზე მითითებაა. ძველ ქართულში ის გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელობებით: „ჯერ“, „ჯერ კიდევ“, „კიდევ“, „კვლავ“, „მხოლოდ“, „მარტო“, „უფრო მეტი“ (ყაუხჩიშვილი, 1946; ბაბუნაშვილი, 1953; შანიძე, 1976). ჩვენი აზრით, აღნიშნულ მნიშვნელობებს უნდა დაემატოს საექვოობის სემანტიკაც: „-ლა ნაწილაკს შეუძლია გამოხატოს დაეჭვების მნიშვნელობაც“ (ჯორბენაძე... 1988, 414):

„იხილეთლა, არა-ძი აღესრულაა სიტყუა იგი მოციქულთა მათ მიმართ ჟამსა მას, რომელსა შეკრებულ იყვნეს ერთბამად ქორსა ზედა და გამოუჩნდეს მათ ნაწილნი, ვითარცა ცეცხლისაგან?“ (კლარჯ. მრ., 320, 23).

„ბოროტ არს თქუმად: „სადა არს ნაყოფთმრთუმელობაჲ ჩემი ნათლისღებისათჳს, სადა სანათლოჲ სამოსელი, რომლითა განვბრწყინდე, სადა სასეროჲ ჩემთა ნათლისმცემელთაჲ, რადთა ამითლა სადმე სათნო-ვიყო მათ შორის, რამეთუ ვითარ ჰხედავ, ფრიად საჭირო არიან ესე და თჳნიერ ამათსა მადლი დაკნინდების“ (საკ. (ეფრ.), 223, 4).

„უკუეთუ ღმრთისაჲ კაცისა ჯორცთა შინა დადგრომაჲ სახელ ძჳრ არს, რომელნი იგი ხატად ღმრთეებისა შეგუქმნნა, მათი იგი არაჲ-მელა არსა, რომელნი იგი ძელთა და ქვათა თაყუანის სცემენ და მას შინა ღმერთსა ჰხადიან?!“ (ტბ., პარხლ. მრ., 273, 14).

„უკუეთუ კულა მცირე და უნდო არიან და არა სასიკუდიხო ცოდვანი შენნი, რად შეურვებულ ხარ შემდგომისა მის ჟამისათჳს, რომელმან-ეგე არა უჯეროდ წარჰვლე გარდასრული ეგე და რაჟამს-იგი არღა დაბეჭდულ იყავ?“ (სწავ., 144, 30).

„რადსა ჰზრახავთ გულთა თქუნთა, მცირედმორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არღა გიცნობიეს, არცა მოიკსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი თუალნი გქონან თქუნ?“ (მრკ. 8, 17, C DE⁴⁶).

„და იწყეს მათცა კითხვად ჩემდა და იტყოდეს: ვითარ არს ქუეყანად და სოფელი და აღმოვალსღა წყალი ჟამსა თვისსა და ანუ აქუსღა სოფელსა იეფობად თვისი?“ (მამ. სწ. და თხრ., 656, 10).

„მეექუსედ დავსდგამ დღეს ტაბლასა და ვჭამ ძმთა თანა და ჯერეთცა მშის და მენ ერთგ ზის ჭამით ესოდენ განსძელა, რომელ ვერღარა ძალ-გიც?“ (მამ. სწ. და თხრ., 489, 28).

წარმოდგენილ კონტექსტებში, ვფიქრობთ, -ღა ნაწილაკს დაექვების სემანტიკა შეაქვს დისკურსში, მით უფრო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წინადადებაში -ღა ნაწილაკთან ერთად სხვა დაექვების გამომხატველი ნაწილაკებიც დასტურდება. თუმცა საგულისხმოა, რომ -ღა ნაწილაკს დიდხანს არ შეუნარჩუნებია აღნიშნული ფუნქცია, ძველ ქართულშივე იშვიათი იყო მისი გამოყენება სათულობის გამომხატველ კონტექსტებში, ახალ ქართულში კი -ღა ნაწილაკი დასახელებული ფუნქციით აღარ გვხვდება.

4.4.7. რეცა

IX-XI საუკუნეების ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი რეცა ნაწილაკი, რომელიც დამოუკიდებლად სხვადასხვა პოზიციაში გამოიყენება დაექვების შინაარსის მქონე კონტექსტებში: *„ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც გამოიყენებოდა ძველ ქართულში და გამოხატავდა იმავე მნიშვნელობას, რასაც ნაწილაკი-მორფემოიდები „თითქოს“, „ვითომც“ (ჯორბენაძე... 1988, 364). რეცა ორი ნაწილაკის კომბინაციითაა მიღებული. სამეცნიერო ლიტერატურაში -რე განხილულია როგორც ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა პირველი კომპონენტი (ყაუხჩიშვილი, 1946; აბულაძე, 1973; ჯორბენაძე... 1988), მაგრამ იქვე შენიშნულია მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაც ოდნაობაზე,*

⁴⁶ არა FG HIK.

სიმცირეზე მითითება (აბულაძე, 1973; ჯორბენაძე... 1988), ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნული სემანტიკის გამო -ცა ნაწილაკის (-ცა გაძლიერებითი ნაწილაკია, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს იმ სიტყვაზე ყურადღების გამახვილება, რომელსაც დაერთვის (შანიძე, 1980, 611)) დართვით ვიღებთ დაექვევის სემანტიკის რეცა ნაწილაკს:

„ხოლო მოყუასნი დიოკლიტიანოსისნი და მაქსიმიანოსისნი, რომელთა ეწოდა ერკულონ, შემდგომად ბევრეულთა წმიდათა მოსრვისა განძღეს მრავლითა უკეთურებითა და უგუნურებითა. რეცა მიზეზითა ღმრთის-მსახურებისადათა შეთქმულებით დაუტევეს კელმწიფებად და მეფობად მათი და იქმნეს ვითარცა ყოველნი კაცნი მდაბალ და იქცეოდეს სხუათა მსგავსად“ (ქრონ., 57, 18).

„და რომელნიმე, რაჟამს მოეკუეთნიან, და კუალად აღმოსცენდის ძირი მათი; და რომელიმე არღარა აღმოსცენდის, რეცა თუ მოკუდა იგი მოკუეთითა მით“ (ექ. დღ., 72, 16).

„ამისსა შემდგომად საქმისა მოციქულთადას თარგმანებად რეცა მძიმედ აღმიჩინა ეშმაკმან, არამედ ცუდ-ყო უფალმან სივერაგე მისი და ვითარცა საკრველითა, ეგრეთ მიპყრა ბერმან ანტონი და არა დამიტევა უსრულად დატევებად ამისი“ (კოლ., 208, 30).

„იხილა ჩუწნებად კაცმან ვინმე პატოისანმან ცხორებითა და სათნომან მოქალაქობითა, რომელი იყო სამეუფოსა ქალაქსა შინა განწესებულ საეკლესიოთა მწყობრთა თანა, რეცა ვითარმცა ხედვიდა თავსა თვსსა სამეუფისა პალატსა შინა“ (კოლ., 235, 30).

„და კელსა მისსა აქუნდა ჯრმალი, ვითარცა ელვად რად ბრწყინვიდა და იქცეოდა კელსა შინა მისსა, რეცა რომელი-ცა შეეხ[ე]ბოდის, ვითარცა თავი თვსი სიკ[უ]დ[ი]ლად განწირის“ (აგ. ძეგ. I, 119, 25).

„მოვიდიან მფრინვ[ე]ლნი ცისანი და შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა შინა მას, და ბაბილოსა მოისტ[უ]ლებდიან და ყოველსა მას ყუავილსა მოვდიან, და მოწლედ ჩემდა მომართ ღაღადებდიან, რეცა თუ ჩემი არს სამოთხე“ (აგ. ძეგ. I, 123, 28).

„აჰა ესერა აღდგა კაცი ერთი, რომლისა სახელი მისი იესუ, თავით თჳსით ხადის ღმერთსა მამად და რეცა თუ არს იგი თჳთ, ვითარცა ღმერთი“ (აგ. ძეგ. I, 128, 10).

ყველა დამოწმებულ კონტექსტში რეცა ნაწილაკის გამოყენებით ეჭვქვეშაა დაყენებული გადმოცემულ ფაქტთა ჭეშმარიტება.

4.4.8. თუ

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში თუ პირობითობის გამომხატველი კავშირია, ძველ ქართულში ის რომ კავშირის ფუნქციური მოზიარეცაა (ბაბუნაშვილი, 1953; ცინდელიანი, 1981). საეჭვოობის შინაარსს თუ ფორმაში ოდითგანვე ხედავდნენ ძველი გრამატიკოსები (ყაუხჩიშვილი, 1946). იშვიათად ძველ ქართულ ტექსტებში თუ დაეჭვების ნაწილაკის ფუნქციითაა გამოყენებული: „თუ ნაწილაკი-მორფემოიდი მიერთვის ზმნის ფორმას და გამოხატავს დაეჭვებას, პირობითობას ან ოდნობას (მიახლოებითობას)“ (ჯორბენაძე... 1988, 195). ჩვენი კვლევის ფარგლებშიც დადასტურდა მაგალითები, რომლებშიც თუ ნაწილაკის გამოყენება გადმოცემული შინაარსის სათუობას უსვამს ხაზს:

„გარნა ვინაჲ სცან, თუ აღდგომად ყოფად არს შემდგომად სიკუდილისა და მიგებაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ?“ (ბალავ., 71, 30).

„ხოლო სანატრელმან მან ჰრქუა: „ჭეშმარიტად თუ აღიაროთ მაცხოვარი?“ (აგ. ტექსტ. A-95, 190, 4).

„ვითარცა ვთქუთ პირველად, ზარსა საშჯელსა მას გზრუნებს და კუალად თუ აღსრულებად შჯულისაჲ და საკუერთხნი საკმარად ღმრთისა არარად იყვნეს-ო“ (შატბ. კრ., 407, 29).

დასტურდება ისეთი მაგალითებიც, როდესაც თუ ნაწილაკი გამოიყენება პლეონასტურ კონსტრუქციებში, მაგ., ვინ უწყის, თუ; ვინ უწყის... ხოლოთუ და სხვ., რომლებშიც უფრო გაძლიერებულია დაეჭვების სემანტიკის გამოხატვა (ცინდელიანი, 1981):

„მაცადეთ მე, რადთა ვევედრო უფალსა, ვინ უწყის, თუ სინანული მცეს მე უფალმან ამისთვის, რომელი-ესე ვყავ მე“ (ად. და ევ. აპ. A, 127, 2).

„და მრავალი სახე წინა დაუდგა მას და მისა მისლვად უბრძანებს, ვინ უწყის, თუ უძლოს ესე“ (ევ. სტიქ., 101, 60).

„უბადოო და უგულისგმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რას-მე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე“ (აგ. ძეგ. I, 24, 4).

თუ ნაწილაკი დაექვების გამომხატველ სხვა პლეონასტურ კონსტრუქციებშიც იღებს მონაწილეობას, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

4.4.9. ხოლო / ხოლო თუ / თუ ხოლო

იშვიათად ძველ ქართულში დაექვების გამოხატვა ეკისრება **ხოლო** ნაწილაკსაც, ამ დროს მას აქვს „ეგებ“, „იქნებ“ მნიშვნელობა:

*„ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რადთა-მცა იგი **ხოლო** შესუა“ (აგ. ძეგ. I, 17, 3).*

*„მაშინ ჰრქუა ნეტარსა ბერსა: „წარვიდე ოპიზას და მსწრაფლ **ხოლო** მივიდე მათა ჩემთა თანა, რომელ დაუტევენ მუნ“ (აგ. ძეგ. I, 255, 8).*

*„ამისსა შემდგომად აღწერად მივალთ, **ხოლო** განალა შობილმანცა გარადაიკადოს ხარკი“ (ტბ., პარხლ. მრ., 256, 32).*

*„მაშინ იჭუსა შედგა იოსებ არა სადა ყოფილისა მისთვის სახისა, **ხოლო** დაღაცათუ კაცი იგი მართალ იყო“ (ტბ., პარხლ. მრ., 309, 35).*

ხოლო ნაწილაკის დაექვების სემანტიკით გამოყენების ფაქტს ამყარებს მისი მონაწილეობა დაექვების სემანტიკის გამომხატველ პლეონასტური წარმოების ფორმებში: **ხოლო თუ** და **თუ ხოლო**, რომელთა ძირითადი ღერძი **ხოლო** შეზღუდვითი ნაწილაკია პოსტპოზიციურად ან პრეპოზიციურად **თუ** კავშირ-ნაწილაკის დართვით (ცინდელიანი, 1981):

*„ვაშურო **ხოლო** თუ ჯორცთა ჩემთა და ვაცხოვნო ვინმე მათგანი?“ (პავ. AB, 11, 14).*

„ვინ უწყის იყოს **ხოლო თუ** სულ-გრძელება ცოდვათა შენათჳს“ (დან.4,24OJ⁴⁷).

„ვინ უწყის, ისმინონ **ხოლო თუ**, და მოიქცეს კაცად-კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა“ (იერ. 26, 3 OJ⁴⁸).

„აღდეგით და აღვდგეთ მის ზედა, ყოველნი კაცნი მიყუარნი მისნი, და უმზიროთ ზრახვასა მისსა, ცთეს **ხოლო თუ**; და ვსძლოთ მას, და მოვიგოთ შური ჩუენი მისგან“ (იერ. 20, 10 OJ⁴⁹).

ძველ ქართულში დასტურდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც **ხოლო თუ** ნაწილაკთან ერთად კონტექსტში გამოყენებულია **გინც** მოდალური ელემენტი „ეგების“ მნიშვნელობით (ჯორბენაძე... 1988, 88), რითიც დაეჭვების სემანტიკა კიდევ უფრო ძლიერდება და რაც ზოგადად უცხო არ არის ძველი ქართული ენისათვის, რადგან ხშირად ვხვდებით ერთი და იმავე სემანტიკის მქონე ორ ან მეტ ნაწილაკს ერთსა და იმავე კონტექსტში:

„აღდეგი და ევედრებოდე ღმერთსა შენსა, **გინც ხოლო თუ** განმარინნეს ჩუენ“ (სინ. მრ., 163, 18).

აქვე წარმოვადგენთ **თუ ხოლო** ნაწილაკის მაგალითებსაც, რომელთა რიცხვი შედარებით მცირეა:

„აწ მოვედ და წყვეე მას, უძლო **თუ ხოლო** მოსრვად იგი და განვდევნოთ ქუეყანით ჩუენით“ (რიცხ. 22, 7 B⁵⁰).

„**თუ ხოლო** სწავლულ ხარა სივრცესა ცასა ქუემჴ **ხოლო** მითხარ მე, რაოდენი არს **ხოლო** რომელსა ქუეყანასა დაეშენების ნათელი“ (იოზ. 38, 41 B⁵¹).

ისევე როგორც სხვა გამომხატველი საშუალებების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში **ხოლო** ნაწილაკის დაეჭვების სემანტიკა დაიჩრდილა, დავიწროვდა, მისგან მიღებულმა ფორმებმა კი ძველ ქართულშივე დაასრულეს ფუნქციონირება.

⁴⁷ > G S B AK.

⁴⁸ ნუ უკუჴ B; ნუუკუე S G; > AK.

⁴⁹ ანუ შეაცთუნეთ G S B; > AK.

⁵⁰ > OJ G S AK.

⁵¹ > OJ G S AK.

4.4.10. ჰეთუმცა / ჰელამეთუ

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ორ-ორი მაგალითი დასტურდება ჰეთუმცა და ჰელამეთუ ნაწილაკების შემცველი კონტექსტებისა, რომლებშიც ნათლად ჩანს საეგებო, სათუო შინაარსი. ორივე ნაწილაკი შედგება ჰე შორისდებულისა და დაეჭვების გამომხატველი ნაწილაკებისაგან (თუ, -მცა, -მე, -ლა) რომლებიც აძლიერებენ კონტექსტით გადმოცემულ საეჭვო სემანტიკას:

„რამეთუ თვსითა კელითა უცხოთა ეკალსა მოვჰმკი, ჰეთუმცა ვითარ უძლე მომკად ეკლოვანებასა მას სულისა ჩემისასა, რამეთუ წერილ არს: „უკუეთუ სთესავ, შენი სთესე, თუ არა უცხოდ უმწარეს იყოს ღუარძლისა“ (მამ. სწ. და თხრ., 388, 25).

„ვერ ძალ-მიც უცხოთა ეკალთა გლეჯად კელითა ჩემითა, ჰეთუმცა ვითარ შეუძლე ჩემთა ეკალთა აღმოფხურად“ (მამ. სწ. და თხრ., 566, 15).

„ვიქცეოდით ... წყაროდს თავთა წყალთასა და ნაღუარეთა, ჰელამეთუ ვპოვოთ საძოვარი და გამოვზარდნეთ ცხენნი და ჯორნი“ (III მეფ. 18, 5 S⁵²).

„მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთახუელ არს, და სალბუნი და წამალი დაგადვა, რადთა ჰელამეთუ განიკურნო“ (აგ. ძეგ. I, 18, 14).

აღნიშნული ნაწილაკების გამოყენების სიმცირე მათზე ვრცელი მსჯელობის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა, ძნელია, იმის თქმა, თუ რამ განაპირობა ამ ნაწილაკთა შეზღუდული დისტრიბუცია, ფაქტი ერთია, დამოწმებულ კონტექსტებში ისინი დაეჭვების ეპისტემური სემანტიკის გამომხატველი არიან.

4.4.11. სამე

ძველ ქართულში მეტად საინტერესო ჩანს სამე ნაწილაკი, რომელიც, ერთი მხრივ, დაეჭვების, ხოლო მეორე მხრივ, დარწმუნებულობის გამომხატველ მოდალურ

⁵² ნუუკუე B; > OJ G AK.

კონტექსტებში გამოიყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში **სამე** ნაწილაკზე ვრცელი ანალიზია მოცემული. მეცნიერები თანხმდებიან ხსენებული ნაწილაკის შემადგენლობაზე: **სა+მე**, სადაც **სა** უნდა იყოს ნაშთი **სადა** კითხვითი ზმნიზედისა, **-მე** ნაწილაკს კი ძველ ქართულში ჰქონდა როგორც კითხვითი, ისე განუსაზღვრელობითი ნაწილაკის ფუნქცია, რამაც განაპირობა **სამე** ნაწილაკის ორი ფუნქციით გამოყენება, როგორც დაეჭვების გამომხატველი ნაწილაკი და როგორც მტკიცებით-დადასტურებითი ნაწილაკი (ყაუხჩიშვილი, 1946; ბაბუნაშვილი, 1953; შანიძე, 1976; ჯორბენაძე... 1988). შემდეგ კონტექსტებში **სამე** დაეჭვების ეპისტემური სემანტიკის გამომხატველია:

„აწვე თავი ჩემი დავდვა შენ ზედა. მიუგო იესუ: თავი შენი სამე დასდვა ჩემ ზედა?“(ი. 13, 38 C⁵³).

„ჰკონებ სამე, უმჯულოო, ვითარმედ მეცა შენვე გემსგავსო?“(სწავ., 146, 6).

„ნუუკუე და თქუენ სამე უწყოდით, გინა იხილეთ, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან?“(თარგმ. ქებ. ქებ., 185, 1).

„და ჩუენ აწ უწყით, რამეთუ ყოველი იცი და არა გიჰმს, რადთა გკითხოს ვინმე. ამისგან ვიცით, რამეთუ ღმრთისაგან გამოხუედ. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: აწ სამე გრწამს?“(ი. 16, 31, DE FG HIK⁵⁴).

„ნუუკუე წმიდა სამე იყოს კაცი წინაშე უფლისა, ანუ საქმეთა თვსთაგან უბიწო იყოს კაცი?“(იობ. 4, 17 OJ⁵⁵)...

პარალელურად ძველ ქართულ ტექსტებში **სამე** ნაწილაკს ვადასტურებთ დარწმუნებულობის გამომხატველი ეპისტემური მოდალური სემანტიკის მქონე წინადადებებში:

„და უკუეთუ აწ არა ჰრწმენეს, მაშინ სამე ჰრწმენეს, რაჟამს მოვიდეს ზეცით და დაჯდეს განშჯად“(ტბ., პარხლ. მრ., 294, 6).

⁵³ დასდვა DE FG HIK.

⁵⁴ გრწამს? C.

⁵⁵ სადამე S; > G B AK.

„ჰე, ამას სამე აჩუენებს, დამბადებელ ყოფად არს იგი პირუტყუთებრისა და საცხოვართ-სახისა მის ცხორებისაგან და უფროდსლა მერმე წამართ, საზრდელისა მის ანგელოზთ-მთავართადასა მოცემად“ (ტბ., პარხლ. მრ., 311, 3).

„კაცისმკლველი სამე იყო კაცი ესე, რომელი ზღუასა ღათუ განერა“ (საქ. მოც. (A) 28, 4).

„უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებად ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებად ეგე თქუენი“ (პავ. ეპ. (CD), კორ. 15, 14).

„და მერმე მოილო ბრძანებად: მიმყვანებელმან მან ჩუენმან: რამცა მიმიყვანოს მე ჰალაბისა ქალაქსა ხქ დიდნი ღუაწლნი და სატანჯველნი შემემთხზუნეს გზასა მას მრავალ-ფერითა გუემითა ვქე მოწევნადმდე ჩემდა ქალაქსა მას ჰალაბისასა: და უწყით სამე სიშორს გზისად მის“ (ცხ. და წამ. წმ. ანტ. რავ., 94, 30)...

დასასრულ, XII საუკუნემდე სამე ნაწილაკი ორივე მნიშვნელობით დასტურდება ქართულ წერილობით ძეგლებში, შემდეგ ის წყვეტს ფუნქციონირებას.

4.4.12. -ვე

ძველ ქართულში -ვე ნაწილაკის რამდენიმე ფუნქციას განიხილავენ (იგივეობა, დაზუსტება, განუსაზღვრელობა, განსაზღვრულობა (ყაუხჩიშვილი, 1946; ბაბუნაშვილი, 1953; ჯორბენაძე... 1988)), თ. ყაუხჩიშვილი მიუთითებს -ვე ნაწილაკის განსხვავებულ ფუნქციაზეც – „მართლა“, „ნამდვილად“ (ყაუხჩიშვილი, 1946, 271), რასაც ვადასტურებთ ჩვენი კვლევის ფარგლებშიც:

„რამეთუ ძმათა მისთაცა არა-ვე ჰრწმენა მისი“ (ი. 7, 5 C⁵⁶).

„რამეთუ ეგვპტისა და ბაბილოვნისა ტყუეობად გარდასრულ იყო და ადრევე მოქცევითა მით ერისადათა დაქსნილ იყო“ (საკ. (ექვთ.), 292, 5).

„მე უფროდს-ლა ნიჭი და პატივი აწ-ვე მიგცე შენ“ (აგ. ძეგ. I, 65, 15).

„იგი დაღაცათუ ხორცთა შინა იყოს საფლავისაგან აღდგომილვე არს“ (კლემ., 198, 18).

„რომელნი იშუებდენ, აქებენვე“ (კლარჯ. მრ., 263, 29).

⁵⁶ არცაღა DE FG HIK.

„ხოლო ესეცა მეზრ აღესრულავე მათ ზედა“ (თარგ. მ. სახ., 189,17).

„და ქუეყანის-მოქმედნიცა იგი ვიდრემე ნაყოფიერ იქმნეს თჳნიერ თესვისა და მკისა; და კუალად ვაჭარიცა განმდიდრდეს-ვე“ (ექ. დღ., 88, 3).

„გესმინა ესე, და თქუნ არა სცანთ, არამედ მერმეცა გასმინევე ახალი იგი ამიერითგანვე რომელ ყოფად არს, და არა სცან იგი“ (ეს. 48, 6 O⁵⁷).

„რამეთუ დაღაცათუ კეთილნი შენნი განმრავლდენ კაცთა მიმართ, არამედ მცირედმან ბოროტმან განრყუნესვე იგი, უკუეთუ შესზაო მის თანა“ (ბალავ., 140, 38).

-ვე ნაწილაკი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ნაწილაკი იყო ძველ ქართულში, როგორც დამოწმებული კონტექსტები აჩვენებს, ის გამოიყენებოდა სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან და კონტექსტს სძენდა დარწმუნებულობის მოდალურ სემანტიკას.

4.4.13. -მეზრ.

-მეზრ ერთ-ერთია იმ ნაწილაკთაგან, რომელიც ძველ ქართულში დარწმუნებულობის ეპისტემურ მოდალურ შინაარსს გამოხატავს: „სრულებით“, „სრულად“, „ყოვლად“ (შანიძე, 1976, 149; ჯორბენაძე... 1988, 292):

„აღიხუენით ბჭენი თქუნნი, მთავარნო; არა თუ განახუენით, არამედ თვთ-მეზრ საფუძველითურთ მათით აღიხუენით იგინი და აღმოჰფხურენით და განყარენით, რადთა ვერღარა დაჰჳნეთ თქუნ“ (დიდი შაბ. საკ., 200, 5).

„და დაუკვრდებოდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარმე წიგნი იცის ამან, რამეთუ უსწავიეს მეზრ არა? მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: ჩემი ესე მოძღურებად არა არს ჩემი, არამედ მისი არს, რომელმან მომავლინა მე“ (ი. 7, 15 C⁵⁸).

„და არა ხოლო თუ მერმისა მის საუკუნოდსათჳს ოდენ საჯმარ არს მარხვად, არამედ ჯორცთათჳსცა მეზრ უმჯობეს არს, რამეთუ ფრიადი იგი ფუფუნებად წინამძღუარ არს საღმობათა და დაცემათა“ (სწავ., 19, 82).

⁵⁷ ისმინენით BS; > G AK.

⁵⁸ უკუე DE FG HIK.

„მებრ პირველი იგი დღე მარხვათაა უკმარ და გამოუცდელ იყოს შენდა, რამეთუ ნაწილნი იგი და ნეშტნი მთრვალობისანი შენ თანა არიან, ხოლო რომლისა დაწყებად გამოუცდელ, მისი ყოველივე უკმარ, რამეთუ „მომთრვალეთა სასუფეველი ცათაა ვერ დაიმკვდრონ“ (სწავ., 15, 9).

„შენ რომელთა სულთა აქუნდე, ცხადი მებრ ნიჭი ხარ“ (მარგ., 226, 9).

„და რამეთუ ჰრწმენა, ვითარმედ მებრ ხილვითა ოდენ დიდი რადმე მოისთულონ სარგებელი, ვინაჲცა და შეშინდის უმოსწრაფესნი-რე შემოკრებულთაგანნი, ნუთუ არა საბლარდნელი ოდენ მართლისაა მის განიბძაროს სიმრავლისაგან“ (მეტ. ჰაგ. (ნოემ.), 763, 13).

„ესე მებრ საქმე სასწაული იყო, ვითარმედ არა უწყოდეს ჯერეთ ძალი მისი ჯერისაებრ“ (თარგმ. მ. სახ., 145, 27).

დარწმუნებულობის მოდალური შინაარსით მებრ ნაწილაკის შემცველი კონტექსტები ძველი ქართულის შემდეგ აღარ დასტურდება. ძველ ქართულში კი ის თავისუფლად გამოიყენებოდა წინადადების სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან კოლოკაციაში.

4.4.14. დასკვნა

ემპირიულმა მასალამ აჩვენა, რომ ძველ ქართულში ეპისტემური, დაეჭვების ან დარწმუნებულობის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად არაერთი ნაწილაკი გამოიყენებოდა. მოდალურ ნაწილაკთა ამგვარი სიმრავლე ძველ ქართულში მოდალური სემანტიკის სიძლიერეზე მეტყველებს, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულში მოდალობას, როგორც სისტემურ კატეგორიას, ძველი ქართული ენის დონეზე არ განვიხილავთ და ნაწილაკთა უმრავლესობაც ძველ ქართულშივე წყვეტს ფუნქციონირებას, მოდალური სემანტიკის გამომხატველ ნაწილაკთა მრავალფეროვნება საფუძველს ქმნის ენის განვითარების შემდგომ ეტაპზე მოდალობის კატეგორიად ჩამოყალიბებისათვის.

V თავი

5.1. სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამოხატვა ერთი და იმავე ენობრივი

საშუალებით

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ერთი ფორმა შესაძლოა, გამოხატავდეს სხვადასხვა მოდალურ სემანტიკას. მაგალითად, ინგლისურ ენაში მოდალური ზმნა **may** გამოხატავს როგორც დეონტურ მოდალობას (ნებართვას), ისე – ეპისტემურ მოდალობას (ვარაუდს, ალბათობას). ასევე, მოდალურმა ზმნამ **can**, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა დინამიკური (შესაძლებლობის) მოდალობის გამოხატვაა, სასაუბრო ინგლისურში შეიძინა დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვის ფუნქციაც (Palmer, 1997, 1990, 2001; Traugott, 2011). ამგვარი ფენომენი ჩვეულებრივია და მიჩნეულია კროსლინგვისტურ ფენომენად (Cross-linguistic phenomenon) და აქვს დიაქრონიული საფუძველი, რადგან ეპისტემური მნიშვნელობა განვითარებულია დეონტური მნიშვნელობისაგან (Traugott, 2011). იგივე ვითარებაა ქართულ ენაშიც, როცა **უნდა** მოდალური ფორმა გამოხატავს როგორც დეონტურ, ისე ეპისტემურ მოდალობას ან **ვერ** ნაწილაკის შემთხვევაში, როცა იგი გამოხატავს დინამიკურ მოდალობას, მაგრამ გარკვეულ კონსტრუქციებში გვევლინება ეპისტემური შინაარსითაც (Sharashenidze... 2019). იმავეს თქმა შეგვიძლია რთულ ზმნებზეც, ძველ ქართულ ენაში. ერთი მხრივ, **კელ-ეწიფების** და **ძალ-უც** რთული ზმნები ერთდროულად გამოხატავენ დინამიკურსა და დეონტურ მოდალობას, მეორე მხრივ, **ჯერ-არს** რთული ზმნა გამოიყენება როგორც დეონტური, ისე ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებში. შესაბამისად, იკვეთება, რომ ქართული ენისთვის, ისევე როგორც სხვა არაერთი ენისთვის, დამახასიათებელია ერთი ფორმით სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამოხატვა.

5.2. დინამიკური და დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „**კელ-ეწიფების**“ და „**ძალ-უც**“ რთული ზმნები

როგორც აღინიშნა (იხ. თავი 2.2.1., 2.2.2, 3.5.1), „*ძველსა და საშუალო ქართულში დინამიკური და დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვის თვალსაზრისით*

სინონიმურ ფორმებად გვევლინება **კელ-წიფება** და **ძალ-უც** რთული ზმნები: „და ჩუენ ვერ კელ-გუეწიფების მიცემად მათა ცოლი ასულთაგან ჩუენტა, რამეთუ ვფუცეთ ძეთა ისრაჴლისათა და ვთქუთ: წყულ იყავნ, რომელმან მისცეს ცოლი ბენიამენს!“ (მსაჯ. 21, 18 OJ S). **შდრ.**: „რამეთუ ჩუენ ვერ ძალ-გვც მიცემად მათი ცოლთა ასულთაგან ჩუენტა, რამეთუ ვფუცეთ ძეთა ისრაელისათა, მეტყუელთა: წყულ იყავნ, რომელმან მისცეს ცოლი ბენიამინსა“ (იქვე, G)“ (დამბაშიძე, 2017, 222).

ქართული ოთხთავის რედაქციულ სხვაობებზე დაკვირვება კარგად გვიჩვენებს რთული ზმნის რღვევის პროცესს ქართულ სამწერლობო ენაში, ასე მაგალითად, ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქციაში დასტურდება რთულ ზმნათა და სხვადასხვა ტიპის აღწერით წარმოებათა თანაარსებობა: „**კელ-მეწიფების განტევებად მენი**“ (ი. 19, 10 C). „**კელმწიფებად მაქუს განტევებად მენდა**“ (იქვე, DE FG HIK); „**ვის კელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა?**“ (მარკ. 2, 7 DE FG HIK). „**ვინ შემძლებელ არს მიტევებად ცოდვათა?**“ (იქვე, C); „**უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც კეთილის-ყოფად მათა**“ (მარკ. 14, 7 DE FG HIK). „**რაჟამს გენებოს, კელმწიფე ხართ მათა კეთილისყოფად**“ (იქვე, C); „**ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად?**“ (მ. 9, 28 DE FG HIK). „**ვითარმედ შემძლებელ ვარ ყოფად ესე?**“ (იქვე, C).

წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ **კელ-ეწიფების** და **ძალ-უც** რთულ ზმნებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით თავისუფალი ვარირებაა, რადგან გვაქვს შემთხვევები, როდესაც **კელ-ეწიფების** რთულ ზმნას რედაქციულად ანაცვლებს **ძალ** ფუძისაგან ნაწარმოები შედგენილი შემასმენელი, **შემძლებელ არს**. მეორე მხრივ, **ძალ-უც** ზმნას რთული ზმნის რღვევის პროცესში ენაცვლება **კელ-ეწიფების** რთული ზმნისგან ნაწარმოები სასუბიექტო მიმდებობითა (**კელმწიფე**) და **არს** მეშველი ზმნით მიღებული შედგენილი შემასმენელი. ამ ზმნათა იდენტურ ფუნქციაზე მიუთითებს ისიც, რომ ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც „ნეიტრალური“ (გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა), ისე „სუბიექტზე ორიენტირებული“ (შინაგანი ან შექმნილი უნარი ან ცოდნა) (Palmer, 1990, Wymann, 1996) მოდალური სემანტიკის გამოხატვისას. მაგალითად, წინადადებაში: „**ვის კელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა?**“ (მარკ. 2, 7 DE FG HIK), საუბარია შინაგან უნარზე, რომელიც ოთხთავის ჯრუჴპარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ

რედაქციებში გადმოცემულია **ჯელ-წიფების** რთული ზმნით, ხოლო ადიშის ოთხთავში **ძალ** ფუძისაგან ნაწარმოები აღწერითი წარმოებით: „*ვინ შემძლებელ არს მიტვეებად ცოდვათა?*“ (იქვე, C). მეორე მხრივ, ოთხთავის ჯრუჟ-პარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ რედაქციებში გვაქვს **ძალ-გიც** რთული ზმნით გამოხატული შემდეგი კონტექსტი: „*უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც კეთილის-ყოფად მათა*“ (მარკ. 14, 7 DE FG HIK), რომელშიც იგულისხმება გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა, ადიშის ოთხთავში კი ამ სემანტიკას გამოხატავს **ჯელმწიფე ხართ** აღწერითი კონსტრუქცია: „*რაჟამს გენებოს, ჯელმწიფე ხართ მათა კეთილისყოფად*“ (იქვე, C).

ჯელ-წიფება რთული ზმნის შემთხვევაში სემანტიკურ ნაირგვარობას უნდა განაპირობებდეს მისი შემადგენელი სახელური კომპონენტი. **ჯელი** არის ადამიანის სხეულის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია შეასრულოს მოქმედებათა უმეტესი ნაწილი. **ჯელ** ფუძეზე **წიფება** („*წევა, მოწევა, მიწევა, გათანასწორება, მოახლება, მოვლინება*“ (აბულაძე, 1973, 549, 481, 254, 287)) ზმნური კომპონენტის დართვით ვიღებთ რთულ ზმნას, **ჯელ-წიფება**, შემდეგი მნიშვნელობით – „*შედლება, უფლება, გაბედვა*“ (აბულაძე, 1973, 569). ქართულ ენაში **ხელ** ფუძესთანაა დაკავშირებული არაერთი იდიომი (ხელი ჩაიქნია, ხელი მოეცარა, ხელში ჩაიგდო...), რომლებიც ცხადყოფენ ამ ორგანოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში. როგორც ჩანს, ქართულ ენაზე მეტყველთათვის **ხელი** ასოცირდება როგორც ფიზიკურ ქმედებებთან, ისე – მენტალურ პროცესებთან, ამიტომაც, რომ **ჯელ-წიფება** ზმნით შეიძლება გამოხატულიყო როგორც შინაგანი ან შეძენილი უნარი, ცოდნა და სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობა, ისე – უფლების ქონა, ნებართვა, გაბედვა...

სუბიექტური წყობის ფორმები ძველსა და საშუალო ქართულში იშვიათად გვხვდება. შინაარსობრივად **ჯელ-ვიწიფე** ტიპის ფორმები გამოხატავენ როგორც დეონტურ მოდალობას, ისე დინამიკურ მოდალობას, ოღონდ მხოლოდ მის „ნეიტრალურ“, გარემო პირობებზე დამოკიდებულ სახეობას.

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გაბედვის, უფლების უქონლობის დეონტური მოდალური სემანტიკა **ჯელ-წიფება** ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებითაა გადმოცემული:

*„რადსა **ჯელ-იწიფა** ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმე?“* (აგ. ძეგ. I, 4, 28).

*„და ცხად არს ესე ჩუენ შორისცა, რამეთუ არავინ **ჯელ-იწიფის** თვნიერ მღდელთა კითხვად წიგნისად საკურთხეველსა უფროდს ხოლო დღესა კვრიაკესა და ერისა კრებასა“* (მც. აპოკრ., 26, 3).

*„ვერ **ჯელ-იწიფოს** პირველმან მან ქმარმან, რომელმან განუტევა იგი მიქცევად და მიყვანებად მისა ცოლად შემდგომად შეგინებისა მისისა, რამეთუ ბილწ არს წინაშე უფლისა ღმრთისა“* (სინ. მრ., 24, 4).

მეორე მხრივ, სუბიექტური წყობის **ჯელ-წიფება** ზმნა დასტურდება გარემო პირობებით განპირობებული ქმედების შესაძლებლობისა თუ შეუძლებლობის, „ნეიტრალური“ დინამიკური სემანტიკის, გამომხატველ კონტექსტებში:

*„ხოლო ჰეროდია ჰემტერა მას და უნდა მოკლვად მისი და ვერ **ჯელს-იწიფებდა**, რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა, რამეთუ გულითად უწყოდა კაცი იგი მართლად“* (მარკ. 6, 19 C).

*„**ჯელ-ნუ-იწიფოსა** ღმერთმან განმზადებად ტაბლად უდაბნოსა? და კუალად იტყოდეს: „პურის-ცემადცა ნუ უძლოსა ღმერთმან, ანუ განმზადებად ტაბლად ერსა თვსსა?“* (თარგმ. მ. სახ., 3, 30).

ობიექტური წყობის **ჯელ-წიფება** ზმნა ძველ ქართულში აქტიურად გამოიყენებოდა როგორც დეონტური, ისე „ნეიტრალური“ და „სუბიექტზე ორიენტირებული“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად.

წარმოვადგენთ დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ მაგალითებს:

*„ამის კაცისა პატიჟი მე არარად **ჯელ-მეწიფების**, არცა აღბმად ძელსა, არცა პყრობილებად, არამედ წარუძღუანო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნასჰს, ქართლისა მარზაპანსა, და, რად-იგი შეჰგვანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას **ჯელ-ეწიფების** სიკუდილი და ცხორებად“* (აგ. ძეგ., I, 32, 7).

*„და ჰრაგულელ ფუცა არაგანტევებად ჩემი ათოთხმეტ დღე, რადთა ვიყოფოდი მე მათ თანა და ვერ **ჯელ-მეწიფების** შეურაცხ-ყოფად ფიცი მისი“* (OJ, 9, 4).

„არც[ა] ვის ძმათაგანსა **ჯელეწიფების** მოწაფეყოფად სხვსა მოძღურისა“ (ქართ. სამართ. ძეგლ., III, 136, 18-19).

„მწირსა მონაზონსა დიაკვნისა და[მ]ჭირვად არ[ა] **ჯელ-ეწიფოს**“ (ქართ. სამართ. ძეგლ., III, 132, 8).

ქვემოთ დამოწმებული კონტექსტები კი „ნეიტრალური“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველია:

„და მერმე სხუამან ჰრქუა: „ცოლი შევირთე და მის გამო ვერ **ჯელ-მეწიფების** მოსლვად“ (ლ. 14, 20, C DE FG HIK).

„რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას **ჯელ-ეწიფების** სიკუდილი“ (აგ. ძეგ. I, 32, 10).

„უკუეთუ ვინმე არა იზუეს მეორედ, ვერ **ჯელ-ეწიფების** ხილვად სასუფეველი ღმრთისად“ (აგ. ძეგ. I, 178, 23).

„ჟამთა ამათ ჩუენთა არღარავის **ჯელ-ეწიფების** მსგავსებაჲ პირველთა მამათა[დ]“ (აგ. ძეგ. I, 320, 28).

აქვე ვიმოწმებთ „სუბიექტზე ორიენტირებული“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებსაც:

„ვითარ **ჯელ-ეწიფების** შობად კაცსა ბერსა?“ (ი. 3, 4, DE FG HIK).

„**ნუ ჯელ-ეწიფების** ბრმასა ბრმისა წინა-ძღუანვად?“ (ლ. 6, 39, C DE FG HIK).

„და მერმე ჰრქუეს ქრისტესა: „სოლომონმან ორმეოცსა წელსა აღაშენა ტაძარი ესე და შენ სთქუ: „დავარღვო და სამსა დღესა აღვაშენო ეგე-ო!“ მაშინ ქრისტემან ჰრქუა: „მე **ჯელ-მეწიფების** დარღუევად და მესამესა დღესა აღშენებად“ (აგ. ძეგ. I, 41, 5).

კიდევ ერთი რთული ზმნა, რომელიც ძველ ქართულში გამოხატავს როგორც დინამიკურ, ისე დეონტურ მოდალურ სემანტიკას, არის **ძალ-უც**, რომლის პირველი კომპონენტი სახელია (ძალ-ი - „ძალა, შეძლება, ძლიერება“ (აბულაძე 1973, 523)), მეორე კომპონენტი კი ზმნაა, რომელიც სუპლეტურად აწარმოებს მწკრივებს (პირველ

სერიაში – ცემა, მეორეში – დება).⁵⁹ აღნიშნული რთული ზმნის ზმნური კომპონენტის მნიშვნელობაა „ქონა, ქონება“, შესაბამისად, **ძალ-უც** გაიაზრება, როგორც „ძალა აქვს, ძალა შესწევს, შეუძლია“, რაც ცალსახად დინამიკურ, შესაძლებლობის მოდალურ სემანტიკაზე მიუთითებს.

წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს ძველი და საშუალო ქართული ენის წერილობითი ძეგლებიდან, გამოხატულია „ნეიტრალური“ შესაძლებლობა:

„აწ მიქორწინებია და ვერ ძალ-მიც მოსლვად“ (ფსევდომაკ., 314, 4).

„ერთსა კიდობანსა შენსა, სავსესა სამოსლითა შენითა, ძალ-უც მრავლისა ერისა, სიცივითა შეჭირვებულისა შემოსაჲ“ (სწავ. წმ. მამ., 102, 26).

„ხოლო მივიცვალენით რაჲ ქუეყანით, არღარა თვით ჩუენ ამათ ძალ-გვც ესე ქმნად აღსაარებისა მიერ, რამეთუ დაიჭმვის კარი“ (თარგმ. ლ. სახ., 71, 28).

„და შენცა, მორწმუნეო, ნუ სრულიად უნაყოფო იქმნები, არამედ უკუეთუ ვერ ძალ-გიც ქალწულებად, იქორწინე სიწმიდით“ (თარგმ. მ. სახ., 334, 29).

„სახლი არ მახლავს, არ ძალ-მიც გაცემა საბოძვარისა“ (ვეფხ., 1316, 1).

„არა ძალ გვიძს, ⁶⁰ რათა არა მივიდეთ, რამეთუ ვართ კურთხევასა ქუეშე კათალიკოზისასა“ (ქართ. ცხ. II, 706, 15).

წარმოდგენილ მაგალითებში გამოხატულია დინამიკური მოდალობის ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაძლებლობა განპირობებულია გარემო ფაქტორებით, ობიექტური რეალობით და არ არის დამოკიდებული სუბიექტის ცოდნასა და ამა თუ იმ უნარზე.

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ერთდროულად გამოხატულია როგორც „ნეიტრალური“, გარემო პირობებით განპირობებული შესაძლებლობა, ისე ფაქტის რეალობა, ამას კი განაპირობებს **ძალ-უც** კომპოზიტ ზმნაზე დართული -ვე ნაწილაკი:

⁵⁹ დება - «ქუან/ქონება», ყოფნა, განდება, «დავრდომა», დადება, ცემა, გდება (აბულაძე 1973, 138, 514). ჩვენს შემთხვევაში ეს ზმნა პირველი მნიშვნელობითაა ნახმარი.

⁶⁰ ასახულია რთული ზმნის რღვევის პროცესი.

„არამედ უფალმან უჩუენა მას, ვითარმედ დაღათუ არა იყოს იესუს თანა, **ძალ-უცვე** მადლითა მისითა დაცვულსა უაღრეს-ყოფად საეშმაკოდსა განმცდებლობისა“ (თარგმ. ლ. სახ., 111, 25).

„ადვილად ვპყოფდეთ მათ მადლისა მიერ, ვითარმედ უკუეთუმცა მადლი იგი არა მოგეცემოდა, არა ადვილად უკუე, გარნა ეგრეთცა **ძალ-გუედვავე** თვნიერ მისსაცა სრულ-ყოფად საღმრთოდთა მცნებათად“ (დიდი სჯ., 344, 21).

როგორც აღვნიშნეთ (იხ. თავი 4.4.12.), საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა -ვე ნაწილაკის რამდენიმე ფუნქცია (1. კავშირი; 2. თანდებული; 3. იგივეობითი ნაწილაკი; 4. გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: „მართლა, ნამდვილად“; 5. განუსაზღვრელობას ანიჭებს სიტყვას, რომელსაც დაერთვის) და აღნიშნულია, რომ ის შეიძლება დაერთოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილს (ყაუხჩიშვილი, 1946, 270-271), მათ შორის - ზმნას, ამ შემთხვევაში -ვე ნაწილაკი გამოხატავს ინტენსიობას (სარჯველაძე, 1997, 162). ჩვენ მიერ დადასტურებულ მაგალითებში -ვე ნაწილაკი დამატებით ნიუნანს სძენს, მეტ სიძლიერეს ანიჭებს მოდალური სემანტიკის გამომხატველ ზმნას და აჩვენებს, რომ ზმნით გადმოცემული სემანტიკა ნამდვილია, უტყუარია. ამრიგად, დამოწმებული მაგალითები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ერთ წინადადებაში ვადასტურებთ ორი სხვადასხვა მოდალური სემანტიკის, „ნეიტრალური“ დინამიკური შესაძლებლობისა და ეპისტემური, კერძოდ, დარწმუნებულობის სემანტიკის გამომხატველ ლექსიკურ (**ძალ-უც** რთული ზმნა) და გრამატიკულ საშუალებებს (-ვე ნაწილაკი). ამასთანავე, აღნიშნული საშუალებები შერწყმულად, კონტამინირებული სახითაა წარმოდგენილი: **ძალ-უცვე, ძალ-გუედვავე**.

აქვე წარმოვადგენთ „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის ნიმუშებსაც:

„ამან ეგრე თქუა: „**ძალ-მიც** დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისად და მესამესა დღესა აღშენებად“ (თარგმ. მ. სახ., 398, 19).

„ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ **ძალ-გიც** ერთისაცა თმისა განსპეტაკებად გინდა დაშავებად“ (მ. 5, 36, DE FG HIK S).

„და კუალად რაჲ-იგი გონებამან გულისკმა-ყოს, ენასა გამოთქუმად ვერ ძალ-უც“ (თარგმ. მ. სახ., 67, 6).

„ხოლო ესე არღა იცოდეს, თუ მძინარესაცა ძალ-უც ამისა ქმნად“ (თარგმ. მ. სახ., 145, 30).

ყველა მოყვანილ მაგალითში ძალ-უც ზმნა გამოხატავს შინაგან შესაძლებლობასა და უნარს.

ჩვენი დაკვირვებით, ძალ-უც რთული ზმნის შემთხვევაში მისი შემადგენელი სახელური და ზმნური კომპონენტები არ განაპირობებენ ამ კომპოზიტი ზმნის დეონტურ მოდალურ მნიშვნელობასთან კავშირს. ვფიქრობთ, მთლიანად რთულ ზმნას უნდა განევითარებინა დეონტური მნიშვნელობა, რადგან ლოგიკურად მოლაპარაკე პირი თანამოსაუბრე ან სხვა პირისაგან მოითხოვს იმ ქმედების შესრულებას, რომლის შესრულებაც, მოლაპარაკის აზრით, სუბიექტს შეუძლია და აუცილებელიცაა. შემდეგ კონტექსტებში ძალ-უც რთული ზმნა დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველია:

„იოვანე, რაჲსათჳს გუაცილობ, ანუ ვინ(აჲ) მოიწიე, ჩუენი არს ადგილი ესე და შენ ვერ ძალ-გიც ყოფად აქა“ (იო. ზედ., 44, 8).

„ვითარ ძალ-გიც რქუმად ძმისა შენისა: „ძმაო, მიტევე, აღმოგილო წუელი თუალისაგან შენისა, თჳთ თუალსა შინა შენსა დირისა არამხედველსა?“ (თარგმ. ლ. სახ., 84, 28).

„განდევნა იგი ბერმან და ჰრქუა მას: „ესე ადგილი მონაზონთაჲ არს, ხოლო შენ ერისკაცი ხარ და ვერ ძალ-გიც აქა მკუდრობად“ (სწ. წმ. მამ., 281, 21).

„ესე ადგილი მონაზონთაჲ არს, ხოლო შენ ერისა-კაცსა ვერ ძალ-გიც ყოფად აქა“ (სწ. წმ. მამ., 9, 8).

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიტური წარმოების ძალ-უც ზმნა ძალზე იშვიათად გამოიყენებოდა დეონტური მოდალური სემანტიკით, მისთვის დომინანტური იყო დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოხატვა.

5.3. დეონტური და ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „ჯერ-არს ყოფად“ და „ყოფად არს“ ტიპის წარმოება

ის ფაქტი, რომ მომავლით გამოხატული მოვლენები შეიძლება აღიწეროს დროის თვალსაზრისითაც და მოდალობის კუთხითაც, დიდი ხნის წინ შეისწავლეს მეცნიერებმა (Comrie, 1985; Bybee, 1988; Bybee et al., 1994; Palmer, 1997, 2001). მეორე, რაც აკავშირებს მოდალობასა და მომავალ დროს არის ის, რომ ხშირად მომავლის მორფემები მიღებულია მოდალური (დეონტური) ფორმებიდან. მაგ., ინგლისურში will და shall წარმოშობით მოდალური ზმნებია (De Haan, 2004, 37).

ტიპოლოგიურ ლიტერატურაში დროს განსაზღვრავენ როგორც ადგილმდებარეობის (location) დროში გამომხატველ გრამატიკულ (grammaticalized) საშუალებას. მოდალობასა და დროს შორის აშკარა კავშირია. ყველაზე ნათელი მაგალითი ამ კავშირისა არის მომავალი დრო. იმის გამო რომ მომავლით გამოხატული მოვლენა ჯერ კიდევ არ მომხდარა და გარკვეული დაურწმუნებლობა ახლავს მას თან, მომავალი და ეპისტემური მოდალობა უკავშირდება ერთმანეთს. მომავალიც ხან რეალურ კატეგორიად კვალიფიცირდება, ხან – არარეალურად (De Haan, 2004, 34).

საინტერესოა ნ. კოტინოვის მოსაზრება მყოფადის აღწერითი საშუალების წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, „ყოფად არს მიღებული ჩანს ჯერ-არს ყოფად კონსტრუქციისაგან. ჯერ ხშირი გამოყენების შედეგად უნდა დაკარგულიყო“ (კოტინოვი, 1965, 101). მეორე მხრივ, ი. ქავთარაძის თვალსაზრისით: „**მოსლვად არს** ტიპის გამოთქმებს ჰქონდა კატეგორიული, უახლოეს მომავალში აუცილებლად შესასრულებელი, სავალდებულო მოქმედების შინაარსი. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი კატეგორიულობის გასაძლიერებლად და გასახაზავად მასდარის მიმართულებითის ფორმას უძღვის **ჯერ-არს** და მისთანა (შეჰგავს, შეუენის, ჰჰამს...) გამოთქმები: **ჯერ-არს მოსლვად** (ქავთარაძე, 1971, 130-131). ჩვენთვის მეორე მოსაზრება უფრო მისაღებია, რადგან ძველ ქართულში **ჯერ-არს** რთული ზმნა გამოიყენებოდა როგორც დეონტური, ისე ეპისტემური მოდალური შინაარსით, რადგან პერიფრასტული მყოფადიც მომავალში სავალდებულო, აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას გადმოსცემდა, ამიტომ, ვფიქრობთ, **ჯერ-არს მოსლვად** და **მოსლვად არს** ტიპის გამოთქმები მსგავსი შინაარსის, კატეგორიულობის,

აუცილებლობის გამომხატველ ორ სხვადასხვა საშუალებას წარმოადგენდა, უბრალოდ, მოდალური ზმნის შემცველი კონსტრუქცია უფრო მეტად უსვამდა ხაზს კატეგორიულობისა და აუცილებლობის სემანტიკას. ზოგადად, კატეგორიული მყოფადის ფორმების **ჯერ-არს ყოფად** კონსტრუქციისაგან წარმომავლობას ვერ დავეთანხმებით, ასევე, იმიტომ, რომ პერიფრასტული მყოფადის ორპირიანი ფორმებისათვის არც ძველ და არც საშუალო ქართულში არ იძებნება შესაბამისი **ჯერ** კომპონენტის ალწერთი წარმოება. **ჯერ-მიც, ჯერ-გიც, ჯერ-მისხენ, ჯერ-გისხენ** ტიპის ფორმები ქართული ენის წერილობით ძეგლებში არ დასტურდება. ასევე უნდა ითქვას, რომ მოდალური სემანტიკით მხოლოდ **ჯერ-არს** რთული ზმნის III პირის ფორმა გამოიყენება, კატეგორიული მყოფადის ფორმები კი ყველა პირში გამოხატავდნენ სავალდებულო, აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას. საგულისხმოა, რომ **ჯერ-არს** მოდალურზმნიანი და ოდენ მასდარული კონსტრუქციები პარალელურად დასტურდება ქართული ოთხთავის სხვადასხვა ვერსიაში:

„ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად“ (მ. 24, 6 X DE FG HIK).

შდრ.: *„ნუ აღტყდებით, რამეთუ ყოფად არს ესე ყოველი, ხოლო აღსასრული არღა იყოს“* (იქვე, C).

„ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად“ (მრკ. 13, 7 DE FG HIK).

შდრ.: *„ნუ აღტყდებით, რამეთუ ყოფად არს, ხოლო აღსასრული არღა იყოს“* (იქვე, C).

„ეგრეცა ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ვნებად მათგან“ (მ. 17, 12, X DE FG).

შდრ.: *„ეგრეცა ძე კაცისაჲ ვნებად არს მათგან“* (იქვე, C⁶¹).

მოყვანილი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ნუსხებში (FG HIK) ისევე დასტურდება ეპისტემური სემანტიკის გამომხატველი რთულზმნიანი კონსტრუქციები, როგორც შედარებით ძველ პრეათონურ ხელნაწერებში (X DE), განსხვავებას ავლენს მხოლოდ ადიშის ოთხთავი (C), რასაც ჩვენ არა დროულ ცვლილებად, არამედ რედაქციულ სხვაობად მივიჩნევთ.

⁶¹ ეგულების ვნებად HIK.

გარდაუვალი, აუცილებლად შესასრულებელი მოქმედების გამოსახატავად ე.წ. „კატეგორიული მყოფადის“ ფორმების გამოყენებასთან ერთად რედაქციული სხვაობის მაჩვენებელია, ასევე, დეონტური სემანტიკის **ჯერ-არს** რთული ზმნის ნაცვლად სხვა ტიპის აღწერითი წარმოების (**წეს არს**) დადასტურება ადიშის ოთხთავის რამდენიმე მუხლში:

„ჯერ-არსა ხარკისა მიცემაჲ კეისარსა ანუ არა ?“ (მ. 22, 17 DE FG HIK).

შდრ.: *„წეს არს ხარკისა მიცემაჲ კეისრისა, ანუ არა ?“* (იქვე, C).

„ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვაჲ“ (ი. 18, 31 DE FG HIK).

შდრ.: *„ჩუენდა არა წეს არს მოკლვად არავისა“* (იქვე, C).

„შაბათი არს და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი“ (ი. 5, 10 DE FG HIK).

შდრ.: *„შაფათი არს და არა წეს იყო შენდა აღკიდებად ცხედრისა მაგის“* (იქვე, C).

ერთი შეხედვით, თითქოს, ადიშის ოთხთავისთვის არ არის დამახასიათებელი **ჯერ-არს** რთული ზმნის გამოყენება, რადგან ხშირ შემთხვევაში ოთხთავის ეს რედაქცია უპირატესობას ანიჭებს არა **ჯერ-არს** რთულ ზმნას, არამედ სხვა ტიპის აღწერით წარმოებას (**ყოფად არს, წეს არს...**), მაგრამ უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც როგორც ეპისტემური, ისე დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ქართული ოთხთავის რედაქციები, მათ შორის ადიშურიც, იყენებენ **ჯერ-არს** ფორმას.

ჯერ-არს რთული ზმნით ოთხთავის რედაქციებში გადმოცემულია დეონტური მოდალური სემანტიკა:

„უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა კურნებაჲ ?“ (მ. 12, 10 C DE FG HIK).

„არა ჯერ-არს შენდა ვითარმცა გესუა შენ იგი ცოლად“ (მ. 14, 4 X C DE FG HIK).

„ჩუენდა ჯერ-არს საქმედ საქმისა მომავლინებელისა ჩემისასა“ (ი. 9, 4 C DE FG HIK).

ჯერ-არს მოსლვად და მოსლვად არს აღწერითი წარმოების ურთიერთმიმართების შესახებ გასათვალისწინებელია ისიც, რომ X საუკუნიდან ინფინიტივის მოშლასთან ერთად მყოფადის პერიფრასტულ მოდელშიც ხდება ცვლილება, მასდარს ენაცვლება მიმღეობა, რის გამოც, **მოსლვად არს** ტიპის ფორმები

თანდათან გადის გამოყენებიდან, **ჯერ-არს** მოდალური სემანტიკის რთული ზმნა კი საშუალო ქართულშიც გვხვდება. შესაბამისად, **მოსლვად არს** ტიპის ფორმები ვერ იქნებოდა **ჯერ-არს მოსლვად** ტიპის მოდალური კონსტრუქციის ცვეთის შედეგად მიღებული, უბრალოდ, **ჯერ-არს** მოდალური ზმნა, ისევე როგორც სხვა მოდალური ზმნები, მათ შორის მარტივი ფორმებიც, ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე აღწერითი წარმოების კონსტრუქციას ქმნის სხვადასხვა ბრუნვაში დასმულ მასდართან, რომელიც საკუთრივ ვითარებითი ბრუნვის ფორმით მონაწილეობდა მყოფადის გამომხატველ აღწერით წარმოებაშიც.

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში როგორც რთული, ისე მარტივი მოდალური ზმნები გარკვეული მოდალური შინაარსის მქონე აღწერითი წარმოების შესაქმნელად კავშირს ამყარებენ ინფინიტივის ფუნქციის მქონე, ვითარებითი დასმულ მასდართან, რომელიც მოგვიანებით სახელობითის ფორმით წარმოგვიდგება. ეს კი დაკავშირებულია დეინფინიტივიზაციის პროცესთან, რამაც ძველ ქართულშივე იჩინა თავი და საშუალო ქართულში ნორმად იქცა (მარტიროსოვი, 1955; ქავთარაძე, 1971).

„ჯერ-არს მისა მკუდრეთით აღდგომად“ (ი. 20, 9 C).

შდრ.: *„ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომად“* (იქვე, DE FG HIK).

„არა ჯერ-არს ღმრთისა ცხოველისა დატევებაჲ და ქვათა, გინა სხუათა რათმე მსახურებაჲ“ (აგ. ძეგ. I, 38, 8).

„რამეთუ ესრე ჯერ-არს ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლჳ“ (მ. 3, 15 D FG).

შდრ.: *„რამეთუ ესრე შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველისა სიმართლისა“* (იქვე, C HIK).

„ჯერ-არს ძჳ კაცისაჲ მიცემად ჳელთა კაცთასა“ (მ. 17, 22 DE FG).⁶²

შდრ.: *„ეგულების ძესა კაცისასა მიცემად ჳელთა კაცთასა“* (იქვე, HIK).

„ლუაწლოსა და ასპარეზსა დიდსა და საღმრთოსა გეგულების თქუნ შესლვად“ (თარგმ. მ. სახ. 260, 26).

ჩვენს მოსაზრებას **ჯერ-არს** ყოფად და ყოფად არს ტიპის ფორმების დამოუკიდებლად არსებობის შესახებ ამყარებს ისიც, რომ ქართულ ენაში არ

⁶² მიცემად არს C.

დასტურდება ისეთი შემთხვევა, სხვა რომელიმე რთული ზმნის პირველ კომპონენტს განეცადოს ცვეთა. როგორც წესი, ქართული სამწერლობო ენის განვითარების მანძილზე რთულ ზმნებს ან ენაცვლება მსგავსი ძირით ნაწარმოები მარტივი ზმნა (ზრახვა-ყვეს||ზრახვიდეს, ლოცვა-ყო||ილოცა, ძალ-გიც||შეგიძლია...) ან იმავე სემანტიკის გამოსახატავად ენა იყენებს სხვა ძირის სინონიმურ ვარიანტს (თუალ-აღებ||ხედავ, წამ-უყოფდა||მოასწავებდა...).

მყოფადის გამოხატვის აღწერით მოდელში მასდარის მიმღეობით ჩანაცვლება, როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულშივე ხდება:

„ვად სოფელსა საცთურთა მათგან, რამეთუ... მომავალ არს საცთური“ (მ. 18, 7 DEFG, Titus). ... *მომავალ არიან* (იქვე, HIK).

შდრ.: *„ვად ამის სოფლისა საცთურთაგან, რამეთუ მოსლვად არს საცთური“* (იქვე, C).

„და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“ (აგ. ძეგ. I, 7, 25).

„სცეთ შვილო ჩემო, რამეთუ დაფარვად მოიგონე, რამეთუ რადცა ვიდრე სიკუდილადმდე საქმედ გიც, იცის აწვე, დაღათუ ასი წელი გედვას, არამედ მითხარ, შვილო ჩემო, რად უკუე არს ბრალი შენი“ (ქრესტ. I, 306, 17).

საგულისხმოა, რომ მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ მოდელში ინფინიტივის მიმღეობით ჩანაცვლების შემდეგ ამ ფორმათა მოდალური შინაარსი (კატეგორიულობა, სავალდებულო და აუცილებელი მოქმედების გამოხატვა), უცვლელი დარჩა (ქავთარაძე, 1971, 136).

საბოლოოდ, როგორც დეონტური, ისე ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამოხატვის შემთხვევაში **ჯერ-არს** რთულზმნიანი კონსტრუქცია და ე.წ. „კატეგორიული მყოფადის“ ფორმები (შესლვად არს...) ორ დამოუკიდებელ სინონიმურ საშუალებას წარმოადგენდა ძველი ქართული ენის ეტაპზე.

5.4. პარონომაზია

ძველ ქართულ თარგმანებში და ამის გავლენით ორიგინალურ ტექსტებშიც თავს იჩენს ებრაულისთვის დამახასიათებელი ისეთი ენობრივი მოვლენა, როგორცაა პარონომაზია. ეს უკანასკნელი ძველი ქართულის ტექსტებისა და შესაბამისი უცხოური წყაროების მიხედვით საფუძვლიანად აქვს შესწავლილი კ. წერეთელს, რომელიც გამოყოფს პარონომაზიის ორ სახეს: „ძირეული პარონომაზია (მორფოლოგიური) – ერთი ვერბალი ცნება გადმოცემულია ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ორი ზმნური სიტყვით“ (წერეთელი, 1954, 465) და „სემასიოლოგიური პარონომაზია – როდესაც ერთი ვერბალი ცნება გადმოცემულია ორი სინონიმური ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით. ეს ქართულისთვისაა დამახასიათებელი და შეესატყვისება ხოლმე ებრაულში გამოყენებულ ძირეულ (მორფოლოგიურ) პარონომაზიას (სიკუდილითა აღესრულოს...)“ (წერეთელი, 1954, 467). ფუნქციების თვალსაზრისით ქართული პარონომაზია სრულიად იდენტურია ებრაულისა (წერეთელი, 1954), ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენს პარონომაზიის ის შემთხვევები, რომლებშიც ხაზი აქვს გასმული, ერთი მხრივ, მოქმედების ნამდვილად, ჭეშმარიტად შესრულებას და იკვეთება ეპისტემური მოდალური შინაარსი, მეორე მხრივ, კი გარკვეული ტიპის ვალდებულებას, რაც უკვე დეონტურ მოდალურ სემანტიკასთანაა დაკავშირებული.

წარმოვადგენთ ძირეული პარონომაზიის შემთხვევებს, როდესაც გამოხატულია ეპისტემური მოდალური შინაარსი:

„მივედ ერისა მის და არქუ მათ: „**სმენით გესმოდის და არა გულისხმა-ჰყოთ, და ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ**“ (საქ. მოც. (A), 28, 26).

„მიუგო ადამ ევას და ჰრქუა: „**სიკუდილითა მოსიკუდიდ ვართ**“ (ად. და ევ. აპ. A, 109, 15).

„თუ ჭეშმარიტად ყოფილ იყოს სიტყუა იგი ბილწებისა თქუნ შორის, **მოსრვით მოისრნეთ მკვდრნი იგი მის ქალაქისანი პირითა მახჯლისადთა**“ (მეორე სჯ. 13, 16 AK P).

„თავისა ჩემისა მიმართ ვფუცავ, თქუა უფალმან, კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განგამრავლო შენ, ვითარცა ვარსულავნი ცისანი და ვითარცა ქუშად ზღვსკიდისად“ (მარგ., 12, 18).

„მოვედ ადგილსა თვისსა და ნუ ეგევითარი გონებად გიპყრიეს! უკეთუ (!) არა, თრევით მოგიტირიო“ (აგ. ძეგ. I, 15, 17).

მეორე მხრივ, დასტურდება ძირეული პარონომაზიის დეონტური მოდალობის ნიმუშები, რომლებიც გამოხატავენ ბრძანება-აკრავას:

„ამათმან მეტყუელმან ჯმა-ყო: მქონებელსა ყურთასა სმენით ესმოდედ!“ (თარგმ. ლ. სახ., 105, 3).

„დამჯობით დაამჯუნე იგინი და განშორებით განიშორო იგი, რამეთუ წყეულ არს“ (მეორე სჯ. 7, 26 AK).

„ჰრქუად უფალმან, სდევნე რამეთუ წევნით ეწიო მათ და ჯსნით იჯსნა“ (1 მეფ. 30, 12, B).

„ნუ დაჰკაფ ნერგსა მათსა მახვლითა შენითა, არამედ ჭამით სჭამდე მათ შენ, ნუ მოჰკუეთ ხესა ხილის გამოძღებელსა“ (მეორე სჯ. 20, 19 AK).

იშვიათად ვადასტურებთ მოდალური სემანტიკის მქონე სემასიოლოგიური პარონომაზიის მაგალითებსაც:

„ნუ აღხვალთ მთასა მას შეხებად მისა ყოველი რომელი შეეხოს მთასა მას, სიკუდილითა აღესრულოს არა შეახოთ ჯელი მას, რამეთუ ქვთა განიტჯნნეთ“ (გამ.19,2B).

„და მე არ შევიწყალო მეოთხე შენი სიკუდილითა აღიჯოცოს, და მესამედი შენი სიყმილითა მოესრულოს შორის შენსა“ (ეზ. 5, 18 B).

„რომელსაცა დღესა შჯამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყედეთ“ (ზაგრ. ცხ., 32, 8).

„ყოველთა დღეთა გეჩუენებოდე თქუენ, და არა ვჭამდ, არცა ვსუემდ, არამედ ხილვით ხოლო ხედვიდეთ თქუენ“ (ტობ. 12 19 OJ).

აღსანიშნავია, რომ როგორც ძირეული, ისე სემასიოლოგიური პარონომაზიის შემთხვევაში ძირითადად ერთი და იმავე ფორმებით შედგენილი პარონომაზიული წყვილები დასტურდება ძველი ქართული ენის ტექსტებში, რაც, სავარაუდოდ, მათ მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად გააზრებას უნდა განეპირობებინა.

5.5. „ეგების“ მარტივი ზმნა დინამიკური, დეონტური და ეპისტემური მოდალური შინაარსით

ძველი ქართული ენის ტექსტებში არსებული ემპირიული მასალის შესწავლამ გამოავლინა ერთი მარტივი ზმნური ფორმა, **ეგების**, რომელიც სამივე მოდალური სემანტიკით დასტურდება. დასახელებული ზმნის სემანტიკებთან დაკავშირებული მსჯელობა წარმოდგენილია ნაშრომის შესაბამის თავებში (იხ. თავი 2.4, 3.7.9.1, 4.3.2). ამჯერად მხოლოდ სათანადო მაგალითების ილუსტრირებით შემოვიფარგლებით:

ეგების მოდალური ფორმა გამოხატავს „სუბიექტზე ორიენტირებულ“ დინამიკურ მოდალურ შინაარსს:

„რამეთუ არა აქუს დასაბამი, და მიუწთომელობად, რამეთუ არა ეგების მისდა მიწთომად, და უჯორცოებად, რამეთუ კორც არა ასხენ“ (კომ., 170, 1).

„რამეთუ არცა თუ ეგების, რავდენნი ლუაწლნი მოითმინეს“ (აგ. ბეგ. II, 96, 18).

წარმოდგენილ მაგალითებში გამოხატულია შინაგანი უნარის უქონლობა, მოქმედების განხორციელება შეუძლებელია, რადგან მოცემულ შემთხვევაში ის ადამიანის ხორციელ ბუნებასა და მის შესაძლებლობებს აღემატება.

ეგების მოდალური ფორმა გამოხატავს „ნეიტრალურ“ დინამიკურ მოდალურ შინაარსს:

„ბოროტსა მას მონებასა შინა დავშთებით, ვითარ ეგების შესლვად ჭემმარიტებასა, რომელი ტყუვილსა ეძიებდეს“ (ქალწ., 134, 4).

„მას ჟამსა მოსრულ იყო ბავრატ თრიალეთს; დადგა კარუშეთს. გაგზავნა მოციქული, განახნა ლაშქარნი და იხილა, რომელ ძალითა არა ეგებოდა წინა-აღდგომა დავით კურაპალატისა“ (ქართ. ცხ. I, 277, 10).

დამოწმებული კონტექსტები გულისხმობენ მოქმედების შესრულების იმგვარ შეუძლებლობას, რომელიც სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, გარემო ფაქტორებითაა განპირობებული.

ეგების მოდალური ფორმა გამოხატავს დეონტურ მოდალურ შინაარსს, სხვადასხვა ტიპის ვალდებულებასა და უფლების ქონა/უქონლობას:

„უკეთუ არა ეგების თვინიერ ცემისა, ში წინამძღვარო, მამა ჟამითი ჟამად ნუ ხელითა თვისითა, არამედ სხვათათა“ (კლემ., 156, 33).

„უკეთუ ძალ გიც შენ, აქციე, ჩემგან კულა ესე ადარა ეგების“ (ქართ. ცხ. I, 289, 16).

„ჟამი არს სიხარულისაჲ და არა ეგების დუმილი“ (კლარჯ. მრ., 10, 12).

ეგების მოდალური ფორმა გამოხატავს ეპისტემურ მოდალურ შინაარსს:

„და ესმა რად ესე პატრეაქსა, დაუკვრდა და ჰრქუა მათ: „და ვითარ ეგების ესე, რომელ-მცა ქართველნი არა მართლ-მადიდებელნი იყვნეს“ (აგ. ბეგ. II, 150, 8).

„დაღათუ სიტყუად სამთა პირთა მოასწავებს, არამედ ერთ არს ღმრთეებაჲ მიუწდომელი ბუნებითა. და უკუეთუ სთქუა, ვითარ-მე ეგების, რადთა იყოს მამად ღმერთ და ძღ ღმერთ და სული წმიდაჲ ღმერთ, და არა იყვნენ იგინი სამ ღმრთეება“* (კლარჯ. მრ., 340, 2).

წარმოდგენილ მაგალითებში ფაქტებსა და არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მთქმელი დარწმუნებულია ვითარების უტყუარობაში.

დასასრულ, **ეგების** მარტივი ზმნის მაგალითი კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს კავშირს სხვადასხვა მოდალურ სემანტიკას შორის. რამდენადაც მოდალობა მთქმელის დამოკიდებულებაა ფაქტებისა და მოვლენების მიმართ და ეს დამოკიდებულება იმდენგვარი შეიძლება იყოს, რამდენი ინდივიდიც არსებობს, ერთი და იმავე ფაქტისა და მოვლენის მიმართ შესაძლებელია, გამოვლინდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება, ადამიანის ცნობიერებასა და მის საკომუნიკაციო აქტში კი ერთსა და იმავე ენობრივ საშუალებას შეიძლება მიენიჭოს სხვადასხვა სემანტიკის გამოხატვის ფუნქცია, რადგან, ვფიქრობთ, სხვადასხვა მოდალური სემანტიკა ჯაჭვური გადაბმის პრინციპითაა დაკავშირებული ერთმანეთთან ერთიან მოდალურ სისტემაში.

VI თავი

მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებათა წარმომავლობის საკითხისათვის

ძველ ქართულში მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებათა შესწავლისას დგება საკითხი მათი წარმომავლობის შესახებ. როგორც ცნობილია, ქართული სამწერლობო ტრადიციის საწყისები სხვადასხვა ენიდან და, განსაკუთრებით, ბერძნულიდან თარგმნასთანაა დაკავშირებული. თარგმანის გავლენა თავს იჩენს როგორც ლექსიკურ, ისე – გრამატიკულ დონეზე, რაც არაერთხელაა განხილული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (იმნაიშვილი, 1957; თაყაიშვილი, 1961; სარჯველაძე, 1984; მარტიროსოვი, 1995; დანელია, 1998...). შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნევთ, ცალკე მსჯელობა დავუთმოთ მოდალური სემანტიკის გამომხატველ ფორმათა ორიგინალურობისა თუ თარგმანის გავლენით წარმოშობის საკითხს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი – მოდალური სემანტიკა ძველ ქართულში ძირითადად ორიგინალური საშუალებებით გამოიხატებოდა, გვაქვს ორიოდე გამონაკლისი, რაზეც შესაბამის მსჯელობას ქვემოთ წარმოვადგენთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ რთულ ზმნათა საკითხი, რადგან ე.წ. კომპოზიტი ზმნები ძველ ქართულში სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამომხატველ მთავარ საშუალებად გვევლინებიან. რთულ ზმნათა სახელურ კომპონენტად, ერთი მხრივ, წარმოდგენილია სხვადასხვა სახელი, მეორე მხრივ კი, ე.წ. ადგილობითი ზმნისწინები (თევზაძე, 1959; იმნაიშვილი, 1996; დანელია, 1998), შესაბამისად, მსჯელობა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს.

რთული ზმნების, რომელთა პირველი კომპონენტი სახელია, ორიგინალურობის საკითხი, ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს. როგორც თ. ვაშაკიძე აღნიშნავს, „ქართული ორგანული წარმოების ენაა, თუმცა ძველ ქართულში ზმნის აღწერითი წარმოება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა“ (ვაშაკიძე, 1993, 352-353). ივ. ქავთარაძეც მიუთითებს, რომ „აღწერითი და ორგანული წარმოების ფორმები ერთნაირად დასტურდება როგორც თარგმნილ, ისე ძველ ქართულ ორიგინალურ ტექსტებში“ (ქავთარაძე, 1964, 165).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძველ ქართულში ნასახელარ ზმნათა მარტივი წარმოება ჭირდა. ამასთანავე, „რაც უფრო ძველ ვითარებასთან გვაქვს

საქმე, მით უფრო საცნაურია ნასახელარ ზმნათა დეფექტური წარმოება“ (ქავთარაძე, 1964, 171).

თ. ვაშაკიძე სადისერტაციო ნაშრომში („ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში“) ასახელებს ძველ ქართულში რთულ ზმნათა გამოყენების საჭიროების რამდენიმე მიზეზს: „1. ძველ ქართულში ზმნის აღწერითი ფორმები უპირატესად მაშინ დასტურდება, როდესაც ორგანული წარმოება ჭირს. სინთეზური ვარიანტების უქონლობა განპირობებულია სახელის (სახელური კომპონენტის) თავისებური სემანტიკით... 2. ზმნის აღწერითი წარმოება გამოიყენება მაშინაც, როდესაც გასაზმნავებელი სახელი წარმოქმნილი ან კომპოზიტია (რადგანაც წარმოქმნილი ან კომპოზიტი სახელისაგან ჭირს ორგანულად ზმნის წარმოება... 3. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი აღწერით ფორმათა გამოყენებისა იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად ძნელდება ზმნის ორგანულად წარმოება დრო-კილოთა II სერიის ნაკვეთებში... 4. ენა აღწერით ფორმებს მიმართავს მაშინაც, როდესაც ორგანულად არ ხერხდება ენიანი ვნებითის წარმოება... 5. პერიფრასტული წარმოების გამოყენებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ჭირს მოცემული ფორმისაგან ობიექტური წყობით ორგანული ზმნის წარმოება... 6. ანალიზურ წარმოებას მიმართავს ენა მაშინაც, როდესაც არ ხერხდება მოცემული ფორმისაგან გარდამავალი ზმნის ორგანულად წარმოება...“ (ვაშაკიძე, 1993, 344-345). დასახელებული მიზეზები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ რთული ზმნების პოვნა ძველ ქართულში ორიგინალურ მოვლენად მიიჩნეოდეს.

რაც შეეხება რთულ ზმნათა იმ წყებას, რომელთა პირველ კომპონენტს ე.წ. ადგილობითი ზმნისწინები წარმოადგენენ, მათი წარმოება, მართლაც, ბერძნულიდან თარგმნის პროცესთანაა დაკავშირებული. ძველ ბერძნულში კარგად იყო განვითარებული ადგილობითი ზმნისწინების სისტემა, რაც ქართული ენისთვის არაორგანული იყო. ძველ ქართულ ტექსტებში უჩვეულო არ არის ზმნისწინთა, ზმნიზედათა და თანდებულთა გამოყენება, მაგრამ ზმნიზედური წარმოშობის თანდებულების პრეპოზიციისაში ზმნისწინთა ადგილზე გამოყენება უცხოენოვანი, კერძოდ, ბერძნული პირველწყაროს გავლენაზე მიუთითებს. ადგილობით ზმნისწინებად ძველ ქართულში გამოყენებულია: თანა, წინა, ზედა, ქუე, გარე, შინა

(დანელია, 1998). ჩვენს შემთხვევაში ასეთი ადგილობრივი ზმნისწინებია **ზედა და თანა**, რომლებიც ზმნურ ფორმასთან კომბინაციით **ზედა-დება, თანა-დება** მოდალური სემანტიკის გამომხატველ როლს ზმნებს ქმნიან, რომლებიც ძველ ქართულში მარტივად ადაპტირდებიან, თარგმანის შემთხვევაშიც ადგილობრივზმნისწინიანი როლული ზმნები დედნის სხვადასხვა მოდალური ფორმის შესატყვისად გამოიყენება არა **თანა და ზედა** თანდებულთა ბერძნული შესატყვისების ნაცვლად παρα (συ), επι ανα (περι):

„სულ არს ღმერთი, და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანაგ თაყუანის-ცემაჲ“ (ი. 4, 24 FG HIK⁶³).

“πνεῦμα ὁ θεός, καὶ τοὺς προσκυνοῦντας αὐτὸν ἐν πνεύματι καὶ ἀληθείᾳ δεῖ προσκυνεῖν” (Jn. 4:24 BGT).

„უკუეთუ მე დაგბანენ ფერკნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანაგაც ურთიერთას დაბანად ფერკთა“ (ი. 13, 14 C DE FG HIK).

“εἰ οὖν ἐγὼ ἔνιψα ὑμῶν τοὺς πόδας ὁ κύριος καὶ ὁ διδάσκαλος, καὶ ὑμεῖς ὀφείλετε ἀλλήλων νίπτειν τοὺς πόδας” (Jn. 13:14 BGT).

„თქუთ, ვითარმედ: მონანი უკმარნი ვართ; რომელი თანაგუედვა ყოფად, ვყავთ“ (ლ. 17, 10 C DE FG HIK).

“οὕτως καὶ ὑμεῖς, ὅταν ποιήσητε πάντα τὰ διαταχθέντα ὑμῖν, λέγετε ὅτι δοῦλοι ἀχρεῖοί ἐσμεν, ὃ ὀφείλομεν ποιῆσαι πεποιήκαμεν” (Lk. 17:10 BGT).

„პირველმან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედამაც მისლვად და ხილვად“ (ლ. 14, 18 C).

“καὶ ἤρξαντο ἀπὸ μιᾶς πάντες παραιτεῖσθαι. ὁ πρῶτος εἶπεν αὐτῷ· ἀγρὸν ἠγόρασα καὶ ἔχω ἀνάγκην ἐξελθῶν ἰδεῖν αὐτόν· ἐρωτῶ σε, ἔχε με παρητημένον” (Lk. 14,18 BGT).

⁶³ ღირს C; ჯერ-არს DE.

დასახელებული რთული ზმნები, ისევე როგორც სხვა ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი აღწერითი ზმნები, დროთა განმავლობაში წყვეტენ ფუნქციონირებას, მათ ანაცვლებენ შესაბამისი შინაარსის მარტივი ზმნური ფორმები.

„ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის საწარმოებლად აღწერითს ფორმებს ძველი ქართული ზმნის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რიგ შემთხვევაში იგი უძველესი სისტემის გადმონაშთია (მოსლვად არს...), ხოლო ცალკეული ფორმები (ნათელ-სცა...) უდავოდ ძველი ქართულის ინოვაციებს წარმოადგენს“ (ქავთარაძე, 1971, 129).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე.წ. „კატეგორიული მყოფადის“ გადმოსაცემად მასდარული კონსტრუქციის გამოყენება ქართულისთვის არაა ორგანული (აქ ბერძნულის გავლენასთან უნდა გვქონდეს საქმე) და ძველ ქართულშივე შედარებით ახალი წარმონაქმნი ჩანს. ამიტომ „ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი (ინფინიტივი) და მასთან დაკავშირებული კონსტრუქციები ისე გამოვიდა ხმარებიდან, მისი კვალიც კი აღარ შემორჩა სალიტერატურო ქართულს. ინფინიტივის გაქრობა X საუკუნიდან უკვე ფაქტია“ (მარტიროსოვი, 1955, 58).

ივ. იმნაიშვილის აზრით, მასდარი-ინფინიტივი ძველ ქართულში მომდინარეობს ბერძნულიდან: „მასდარული კონსტრუქცია იხმარებოდა უცხო ენათა infinitive-ის გადმოსაცემად... ევროპულ ენათა ამ კატეგორიის გადმოცემა ძველ ქართულს ხშირად უხდებოდა, რადგან მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბერძნულთან. ბერძნულ ენაში კი ასეთი კატეგორია არსებობს“ (იმნაიშვილი, 1957, 182, 750-751).

ნ. კოტინოვის თანახმად, „მასდარი-ინფინიტივი ქართულში ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც ძველ ქართულში გვხვდება სამ ბრუნვაში: სახელობითში, ნათესაობითსა და ვითარებითში. ამათგან ყველაზე ძველი და მეტი ზმნური თვისებების შემცველია ვითარებითში დასმული მასდარი-ინფინიტივი. შინაარსობრივად და ფუნქციურადაც ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად უახლოვდება ევროპულ ენათა ინფინიტივს“ (კოტინოვი, 1965, 970).

ივ. ქავთარაძის დაკვირვებით, აღწერითი წარმოება ძველ ქართულში კარგად ცნობილი ფაქტია და მყოფადის დასახელებული მოდელიც ბუნებრივად ერწყმის ამ სისტემას. მეცნიერის აზრით, მყოფადის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში

ბერძნულიდან თარგმანის გავლენით დამკვიდრებულად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ძველ ბერძნულს მყოფადის ორგანულად გამოხატვა ახასიათებდა, რომლის წიაღშიც ჩაისახა აღწერითი წარმოება და განვითარდა ახალ ბერძნულში. შესაბამისად, „აქ რაიმე გავლენებზე და შინაგანი ფორმების შეთვისებაზე მსჯელობა ალბათ საეგებო იქნებოდა. სარწმუნოა, რომ ერთგვაროვანი მოვლენები, ჩვეულებრივ, ვითარდება დამოუკიდებლად სხვადასხვა ან ტიპოლოგიურად მსგავს ენაში ერთდროულად ან მათი განვითარების სხვადასხვა პერიოდში“ (ქავთარაძე, 1971, 140).

„ძველი ქართულის ე.წ. „კატეგორიული მყოფადის“ ფორმების შესატყვისად სხვა ენებში (ბერძნულში, სომხურში, რუსულში, გერმანულში...) გამოიყენება ზმნა, ინფინიტივი ან მომავლის მიმღობა“ (მარტიროსოვი, 1955, 56). „მომავალი დრო, როგორც გრამატიკული კატეგორია, ბერძნულში გვიან ჩამოყალიბდა. ჰირტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბერძნულ ენაში მომავალი ძალიან ხშირად არის მედიალური ფორმით მაშინ, როცა სხვა დროებში მოქმედებითი გვარის ფორმებია (ჰირტი, 1936, გვ.271). ჩვენი აზრით, მედიალური მომავლის ფორმები იმდროინდელი ფორმებია, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დროის კატეგორია, მაგრამ შეინიშნებოდა დროის მნიშვნელობა, რასაც შემდგომში დროის კატეგორია უნდა მოეცა. მედიალურ მომავალს შემდგომი განვითარება არ ახასიათებს“ (გიორგობიანი, 1996, 277-278). ზემოთქმულის თანახმად, მყოფადის გამოხატვის თვალსაზრისით, ბერძნულსა და ქართულ ენებს შორის თანხვედრა არაა. „კატეგორიული მყოფადის“ გამოხატვისას არც რედაქციული შედარება გვაძლევს მსგავსებას: „აღწერილობითი მყოფადის ფორმებს უცხოენოვან რედაქციებში შეესატყვისება მომავლის გამომხატველი კავშირებითი ან ჩვეულებრივი მყოფადი“ (ქავთარაძე, 1971, 130).

ჩვენი მოსაზრებით, ვითარებითში დასმული მასდარი ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, რომელსაც ინდოევროპული ენების ინფინიტივთან რიგი საერთო ნიშნები გააჩნდა და რომელიც დროთა განმავლობაში ვეღარ განვითარდა. ისევე როგორც რთულმა ზმნებმა, ვითარებითში დასმულმა მასდარმაც შეწყვიტა ფუნქციონირება და მყოფადის გამოხატვა სხვა საშუალებებს დაუთმო. ამკარაა, რომ ქართულ ენაში ენობრივი პროცესი რთულის მარტივი ზმნური ფორმებით ჩანაცვლების ტენდენციით წარიმართებოდა. რასაც მყოფადის შემთხვევაში

ხელი შეუწყო ვითარებითში დასმული მასდარის სინტაქსური როლის დასუსტებამ, თუმცა ინფინიტივის გაქრობას არ გამოუწვევია მთლიანად მყოფადის აღწერითი საშუალების მოშლა, უბრალოდ, ამ მოდელმა ერთგვარი ცვლილება, ევოლუცია განიცადა: ვითარებითში დასმული მასდარი შეიცვალა ჯერ სახელობითში მდგარი მასდარით (რაზეც ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი), შემდეგ – მიმღობით, ძირითადად, სასუბიექტო მიმღობით (*მომავალ არს* „მოვა“) ან მომავალი დროის საობიექტო მიმღობით (*განსარინებელ არს* „გადარჩება“) მეშველი ზმნების უღლებადი ფორმები უცვლელი დარჩა, თუმცა შემდეგ აწმყო ჩანაცვლა II კავშირებითის მწკრივმა (*მიმცემი ვიყო* „მივცემ“). მიმღობიანი მყოფადის აღწერით მოდელს უკვე ძველ ქართულშივე ვხვდებით:

„ვამ სოფელსა საცთურთა მათგან, რამეთუ... მომავალ არს საცთური“ (მ. 18, 7 DE FG).

შდრ.: *„ვამ ამის სოფლისა საცთურთაგან, რამეთუ მოსლვად არს საცთური“* (იქვე, C).

შდრ.: *... მომავალ არიან* (იქვე, HIK).

„ვერ განსარინებელ არს იგი“ (აგ. ძეგლ. I, 17, 25).

„აღსანიშნავია, რომ მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ მოდელში ინფინიტივის მიმღობით ჩანაცვლებით შესაბამისი მოდალური შინაარსი (კატეგორიულობა, სავალდებულო და აუცილებელი მოქმედების გამოხატვა) – უცვლელი დარჩა“ (ქავთარაძე, 1971, 136).

როგორც ცნობილია, IX-XI საუკუნეებიდან ქართული ენა ახერხებს უფრო მოქნილ, მარტივი ზმნური ფორმების წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე, 1964; სარჯველაძე, 1984). მარტივი ფორმები წამყვან ადგილს იჭერენ ქართული ენის ზმნურ სისტემაში. ცხადია, ეს მსჯელობა ეხება მოდალური სემანტიკის გამომხატველ ფორმებსაც. ძველ ქართულში უკვე შეინიშნება სხვადასხვა მოდალური მნიშვნელობის გამომხატველი მარტივი ზმნების მრავალფეროვნება, რომლებიც უდავოდ ქართული ენის ლექსიკური ფონდის საკუთრებაა და მათს პოვნეიერებას არავითარი კავშირი არ აქვს უცხოენოვანი წყაროების გავლენასთან.

ის ფაქტი, რომ ქართულ რედაქციებსა და შესაბამის ბერძნულ დედნებში ზმნის მარტივი ფორმებია გამოყენებული, შეიძლება აიხსნას ენების შინაგანი პოტენციით, მით უმეტეს, როცა ვსაუბრობთ ნასახელარ ზმნებზე, ცხადია, შესაბამისი სახელური ფუძეები ყველა ენის ლექსიკაში მოიპოვება და საეჭვო არაა, ენებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აწარმოონ მათთვის ბუნებრივი ფორმები.

როგორც ემპირიულმა მასალამ აჩვენა, ძველ ქართულში მოდალური სემანტიკა საკმაოდ აქტიურად გამოიხატებოდა ნაწილაკებით. ზოგადად, ნაწილაკთა სისტემა ქართულ ენაში მრავალფეროვნებითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. ძველ ქართულში მოდალური სემანტიკით გამოყენებული ნაწილაკები ქართული წარმომავლობისაა, ორგანულია როგორც მათი ძირეული, ისე – სხვა შემადგენელი ელემენტები. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გვაქვს უცხო ენის გავლენა, ასეთად შეგვიძლია დავასახელოთ **ნუ** ნაწილაკის გამოყენება დაეჭვების გამომხატველ კონტექსტებში, რაც ბერძნული **μη**-ს გავლენითაა განპირობებული. ასევე, ზოგიერთი პლეონასტური წარმოების ნაწილაკის პოვნაობა ძველ ქართულ ენაში გამოწვეულია თარგმანის ტექნიკით, მაგალითად: **ხოლო თუ, თუ ხოლო, ჰეთუმცა...**

საბოლოოდ, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულში სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამოსახატავად საკმაოდ ბევრი ორგანული ლექსიკური თუ გრამატიკული საშუალება გამოიყენებოდა, ამ მხრივ მოდალური სემანტიკა დავალებული არ არის სხვა ენებისაგან, თუმცა, ბუნებრივია, თარგმანის გავლენას ენის ვერც ეს უბანი აირიდებდა თავიდან და ზოგიერთ შემთხვევაში მოდალურ ფორმათა გამოყენება უცხო ენის გავლენით აიხსნება.

VII თავი

მოდალური სემანტიკის გამომხატველი საშუალებები როგორც სალექსიკონო ერთეულები

მოდალური ფორმებისა და ელემენტების ქართული ენის ლექსიკონებში ასახვის საკითხს სპეციალურ მსჯელობას უთმობს ნ. შარაშენიძე მონოგრაფიაში „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“. კვლევის შედეგად დგინდება: *„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები არასრულ ინფორმაციას იძლევა მოდალური ფორმების შესახებ და მათში არაა ასახული ის სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც მოდალურ ფორმებს აქვთ“* (შარაშენიძე, 2020, 238). კვლევა ეხებოდა საშუალო და ახალი ქართული ენის მონაცემების შესწავლას სათანადო ლექსიკონების გამოყენებით.

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ძველ ქართულ ენაში დადასტურებული სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამომხატველი საშუალების ასახვის საკითხი რამდენიმე ლექსიკონის მიხედვით, ესენია: ძველი ქართული ენის ლექსიკონები (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 1995), სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი (ორბელიანი, იორდანაშვილის რედაქციით, 1949), ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988). საკვლევი ელემენტების უმრავლესობა შეტანილია დასახელებულ ლექსიკონებში, თუმცა მათს ნაწილს განმარტება არ ახლავს (არა, ნუ, ნუღარა, ნუთუ, -მცა, თუ, -ვე),⁶⁴ ნაწილი კი განმარტებულია მხოლოდ ლექსიკურ დონეზე (რეცა, ხოლო, ხოლო თუ, -ვე, -მებრ), ზოგიერთ შემთხვევაში განსამარტ ერთეულთა მოდალური ფუნქციები სწორადაა შენიშნული, თუმცა ეს ფორმები კვალიფიცირებული არ არიან მოდალურ ელემენტებად (არ(ა), ვერ, ნუ, ნუმცა, ნუთუ, ნუუკუე, -ძი, -და, თუ, სამე).⁶⁵

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში გამოვლენილი და შესწავლილი მოდალური ფორმები მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ქართული ლექსიკოგრაფიისთვის. ქვემოთ წარმოდგენილი მოდალური საშუალებების ცხრილი (ცხრილი N 10) შეავსებს მომავალში გამოსაცემი ლექსიკონების მასალებს, ხოლო

⁶⁴ ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ზოგიერთი მოდალური ფორმა შეტანილია როგორც სალექსიკონო ერთეული, მაგრამ განმარტებული არაა ან ახსნილია ოდენ სინონიმური სიტყვით.

⁶⁵ ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988).

ნაშრომის სხვადასხვა თავში წარმოდგენილი მოდალურ საშუალებათა განმარტება, შეფასება და ანალიზი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სალექსიკონო სიტყვა-სტატიების მოსამზადებლად.

ცხრილი N 10

მოდალური სემანტიკის გამომხატველი საშუალებები ძველ ქართულ ენაში	დინამიკური მოდალური სემანტიკა	დეონტური მოდალური სემანტიკა	ეპისტემური მოდალური სემანტიკა
ვერ ⁶⁶	+		
არა ⁶⁷		+	
ნუ		+	+
ნუცა		+	
ნულარა		+	
ნუმცა			+
ნუთუ			+
ნუუკუე			+
-მცა		+	
-ძი			+
-ლა			+
რეცა			+
თუ			+
ხოლო / ხოლო თუ / თუ ხოლო			+
ჰეთუმცა / ჰელამეთუ			+
სამე			+
-ჰე			+
-მებრ			+
I და II ბრძანებითის მწკრივები		+	

⁶⁶ იგულისხმება ვერ ნაწილაკისაგან ნაწარმოები ყველა უარყოფითი ნაწილაკი.

⁶⁷ იგულისხმება არ ნაწილაკისაგან ნაწარმოები ყველა უარყოფითი ნაწილაკი.

„ყოფად არს“ წარმოება		+	+
„ჯერ-არს ყოფად“ წარმოება		+	+
პარონომაზია		+	+
ძალ-უც	+	+	
ველ-ეწიფების	+	+	
ჯერ-არს		+	+
თანა-აც		+	
ზედა-აც		+	
შემძლებელ არს / შესაძლებელ არს	+	+	
შესაძლო არს	+		
ველმწიფე არს	+	+	
ველმწიფებად / ძალი აქუს ველმწიფებად / ძალი მიეცემის	+	+	
სათანადო არს		+	
საჭირო არს		+	
უძლავს / შეუძლიან / შეუძლია	+	+	
შუენის		+	
შეჰგავს		+	
უჭმს		+	
მართებს		+	
უტევებს		+	
აუფლებს		+	
ეგების	+	+	+
ჯამს / ხამს		+	
ღირს		+	
ეგულების			+

VIII თავი

ძირითადი დასკვნები

მოდალობა უნივერსალური კატეგორიაა, ის, როგორც მთქმელის დამოკიდებულების გამომხატველი საშუალება, ყველა ენაში არსებობს მათი ფუნქციონირების საწყისი ეტაპებიდანვე, იმ დროიდან მოყოლებული, რაც ადამიანებმა შეგრძნებებისა და შეხედულებების რაციონალურად გამოხატვა დაიწყეს ენის საკომუნიკაციო ფუნქციის საშუალებით. მოდალური სემანტიკების გაგება იცვლებოდა და ვითარდებოდა დროთა განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ ენობრივ სისტემაში მოდალობა ისეთი ცვლადია, რომელიც ეტაპობრივად ახლდება და ახალ სემანტიკურ ნიუანსებს იძენს სოციუმის განვითარებისა და განახლებული საჭიროებების შესაბამისად. სხვადასხვა ენის ბუნებისა და სისტემის გათვალისწინებით ზოგიერთ ენაში მოდალობა გრამატიკული კატეგორიაა, ზოგიერთში – სემანტიკური. ასევე, განსხვავდება მოდალობის ტიპების გამომხატველი საშუალებები არა მხოლოდ სხვადასხვა ენაში, არამედ – ერთი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზეც კი. მოდალობის გამომხატველად ენები იყენებენ როგორც გრამატიკულ (კილოს ფორმებს, სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციებს, გრამატიკალიზებულ მოდალურ ფორმებს...), ისე – ლექსიკურ საშუალებებს (ნაწილაკებს, სხვადასხვა შინაარსის გამომხატველ ზმნურ ფორმებს...).

ძველ ქართულში მოდალობა, როგორც სისტემური კატეგორია, ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ მოდალური სემანტიკის გამოხატვა მრავალფეროვანი საშუალებებით ძველ ქართულშივე დადასტურებული ფაქტია, რაც, ვფიქრობთ, საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ საშუაალი ქართულიდან დაიწყოს მოდალური სემანტიკის მქონე რიგი გამომხატველი საშუალებების გრამატიკალიზაციის პროცესი და ახალ ქართულში გვქონდეს მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, ჩამოყალიბებული სისტემა.

მოცემულ შრომაში როგორც უცხოენოვან, ისე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ძველი ქართული ენის ემპირიული მასალის გათვალისწინებით განვიხილავთ მოდალობის სამ ძირითად სახეს (დინამიკური, დეონტური, ეპისტემური) მრავალფეროვანი სემანტიკური ტიპებით. მართალია,

მოდალური სემანტიკის გაგება რამდენადმე სუბიექტურია, ინდივიდის სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული, მაგრამ ობიექტური სურათის მისაღებად თითოეული მოდალური საშუალების გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში გადამოწმებულია სუბსტიტუციის მეთოდის გამოყენებით და ყველა ფორმა ისეა მხედველობაში მიღებული.

ძველი ქართული ენის ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით მოდალობის ძირითადი ტიპებისთვის გამოვყავით შემდეგი სემანტიკური ქვესახეები: დინამიკური მოდალობისთვის „ნეიტრალური“, გარემო პირობებით განპირობებული შესაძლებლობა და „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობა, შინაგანი ან შემენილი უნარი/ცოდნა; დეონტური მოდალობისთვის გამოვკვეთეთ ბრძანება/აკრძალვა, გაფრთხილება/მითითება, უფლების ქონა/უფლების უქონლობა, ნებართვა/ნების დაურთველობა, თხოვნა, მოწოდება/შეგონება, სოციალური/სარწმუნოებრივი/ მორალური ვალდებულება/საჭიროება; ეპისტემური მოდალობა კი აერთიანებს შემდეგ სემანტიკურ ნიუანსებს: დარწმუნებულობა (დადებითი კონოტაცია), დარწმუნებულობა (უარყოფითი კონოტაცია), შესაძლებლობა/შეუძლებლობა (სხვადასხვა ხარისხით), დაეჭვება.

როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ძველი ქართული ენა იყენებდა რთულ ზმნებს, სხვადასხვა ტიპის აღწერით კონსტრუქციებს, მარტივ ზმნებსა და ნაწილაკებს. ქრონოლოგიურად უძველესია რთულ ზმნათა და აღწერით კონსტრუქციათა გამოყენება, რომელთა პარალელურად IX საუკუნიდან აქტიურდებიან მარტივი ზმნები, მოგვიანებით ამ გააქტიურებას მოჰყვება მარტივი ზმნების მიერ რთული ზმნების აბსოლუტური ჩანაცვლების პროცესი. რაც შეეხება ნაწილაკთა გამოყენებას, ისინიც ენის განვითარების საწყისი ეტაპიდანვე გვხვდება წერილობით ძეგლებში სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამოსახატავად, მათი ნაწილი თავს ვერ იმკვიდრებს ენის განვითარების მომდევნო საფეხურებზე, ნაწილი კი დღესაც აქტიურად გამოიყენება ქართულ მეტყველებსა და სალიტერატურო ენაში.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგების საფუძველზე ვასკვნით, რომ:

ძველ ქართულ ენაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენებოდა შემდეგი საშუალებები: ვერ უარყოფითი ნაწილაკი, ძალ-უც, კელ-ეწიფების რთული ზმნები, შემძლებელ არს / შესაძლებელ არს, შესაძლო არს, კელმწიფე არს, კელმწიფებად / ძალი აქუს, კელმწიფებად / ძალი მიეცემის აღწერითი წარმოების კონსტრუქციები, უძალვს / შეუძლიან / შეუძლია და ეგების მარტივი ზმნები.

დეონტური სემანტიკის გამომხატველად ძველი ქართული ენის ტექსტებში დასტურდება არა და მისკან ნაწარმოები უარყოფითი ნაწილაკები, ნუ, ნუცა, ნულარა უარყოფითი ნაწილაკები, -მცა ნაწილაკი, I და II ბრძანებითის მწკრივის ფორმები (ჰბამევედ ჯინჭველსა, ისმინე ჩემი...), ე.წ. კატეგორიული მყოფადის გამომხატველი მასდარიანი კონსტრუქცია, ყოფად არს ტიპის წარმოება და ჯერ-არს ყოფად ტიპის აღწერითი ფორმები, პარონომაზიული გამოთქმები (სმენით გესმოდის, თრევით მოგიტრიო, განშორებით განიშორო...), ძალ-უც, კელ-ეწიფების, ჯერ-არს, თანა-აც, ზედა-აც რთული ზმნები, შემძლებელ არს / შესაძლებელ არს, კელმწიფე არს, კელმწიფებად / ძალი აქუს, კელმწიფებად / ძალი მიეცემის, სათანადო არს, საჭირო არს აღწერითი წარმოების კონსტრუქციები, უძალვს / შეუძლიან / შეუძლია, შუენის, შეჰგავს, უჰმს, მართებს, უტევებს, აუფლებს მარტივი ზმნები და ეგების, ჯამს/ხამს, ღირს მარტივ ზმნათა ოდენ მე-3 პირის ფორმები.

ეპისტემური მოდალური სემანტიკა ძველ ქართულში გამოხატულია დაეჭვების ნუ, ნუმცა, ნუთუ, ნუუკუე, -ძი, -ღა, რეცა, თუ, ხოლო / ხოლო თუ / თუ ხოლო, ჰეთუმცა / ჰელამეთუ, სამე ნაწილაკებით. სამე ნაწილაკი, ასევე, გვხვდება დარწმუნებულობის ეპისტემური შინაარსითაც. დარწმუნებულობის სემანტიკას გამოხატავდნენ -ვე და -მებრ ნაწილაკებიც. ეპისტემური მოდალური შინაარსის გამომხატველად ძველ ქართულში გვხვდება ე.წ. კატეგორიული მყოფადის გამომხატველი მასდარიანი კონსტრუქცია, ყოფად არს ტიპის წარმოება და ჯერ-არს ყოფად ტიპის აღწერითი ფორმები, პარონომაზიული გამოთქმები (სმენით გესმოდის, თრევით მოგიტრიო, განშორებით განიშორო...), ჯერ-არს რთული ზმნა და ეგების, ეგულების მარტივი ზმნები.

როგორც იკვეთება, ძველ ქართულში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხატვა ემყარება მარტივ და რთულ ზმნებს, სახელზმნურ აღწერით

კონსტრუქციებს, ნაწილაკთაგან კი მხოლოდ შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ვერ ნაწილავს. დეონტური და ეპისტემური სემანტიკა კი ძალზე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი როგორც ნაწილაკებითა და მარტივი ზმნებით, ისე – სხვადასხვა ტიპის აღწერითი წარმოებით.

ერთი და იმავე მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებათა რედაქციული შესწავლით გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში გამომხატველ საშუალებებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით თავისუფალი ვარირებაა, ისინი სინონიმური ფორმებია და მათი არსებობა ყოველთვის დიაქრონული ჭრილით არ განიხილება.

საგულისხმოა, რომ დეონტური მოდალობის გამომხატველი რთული ზმნები ძველ ქართულში, სემანტიკურად უკავშირდებიან, როგორც დინამიკურ, ისე ეპისტემურ მოდალურ სემანტიკას. ამ თვალსაზრისით დეონტური მოდალობა ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს დინამიკურსა და ეპისტემურ მოდალობას შორის, რაც სემანტიკურ დონეზე ასე გვესახება: ერთი მხრივ მოქმედება, რომელიც უკავშირდება ცოცხალი არსების უნარს, ცოდნას (დინამიკური მოდალობა), მეორე მხრივ კი მოქმედება, რომლის შესრულების ალბათობაშიც მეტ-ნაკლებად დარწმუნებული ვართ (ეპისტემური მოდალობა), დასაშვები ან დაუშვებელია კონკრეტული საზოგადოებისა თუ პირისათვის, რასაც გამოხატავს დეონტური მოდალური სემანტიკა. ამგვარი სემანტიკური გრადაციის თვალსაჩინო მაგალითია ეგების მოდალური ფორმა, რომელიც ძველ ქართულ ტექსტებში ორიოდ შემთხვევაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებშია გამოყენებული, მეორე მხრივ კი, იგივე ეგების მოდალური ფორმა ძველ ქართულში ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე როგორც დეონტური, ისე ეპისტემური სემანტიკის გამომხატველ საშუალებადაც მივიჩნიეთ. ასევე, ერთი მხრივ, ძალ-უც და კელ-ეწიფების რთული ზმნები, შემძლებელ არს / შესაძლებელ არს, კელმწიფე არს, კელმწიფება / ძალი აქუს, კელმწიფება / ძალი მიეცემის აღწერითი კონსტრუქციები და შეუძლია მარტივი ზმნა ძველ ქართულში გამოიყენება დინამიკური და დეონტური მნიშვნელობით, მეორე მხრივ, ჯერ-არს რთული ზმნა, ჯერ-არს ყოფად და ყოფად არს ტიპის აღწერითი ფორმები და პარონომაზიული გამონათქვამები ძველ ქართულ

ტექსტებში დეონტური და ეპისტემური სემანტიკის მქონენი არიან. ამგვარად, აღნიშნულ ფორმათა ფუნქციური თანხვედრა მოდალურ სემანტიკათა შორის ძლიერ კავშირს გვაგვარაუდებინებს.

ჩვენი დაკვირვებით, რთულ ზმნათა მოდალური სემანტიკით გამოყენება უმეტესად განპირობებულია ამ ტიპის ანალიზური წარმოების სახელური კომპონენტის მნიშვნელობით (**ძალ-უც, ჯელ-ეწიფების** დინამიკური მოდალური სემანტიკით), იშვიათად კი რთული ზმნები, როგორც ერთიანი ოდენობა, იფართოებენ სემანტიკას და იძენენ დამატებით მოდალურ შინაარსს (მაგ., **ძალ-უც** დეონტური მოდალური სემანტიკით, **ჯერ-არს** ეპისტემური შინაარსით).

სხვა ზმნურ ფორმათაგან განსხვავებით, **ჯერ-არს** რთული ზმნისა და **ჯამს/ხამს, ღირს** და **ეგების** მარტივ ფორმათა შემთხვევაში გრამატიკალიზაციის პროცესი უფრო შორს მიდის. დასახელებული ფორმები დევერბალიზებულია, ძველ ქართულშივე უპირო ფორმადაა ქცეული, მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება მხოლოდ მათი მესამე პირის ფორმა, რომელიც ძველ სამწერლობო ქართულში კონკრეტული ზმნური მნიშვნელობით აღარაა დატვირთული. ჩვენი აზრით, რომ არა ძველ ქართულშივე დაწყებული რთულ ზმნათა მოშლის პროცესი, **ჯერ-არს** ფორმა მოდალური ელემენტის ფუნქციას შეიძენდა, მაგრამ ენაში მიმდინარე პროცესების გამო აღნიშნული ფორმა ფუნქციონირებას ვეღარ აგრძელებს ძველი ქართული ენის შემდგომ ეტაპზე. დეონტური სემანტიკით გამოყენებას ძველ ქართულშივე წყვეტს **ღირს** მოდალური ფორმაც (VIII-XI სს.), მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკალიზაციის პროცესი დაწყებული იყო **ჯამს/ხამს** ზმნის შემთხვევაში და ის საშუალო ქართულშიც კი გვხვდება დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებში, ამ ზმნის მოდალურ ელემენტად ქცევის პროცესი მაინც ვერ დასრულდა და თანამედროვე ქართულში ის ლექსიკურ არქაიზმად მიიჩნევა. გამონაკლისია მხოლოდ **ეგების** მოდალური ზმნა, რომლის შემთხვევაშიც გრამატიკალიზაციის პროცესი ბოლომდე მიდის და ეტაპობრივი ცვლილებების შედეგად საშუალო ქართულშივე ვიღებთ ეპისტემური მოდალური შინაარსის მქონე **ეგებ** ნაწილაკს.

ნაშრომში, ასევე, განვიხილეთ ეპისტემური მოდალური სემანტიკის **ჯერ-არს** რთული ზმნისა და ე.წ. „**კატეგორიული მყოფადის**“ ფორმების, როგორც ძველსა და

საშუალო ქართულში არსებული მოდალობის გამომხატველი გრამატიკული საშუალებების, ურთიერთმიმართების საკითხი. წარმოვადგინეთ მოსაზრება, რომ აღნიშნული ფორმები არ მომდინარეობს ერთმანეთისაგან. **ჯერ-არს მოსლვად და მოსლვად არს** ტიპის ფორმები ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ორ პარალელურ დამოუკიდებელ ლექსიკურ (**ჯერ-არს მოსლვად**) და გრამატიკულ (**მოსლვად არს**) საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.

როგორც აღინიშნა, ძველ ქართულში მოდალური სემანტიკის გამომხატველ ნაწილაკთა მრავალფეროვნებაა, მათგან ნაწილი სხვადასხვა მოდალური სემანტიკის უარყოფითი კონოტაციისაა (**ვერ, არა, ნუ** და მათგან ნაწარმოები ფორმები), ნაწილი დაექვების გამომხატველია (**ნუ, ნუმცა, ნუთუ, ნუუკუე, -ძი, -და, რეცა, თუ, ხოლო / ხოლო თუ / თუ ხოლო, ჰეთუმცა / ჰელამეთუ, სამე**), ნაწილი კი დარწმუნებულობას გამოხატავს (**სამე, -ვე, -მებრ**). მოდალური ზმნების გარეშე, ნეიტრალურ ზმნებთან კოლოკაციის შექმნისას უარყოფით ნაწილაკთაგან **ვერ** მხოლოდ დინამიკური შესაძლებლობის უარსაყოფად გამოიყენება, **არა** – სხვადასხვა დეონტური სემანტიკის უარყოფისას, **ნუ** ნაწილაკი კი უარყოფითი კონოტაციით დეონტური სემანტიკის გამოხატვას ითავსებს, ეპისტემური მოდალური შინაარსის მქონე კონტექსტებში კი დაექვების გამომხატველად გვევლინება, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერძნული ენიდან თარგმანის გავლენით უნდა ყოფილიყო განპირობებული, იგივე უნდა ითქვას **ნუმცა, ნუთუ, ნუუკუე** კომპოზიტურ ნაწილაკებზეც, რომლებშიც ასევე მონაწილეობს $\mu\eta$ -ს ეკვივალენტი **ნუ** ნაწილაკი დაექვების ფუნქციით.

საბოლოოდ, ძველი ქართული ენის ემპირიული მასალის დაწვრილებითმა ანალიზმა ცხადყო ძველ ქართულ ტექსტებში მოდალური სემანტიკის გამოხატვის ძლიერი ტენდენცია. ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი მოდალური შინაარსის გამომხატველი საშუალება და გამოიკვეთა მათი მრავალი სემანტიკური ნიუანსი (იხ. ცხრილი N 10). დადგინდა, რომ მოდალურ საშუალებათა უმრავლესი ნაწილი ქართულ ნიადაგზეა განვითარებული, მცირე ნაწილის გამოყენება კი თარგმანის გავლენასთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ერთ-ერთია იმ ენათა შორის, რომელშიც სხვადასხვა მოდალური სემანტიკისათვის მრავალფეროვანი და ექსპრესიული გამომხატველი საშუალებები არსებობს.

მოცემული ნაშრომი საფუძველია ქართულ ენაში მოდალური სემანტიკის შესასწავლად, მიუხედავად იმისა, რომ საშუალ და ახალ ქართულში მოდალურ ფორმათა შემსწავლელი რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა არსებობს, მოდალობის კატეგორიისა და მის გამომხატველ ფორმათა შესწავლის საჭიროება კვლავ დგას თანამედროვე ლინგვისტიკაში, რამდენადაც ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის ყოველდღიურად მდიდრდება ახალი ფორმებით, ამავდროულად ადამიანთა დამოკიდებულებებისა და აზრების გამომხატველი საშუალებაცაა, ადამიანთა აზროვნება კი გლობალურ სამყაროში სწრაფად იცვლება, ვფიქრობთ, მოსალოდნელია, ერთი მხრივ, ცოცხალ ენებში ახალ მოდალურ სემანტიკათა გამოკვეთა და მეორე მხრივ, არსებულ სემანტიკათა გამომხატველი მოდალური ფორმების ეტაპობრივად განახლება.

წყაროები:

„ტიტუსის“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა (titus.uni-frankfurt.de);

ქართული ენის ეროვნული კორპუსი - GNC (gnc.gov.ge).

AK – ძველი აღთქმის AK რედაქცია;

B – ბაქარის ბიბლია;

BGT – Bible works (ბიბლიის ელექტრონული გამოცემა);

C – ადიშის ოთხთავი;

DE – ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები;

FG – ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქცია;

HIK – ქართული ოთხთავის გიორგისეული რედაქცია;

G – გელათის ბიბლია;

J – იერუსალიმის ბიბლია;

O – ოშკის ბიბლია;

P – პარიზის ლექციონარი;

S – მცხეთის ბიბლია;

X – ხანმეტი ოთხთავი.

აგ. ტექსტ. – აგიოგრაფიული ტექსტები (კეკელიძე);

აგ. ტექსტ. (ყუბ.) – აგიოგრაფიული ტექსტები (ყუბანეიშვილი);

აგ. ტექსტ. A-95 – აგიოგრაფიული ტექსტები A-95;

აგ. ძეგ. I – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I;

აგ. ძეგ. II – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II;

აგ. ძეგ. VI – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI;

ად. და ევ. აპ. A – ადამ და ევას აპოკრიფი A;

ამაოებ., – ამაოებისათვის;

ამირეჯ. – ჭაბუა ამირეჯიბი;

ანბ. ან. პატ. – ანბანურ-ანონიმური პატერიკები;

აპოფ. (სისტ.) – აპოფთეგმები (სისტემატური);

არ. წამ. – არეთას წამება A;

არ. წამ. – არეთას წამება B;

ზაგრ. ცხ., – ზაგრატის ცხოვრება;
ზალავ., – ზალავარიანი;
ზას. დიდ. ცხ. – ზასილი დიდის ცხოვრება;
ზას. კეს. – ზასილი კესარიელი;
განმ. ი. სახ. – განმარტებად იოანეს სახარებისად;
გრ. ნაზ. – გრიგოლ ნაზიანზელი;
დაბ. კაც. – დაბადებისათვის კაცისა;
დიდი სჯ. – დიდი სჯულისკანონი;
დიდი შაბ. საკ. – დიდი შაბათის საკითხავები;
დუმბ. – ნოდარ დუმბაძე;
ევ. სტიქ. – ევთალეს სტიქომეტრია;
ეტ. II – ეტიუდები II;
ეფ. ას. ცხ. – ეფრემ ასურის ცხოვრება;
ექ. დღ. – ექუსთა დღეთა;
ვეფხ. – ვეფხისტყაოსანი;
ვისრ. – ვისრამიანი;
თარგმ. მ. სახ. – თარგმანებად მათეს სახარებისად;
თარგმ. ლ. სახ. – თარგმანებად ლუკას სახარებისად;
თარგმ. ქებ. ქებ. – თარგმანებად ქებისა ქებათადსად;
თხზ. – თხზულებანი;
ი. ოქრ. ცხოვ. – იოანე ოქროპირის ცხოვრება;
იო. ზედ. – იოანელი ზედაზნელის ცხოვრება;
იო. სინ. – იოანე სინელი;
იოვ. გამ. – იოვანეს გამოცხადება;
იუდ. სიმ. – იუდეველთა სიმღველენი;
კავშ. – კავშირნი;
კართ. საეკ. კრ. – კართაგენის საეკლესიო კრების მეექვსე კანონი;
კიმ. I – კიმენი I;
კიმ. II – კიმენი II;

კლარჯ. მრ. – კლარჯული მრავალთავი;
 კლემ. – კლემაქსი;
 კოლ. – კოლოფონები;
 კომ. – კომენტარები (გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავებზე);
 ლ. სახ. თარგმ. – ლუკას სახარების თარგმანება;
 ლიმ. – ლიმონარი;
 მამ. სწ. – მამათა სწავლანი;
 მამ. სწ. და თხრ. – მამათა სწავლანი და თხრობანი;
 მამ. ცხ. – მამათა ცხოვრება;
 მარგ. – მარგალიტი;
 მეტ. ჰაგ. (ნოემ.) – მეტაფრასული ჰაგიოგრაფია (ნოემბერი);
 მიშვ. – რევაზ მიშველაძე;
 მც. აპოკრ. – მცირე აპოკრიფები;
 მც. სჯ. – მცირე სჯულისკანონი;
 ნიკ. სახ. – ნიკოდიმოსის სახარება;
 პავ. AB – პავლენი AB;
 პავ. ეპ. (CD) – პავლეს ეპისტოლე (CD);
 პეტრ. ტიპ. – პეტრიწონის ტიპიკონი;
 პრ. დიად. – პროკლე დიადოხოსი;
 რუსუდ. – რუსუდანიანი;
 საკ. (ეფრ.) – (ეფრემ მცირის ვერსია);
 საკ. (ექვთ.) – საკითხავები (ექვთიმე მთაწმიდელის ვერსია);
 საკ. ახ. აღ. – საკითხავები ახალი აღთქმიდან;
 საკ. ძვ. აღ. – საკითხავები ძველი აღთქმიდან;
 საკ. წიგნ. – საკითხავი წიგნები I-II (აგიოგრაფიული ტექსტები);
 საქ. მოც. (A) – საქმე მოციქულთა (A);
 სვ. მეს. ცხ. – სვიმეონ მესუეტის ცხოვრება;
 სინ. მრ. – სინური მრავალთავი;
 სწავ. – სწავლანი;

სწ. წმ. მამ. – სწავლანი წმიდათა მამათანი;
ტბ., პარხლ. მრ. – ტბეთისა და პარხლის მრავალთავები;
უდ. მრ. – უდაბნოს მრავალთავები;
უძვ. სვინ. – უძველესი სვინაქსარი;
ფსევდომაკ. – ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია;
ქაიხ. – ქაიხოსრო;
ქალწ. – ქალწულებისათვის;
ქართ. ცხ. I – ქართლის ცხოვრება I;
ქართ. ცხ. II – ქართლის ცხოვრება II;
ქართ. სამართ. ძეგლ., I – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I;
ქართ. სამართ. ძეგლ., III – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III;
ქრესტ. I – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I;
ქრონ. – ქრონიკა;
შატბ. კოდ. – შატბერდის კოდექსი;
შატბ. კრ. – შატბერდის კრებული;
შვ. მთ. – შვიდი მთიები;
ცხ. და წამ. წმ. ანტ. რავ. – ცხოვრებად და წამებად წმიდისა ანტონი რავახისი;
წამ. წმ. ორმ. – წამებად წმიდათა ორმეოცთა;
წერ. – აკაკი წერეთელი;
წმ. გრ. ნოს. – წმინდა გრიგოლ ნოსელი;
წმ. თეკ. წამ. – წმიდა თეკლეს წამება;
ჭილ. – ოთარ ჭილაძე;
ხანმ. პალიმ. – ხანმეტი პალიმფსესტი;
ჰომ. ბას. კეს. – ჰომილიები, ბასილი კესარიელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაბუნაშვილი, ე. (1951). კომპოზიტი ზმნები ძველ ქართულში, თსუ ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, 21-22.
- ბაბუნაშვილი, ე. (1953). ნაწილაკები ძველ ქართულში. სადისერტაციო შრომა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 192 გვ.
- გაჩეჩილაძე, ა. (1960). კვლავ -მცა ნაწილაკისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XII, 241-253.
- გიორგობიანი, თ. (1996). ზმნის გვარისა და დროის კატეგორიების ისტორიისათვის ბერძნულში. საენათმეცნიერო ძიებანი, V, 271-281.
- დანელია, კ. (1998). ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 537 გვ.
- ენუქაშვილი, რ. (1975). აღწერითი ზმნები ახალ ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, 37-41.
- ვაშაკიძე, თ. (1992). „ყოფა“ მეშველზმნიანი აღწერითი წარმოება ძველ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N 2, 71-79.
- ვაშაკიძე, თ. (1993). ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში, თბილისი, 358 გვ.
- ზექალაშვილი, რ. (2008). მოდალობის გამოხატვის საშუალებათა სისტემა და სემანტიკური ნიუანსები ქართულ დისკურსში. II საერთაშორისო სიმპოზიუმი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები, ეძღვნება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 110 წლისთავს. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 173-177.
- თაყაიშვილი, ა. (1961). ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 154 გვ.
- თევზაძე, ჭ. (1959). რთული ზმნები ძველ ქართულში, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 397-409.
- თოფურია, ვ. (1944). -ძი ნაწილაკი ქართულში. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIV, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი. 171-177.

იმნაიშვილი, ი. (1957). სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 781 გვ.

იმნაიშვილი... (1996). ზმნა ძველ ქართულში, II, მაინის ფრანკფურტი, 785 გვ.

კოტინოვი, ნ. (1965). ვითარებითი დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V. 96-102.

კოტინოვი, ნ. (1978). -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, N1, 105-111.

კოტინოვი, ნ. (1986). კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 111 გვ.

ლომიძე, ა. (2021). დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი სინთეზური ზმნური ფორმები ძველსა და საშუალ მწიგნობრულ ქართულ ენაში. ნაშრომი შესრულებულია ქართული ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ნაშრომის ხელმძღვანელი ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი მაგული დამბაშიძე, 41 გვ.

მარტიროსოვი, ა. (1955). მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 43-59.

მელიქიშვილი, დ. (1980). მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისთვის* (ძველი ქართული ენის მასალებზე დაყრდნობით). იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VII, 59-75.

მუზაშვილი, ნ. (1993). ნასახელარ ზმნათა წარმოება ძველ ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 130 გვ.

ნინუა, გ. (1968). ბრძანებითი კილო ქართულ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი, 209 გვ.

ნინუა, გ. (1971). -მცა ნაწილაკის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, N 2, 111-114.

ოსიძე, ე. (1960). „ღაღად-ყო“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში, იკე, XII, 267-273.

ოქროპირიძე, ნ. (1962). იმპერატიული მოდალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებანი ქართულ ენაში. ნ. ბარათაშვილის სახელობის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, 91-97.

ოქროპირიძე, ნ. (1974). კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, ტ. 2, 295-303.

პაპიძე, ა. (1981). კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოხატვისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურა, ტ. V, 28-44.

სარჯველაძე, ზ. (1984). ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 654 გვ.

სარჯველაძე, ზ. (1997). ძველი ქართული ენა, თბილისი, 582 გვ.

უთურგაიძე, თ. (1966). კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XV, 214-227.

ქავთარაძე, ი. (1964). ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, 161-175.

ქავთარაძე, ი. (1971). აღწერითი მყოფადი და ნამყოს ერთი სახეობა ძველ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N 1, 129-141.

ღამბაშიძე, მ. (2017). დინამიკური მოდალობის გამომხატველი „ძალ-უც“ ზმნა ძველ ქართულ სამწერლობო ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, 222-235.

ღამბაშიძე, მ. (2018). „დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „შეძლება“ ზმნა და მასთან დაკავშირებული უკუთქმითი ნაწილაკები ქართულ სამწერლობო ენაში“; სამეცნიერო შრომების კრებული. ქართველური ენათმეცნიერება, V, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 115-130.

ღამბაშიძე, მ. (2019). „დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი ანალიზური და სინთეზური ზმნური ფორმები ქართულ სამწერლობო ენაში“, „ენათმეცნიერების საკითხები“, 113-124.

ღამბაშიძე, მ. (2022). დეონტური მოდალური სემანტიკა და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებები ძველ ქართულ ენაში. ფილოლოგიური კვლევები, N5, 22-36.

Ghambashidze, M. (2022). DEONTIC MODAL SEMANTICS AND ITS EXPRESSIONS IN THE OLD GEORGIAN LANGUAGE. PHILOLOGICAL RESEARCHES, N5, 22-36.

ღამბაშიძე, მ. (2023 ა). დეონტური მოდალური სემანტიკის მქონე ზმნური ფორმების გადმოცემისათვის "ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ თარგმანებში (მარჯორი უორდროპის, ლინ კოფინისა და დოდონა კიზირიას თარგმანების მიხედვით) / M. Ghambashidze, The rendering of Verbs of Deontic Modal Semantics in English Translations of "The Knight in The Panther's Skin" (Based on the translations of Marjory Wardrop, Lyn Coffin and Dodona Kiziria), მილენიუმი, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია – საქართველოს ორენოვანი საერთაშორისო ახალგაზრდული სამეცნიერო ონლაინჟურნალი, N 1, 194-208. Ghambashidze, M. (2023 a). Millennium, Academy of Digital Humanities – Georgia, The Bilingual Scientific Online Journal for Humanities and Social sciences, N 1, 194-208.

ღამბაშიძე, მ. (2023 ბ.). „ჯერ-არს ყოფად“ და „ყოფად არს“ ტიპის აღწერითი წარმოების ურთიერთმიმართებისათვის. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, XXVII, 258-263.

ყაუხჩიშვილი, თ. (1946). ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, ნ.მარის სახელობის ენის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 259-288.

შანიძე, ა. (1918). „-მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში“, პრომეთე, N1, 79-80.

შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. უნივ. გამომცემლობა, თბილისი, 187 გვ.

შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბილისი, 656 გვ.

შარაშენიძე, ნ. (2020). მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 283 გვ.

შერაზადიშვილი, მ. (2005). მოდალური ნაწილაკები სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXV, 286-289.

- ცინდელიანი, უ. (1981). შესაძლებლობის (დაეჭვების) ნაწილაკები ძველ ალთქმაში. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IX, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 28-40.
- ციხელაშვილი, ლ. (2017). ქვემდებარის საკითხი მყოფადის პერიფრასტულ კონსტრუქციებში ძველ სამწერლობო ქართულში. ქართველური მემკვიდრეობა, XXI, 391-399.
- წერეთელი, კ. (1954). პარონომაზია ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 461-501.
- ჭანტურია, ლ. (2002). „სახე“ და მოდალობა, საენათმეცნიერო ძიებანი, XII, 269-276.
- ჭუმბურიძე, ზ. (1968). მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, 55-76.
- ჯორბენაძე, ბ. (1984). უარყოფითის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. VI, 136-166.
- ჯორბენაძე, ბ. (1993). ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი X, 266-278.
- Benamara, F. (2012). How do Negation and Modality Impact on Opinions? Proceedings of the Workshop on Extra-Propositional Aspects of Meaning in Computational Linguistics, July, 10-18.
- Bybee, L. J. (1985). Morphology: A study of the relation between meaning and form, Amsterdam, Benjamins, 235 pp.
- Bybee, L. J. (1988). The diachronic dimension in explanations. In John A. Hawkins (ed.) Explaining Language Universals. Oxford: Blackwell, 350-359.
- Bybee, J., Perkins, R., Pagliuca, W. (1994). The Evolution of Grammar, Tense, Aspect And Modality In The Languages Of The World. The University of Chicago Press. Chicago and London, 420 pp.
- Bybee, L. J. & Fleischman, S. (1995). Modality in Grammar and Discourse, Amsterdam/Philadelphia, Benjamins Publishing Company, 1-14.
- Coates, J. (1983). The semantics of the modal auxiliaries. London: Croom, Helm Context and Cognition, 27-64.

- Comrie, B. (1985). *Tense*. Cambridge University Press, 139 pp.
- Haan, F. de (2004). *Typological approaches to modality*. Berlin: Mouton de Gruyter, 66 pp.
- Han, Ch. Hye. (2005). *Deontic Modality, Lexical Aspect and the Semantics of Imperatives*. University of Pennsylvania. *Linguistics in the Morning Calm 4*. Hanshin Publications, Seoul, 479-495.
- Halliday, M. A. K. (1970). *Functional diversity in language as seen from a consideration of modality and mood in English*, 322-361.
- Heine, B. (1992). *Grammaticalization*. *The Handbook of Historical Linguistic*: Blackwell Reference Online, 1-20.
- Jespersen, O.C. (1969). *Essentials of English Grammar*. London: George Allen and Unwin Ltd, 387 pp.
- Leech, G. N. (1969). *Towards a semantic description of English*. London, Longman, 277 pp.
- Lyons, J. (1977). Semantics*. University of Cambridge. Publisher: Cambridge University Press, 897 pp.
- Palmer, F. R. (1990). *Modality and the English Modals*, second edition, Longman, 232 pp.
- Palmer, F. R. (1997). *The English Verb*, second edition, Longman Linguistics Library, 288 pp.
- Palmer, F. R. (2001). *Mood and Modality*, second edition. Cambridge: Cambridge University Press, 236 pp.
- Perkins, M. R. (1983). *Modal Expressions in English*, Frances Pinter, London, 186 pp.
- Portner, P. (2009). *Modality*. Oxford university press. Oxford, 288 pp.
- Rescher, N. (1968). *Topics in philosophical logic*. Dordrecht: Reibel, 347 pp.
- Salkie, R., Busuttil, P., Auwera, J. van der (2009). *Modality in English Theory and Description*, Berlin, New York, 384 pp.
- Sharashenidze, N., Advadze, M., Ghambashidze, M. (2019). *The Interaction of Modality and Negation in the Georgian Language*, BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 13, no. 2, 115-122.
- Thackeray, H. St. J. (1909). *A Grammar of the Old Testament in Greek, Vol. I*, Cambridge University Press, 325 pp.

Traugott E. C. (2011). Modality from a historical perspective. *Language and Linguistics Compass* 5/6, 381-396.

Wright, Van, G. H. (1951). *An essay in modal logic*. North-Holland, Amsterdam, 90 pp.

Wymann, A. Th. (1996). *The Expression of Modality in Korean*, Bern, 245 pp.

Март, Н. (1925). *Грамматика древнелитературного грузинского языка*. Ленинград, 212 ст.

ლექსიკონები:

აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 577 გვ.

ორბელიანი, ს. (1949). *სიტყვის კონა ქართული. რომელ არს ლექსიკონი*, ს. იორდანიშვილის საერთო რედაქციითა და გამომცემლობით, საქართველოს სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 582 გვ.

სარჯველაძე, ზ. (1995). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 314 გვ.

ქეგლ, (1958). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით. თბილისი. <https://ena.ge/explanatory-online>

ჯორბენაძე, ბ., კობახიძე, მ., ბერიძე, მ. (1988). ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისთვის). გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 521 გვ.